

ბრეზენი

III

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

THE SCROLL

ECCLESIASTICAL-SCIENTIFIC COLLECTION

III

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY

PUBLISHING HOUSE

TBILISI 2015

თბილისის სასულიერო აკადემია

ბრანდილი

საეკლესიო-სამეცნიერო კრებული

III

თბილისის სასულიერო აკადემიისა და

სემინარიის გამომცემლობა

თბილისი 2015

წინამდებარე კრებულით გრძელდება თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საეკლესიო-სამეცნიერო შრომების – „გრაგნილის“ – პერიოდული გამოცემა. კრებულში შესულია სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა წარმატებით შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები: წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. ანდრია კრიტელის თხზულებათა აქამდე გამოუცემელი ძველი ქართული თარგმანები თავიანთი მიმოხილვითი ხასიათის შესავლებითა და კრიტიკული აპარატიურთ, აგრეთვე, ორი თეორიული ხასიათის ნაშრომი: „წმ. ეპიფანე კვიპრელის დიდი შაბათის ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი“ და „მექვესე მსოფლიო კრების დადგენილებათა ექვთიმესეული რედაქცია („მცირე სჯულისკანონი“) და მისი მიმართება „დიდი სჯულისკანონის ტექსტთან“. ორივე ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი სიახლეების შემცველია ძველი ქართული სასულიერო მწერლობის კვლევის თვალსაზრისით. რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ გამოცემულ ტექსტებს, ორი მათგანის მთარგმნელია დიდი ქართველი საეკლესიო მამა, ექვთიმე მთაწმიდელი, რაც უკვე მეტყველებს ამ ასკეტური ხასიათის თხზულებათა ქართული თარგმანების მნიშვნელობაზე; მესამე ტექსტის, წმ. იოანე ოქროპირის ჰომილიის – „სინანულისათვის, ქალწულებისათვის და მოთმინებისათვის“ – მთარგმნელის ვინაობის დადგენისათვის კი მკვლევრებს დიდ დახმარებას გაუწევს ამ თარგმანის წინამდებარე გამოცემა.

ტომის რედაქტორი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ნინო მელიქიშვილი

Editor of the Publication

Nino Melikishvili

Doctor of Philological Sciences

რეცენზენტი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მაია რაფავა

Reviewer

Maia Raphava

Doctor of philological Sciences

ს ა ძ ი ე ზ ე ლ ი

• წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისნი სწავლანი ლოცვისათჳს და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათჳს საცხორებელად სულისა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა ნაუმძღვარა დიმიტრი ჩიხორლიშვილმა)	9
შესავალი	11
I. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები წმ. ბასილი დიდის შესახებ	14
II. წმ. ბასილი დიდის თხზულებები ასკეტიკის სფეროში	16
III. „სწავლანი ლოცვისათჳს“ (ძეგლის ზოგადი მიმოხილვა)	18
IV. ტექსტის შემცველი ხელნაწერები და მათი აღწერილობა	19
ტექსტისთვის	21
წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისნი სწავლანი ლოცვისათჳს და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათჳს საცხორებელად სულისა (ტექსტი)	22
დანართი	55
პარალელები წმ. ბასილი დიდისა და სხვა წმიდა მამების სწავლებებს შორის აღნიშნული ძეგლის ფარგლებში	
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა	60

რევაზ მუჯირიშვილი

• წმინდა ეპიფანე კვიპრელის დიდი შაბათის ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი	63
შესავალი	65
I. წმინდა ეპიფანე კვიპრელის ცხოვრება და მოღვაწეობა	67

II. თხზულების საღვთისმეტყველო ანალიზი	75
1) მაცხოვრის ჯვარზე აღსრულება კაცობრივი ბუნებით	
2) ჯოჯოხეთის შემუსვრა და მართალთა სულების გამოხსნა	79
3) ახალი რჯულით ძველის ჩანაცვლება	89
4) ორი მოწმის შესახებ	91
5) ღვთის ხატებისა და მსგავსების შესახებ	93
6) ადამის დაცემის შესახებ მეექვსე დღეს	97
7) სამოთხისა და სასუფევლის შესახებ (მათი ოდენ ხარისხობრივი სხვაობა)	98
III. ჰომილის ქართული თარგმანი	101
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა	103
გამოყენებული ხელნაწერები	106

ნუგზარ ქოქიაშვილი

• მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებათა ექვთიმე ათონელისეული რედაქცია (“მცირე სჯულისკანონი”) და მისი მიმართება ”დიდი სჯულისკანონის” ტექსტთან	107
შესავალი	109
”მცირე სჯულისკანონის” თარგმნის დრო და ადგილი	120
”მცირე სჯულისკანონის” შემცველი ხელნაწერები და მისი გამოცემები	121
”მცირე სჯულისკანონის” შედგენილობა და მისი მიმართება გამოყენებულ წყაროებთან	124
მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებათა ექვთიმესეული რედაქცია და მისი მიმართება ”დიდი სჯულისკანონის” ტექსტთან	132

დასკვნა 188

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა 190

• თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, ებიზკოპოსისაჲ,
სინანულისათჳს და ქალწულებისათჳს და მოთმინებისათჳს
(ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა წაუმძღვარა და კრიტიკული აპარატი
დაურთო იღუმენმა ლუკიანე ბუდალაშვილმა, ბერძნულ წყაროს შეუდარა მონაზონმა
ექვთიმე კრუპიციკიმ) 195

წინასიტყვა 197

ავტორის შესახებ 198

თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, ებიზკოპოსისაჲ,
სინანულისათჳს და ქალწულებისათჳს
და მოთმინებისათჳს (ტექსტი) 200

კრიტიკული აპარატი 225

• თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ანდრია
კრიტელ მთავარებისკოპოსისაჲ, ამაოებისათჳს კაცობრივთა
საქმეთაჲსა და შესუენებულთათჳს
(ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა წაუმძღვარა და კრიტიკული აპარატი
დაურთო მონაზონმა გიორგი ასკურავამ, ბერძნულ წყაროს შეუდარა მონაზონმა
ექვთიმე კრუპიციკიმ) 247

წინასიტყვა 249

თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ანდრია კრიტელ
მთავარებისკოპოსისაჲ, ამაოებისათჳს კაცობრივთა საქმეთაჲსა
და შესუენებულთათჳს (ტექსტი) 251

კრიტიკული აპარატი 265



წმ. ბასილი კაბადოკიელი

წიგნისა და ღმერთთაგანისა გარდა ჩუენისა ბასილისნი
სწავლანი ლოცვისათჳს და სხუათა
თითოსახეთა სათნოებათათჳს საცხორებელად სულისა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა
წაუძღვარა დიმიტრი ჩიხორლიშვილმა

სელმძღვანელი თეოლოგიის დოქტორი
დეკანოზი **მაქსიმე ჭანტურია**

რეცენზენტი მღვდელი **ლონგინოზ სუარიშვილი**

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქრისტიანის სწრაფვა სულიერი სრულყოფილებისაკენ ემყარება მაცხოვრის მცნებას: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ (მათე 5, 48), რაც, არსებითად, ღვთისადმი განუწყვეტელ ლტოლვაში, მასთან მიმსგავსების, სულიწმიდის მადლის მოხვეჭისა და განღმრთობის სურვილში ვლინდება და სწორედ ასე ხდება ადამიანი ცათა სასუფეველის მკვიდრი. ღმერთთან დაახლოება წარმოუდგენელია ცოდვათაგან განწმედისა და სათნოებათა მოპოვების გარეშე, რაც ასკეტური^{2*} მოღვაწეობის მიზანია; ეს იმთავითვე, ზოგადად, ქრისტიანული ცხოვრების წესი იყო, თუმცა ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ ასკეტური მოღვაწეობა ქრისტიანულ ეკლესიაში მხოლოდ IV საუკუნის დამდეგიდან იწყება. ეს აზრი შესაწყნარებელი ვერ იქნება, რადგანაც ცოდვათაგან მოზღუდვისა და სათნოებათა მოპოვების მცდელობის გარეშე ქრისტიანული ცხოვრება თავის შინაარსს დაკარგავდა; ასკეტობა და ქრისტიანობა განუყოფელია ერთიმეორისაგან, რასაც ეკლესიის მამათა სწავლებაც ადასტურებს. ასეთი გაგებით ასკეტიზმი, რასაკვირველია, თავიდანვე ახასიათებდა ქრისტიანულ თემს. I საუკუნის ქრისტიანებიც ისეთივე ასკეტები იყვნენ, როგორებიც IV-V საუკუნეებისა, თუმცა მათი ასკეტური მოღვაწეობა სხვადასხვაგვარი იყო. ქრისტიანი, საღვთო მცნების შესაბამისად, თავს იზღუდავდა ამა სოფლის ვნებათაგან, სიამეთაგან, ცოდვათაგან და ეს უკვე ასკეტური ღვაწლი იყო. როდესაც ასკეტური მოღვაწეობის IV საუკუნის დამდეგიდან დაწყებაზე საუბრობენ, მხედველობაში აქვთ ასკეტიზმის ერთ-ერთი სახეობის - განდეგილობის დაფუძნება და ფართოდ გავრცელება.

ასკეტური მოღვაწეობა, რომელიც სათავეს იღებს მაცხოვრისა და მოციქულებისაგან,^{3*} დროთა განმავლობაში ნაირსახოვანი გახდა, მაგრამ ყველაზე გამოკვეთილი სახე ასკეტურმა მიმდინარეობამ III საუკუნის მიწურულსა და IV საუკუნის დამდეგს შეიძინა. სწორედ III-IV საუკუნეებიდან ჩნდებიან ასკეტური ღვთისმეტყველების სახელოვანი წარმომადგენლები: ნმ. ანტონი დიდი, ნმ. ათანასე ალექსანდრიელი, ევსტათი სებასტიელი, ნმ. ბასილი დიდი, ნმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ნმ. მაკარი დიდი (მეგვიპტელი), ნმ. კირილე იერუსალიმელი და მრავალი სხვა.

ასკეტური ღვთისმეტყველება და პრაქტიკული სამონაზვნო ცხოვრება კაბადოკიელ მამებთან უნიკალურ სახეს იღებს. მათ მოახერხეს ანტიოქი-

1* ნაშრომი შესრულდა 2013 წელს თბილისის სასულიერო აკადემიაში ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

2* ტერმინი „ἀσκησις“ ბერძნულად ნიშნავს წვრთნას, ვარჯიშს, მზადებას („ἀσκήσας“ - ვვარჯიშობ).

3* ასკეტურ ღვაწლს ეწეოდა, მაგალითად, იოანე ნათლისმცემელი, ასევე, - ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები.

ური და ალექსანდრიული სკოლების სინთეზი; გააერთიანეს განდეგილური მოღვაწეობისა და საერთო ტიპის საცხოვრებლებში სამონაზვნო მოღვაწეობის პრინციპები.

ამ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საეკლესიო მოძღვრების ერთ-ერთ უდიდეს გამომთქმელ-ღვთისმეტყველს, კესარიელ ეპისკოპოსს, წმ. ბასილი დიდს. ბასილი კესარიელი პირველია, ვინც მცირე აზიაში მონაზონთა ორგანიზებული თანაცხოვრების წესი დაამკვიდრა. უწინარეს, ხსენებულ რეგიონში, ასკეტები მარტო, ან ჯგუფებად მოღვაწეობდნენ, მაგრამ არაორგანიზებულად. წმ. ბასილი დიდი არ შემოიფარგლა ამგვარი საზოგადოების თეორიული საფუძვლის - სამონასტრო წესდების შექმნით. თვითონ მან, გენიალურმა ორგანიზატორმა, პირადად დააკანონა და პრაქტიკულად განამტკიცა ეს წესდება სამონასტრო ცხოვრებაში, შექმნა რა მონაზონთა საერთო სამყოფელი.

წმ. ბასილი კესარიელი დიდი საეკლესიო მოღვაწეა, რომელმაც ფილოსოფიური და ორატორული მსჯელობით გადმოგვცა სრულყოფილი სწავლება ლოცვის შესახებ. ლოცვა, მამათა სწავლებით, სათნოებათა დედოფალია და მისი ღრმა შემეცნების გარეშე ასკეტური ცხოვრება სრულყოფილად ვერ წარიმართება. ამ თვალსაზრისით დიდად ფასეული და სულისათვის მარგებელი შემოქმედებაა წმ. მამის მრავალმუხლედი სწავლანი - „ლოცვისათვის და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათვის“.

აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალ სხვა წმიდანს დაუწერია თეორიული შეგონებანი ლოცვის შესახებ. მარტო ქართულ ენაზე ათზე მეტი ასეთი ძეგლია თარგმნილი.¹

წმ. ბასილი დიდი თავის „სწავლანში“ გვმოძღვრავს, თუ როგორ შევამზადოთ თავი ლოცვის დაწყებისთვის, როგორ აღვუდგეთ წინ ბოროტ ძალას და როგორ დავამარცხოთ მის მიერ თავსმოხვეული ვნებები და გულისთქმები.

ამდენად, წმ. მამის „სწავლანში“ ერთადაა შეზავებული მოძღვრებით-შეგონებითი თეზისები და ფილოსოფიურ-თეოლოგიური გაგება ლოცვის უმნიშვნელოვანესი დანიშნულებისა. ღმრთივგანბრძნობილი მოძღვრის სწავლება უდიდეს მნიშვნელობას იძენს ასკეტური ცხოვრების წესის შესამეცნებლად.

წმ. ბასილი დიდის „სწავლანი“ ქართულად უთარგმნია ათონის ქართული თეოლოგიურ-ლიტერატურული სკოლის მამამთავარს, X-XI სს-ის დიდ ბერს, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს. წმ. მამამ თავისი თარგმანებით დიდად გაამდიდრა ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის თითქმის ყველა

1 წმ. ნილოს სინელისა („ლოცვისათვის“, 153 თავად), იოანე სინელისა („ლოცვისათვის“, „კლემენტის“ 28-ე თავი), ისაიასი, იოანე ოქროპირისა („ეკლესიასა შინა ლოცვისათვის“), მრავალი ავტორისაგან (ანტონი, არსენი, აგათონი, ბესარიონი, ეპიფანე კვიპრელი, მოსე, ესაია, იოსები, იაკობი, ლუკიოს, მაკარი, ნილოს, პიმენ, ტითოს და სხვ.) გამოკრებილი „მოუკლებელად და მღვდარედ ლოცვისათვის“ და „სწავლანი წმიდათა მამათანი ლოცვისათვის მარადის გულისკმისყოფით“ (12 თავად), „გამოკრებულნი სადაათვე სიტყუანი წმიდათა „მამათანი“ (იოანე სინელი, ბასილი, მარკოზი, ესაია, თეოდორე აბუკურა, ნილოსი და სხვ.). იხ. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა, თბილისი, 2006 წ., გვ. 192-195.

დარგი. მისი მთარგმნელობითი ღვაწლი მიუწვდომელ სიმაღლედ იყო მიჩნეული ჯერ კიდევ მის თანამედროვეთა შორის. სახელდობრ, წმ. გიორგი მთაწმიდელის თქმით, „ესევეთარი თარგმანი არღა გამოჩინებულ არს, და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“,¹ ხოლო ეფრემ მცირის შეფასებით, წმ. ეფთვიმეს მთარგმნელობას თვით სულიწმიდა განაგებდა, რამდენადაც მას მარტო ლიტონად და სიტყვასიტყვით კი არ „ველ-ენიფებოდა“ ბიზანტიური თეოლოგიური ლიტერატურის თარგმნა, არამედ მრავალრიცხოვანი „შემატებებითა და დაკლებით“ მის საუკეთესო რედაქტირებას ახდენდა,² კერძოდ, წმ. ეფთვიმე ათონელი ისეთ სახეს აძლევდა სათარგმნ მასალას, რომ იგი ქართველი მკითხველისათვის უფრო გასაგები და სასარგებლო ხდებოდა.

რადგან ქართულად თარგმნისას უდიდესი წმ. მამა და საეკლესიო მოღვაწე, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი თავისუფლად ერევა დედანში, მისი კალმით შემატებული თუ დაკლებული ყოველი ადგილი იმგვარადვეა დიდი მნიშვნელობისა და მაღლის მატარებელი, როგორც თვით ორიგინალი. ამიტომაც მისი თარგმანების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თეოლოგიური კვლევებისათვის.

.....
1 კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ძვ. მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1960 წ., გვ. 192.

2 ეფრემ მცირის თქმით, „მას მაღლითა სულისა წმიდისაათა ველ-ენიფებოდა შემატებადცა და კლებადცა“. იხ. კეკელიძე 1960: 250.

I. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები წმ. ბასილი დიდის შესახებ

სანამ უშუალოდ ლოცვისათვის გამოთქმულ „სწავლანს“ შევეხებოდეთ^{1*}, ჯერ მოკლედ მიმოვიხილოთ წმ. ბასილი დიდის ასკეტური შემოქმედება^{2*}.

წმ. ბასილი კესარიელ ეპისკოპოსს ბიზანტიის ისტორიაში ბასილი დიდის სახელი დაუმკვიდრდა არა მარტო მრავალრიცხოვარი დოგმატურ-საღვთისმეტყველო შრომებისათვის, არამედ იმ დიდი წვლილის გამოც, რაც მან შეიტანა საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრების ორგანიზების (ასკეტური მოღვაწეობის) სფეროში.

წმ. ბასილი დიდი დაიბადა 330 წელს ქალაქ კესარიაში, წარჩინებულ ოჯახში.^{3*} მისი მამა, უფროსი ბასილი, პონტოში ქველმოქმედებით ცნობილი დიდებული იყო და კაპადოკიის დედაქალაქ ნეოკესარიაში რიტორის მოვალეობას ასრულებდა. პირველდანიყებითი განათლება წმ. მამამ თავისი მამის ხელმძღვანელობით მიიღო, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა კესარიაში. კესარიიდან მომავალი ეპისკოპოსი კონსტანტინეპოლს ეწვია და რიტორიკას სწავლობდა ცნობილ ფილოსოფოს ლიბანიოსთან, ხოლო თავისი განათლება მან მეცნიერებათა სავანეში, ათენში, დაასრულა, სადაც დაუმეგობრდა თავის დიდ თანამემამულეს, წმ. გრიგოლ ნაზიანზელს.

355-356 წლებში ბასილი დიდი ათენიდან კესარიაში დაბრუნდა. მამა გარდაცვლილი დახვდა. ქალაქის მცხოვრებთა დაჟინებული თხოვნით იგი რამდენჯერმე გამოვიდა საჯაროდ და მსმენელები თავისი ორატორული ხელოვნებით განაცვიფრა; ოცდახუთი წლის ასაკში გახდა ადვოკატი და რიტორიკის მასწავლებელი. მისი და, მაკრინა, შიშობდა, რომ მომავალი მოძღვარი ამქვეყნიურ დიდებას არ გაეტაცებინა და ძმას სასულიერო ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა. ასევე, ევსტათი სებასტიელი მას ასკეტური ცხოვრების დანყებას ურჩევდა. სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად წმ. ბასილი დიდი გაემგზავრა ალექსანდრიაში, პალესტინასა და მესოპოტამიაში. ეგვიპტეში შეხვდა მაკარი მეგვიპტელს და მაკარი ალექსანდრიელს. ბოლოს მან შეარჩია განმარტოებული ადგილი პონტოში, მდინარე ირისის ნაპირას და, ბერად აღკვეცილი, იქ დასახლდა სამოღვაწეოდ.

წმ. მამას მოღვაწეობა მოუხდა ეკლესიის ჩამოყალიბების მძიმე ხანაში. არიოზის ერესმა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საფრთხის ქვეშ

1* ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ ჩვეული ოსტატობით თარგმნილი ბასილი დიდის „სწავლანი ლოცვისათვის და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათვის საცხოვრებელად სულისა“ დღემდე გამოქვეყნებული და შესწავლილი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით მის ერთ მცირე ფრაგმენტს. „სწავლანის“ დასაწყისი ნაწილი 2002 წელს გამოაქვეყნა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა ჟურნალში „ლაზარეს აღდგინება“ (იხ. წმ. ბასილი დიდი, სწავლანი ლოცვისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ე. კოჭლამაზაშვილმა, ჟურნალი „ლაზარეს აღდგინება“, XVI, 2002 წ., გვ. 3-13).

2* სამეცნიერო ლიტერატურა, რომელსაც ვემყარებით ამ თავში, წარმოდგენილია ნაშრომის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაში.

3* ამ კეთილშობილ და მორწმუნე ოჯახში დაიბადა ათი ბავშვი, რომელთაგან სამი (ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი და პეტრე სებასტიელი) ეპისკოპოსი გახდა და ეკლესიამ წმიდანად შერაცხა, ისევე, როგორც მათი დედა ემილია და დები - მაკრინა და თეოზევია.

დააყენა მართლმადიდებელი ეკლესია. ალექსანდრიელი ერეტიკოსის მიმდევრები ფიზიკურადაც კი უსწორდებოდნენ მართლმადიდებლებს. მათ გაძლიერებას ხელს უწყობდა ბიზანტიის იმპერატორთა მხარდაჭერა. იმპერატორ ვალენტის ბრძანებით, ბასილი დიდი ურჩობისათვის სასამართლოს წინაშე წარადგინეს. იგი არ შეუშინდა ვალენტის ავტორიტეტს, დევნას და საჯაროდ გაილაშქრა იმპერატორის წინააღმდეგ. მისმა გასამართლებაში დიდი არეულობა გამოიწვია და ყველა იმპერატორის წინააღმდეგ აღდგა. ამის შემდეგ იმპერატორმა შეწყვიტა კაბადოკიაში მოგზაურობა და დედაქალაქში დაბრუნდა.

370 წელს გარდაიცვალა ევსევი კესარიელი და მართლმადიდებლებმა მთელი თავიანთი იმედები ბასილი დიდზე დაამყარეს. არიანელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მისთვის სახელი გაეტეხათ. მხოლოდ გრიგოლ ნაზიანზელის (უფროსის, გრიგოლ ნაზიანზელის მამის) ჩარევამ იხსნა იგი დამარცხებისაგან. ბოლოს და ბოლოს, წმ. ბასილი გახდა კესარიის ეპისკოპოსი. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა პონტოზე, სომხეთზე, გალატიაზე, პაფლაგონიასა და ბითვინიაზე; ემორჩილებოდა ორმოცდაათი ქორეპისკოპოსი. ასკეტურმა ცხოვრებამ ბასილი დიდს ადრე დაატყო ასაკი და 379 წელს იგი გარდაიცვალა - გულწრფელად დატირებული თანამედროვეთაგან და, განსაკუთრებით, კაბადოკიელების მიერ.

წმ. ბასილი დიდი IV საუკუნის ეკლესიის უდიდესი მოძღვარი იყო. იგი ენერგიულად ებრძოდა ერეტიკოსებს და ეკლესიის ერთიანობისათვის იღვწოდა. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობის სხვა მიმართულებანი. კერძოდ, იგი იყო და რჩება ეკლესიისა და სამონასტრო ცხოვრების კანონმდებლად.

წმ. ბასილი დიდის ეროვნულ წარმომავლობას ისტორიკოსმა გიორგი გოზალიშვილმა და ფილოლოგმა ე. ხინთიბიძემ საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნეს. მათი მოსაზრების თანახმად, რომელიც ლიტერატურულ წყაროებს ემყარება, წმ. მამა არ იყო არც ბერძენი, არც სომეხი. ამასთან ერთად, რადგან იგი წარმოშობით იყო პონტოელი, პონტოს ძველისძველი ოჯახიდან, მკვლევრებმა ივარაუდეს, რომ წმ. ბასილი კესარიელი ეთნიკური წარმოშობით იმ ქართველური ტომების რომელიმე შტოს წარმომადგენელი (შთამომავალი) იყო, რომლებიც ძველთაგანვე, და ამ უდიდესი მოძღვრის დროსაც, ბინადრობდნენ იმ მიწა-წყალზე, პონტოში. აქვე შეგვიძლია მივუთითოთ, რომ ის შტო, რომელსაც წმ. მამა ეკუთვნოდა, იმ დროისათვის არ იყო არც გაბერძნებული, არც გასომხებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ასე მკვეთრად არ უარყოფდა თავის ნაწერებში ბერძნობასა და სომხობას. ამავე დროს, წყაროებში არ გვხვდება პირდაპირი ცნობა წმ. ბასილი დიდის ქართველობის შესახებ, რადგან მისი ცხოვრების აღმწერელი ეკლესიის მამები, თანახმად ქრისტიანული ჩვეულებისა, პონტოს დასახელებით ზოგადად მიუთითებენ მის წარმომავლობაზე; ამით ისინი სრულიადაც არ ღალატობენ სინამდვილეს, რადგან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს ქართველური ტომები იყვნენ პონტოს ძველისძველი მკვიდრნი. ე.ხინთიბიძის კვლევა ეყრდნობა წმ. ბასილი დიდის ცხოვრების

პირველწყაროებს,¹ ძველი მსოფლიოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემებს, წმ. მამის ახლობლებისა და თანამედროვეების ცნობებს, ძველ ქართულ წყაროებსა და ქართულ ეთნოგრაფიულ მასალას.²

ცდილობს რა ბოლომდე მოჰფინოს ნათელი ისეთ რთულ და დელიკატურ საკითხს, როგორც წმ. ბასილი დიდის ქართული წარმოშობის მტკიცებაა, მკვლევარი დასძენს: „რასაკვირველია, არ შეიძლება ცალმხრივად შევაფასოთ ამ მოღვაწეების³ ქართული წარმოშობის მნიშვნელობა. ისინი აღიზარდნენ ბერძნული კულტურის წიაღში, განათლება მიიღეს და წერდნენ ბერძნულ ენაზე და სწორედ ამიტომაც, სამართლიანად, არიან მიჩნეულნი ბიზანტიელ მწერლებად. მათი კავშირი ქართველ ერთან მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოშობით იყვნენ ქართველნი, კარგად იცოდნენ ეს ფაქტი თვითონ და მათმა უახლოესმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა, კერძოდ, გრიგოლ ნაზიანზელმა“.⁴

II. წმ. ბასილი დიდის თხზულებები ასკეტიკის სფეროში

ქართველ მთარგმნელებს დიდი რაოდენობით უთარგმნიათ წმ. ბასილი დიდის თხზულებანი. ისინი ათეულობით ხელნაწერშია დაცული. თარგმანები შესრულებულია ძირითადად VIII-XII საუკუნეებში ბერძნული და, იშვიათად, არაბული ენებიდან.⁵

ბიზანტინოლოგიაში გამოყოფენ წმ. ბასილი კესარიელის შრომათა ოთხ ძირითად კორპუსს. ესენია: 1. „ექუსთა დღეთად“; 2. მორალური ჰომილიები და ფსალმუნთა კომენტარები („ითიკა“); 3. „ასკეტიკონი“; 4. ეპისტოლეები.⁶

წმ. ბასილი დიდის ასკეტური ჟანრის შემოქმედების ნაწილი შესულია კრებულ „ითიკაში“.⁷ „ეთიკური სიტყვები“ მის შემდგენელს, სვი-

.....

1 BHG – F. Halkin, Bibliotheca hagiographica graeca, t. 1-3 (Subsidia Hagiographica 8a), Bruxelles, 1957; სამეცნიერო ლიტერატურა: Bonis, Basilius von Caesarea und die Organisation der christlichen Kirche im vierten Jahrhundert (კრებულში: Basil of Caesarea: Christian, humanist, ascetic...), გვ. 281-335.

2 ე. ხინთიბიძე, ბასილი დიდის სადაურობისათვის: „მოამბე“, III, 1962 წ., გვ. 125-151.

3 ე. ხინთიბიძე გულისხმობს ბასილი დიდსა და გრიგოლ ნოსელს (მის მძას), ასევე, - გრიგოლ ნაზიანზელს, მათსავე მეგობარს.

4 ხინთიბიძე 1962: 126-150.

5 ხელნაწერების შესწავლამ ცხადყო, რომ ქართულ ენაზე არსებობს წმ. ბასილი დიდის თითქმის მთელი შემოქმედება, კერძოდ, მისი ეგზეგეტიკური და ჰომილეტიკური შემკვიდრობა, ასკეტური ხასიათის თხზულებები, ეპისტოლეები, ჟამისწირვა და სხვა ცალკეულ თხზულებათა ფრაგმენტები.

6 Rudberg, Manuscripts and editions of the work of Basil of Caesarea კრებულში: Basil of Caesarea: Christian humanist, ascetic. A Sixteen-hundredth Anniversary Symposium, Part. I-II, edited by Paul Jonathan Fedwich, Toronto, 1981, გვ. 49-65; ნინო ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 1992 წ., გვ. 3.

7 სწორედ „ითიკის“ ერთ-ერთ ხელნაწერს (A 100) ვიყენებთ ჩვენი საკვლევი ტექსტის

მონ მეტაფრასტს, დაულაგებია 24 თავად: 1. სიტყვა სათნოებისა და ბინიერებისათვის; 2. სწავლებისა და დამოძღვრისათვის; 3. სიყვარულისათვის ღვთისა და მოყვასისა; 4. მონყალებისათვის; 5. სიმდიდრისა და სიგლახაკისათვის; 6. ვერცხლისმოყვარეობისათვის; 7. ცოდვისათვის; 8. სინანულისათვის; 9. ლოცვისათვის; 10. მარხვისათვის; 11. სიკვდილისათვის; 12. ურვისა და დახსნილობისათვის; 13. მოთმინებისა და სულგრძელებისათვის; 14. მომავალი სამსჯავროს შესახებ; 15. მთავრობისა და უფლებისათვის (და მიუწვდომლობისათვის უფლისა); 16. ნაყროვანებისა და მემორვალეობისათვის; 17. მრისხანებისა და მტრობისათვის; 18. შურისა და ბოროტებისათვის; 19. კრძალულებისა და უკრძალველობისათვის; 20. სიმდაბლისა და ზუაობისათვის; 21. ბედნიერებისა და უბედურებისა და, აგრეთვე, კეთილგონიერებისათვის; 22. განგებულებისათვის უფლისა; 23. სულისათვის; 24. პატივისცემისათვის მშობელთა და, აგრეთვე, მხცოვანებისა და სიჭაბუკისათვის.

წმ. ბასილი დიდის ძირითადი ასკეტური შრომა „ასკეტური წესები“ ორი დამოუკიდებელი თხზულებისაგან შედგება. პირველია კითხვა-მიგების ფორმით დაწერილი ვრცელი წესები (PG 31, 901-1052), ხოლო მეორე - კითხვა-მიგების ფორმით დაწერილი მოკლე წესები (PG 31, 1080-1305). უფრო გავრცელებული რედაქციით „ვრცელი წესები“ არის რიცხვით 55, ხოლო „მოკლე წესებში“ 313 კითხვა-მიგებაა. ბერძნულ ხელნაწერებსა და გამოცემებში ბასილი დიდის სახელით ცნობილია, აგრეთვე, ასკეტური ხასიათის შემდეგი თხზულებები:

1. მორალური წესები (CPG 2877);
2. სამონასტრო კონსტიტუციები (CPG 2895);
3. ნათლისღების შესახებ (CPG 2896);
4. პროლოგები: (CPG 2878); (CPG 2882); (CPG 2883); (CPG 2884); (CPG 2885); (CPG 2886); (CPG 2887).

5. ასკეტური სიტყვები: სიტყვა 10 (CPG 2888); სიტყვა 11 (CPG 2889); სიტყვა 12 (CPG 2890); სიტყვა 13 (CPG 2891); სიტყვა 14 (CPG 2892); სიტყვა 15 (CPG 2893); სიტყვა 16 (CPG 2894). სამი უკანასკნელი ასკეტური სიტყვა მიჩნეულია ნაყალბევად.

6. წერილები: ბასილი დიდის 173-ე და 22-ე წერილების შეერთება (CPG 2900).

7. ეპიტომიები (დამნაშავე მონაზონთა დასჯის წესები)¹: ეპიტომიები 24 (CPG 2897/1/); ეპიტომიები 25 (CPG 2897/2/) და ეპიტომიები 26 (CPG 2897/3/).

სპეციალურ ლიტერატურაში წმ. ბასილი დიდის მთავარ ასკეტურ ნაღვანს პირობითად „ასკეტიკონს“ უწოდებენ.

დასადგენად.

¹ ბასილი კესარიელი არის პირველი, ვინც მცირე აზიაში დაამკვიდრა მონაზონთა ორგანიზებული თანაცხოვრების წესი.

III. „სწავლანი ლოცვისათჳს“

(ძეგლის ზოგადი მიმოხილვა)

ღვთისმეტყველების ისტორიამ საღვთისმეტყველო საკითხების გარკვევისათვის ორი გზა იცის: რაციონალისტური და მისტიკური. პირველი წარმოიშვა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ სკოლებში, ხოლო მეორე - უდაბნო-მონასტრებში ასკეტებს შორის. ღვთისმეტყველების ეს ორი გზა, ორთოდოქსული ეკლესიის პოზიციით, ერთმანეთს არ გამოირიცხავს, მაგრამ პრაქტიკაში ხან ერთ მიმართულებას ანიჭებენ უპირატესობას, ხან მეორეს. ამან განსაკუთრებით შუა საუკუნეებში იჩინა თავი; სქოლასტიკოსები რაციონალური გზით ცდილობდნენ ღვთის შემეცნებას, ხოლო მისტიკოსები უარყოფდნენ გონების ძალას და შინაგანი ინტუიციის საშუალებით უახლოვდებოდნენ ღმერთს.¹

ლოცვითი ღვანლი და სათნოებების მოხვეჭა ერთ-ერთი უმთავრესი ხიდია ადამიანსა და უფალს შორის დარღვეული კავშირის აღსადგენად. ამ მადლის მოხვეჭა ასკეტური ღვანლის გარეშე შეუძლებელია.

„ქრისტეს მსუბუქი უღელი, ზნეობრივი ზეალსვლა, - „ჯვარია“, შინაგანი ბრძოლითა და ხანგრძლივი ღვანლით მოპოვებული. ხორციელი ვნებანი ებრძვიან ადამიანის იდეალურ მისწრაფებებს. სულიერ ვნებათა, ბოროტების გამოსადგენად მთავარი იარაღია ლოცვა, მარხვა და უპოვარება-უანგარობა.“²

მამები ლოცვას სათნოებათა დედოფალს უწოდებენ. ქრისტიანისთვის ლოცვა ისევე აუცილებელია, როგორც სხეულისთვის - საჭმელი, როგორც თევზისთვის - წყალი. იგი ღვთისადმი სწრაფვა, გონების ამაღლებაა, მაგრამ სანამ ადამიანი ლოცვას შეუდგება, საჭიროა მისთვის შემზადება და მხოლოდ მზადყოფნის შემდგომ - მისი აღსრულება. ნედლი ხე რომ ცეცხლით აბრიალდეს, მანამდე იგი უნდა გახმეს; რკინას გამოწრთობამდე ალღობენ. მითუმეტეს საჭიროა ლოცვისთვის მომზადება: „ლოცვის დაწყებამდე მოიმზადე თავი და უფლის გამომცდეღივით ნუ იქნები“ (ზირ. 18,23), - გვასწავლის ზირაქის სიბრძნე.

ადამიანის ურთიერთობა ღმერთთან გულის სიღრმეში აღესრულება. აქ ხვდება უფალი თავის ქმნილებას და ანიჭებს ცოდნას. გულში შეიგრძნობს ადამიანი ღმერთის არსებობას. ამგვარი ურთიერთობისათვის გულის განწმენდაა საჭირო. დასნეულებულ და მკვდარ გულს კურნება და განწმენდა სჭირდება.³ პირველ მაკურნებელ საშუალებად კი მამები ლოცვასთან შეერთებულ გლოვასა და სინანულს გვთავაზობენ.

ცოდვის რჯულს დამონებული კაცობრიობა კვლავ შეირიგა უფალმა, რადგან „ქრისტემან ჩუენ მოგჳყიდნა წყევისა მისგან სჯულისა და იქმნა ჩუენთჳს წყევისა ქუემე“ (გალ.3,13), რადგან მხოლოდ ქრისტემ გაათავისუფლა წყევისაგან ყველა, ვისაც იგი ამძიმებდა რჯულის შეუს-

1 წმ. ალექსი ბერის მოძღვრებანი, შუშანიას სავანე, 2009 წ., გვ. 9.

2 ალექსი ბერი 2009: 19.

3 მიტრ. იეროთეოს ვლახოსი, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, თბილისი, 2008 წ., გვ.180.

რულებლობის გამო.¹

ამიტომაც, მორწმუნე ადამიანს მართებს ემსგავსებოდეს ქრისტეს, მარად-ჟამს სათნოებებს იხვეჭდეს და შეუერთდეს მას, ვითარცა ბრძანებს მოციქულთა თავი: „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე“ (გალ. 2, 20), რამეთუ მისი არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

წმ. ბასილი დიდის სწავლება „ლოცვისათჳს და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათჳს“ მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია როგორც ფილოსოფიური, ისე ასკეტური თვალსაზრისით. ნაშრომში, ძირითადად, გადმოცემულია სწავლება, რჩევა-დარიგება ბერმონაზვნების მიმართ სხვადასხვა სათნოების მოსახვეჭად, რაც სულიერი ცხოვრებისა და სრულყოფილებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

აღნიშნული თხზულების პირველ ნაწილში წმ. მამა განიხილავს ლოცვის არსს; აღგვიწერს, თუ როგორი რწმენით, მოწინებითა და სასოებით ჰმართებს ადამიანს, წარდგეს უფლის წინაშე და წინასწარ შეამზადოს თავი ლოცვის დაწყებამდე; ხაზს უსვამს სინანულის განცდის და ცრემლთა მოპოვების აუცილებლობას, რაშიც კვლავ უფალი შეეწევა მლოცველს. წმ. მოძღვარი ცდილობს, დაამდაბლოს ადამიანის გონება, რათა მან ღმრთისაგან ითხოვოს ლოცვის ძალა, და მხოლოდ ამის შემდეგ „ანვევს მას ლოცვად“.

„სწავლათა“ მეორე ჯგუფი სხვადასხვა სახის სათნოებების მოხვეჭის შესახებ მსჯელობას ეხება; აგრეთვე, განხილულია მტერთან ბრძოლის მეთოდები, შეგონებები და დარიგებები, თუ რა პირობებში ეკვეთება ესა თუ ის ვნება მონაზონს და იქვეა წარმოდგენილი აღნიშნული ვნებებისაგან თავის დაღწევის ხერხები და მოპოვებული სათნოებების შენარჩუნების მეთოდები. წმ. ბასილი დიდი ღრმა ფილოსოფიურ-თეოლოგიური განჭვრეტით უსაბუთებს მკითხველს ლოცვის აუცილებლობას და აცნობს მისი საშუალებით შექცნილ სულიერ სარგებელს.

წმ. ბასილი დიდის სწავლება „ლოცვისათჳს“ პირველხარისხოვანი წყაროა ასკეტური ცხოვრების წესის შესამეცნებლად. ამ ტექსტის წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისეული ბრწყინვალე ქართული თარგმანი, იმედია, დიდ სულიერ სარგებელს მოუტანს მკითხველს.

IV. ტექსტის შემცველი ხელნაწერები და მათი აღწერილობა

წმ. ბასილი დიდის „სწავლანი ლოცვისათჳს“ შესულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ შემდეგ ხელნაწერებში:

A- 81 (XVIII ს.)

A-100 (1713 წ.)

.....

¹ მთავარეპისკოპოსი აშუშვი, წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლეწი, თბილისი, 2012 წ., გვ. 117.

A- 232 (1799 წ., კრებული „სუფევა“)
 A- 394 (XVIII ს.)
 A-181 (1816 წ.)
 A-1512 (1822 წ.)
 S-1595 (XI ს., ეტრატი)
 S-3661 (XVIII-XIX სს.)
 S-4616 (XVIII-XIX სს.)
 S-376 (1798 წ.)
 S-4806 (1799 წ., კრებული „სუფევა“)
 H-2350 (XVIII ს.)

უძველესი ხელნაწერი - S-1595 (XI ს., ეტრატი) არასრულია. მისი შემორჩენილი ნაწილი ტექსტობრივად საკმაოდ სხვაობს ყველა დანარჩენი ხელნაწერის ტექსტისაგან და რედაქციული თვალსაზრისით ცალკეა შესასწავლი. დანარჩენი ხელნაწერები გვიანდელია (XVII-XIX სს.); მათში ტექსტი სრულადაა წარმოდგენილი.

A 81¹

A-81 წარმოადგენს XVIII ს-ის I ნახევრის ხელნაწერს. სულ 73 ფურცელია. 19,8 x 14,9, გაყვითლებული ქალაღდი; ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ზემო ყდაზე დაკრულია თეთრი ფერის ორი პატარა ზომის ქალაღდი წარწერით: ა) „ნიგნი ხუცურად ნაწერი სწავლათა სკივრში“. ბ) „ლიტურღია; სწავლა ვასიღისა და ლიტურღია იაკობისა და პეტრე მოციქუღისა“. 43-ე და 44-ე ფურცღებს შორის ამოჭრიღია ფურცღები; ნუსხური, სხვადასხვა ხელი (იხ. ფ. 2r-30r და 36r-72r), სათაურები და დასაწყისები სინგურით. დამკვეთი: კათალიკოზ - პატრიარქი დომენტი.

A 100²

A 100, 1713 წღის, შესულია „ითიკაში“. 279 ფ, 32 x 24; დაღაქავებული ქალაღდი; ყავისფერი ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, ყდა მოციღიღია; ნაწერია ნუსხურად, ორ სვეტად; სათაურები და დასაწყისები - სინგურით. გადამწერი: ხუცესმონაზონი იოსებ არაგვის ერისთავის შვიღი (150 r-v, 208v, 275v); დამკვეთი: ბესარიონ ორბელის ძე (150r-v, 275v); გადანწერის ადგიღი: გარეჯის უდაბნო, მრავალმთის ნათღისმცემღის მონასტერი (150r-v); ჩვენი ტექსტი დაცულია 44v-57v-ზე.

1 ქართულ ხელნაწერთა აღწერიღობა, A კოღექცია, ტომი I, თბიღისი, 1973 წ., გვ. 275.

2 A1 1973: 450.

ტექსტისთვის

ტექსტი დადგენილია შედარებით უკეთ დაცული და უდეფექტო ორი ნუსხით: A-81 და A-100 (ორივე XVIII საუკუნისა).

უფრო ძველი, 1713 წლის ხელნაწერი – A-100 აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო A-81 – B-თი.

1. ძირითად ტექსტად ავიღეთ შედარებით უკეთ შენახული A-81 (B) ნუსხიდან. ვარიანტები დართული აქვს A-100 ნუსხის მიხედვით.

2. ტექსტი დადგენილია ორივე ნუსხის საფუძველზე.

3. ტექსტში გასწორებულია შეცდომები და მცდარი ფორმები მითითებულია სქოლიოში.

4. ა-ს მეტ-ნაკლებობა, რომელიც ორივე ხელნაწერში სისტემატურად იჩენს თავს, გასწორებულია, მაგრამ ეს სწორება სქოლიოში არაა ასახული.

5. სქოლიოში ჩამოტანის გარეშე გასწორებულია, აგრეთვე „უწ“ კომპლექსის დანერილობა „უე“-თი.

6. კალმის შეცდომები გასწორებულია და გამოტოვებული ასოები კვადრატული ფრჩხილით [] არის აღნიშნული.

7. A-100 ხელნაწერში ყოველი სწავლის დასაწყისი მითითებულია ძველი ქართული ანბანური ნუმერაციით. ეს ნუმერაცია გამოცემაში შეცვლილია ციფრობრივით.

8. ტექსტში გავლებულია პარალელები წმ. ბასილი დიდისა და სხვა წმიდა მამების სწავლებებს შორის (იხ. დანართი, გვ. 51-55).

9. ტექსტს დართული აქვს ლექსიკონი. ციტატების ნუმერაცია შეესაბამება „სწავლანის“ მუხლებს.

**[2rB] [44vA] წმიდისა და ღმერთშემოსილისა
მამისა ჩუენისა¹ ბასილისნი სწავლანი ლოცვისათჳს
და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათჳს
საცხორებელად სულისა**

მამაო, გუაკუროხენ!².

1. თქუა წმიდამან ბასილი: ლოცვაჲ უბნობაჲ არს გონებისაჲ ღმრთი-სა მიმართ. ან უკუე, გულისგმა-ვყოთ³, ძმანო, თუ ვითარი საზომი უტმს გონებასა მას, რომელი-იგი შემძლებელ იქმნას მიუდრეკელად დგომად წი-ნაშე თჳსისა მეუფისა⁴ და უბნობად მისა პირისპირ, ნებისაებრ მეუფისა თჳსისა, თჳნიერ შუვამდგომელისა⁵.

2. თქუა კუალად⁶ წმიდამან ბასილი: უკუეთუ ქუეყანასა ზედა ხილულსა მას მაყუალსა ინება მიახლებად დიდმან წინადასწარმეტყუელმან მოსე და ვერ შეუძლო, ვიდრემდის განიკადნა ჳამლნი ფერჯთაგან თჳსთა (გამ. 3,5), მაშა, ვითარ, ძმაო, შენ, რომელსა-ეგე გნებაეს მიახლებად მისა, რომელი-იგი უზეშთაეს არს ყოველსავე ბუნებასა გონებათასა და შენ გეგულების მიახლებად მისა ლოცვასა შინა შენსა, და არა ისწრაფო-ა განშორებად შენგან ყოველივე გულისსიყუად ვნებული?

3. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: რაჟამს ილოცვიდე, პირველად მოჰ[2v]ოვნებისათჳს ცრემლთაჲსა ილოცე, რადთა გლოვისა მიერ მოალ-ბო სიფიცხლე იგი, რომელი არს სულსა შინა შენსა და ესრეთ უთხარ ბრალი შენი უფალსა აღსაარებითა და ჰჰოო მის მიერ შენდობაჲ.

4. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ისწრაფე ყოვლისა უწინარეს მოგებაჲ ცრემლთაჲ და ითხოვენ იგინი ღმრთისაგან⁷, რამეთუ ფრიად უხ-არის მეუფესა მას შენსა, რაჟამს-იგი შენ ცრემლითა⁸ ილოცვიდე მისა მიმართ, მსწრაფლ შეინირავს ლოცვასა შენსა.

5. თქუა კუალად: დაღაცათუ ვითარცა წყარონი გარდამოდოდიან შენ-გან ცრემლნი ლოცვასა შინა შენსა, ნუ აღჰზუავნები და გგონიეს, ვითარმედ უმეტეს ვისსამე ხარ⁹, რამეთუ შენვენაჲ პოვა ლოცვამან შენმან, რადთა შეუძლო მჭურვალედ აღსაარებაჲ ცოდვათა შენთაჲ და მოწყალე-ყოფად მეუფესა ცრემლთა მიერ შენთა. არამედ ეკრძალე ძლიერად, რადთა წა-მალი იგი, შენდა მოცემული ვნებათა განკურონებაჲ, არა გარდააქციო

1 ჩუენისა] + დიდისა A

2 მამაო, გუაკუროხენ] + კირიელეისონ, ამენ A;] მმოგიკითხავნ B

3 გულისგმა-ვყოთ B

4 მეუფესა A; მწფისა B (ყოველთვის)

5 შუამდგომელისა A

6 კუალად] - A

7 და ითხოვენ იგინი ღმრთისაგან] - B

8 ცრემლით A

9 ვისამე ხარ A

უფროდსად სავენებელად და უმეტესად განარისხო მომცემელი მადლისა მის.

6. თქუა კუალად: დეგ ძლიერად ლოცვად¹ მკ[45rA]ურვალ[3rB]ედ და გარე-მიაქციენ შენგან ყოველნივე ზრუნვანი ამის სოფლისანი და გულის-სიტყუანი, რამეთუ ესენი² შეაშფოთებენ გონებასა, რადთა დაჰჳსნან ძალი მისი.

7. თქუა კუალად: რაჟამს გიხილონ შენ ეშმაკთა, რამეთუ გნებავს მჭურვალედ ლოცვა, მაშინ მოგაჳსენნიან³ შენ საქმენი რადმე და გულის-სიტყუანი გამოსაძიებელნი, ვითარცა კეთილისა სახენი, და რაჟამს გან-იშორი ლოცვად, აღიღიან შენგან ჳსენებად მათი და ეძიებნ გონებად და ვერ ჰპოებნ მათ და მნუხარე იქმნის მას ზედა. ხოლო რაჟამს დას-დგი ლოცვად, კუალად მოგაგონიან შენ საქმენი იგი, რადთამცა ეს-რეთ დაჰჳსნეს ძალი იგი ლოცვისა შენისა და წარწყმიდეს-მცა კეთილი ნაყოფი, რომელი აქუნდა ლოცვისა მიერ. არამედ შენ უკუეთუ გნებავს ლოცვად, ყავ მას ჟამსა გონებად შენი ყრუ და უტყუ ყოველთავე მიმართ საქმეთა, და მეუფესა მას შენსა ოდენ ხედვედი და ევედრებოდე მას მჭურვალედ.

8. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: რაჟამს მოინიოს შენ ზედა განსაცდელი, ანუ შფოთ რადმე და სიტყვსგებად და გენებოს შენუხებად ძმისა შენისა, მაშინ მოიჳსენე ლოცვისა შენისა იგი ჟამი და სასჯელი მისი. დაჰჳსენ გულისსიტყუად იგი, რადთა გაქუნდეს კადნიერებად ღმრთისა მიმართ ლოცვასა შინა შენსა და უკუა[3vB]ნადსკნელ ფრიად უხაროდის სულსა შენსა. ყოვლადვე ესრეთ ისწრაფე ყოფად მშჳდობისა.

9. თქუა კუალად: უკუეთუ გსურის ჳემმარიტისა ლოცვისათჳს, ნუ შეანუხებ სხჳსა სულსა, თუ არა ამაო არს შრომად შენი.

10. თქუა კუალად: ნუ გარეგანითა⁴ სახითა ოდენ ილოცავ, არამედ გონებად შენი მოიყვანე გულისჳმისყოფასა ლოცვისასა შიშით და ძრ-ნოლით.

11. თქუა კუალად: რაჟამს გულისწყრომისა მიმართ შეიჭურვოდი, განდევენ⁵ შენგან გულისთქუმადა,⁶ რამეთუ გულისთქუმისა მიერ იქმ-ნებიან⁷ ნივთნი იგი გულისწყრომისანი და ესრეთ შემფოთნების თუალი იგი გონებისად და დაიჳსნების წესი ლოცვისად.

12. თქუა კუალად: ნუ ილოცავ, რადთამცა იქმნა ნებად შენი, დალა-ცათუ ჰგონებდე, ვითარმედ კეთილ არს, რომელი-იგი შენ გნებავს, რა-მეთუ არა შეერთებების⁸ ნებად შენი ნებასა ღმრთისასა. არამედ, ვითარცა

.....

1 ილოცვად A
2 ესე B
3 მოგაჳსენიან A
4 გარეგნითა A
5 განდევენე A
6 გულისთქუნადა A (ყოველთვის)
7 იქმნება B
8 შეუერთების A; შეურთების B

გისწავიეს, ესრეთ ილოცვედი, ვითარმედ: „უფალო, იყავნ ნებად შენი და ნუ ნებად ჩემი“ (ლკ. 22, 42); და ყოველსავე ზედა ესრეთ ილოცვედი, რადთა ნებად მისი იქმნას, რამეთუ მას ჰნებავს კეთილი და უმჯობესი¹ სულისა შენისა და არა შენ.

13. თქუა კუალად: ვინ არს ესრეთ სახიერ, ვითარ ღმერთი ჩუენი?! მას უკუე მიუტეოთ ყოველივე საქმე ჩუენი და მან კეთილი [4rB] - გვყოს ჩუენ, რამეთუ სახიერი იგი კეთილთა ნიჭთა მომცემელი არს მონათა თვსთა, რომელნი ადიდებენ მას².

14. თქუა კუალად: „ლოცვასა შინა შენსა სასუფეველსა ოდენ ღმრთი-სასა ითხოვდი და სიმართლესა მისსა³ და ყოველი კეთილი-გეყოს შენ“ (მთ.6,33).

15. თქუა კუალად: ილოცვედ კრძალულებით და გულისწმისყოფით და [45vA] ღმობიერებით და ტკივილითა სულისადათა, აღსაარებითა ცოდვათადათა და სულთქუმითა მჭურვალითა და ძლიერითა.

16. თქუა კუალად: რაჟამს ილოცვიდე, გონებასა შენსა ეკრძაღე და შემოკრიბე იგი შიშსა ღმრთისასა, რადთა არა განიბნიოს ვნებათა მიმართ, არამედ გულისწმა-ყავ, თუ ვის წინაშე მდგომარე ხარ, რამეთუ უკუეთუ არა ფრიად ეკრძაღო ჟამსა მას ლოცვისასა, მსწრაფლ განიბნევის გონებად შენი.

17. თქუა კუალად: ფრიად ეშურების ეშმაკი კაცსა მას, რომელი მო-სწრაფე იყოს ლოცვისა მიმართ და ყოვლითა ღონისძიებითა ებრძვის⁴, რადთა შეაგინოს ლოცვად მისი და არა დასცხრების აღძრვად გულისსი-ტყუათა მრავალთა⁵ გონებასა შინა და აღსძრავს ვნებათა ჯორცთა შინა, რადთა შეუძლოს დახრწევად მოღუანებისა მის კეთილისა და ჭეშმარი-ტისა უბნობისა ღმრთისა მიმართ.

18. თქუა კუალად: რაჟამს ფრიად ილუანის უკეთურმან ეშმაკმან და [4vB] ვერ დაუხრწიის კაცსა ლოცვად იგი ჭეშმარიტი, მაშინ მცირედ მი-ჰრიდის⁶ და კუალად მოაქციის უცნაურად და ბრძოლა-უყვის მას; ანუ გულისწყრომითა და ძვრისწესენებითა ძმისა მიმართ, ანუ ბოროტითა მით გულისთქუმითა სიძესადათა, რომლისა მიერ დაუცემიან მრავალნი მოღუ-ანენი.

19. თქუა კუალად: რაჟამს ღირს-იქმნე და იწყო ლოცვად, ვითარცა ჯერ-არს, მაშინ მსწრაფლ მოელოდე განსაცდელსა და ბრძოლასა მტერ-ისასა და დეგ მწნედ და მტკიცედ და მღვდარებით სცვედი ნაყოფსა მას შენსა, რამეთუ პირველითგანვე ამისთვის წოდებულ ხარ, რადთა იქმოდი და სცვიდე, რამეთუ რად სარგებელ არს, უკუეთუ ვინმე შურეს და ჟამ-

.....

1 უმჯობესი A

2 მონათა თვსთა, რომელნი ადიდებენ მას] - B

3 მისსა A

4 ებრძვის B

5 მრავლითა B

6 მირიდის A

სა ნაყოფისასა უდებ იქმნეს¹ და ნაყოფი მისი ვერ შეიკრიბოს, არამედ მკვეცთა და ნადირთა განხრწნან იგი და ალაოჯრონ იგი².

20. თქუა კუალად: ყოვლისა უფროდს³ და უფიცხლესი ბრძოლად, რომელი იქმნების ჩუენ შორის და არანმიდათა ეშმაკთა, არა რადსათჳს არს, არამედ ლოცვისათჳს, რამეთუ ფრიად მბრ[ძ]ოლ არს მათდა, ხოლო ჩუენდა დიდი შემწე არს და მფარველ⁴ სულთა ჩუენთაჲ ქეშმარიტი იგი ლოცვად.

21. თქუა კუალად: არა გულისწყრომისაგან და გულისთქუმისა ოდენ უკმს შორს ყოფად, რომელსა [5rB] ენებოს ქეშმარიტი ლოცვად, არამედ თანა-აც, რადთა ყოვლისაგანვე ვნებულისა გულისსიტიყჳსა შორს ყოს სული თჳსი.

22. თქუა კუალად: უკუეთუ ლოცვად გნებავს, ღმრთისაგან ჯერ-არს თხოვად ლოცვისად ლოცვითავე, რომელმან მოსცის თხოვად მთხოველთა მისთა. მას უკუე ევედრებოდე და იტყოდე: „წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევად შენი“ (მთ.6,9-10), რომელ არს სული წმიდაჲ შენი და მხოლოდშობილი ძე შენი. რამეთუ თჳთ მან გუასწავა და თქუა: „სულითა და ქეშმარიტებითა ილოცევდით“ (ინ. 4,24).

23. თქუა კუალად: რაჟამს გონებაჲ შენი ფრიადითა მით სურვილითა ღმრთისაჲთა განინდოდის და განეშორებოდის სოფლისა ამისგან და ჯორცთა შენთაგანცა და ყოვლისაგან გულისსიტიყჳსა და ჳსენებისა ვნებულისა, მაშინ ცან⁵, ვითარმედ მიახლებულ ხარ სა[46rA]ზღვართა⁶ წმიდისა მის ლოცვისათა.

24. თქუა კუალად: რომელსა ქეშმარიტისა მის ლოცვისათჳს სუროდის და მრისხანებასა და ყოველსავე გულისწყრომასა არა ევლტოდის, ესევეთარი სრულიად უგულისჯმო⁷ არს და მსგავს არს იგი კაცსა მას, რომელსა ენებოს კეთილად ხედვად, და თუალთა თჳსთა მიწითა⁸ აღივსებდეს.

25. თქუა კუალად: უკუეთუ გსურის ქეშმარიტისა ლოცვისათჳს, ნუ რას იქმ, რომელი წინააღდგომ არს მისა, რადთა ესრეთ ღმერთი მოგეახლოს და შენ თანა იყოს მარადის [5vB].

26. თქუა კუალად: კაცი, რომელი ჯორციელთა საქმეთა შეთხზულ იყოს და ზრუნვათა შინა განბნეულ იყოს გონებაჲ მისი, ესევეთარსა მას სინმდით ლოცვად და ვედრებაჲ ღმრთისად ვერ ძალ-უც.

27. თქუა კუალად: ვითარცა შეკრულსა სირბილად ვერ ძალ-უც, ეგრეთვე გონებაჲ, რომელი ვნებათა ჳმონებდეს, ქეშმარიტისა ლოცვისა

.....
1 იქმნას A
2 იგი] - A
3 უფროსი A; უფროდს B (ყოველთვის)
4 მფარველი B
5 სცან A
6 საზღვართა B
7 უგულოსჯმო A
8 მიწით B

ადგილსა ვერ ჰპოვებს¹, რამეთუ ზიდავს მას და მიმო-აკუეთებს ვნებ-ული იგი გულისსიტყუად და ვერ შემძლებელ არს იგი შეურყეველად დგომად გონებითა, გინა ჯორცითა.

28. თქუა კუალად: რაჟამს ჰგონებდე, ვითარმედ არად გეკმარებიან ცრემლნი ლოცვასა შინა ცოდვათა შენათჳს, მაშინ გულისკმა-ყავ, თუ რაზომ შორს ხარ ღმრთისაგან, რომელსა-ეგე თანა-გედვა მარადის მის თანა ყოფად. ამას იგონებდი და უფროდსად მჭურვალედ ცრემლოდე.

29. თქუა კუალად: ხედევდი მარადის საზომსა შენსა და ესრეთ შეუძლო უმჭურვალესად გლოვად და ბრალობად თავისა შენისა, ვითარცა-იგი ესაია წინადაწარმეტყუელი, ეგრეცა შენ, რაჟამს იგონებდე, თუ ვითარ არანმიდად ხარ და შორის არანმიდისა ერისა მკჳდრ ხარ, რომელ არიან ვნებანი და გულისსიტყუანი ბოროტნი (ეს.1,4), და იკადრებ წინაშე ღმრთისა საბოთისა დგომად და უბნობად მისა.

30. თქუა კუალად: უწყოდეთ, ვითარმედ წმიდანი ანგელოზნი გუან[6rB] – უევენ ჩუენ მარადის ლოცვად² და რაჟამს კეთილად ვილოცვიდეთ, უხარის მათ და ჩუენ თანა მარადის მდგომარე არიან და იგინიცა ილოცვენ ჩუენთჳს, ხოლო ოდეს ჩუენ უდებ ვიყვნეთ და შევიწყნარებდეთ გულისსიტყუათა ბოროტთა, მაშინ ფრიად განვარისხებთ მათ, რამეთუ იგინი მარადის ჩუენთჳს ესრეთ ილუნიან და ესრეთ ჰნებავს³ კეთილი ჩუენთჳს⁴ და ჩუენ თავთა ჩუენთათჳს არა ვევედრებით ღმერთსა ერთითა გულითა, არამედ წარვდგებით წინაშე დამბადებელისა ჩუენისა, რომელი ჰხედავს⁵ გულსა და თირკუმელთა, და პირით[ა] ვევედრებით ცოდვათა ჩუენთათჳს და გულითა ვინურთით უკეთურებასა, და ესრეთ კურნებისა წილ უფროდსად მოვწყლავთ სულთა ჩუენთა.

31. თქუა კუალად: უკუეთუ არა მიგიღებდეს მადლი იგი ლოცვისად, მაშა ილუანე და სულგრძელ იქმენ და მიილო. ისმინე იგავი იგი ქურივისად მის, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: ეტყოდა მათ იგავსა, რადთა მარადის ილოცვიდენ და არა მოიწყინებდენ (ლუკ. 18,1). ამისთჳს შენცა ნუ მოიწყინებ, ნუცა სულმოკლე იქმნები, უკუეთუ ჯერეთ არა მიგიღებია, რამეთუ უკუეთუ [46vA] მოითმინო, მიილო შენ მადლი იგი, ვითარცა-იგი მსაჯულმან მან თქუა, ვითარმედ⁶: „დალაცათუ ღმრთისაგან არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენიან, არამედ ვინადთგან შრომ[6vB]ასა შემამ-თხუევს დედაკაცი ესე, უსაჯო მას“ (ლუკ.18,4-5). ეგრეთვე ღმერთმან ყოს სასჯელი მათთჳს, რომელნი დღე და ღამე ღაღადებენ მისა მამართ (ლუკ. 18,7). ან ეგრეთვე შენ ახოვნად და მოუწყინებელად დეგ ლოცვასა შინა.

.....

1 ჰპოვებს B

2 მარადის ლოცვად] ~ ლოცვად მარადის A

3 ნებავს B

4 ჩუენი A

5 ხედავს A

6 ვითარმედ] – B

32. თქუა კუალად: ნუ გნებავს, რადთამცა ესრეთ იქმნეს¹ საქმე-ნი შენნი, ვითარცა შენ გნებავს, არამედ ეგრე ინებე, რადთა, ვითარცა ღმერთსა სთნავს, ეგრეთ იქმნენ, და იყო შენ უშფოთველად და მადლობით ლოცვასა შენსა.

33. თქუა კუალად: დაღაცათუ ჰგონებდე, ვითარმედ საზომსა დიდსა მიწუთომილ ხარ და სასწაულთაცა იქმ, არამედ ფრიად ეკრძალე ეშმაკსა მას სიძვისასა, რამეთუ ფრიად მანქანა არს იგი და მრავალღონე და მოშურნე მარადის მოღუანეთათჳს და ისწრაფის, რადთამცა უმახვლეს გონებისა შენისა იპოვა და განაშორა-მცა იგი ჳსენებისაგან ღმრთისა ლოცვასა შინა შენსა.

34. თქუა კუალად: უკუეთუ ლოცვისათჳს იღუნი, პირველად განემზადე ბრძოლათა მიმართ ეშმაკისათა და ახოვნად თავს-ისხენ იგინი, რამეთუ, ვითარცა მძჳნვარენი მჳეცნი, ეგრეთ მოგიჳდენ² და გაჭირვებდენ ლოცვასა შინა შენსა.

35. თქუა კუალად: განემზადე ვითარცა მჳედარი მჳნე და ბრძენი გამოცდილი, რადთა დაღაცათუ მეყსა შინა იხილო უცნებად რადმე, არა შეირყიო, დაღაცათუ მახვლითაცა გინა ერითა ზედა-მოგიჳდენ, ანუ თუ [7rB] ლამჳრები იხილო აღნთებულები, ნუ შეძრწუნდები, არამედ მჳნედ და კადნიერად აღიარებდი კეთილსა მას აღსაარებასა, რომელ არს სახელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და ადრე იხილო დაცემად მტერთა შენთად, რამეთუ, რომელი ჳირსა მოითმენდეს, მან სიხარული დიდი იპოვოს და რომელი თავისა სულისათჳს შრომასა თავს-იდებდეს, მიეცეს განსუენებად უკუნისამდე.

36. თქუა კუალად: ჯერ-არს, რადთა მზაკუფარებასაცა³ მათსა არა გამოუცდეღ იყო, არამედ რადთა კეთილად უწყოდი, რამეთუ ოდესმე ორად განიყოფვიან⁴ ეშმაკნი: რომელნიმე გებრძოდიან და რომელნიმე გნატრიდიან და, უკუეთუ ითხოო⁵ შენევენად, მეყსეულად მოინინიან⁶ სხუანი იგი სხუათა ანგელოზთა თანა და პირველნი იგი განასხნიან; ხოლო ამას იქმნან, რადთამცა გაცთუნეს და აღგიმალღეს გონებად, ვითარმედ ანგელოზნი მოვლენ შენევენად ღუანლსა შენსა, და მერმე უკუანადსკნელ უფროდსად უწყალო გექმნიან ავაზაკნი იგი მწარენი და შთაგაბიან მახვლესა მათსა ბოროტსა.

37. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: სიმდაბლისა და სიმჳნისა და მოთმინებისა მოგებად ისწრაფე და არა შევიდეს შენდა განსაცდელი საეშმაკო და გუემად არა მიეახლოს საყოფელთა შენთა, რამეთუ ანგელოზთა თჳსთა უბრძანოს უფალმან დაცვად შენი და ძალი იგი წინა[7vB] – აღმდგომთა წარდევნონ (ფს.90, 10-11).

.....

1 იქმნეს A
2 მოგიჳდეს B
3 მზაკვარებასაცა B
4 განიყოფიან A
5 ითხო A; ითხოოდ B
6 მოიწივნინან A

38. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ნუ მიემსგავსები [47rA] ფარისევ-ელსა ლოცვასა შინა შენსა, არამედ მეზუერისა¹ მისებრ ილოცვედ, რადთა შენცა განჰმართლდე უფლისა მიერ (ლუკ. 18,10-13).

39. თქუა კუალად: თანამდებმან მან ბევრეულისა მის ტალანტისა-მან განგსწავლენ შენ, ვითარმედ, უკუეთუ არა მიუტეო თანანადები შენი თანამდებსა მას შენსა, ვერცა შენ ჰპოვო მოტევებად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: მისცა იგი სატანჯველად (მთ. 18, 23-34).

40. თქუა კუალად: რაჟამს ილოცვიდე და გულისსიტყუანი განგე-შორნენ, მაშინ გულისგმა-ყავ კეთილად, თუ სადად იქმნა ესე და ეკრძა-ლდე ძლიერად, ნუუკუე მალული ექმნას მათ და უცნაურად შთააგდო თავი შენი² მათ შორის.

41. თქუა კუალად: ესეცა სიმანქანე აქუს არანწმიდათა ეშმაკთა, რადთა მოგაგონონ, რადთამცა ილოცე მათთვის, და უკუეთუ ვითარცა ჯერ-არს წინა-აღუდგე, მერმე ნებსით თვისით განგეშორნიან, რადთამცა დაირწმუნე თავი შენი, ვითარმედ გიწყიეს ძლევად და განდევნად ეშმაკთა.

42. თქუა კუალად წმიდამან და ღმერთშემოსილმან ბასილი: ლოცვა-მან ლოცვისა მეძიებელმან ლოცვად პოვის³, რამეთუ ლოცვასა სხუად რადმცა შეუდგა, გარნა ლოცვაძვე [8rB], რომლისა მოგებითა მივეახლებით ღმერთსა.

43. თქუა კუალად: ვითარცა ყოველთა საცნობელთა თუალნი უმ-ჯობეს არიან, ეგრეთცა ყოველთა სათნოებათა ლოცვად უზეშთაეს არს.

44. თქუა კუალად: ვიდრემდის ჯორციელთა საქმეთა ჰყუარობდეს გონებად შენი, უწყოდე, რამეთუ არა გიხილავს შენ ჯერეთ ადგილი იგი წმიდად ლოცვისად, არამედ ჯერეთ შორს არს შენგან სანატრელი იგი გზად მისი. უკუეთუ კულა არარას ამის სოფლისა საქმესა არა მიდრკე-ბოდის გონებად შენი ილოცვიდე რად, არამედ ღმრთისა თანა ოდენ იყოს დიდებისა და მონყალებისა მისისა მიმართ, გიხაროდის; მაშინ უწყოდე, რამეთუ გიპოვნიეს ჭეშმარიტი იგი ლოცვად.

45. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: შიში და სურვილი ღმრთისა მიმართ გაქუნდინ მარადის და გონებითა წმიდითა იყოფოდე ყოველ-თა მიმართ და რასაცა იქმოდ, ესრეთ შეგერაცხენ, ვითარმედ ღმერთი მუნ მდგომარე არს და ჰხედავს საქმესა მას შენსა; ხოლო დღე და ღამე ჭსენებად უკუანადსკნელისა მის დღისა გაქუნდინ და ყოველსავე საქმესა ზედა სახიერსა ღმერთსა ჰმადლობდი.

46. თქუა კუალად წმიდამან და ღმერთშემოსილმან ბასილი: გონ-ებასა განბნეულსა შემოჰკრებს⁴ წიგნის კითხვად და მღვდარებად და ლოცვად, ხოლო გულისთქუმასა მოტყინარესა დაავსებს მარხვად და შრომად და განშორებად, ხოლო გულისწყრომასა განძვნებულსა მოამ-დოვრებს გალობად და სულგრძელებად და მონყალებად. ხოლო ჯერ-არს

.....
 1 მეზუერისა A
 2 შენი] თვისი A
 3 ჰპოვის B
 4 შეჰმოკრებს B

[8vB], რადთა ესე თითოეულსა ჟამსა და თჳსსა საზომსა ზედა იქმნებოდის, რამეთუ საქმე, რომელი გარეგან საზომისა თჳსისა იყოს, იგი ადრე დაიქსნების; და საქმე, რომელი არამტკიცე იყოს, იგი არცა რად სარგებელ არს.

47. თქუა კუალად: რომელი ივლტოდის გულისთქუმათაგან და განსუენებათა ამის სოფლისათა, ესევეთარი იგი გოდოლი არს მტკიცე წინაშე პირსა მტრისასა და ვერ ძალ-უც ეშმაკსა მნუხარებისასა დარლუევად მისა, რამეთუ კაცსა, რომელსა უყუარდეს განსუენებათა [47vA], ესევეთარსა მას სული მნუხარებისად არაოდეს განეშოროს, ხოლო ეშმაკსა მას მნუხარებისასა ვერ განვეშორებით, უკუეთუ ერთისაცა საქმისა მიმართ ჳორციელისა გუაქუნდეს სიყუარული¹, რამეთუ, სადაცა იხილოს გონებად ჩუენი მიდრეკილად, მუნცა დაგვდგამს ჩუენ მახესა მას მნუხარებისასა.

48. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ბუნებით გულისწყრომად ესე არს, რადთა ეშმაკთა ვებრძოდით და გულისთქუმათა ჳორციელთა წინა-აღუდგებოდით და მათდა მიმართ მრისხანე ვიყვნეთ. ამისთჳსცა, რა-ჟამს ანგელოზთა სულიერი იგი სიტკბოებად მოგუაგონონ და ნეტარებად იგი ზეცისად, მით გუასწავებენ გულისწყრომასა ჩუენსა შეცვალებად² ეშმაკთა მიმართ. ხოლო ეშმაკთა რაჟამს მიგუზიდნონ ჩუენ გულისთქუმათა მიერ ჳორციელთა, გუაიძულებენ, რადთა გულისწყრომად ჩუენი გარეგან ბუნებისა იყოს კაცთა მიმართ, რადთა ესრეთ [9rB] დაბნელდეს გონებად ჩუენი და უცხო იქმნეს³ გულისწმის-ყოფისაგან⁴ ჳემმარიტისა და იქმნას შინაგანმცემელ სულისა თჳსისა.

49. თქუა კუალად: ეკრძალე, რადთა არა შეანუხო ძმად შენი, თუ არა, ვერ განერე ეშმაკსა მას მნუხარებისასა, არამედ ჟამსა ლოცვისასა სანერტელ შენდა იყოს.

50. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ფრიად ძნელ და ყოვლითურთ ეკლოვან არს საბრძოლელად ეშმაკი იგი ცუდადმზუაობრობისად, რამეთუ, რადცა-იგი ჰყო დასაქსნელად მისა, იგიცა⁵ კუალად ექმნების მიზეზ ბრძოლისა მისისა შენდა მომართ. ხოლო ესე უწყოდე, რამეთუ არა აქუს ეშმაკთა ჳელმნიფებად, რადთამცა ყოველთავე გულისსიტყუათა ჩუენთა კეთილთა წინა-აღვკვდეს, არამედ რომელთამე თჳთ უკეთურებანი და ბოროტნი ჩუეულეებანი ჩუენნი წინა-აღვკვდებიან⁶ და გუაჭირვებენ ჩუენ.

51. თქუა კუალად: იქსენებდი პირველსა მას ცხორებასა შენსა და პირველთა მათ ცოდვათა შენთა, და თუ ვითარ ვნებული ეგე ვნებულისა მისგან ცხორებისა წყალობითა ქრისტესითა მოხუედ უვნებელსა ამას ცხორებასა, თუ ვითარ გამოხუედ სოფლისაგან, რომელმან-იგი მრავალ-ჟამ და მრავალგზის დაგცა და დაგამდაბლა შენ. ანუთუ ვინ არს, რომ-

.....

1 სიყვარული A

2 გულისწყრომასა ჩუენსა შეცვალებად] - B

3 იქმნას A

4 გულისწმის-ჳყოფისაგან B (ყოველთვის)

5 იგიცა] + და B

6 წინა-აღუდგებიან B

ელი უდაბნოსა შინა გამოგზრდის შენ და განსდევნის შენგან ეშმაკთა, რომელნი კბილრჭენით მოვ[9vB]ლენ შენ ზედა, რამეთუ ესევითარნი-ესე გულისსიგყუანი მოგატყუებენ შენ სიმდაბლესა და ეშმაკსა მას ამპარტავანებისასა დაამკობენ.

52. თქუა კუალად: რაჟამს ბრძოლა-უყონ ეშმაკთა მონაზონსა მრავლითა სახითა და ვერარადთა ვერ შეუძლონ დაცემად, მაშინ მიუშუებენ და ხედვენ გონებასა მისსა, თუ რომელსა-დი სათნოებასა ზედა უდებ არს, ანუთუ რომელი ვნებად უყუარს გონებასა მისსა და რომელსაცა ზედა მიდრეკილად პოვონ უბადრუკი იგი სული, და მითაცა დასცემენ.

53. თქუა კუალად: შრომადა და მღვდარებადა და მარხვადა არა ბრძანებულ არს ჩუენდა¹ დაუცადებელად და ძალისა უმეტესად, არამედ ძალისაებრ ჩუენისა, ხოლო ლოცვადა დაუცადებელად [48rA] ბრძანებულ არს ჩუენდა (1 თესალ. 5, 17), რამეთუ ამას არა ჯორციელი ძალი ოდენ უკმს, არამედ სიფრთხილე² გონებისადა მარადის.

54. თქუა კუალად: ჯორცთა სულისაგან განშორებადა მხოლოდსა ღმრთისადა არს, რომელმანცა შეაერთნა იგინი, ხოლო სულისა ჯორცთაგან განშორებადა ძალ-უც ყოველსავე, რომელსაცა სუროდის სათნოებისათვის, რამეთუ მამათა თქუეს, ვითარმედ: ესე არს განშორებადა - მარადის ჳსენებადა სიკუდილისადა და ყოველსავე ზედა წინააღდგომად ნებისა თვისისა ჯორციელისადა.

55. თქუა კუალად: რომელნი ჯორცთა შუებასა და განსუენებასა შეუდგენ და მორჩილ ნებასა მათსა იყვენენ, ესევითარნი [10rB] ნუმცა ეშმაკთა აბრალობენ, ნუცა ვნებათა, რამეთუ თვთ იქმნენ³ თავისა მათისა⁴ ეშმაკ და მისცნეს სულნი მათნი წარსანყმედელსა, რამეთუ მადლი იგი, მოცემული მათდა, არა კეთილად იკმარეს, ხოლო რომელთა ჯორცნი მათნი დაამდაბ[ლ]ნეს და ამის მიერ მოიგეს სულიერი სინმიდე და გონებადა მათი ფრთხილ და მხედველ ყვეს, მათ უწყიან მადლი იგი დამბადებელისა მათისადა, მათდა მოცემული.

56. თქუა კუალად: გონებამან უკუეთუ არა განინმიდოს თავი თვისი⁵ კეთილად, ესევითარი იგი ვერ შემძლებელ არს ამალლებადა ღმრთისა მიმართ და შეცვალებადა კეთილითა შეცვალებითა, რამეთუ შინაგანი იგი აღძრვად მიაქცევს მას კუალად მუნვე საქმედ, რომლისაგანცა გამოვიდა.

57. თქუა კუალად: სახე უვნებლობისა ესე არს: რაჟამს იწყოს გონებამან თვისისა მის ნათლისა ხედვად და უცნებათა მათ მიმართ ძილისათა იყოს დანყნარებულ და აღუძრველ და სინრფოებით ხედვიდეს ყოველთავე საქმეთა.

58. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: გონებადა წმიდადა და კეთილად

.....

1 ჩვენდა A
 2 სიფრთხილე A
 3 იქმნენს A
 4 მათისა] თვისისასა A
 5 თავი თვისი] ~ თვის თავი A

ფრთხილი იგი არს, რომელი ჟამსა ლოცვისასა ყოვლადვე არარას¹ იგონებდეს ამის სოფლისა საქმეთაგანსა, არამედ სულითა და ჳორცითა დგეს წინაშე ღმრთისა და მისა მიმართ იყოს ყოველივე გონებად, რომლისა მიმართცა ილოცავს.

59. თქუა კუალად: სული უვნებელი არა იგი არს, რომელი საქ[10vB] – მით ოდენ არა იქმოდის ცოდვასა, არამედ რომელი გულისსიტყუათაცა² მიმართ აღუძრველ და დანყნარებულ იყოს და უვნებელ.

60. თქუა კუალად: დიდად ცოდვად შეერაცხების მონაზონსა, უკუეთუ მიიყვანებდეს გონებასა ვნებულსა გულისსიტყუათა თანა და ინურთიდეს მათ.

61. თქუა კუალად: გონებად ვიდრემდის ბრძოლასა მას შინა ვნებათასა იყოს, ვერ ძალ-უც ხილვად გულისსიტყუათა მათ და ღონეთა ბრძოლისათა, ხოლო რაჟამს უვნებლობად მოიგოს, მერმე კეთილად გულისჳმა-ჳყოფს მრავალთა მათ ღონეთა მზაკუარისათა.

62. თქუა კუალად: სული სიტყვერი მაშინ არს ბუნებითა ზედა, რაჟამს ყოველივე სურვილი და გულისთქუამად მისი სათნოებათათჳს იყოს და გულისწყრომად ეშმაკთა მიმართ იყოს და გულისთქუმათა ბოროტთა, ხოლო გულისსიტყუად იგი მისი ხედვათა უზეშთაეს იყოს მხედველ.

63. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: თანა-აც მონაზონსა, რომელსა ენებოს მკედარ ქრისტესა ყოფა, რადთა უცხო-ყოს თავი თჳსი საქმეთაგან ამის სოფლისათა და წმიდა-ყოს გული თჳსი გულისთქუმათაგან ბოროტთა დ[48vA]ა მოიცალოს ყოვლისაგან საქმისა, რადთა ესრეთ სათნო-ეყოს თჳსსა უფალსა, რამეთუ ესრეთ უჳმს ყოფად მონაზონსა და, უფროდსად, რომელი რბიოდის შუენიერსა მას ასპარეზსა შინა დაყუდებისასა, რამეთუ ვერ შუენიერ არს და კეთილ უღელი იგი დაყუდებისად, ვითარ შუენიერ არს და კეთილ³ და ტკბილ ღუანლი იგი დაყუდებისად, ვითარ შუენიერ არს [11rB] და ჭემმარიტ, „რამეთუ ტკბილ არს უღელი მისი და ტვრთი მის სუბუქ“ (მთ.11,30). ამისთჳს, საყუარელნო⁴, უკუეთუ გნებავს მოგებად ცხორებად იგი მონაზონისად და შესლვად სახესა მას შინა დაყუდებისასა, დაუტევენ ზრუნვანი იგი სოფლისანი, მთავრობანი იგი და ჳელმწიფებანი⁵, ამბოხებანი და მრავალმეტყუელებანი. ესე იგი არს, რადთა უზრუნველ იყო⁶ და უვნებელ და გარეშე ყოვლისავე გულისთქუმისა ამის სოფლისა დიდებისა და განსუენებისა, და რადთა ამის ყოვლისაგან უცხო იქმნე და ესრეთ შეუძლო კეთილად დაყუდებად, რამეთუ უკუეთუ ესევითართა საქმეთაგან არა უცხო-ყოს თავი თჳსი კაცმან, ვერ ძალ-უც წარმართებად ამის დიდებულისა მოქალაქობისა.

64. თქუა კუალად: იქმენ შენ ვითარცა ვაჟარი ჳელოვანი და განვიდენ

.....

1 არარასა A
2 გულისსიტყუათაცა A
3 დაყუდებისად, ვითარ შუენიერ არს და კეთილ] - B
4 საყუარელნო A
5 ჳელმწიფენი B
6 იყოს B

შენნი ზრუნვანი და საქმენი ამის სოფლისანი და მოიყიდე პატიოსანი იგი მარგალიტი დაყუდებისად, რომლითა მოიყიდების და მოგეცემის სასუფეველი ცათად¹ მადლითა ქრისტესითა.

65. თქუა კუალად ნმიდამან ბასილი: რაჟამს სდგე ლოცვად წინაშე ღმრთისა, შიშით და ძრწოლით ილოცევდ, ფრთხილად და კეთილად, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს. ხოლო მბრძოლთა მიმართ და მტერთა ჩუენთა ეშმაკთა რაჟამს გვხილონ ლოცვასა შინა, მეყსეულად იგინიცა სწრაფლ მოინევიან ჩუენ ზედა და მოგუაგონებენ ჩუენ გულისსიტყუათა, რომელთა არა ჯერ-არნ ყოვლადვე მოგონებად ჟამსა ლოცვისა ჩუენისასა და ამას იქმან, რადთამცა ტყუე ყვნეს გონებანი ჩუენნი და ცუდ² და ამაო ყვნეს ლოცვად ჩუენი [11vB]. ჭეშმარიტად ცუდ და³ ამაო არს ლოცვა იგი და ვედრებად, რომელი, ვითარცა ვთქუ, არა შიშით და ძრწოლით იყოს, რამეთუ უკუეთუ რაჟამს მეფისა ამის ქუეყანისა წინაშე სდგე და ევედრებოდე⁴ სათხოველისა რადსათჳსმე, რომელი-იგი კაცი არს ჩუენებრივე⁵ მიწისაგანი და მიწადვე მიქცევადი და მას⁶ ესრეთ შიშით ევედრებით, მაშა, არა უფროდსი შიში და ძრწოლად ჯერ-არს-ა, წარად-ვდგეთ წინაშე ქრისტესა, მეუფისა მის მეუფეთადასა და უფლისა უფლებათადასა და ვითხოვდეთ მისგან მოტევებასა ცოდვათა ჩუენთასა და სასუფეველსა ცათასა? ანუთუ, ძმანო, რად-მე არს გულისსიტყუად იგი, რომელი-იგი უტკბილეს არს და უსანადელეს, ვიდრე უზნობისა და ვედრებისა დამბადებელისა მიმართ თჳსისა, რომელ დაუტეობთ მას და ვინურთით სხუასა!? მოვედით, ძმანო, და მისა მიმართ ვისწრაფოთ დაცვად გონებათა ჩუენთა, რადთა არა ამაო იქმნეს სრბად ჩუენი.

66. თქუა კუალად ნმიდამან ბასილი: უწინარეს ყოველთავე⁷ ეშმაკთასა ჩუენ ზედა ბრძოლად მოვლენ სამნი ესე ეშმაკნი: ნაყროვანებისად და ვეცხლისმოყუარებ[49rA]ისად და დიდებისმოყუარებისად; ხოლო სხუანი იგი ეშმაკნი ამათსა შემდგომად ვლენან და, რომელნი ამათ მიერ მოიწყლნენ, მერმე სხუანიცა მოიწევიან მათ ზედა, რამეთუ არავინ შთავარდების ჳელთა ეშმაკისა მის სიძვისათა, უკუეთუ არა პირველად იძლიოს ნაყროვანებისა ეშმაკისაგან, და არცა გულისწყრომად აღიძრვის თჳნიერ სამთა ამათ ვნებათასა, რამეთუ ანუ ჭამადისათჳს განრისხნების კაცი, ანუ სა[12rB]წმართათჳს, ანუ დიდებისმოყუარებისათჳს, და უკუეთუ კაცი ამათ ვნებათაგან არა განთავისუფლდეს, ვერ განერების იგი ეშმაკსა მწუხარებისასა და ვერცა ამპარტავანებისასა, რომელ-იგი არს პირველი ნაყოფი ეშმაკისად, უკუეთუ არა აღმოჰფხურას⁸ ძირი იგი ყოვ-

.....
 1 ცათა B
 2 ცუდად B
 3 ცუდ და] ცუდად B
 4 ევედრებოდი A; B
 5 ჩუენებრივე B
 6 მას] ამას A
 7 ყოველთასა B
 8 აღმოჰფხურას A; აღმოფხურას B

ლისა ბოროტისა ვეცხლისმოყუარებისად¹, რამეთუ უპოვარებად და სი-
გლახაკე კაცსა დაამდაბლებს, ვითარცა ბრძენი სოლომონ იტყვს და
რადთა მოკლედ ვთქუა, ვითარმედ არცათუ ერთისა ეშმაკისა და ვნებისა
ველთა არა² შევარდების სული, უკუეთუ პირველად არა ამათ სამთაგან
მოიწყლას და იძლიოს. ამისთჳს ამით სამითა ბრძოლითა ებრძოლა ეშმა-
კი უფალსა და მაცხოვარსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რამეთუ პირველად
ეტყოდა, რადთა ქვანი იგი პურად გარდააქცინეს, და მერმე აღუთქუმიდა
ყოველსავე სოფელსა, და მესამედ, რადთამცა გარდაიგდო თავი თჳსი
სართულით ქუე და არარად ევნოს, რადთა ესრეთ თავს-იდევას დიდებად,
რომლისათჳსცა უფალმან შეჰრისხნა და³ მართლუკუნ წარსლვად უბრ-
ძანა ეშმაკსა (ლკ. 4, 3-13), რადთამცა ჩუენ გუასწავა წინააღდგომად და
ძლევად ეშმაკისად, რადთა სამნი ესე ვნებანი, მშობელნი ყოველთა ვნე-
ბათანი, დავთრგუნნეთ და ესრეთ ვძლოთ ეშმაკსა და ყოველთა ვნე-
ბათა; ხოლო უკუეთუ ამათ არა წინა-აღუდგეთ მკნედ და ვძლოთ, მაშა
უნყით-მცა, რომელ ერთსაცა ვნებასა ვერ ვძლევთ, არამედ ყოველთაგან
ჩუენ ვიძლევით.

67. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: არს ეშმაკი, რომელსა ეწოდების
მაცთურ. ესე უფრომსად განთიად მოიწევის მონაზონსა ზედა და წარი-
ტაცებს გონებასა მისსა საღმრთომსა მის კერძისაგან და ზრ[12vB]უნ-
ვისაგან სულისა თჳსისა და აგონებნ საქმეთა ჳორციელთა, გინა სლვასა
ადგილითი-ადგილად და სახლითი-სახლად, ანუ უბნობასა მეცნიერთა-
სა, გინა მათსა მისდა მომართ, და ესრეთ განიყვანის მზაკუარმან მან
გონებად მონაზონისად ჳსენებისაგან ღმრთისა და ზრუნვისაგან სული-
სა თჳსისა და წურთისაგან სათნოებათადასა და ტირილისაგან ცოდვათა
თჳსთადასა⁴, რომელი-იგი თანა-აც, და ამისთჳს ჯერ-არს მონაზონისა,
რადთა მარადის ფრთხილად ხედვიდეს ყოველთავე მათ გულისსიტყუ-
ათა მტერის[ა]თა⁵, თუ სადათ⁶ დაიწყებს, ანუ თუ სადა დაასრულებს,
ანუ რად იქმს ამას და უწყოდენ, ვითარმედ მზაკუარი⁷ იგი არა ცუდად
იქმს ამას, არამედ რადთამცა წესიერებად იგი მონაზონისად განხრწნა
და გულისწმისყოფად იგი მისი სულიერი დააბნელა ვნებულითა მით
და დაუნყნარებელითა გულისსიტყვთა, და მეყსეულად მისცა-მცა იგი
ეშმაკსა სიძვისასა ანუ მრისხანებისასა ანუ მწუხარებისასა, რომელნი-
იგი ბოროტად განხრწნიან კეთილსა მას მოქალაქობასა მონაზონისასა
[49vA]. ხოლო ან, ვინადთგან ჟამსა მას განსაცდელისასა ვერ მსწრაფლ
გულისწმა-ჰყავ, ვითარ-იგი მიგილო გონებად შენი ეშმაკმან მაშინ, ამისა

.....
1 ვერცხლისმოყუარებისად A
2 არა] + არა B
3 და] - B
4 თჳსთასა B
5 მტერისთა A; B
6 სადათ B (ყოველთვის)
7 მზაკუარი A

შემდგომად, ვინაიდან დაგიტოს¹, მოვედ გონებასა შენსა და გულისწმა-ყვენ საქმენი იგი, რომელნი მოგართუნა შენ ეშმაკმან, და ცან, თუ სადათ იწყე, ანუ სადა წარხუედ, ანუთუ რომელსა ადგილსა შეემთხვე ეშმაკსა მას სიძვისასა, ანუ გულისწყრომისასა, ანუ მწუხარებისასა; ანუთუ საქმენი იგი მათნი ვერ იქმნეს, ესე ყოველი გულისწმა-ყავ² და ცან, თუ ვითარ იძლიე, რაათა გაქუნდეს გამოცდილებად და გაქუნდეს სამხილებ[13rB]ელად მისდა, რაჟამს-იგი კუალად მოვიდეს შენდა და მოვიდეს, რაათა³ ამხილე⁴ მას ცხადად საქმიტაცა და სიტყუტა[ცა]; საქმიტა ესრეთ, რაათა არღარა შეინყნარო თესლი იგი უკეთურებისა მისისა, ხოლო სიტყუტ, რაათა აყუედრო მას და შეჰრისხნე, თუ ვითარ მოაწია შენ ზედა პირველი იგი წყლულებად და მეორე და მესამე, ხოლო ამას ზედა ფრიად განრისხნების იგი და სირცხვლეულ იქმნების მხილებისა მისტვს შენისა, არამედ სასწაული სირცხვლისა მისისა ესე იყავნ შენდა, რაათა მეყსეულად გულისსიტყუად ესევეითარი⁵ ივლტოდის შენგან და არღარა შეინყნარებდე მისგან, და მერმე მოინიოს შენ ზედა ძილი მძიმე და ფქნარებად ზედადსზედა⁶ და დამძიმებად და ტკივილი მწართად, რაათამცა არა გწადოდა⁷ ლოცვად, არამედ შენ მწნე იყავ და მოითმინე და უფალმან ყოველივე განაქარვოს მადლიტა თვსიტა.

68. თქუა კუალად: რაილა-მე ვთქუა მე ეშმაკისა მისტვს, რომელი მოაწევს სულსა ზედა უგულისწმოებასა, რამეთუ მეშინის მე მისტა საქმეტა წერად, თუ ვითარ სული ჟამსა მას მოსლვისა მისისასა განვალს თვსისა გონებისაგან და თვსისა წესისაგან და აღიძარცვს შიშსა ღმრთისასა და კრძალულებასა სულისა თვსისასა⁸ და ცოდვად არა უწნ ცოდვად და უშჯულოებად არაუშჯულო[ე]ბად აქუნ. სასჯელსა მას საშინელსა და სატანჯველტა⁹ მათ საუკუნეტა ვითარცა ლიტონსა რასმე საქმესა იგონებნ. ღმერთსა აღიარებნ და მცნებატა მისტა არა მიხედავენ, მკერდსა თვს[ს]ა იცემნ და იგი ყოვლადვე უგულისწმო არნ, სიტყუანი წიგნტანი ესმოდინ და ყოვლიტურთ ფიცხელ არნ გული მისი. ხოლო ამას ეშმაკსა ცუდადმზუა[ო]ბრობისა გულისსიტყუანი [13vB] მოაწევნ კაცსა ზედა და, უკუეტუმცა არა შემოკლდეს დღენი მისნი, ვერმცა ცხოვნდა ყოველი კ[ო]რციელი; არამედ ანუ განსაცდელიტა რაათამე, ანუ უძლურებისა მიერ, ანუ ნახვიტა მკუდრისაათა, ანუ სხვტა რაათამე სახიტა ღმრთისა მიერ განიდევნების ვნებად ესე გულისაგან და ღმობიერებად მოვალს სული იგი. ხოლო განშორებული, რომელი ამას ბრძო-

.....
 1 დაგიტოს B
 2 გულისწმა-ჰყავ A
 3 რად A; B
 4 იმხილე B
 5 ესევეითარი] ეგვეითარი A
 6 ზედადსზედად A
 7 გწადდა A; გაგწყდა B
 8 თვსისა B
 9 სატანჯუელტა B

ლასა შთავარდეს და მან სიძვისა გულისსიტყუანი¹ არა შეინყნარნეს და სენაკი თჳსი მოწყინებისათჳს არა დაუტეოს, ესევეითარსა მას სინმიდე და მოთმინებად ზეცით მოუღებია. ნეტარ არს იგი მოთმინებისა მისთჳს. ხოლო მონაზონი, რომელი ერისკაცთა შორის იქცეოდის, ეკ[50rA]რძალენ² იგი ამას ეშმაკსა და სხუათაცა მრავალთა ეშმაკთა, რადთა არა საკიცხელ იქმნას.

69. თქუა კუალად: გულისსიტყუად იგი ცუდადმზუაობრობისად უფროდს ყოველთა ეშმაკთასა მრავალლონე არს და მზაკუვარ³ და ვითარცა შინაგანმცემელი ქალაქისა, ესრეთ ყოველთა ვნებათა კარსა განუღებს და განხრწნის გონებასა მონაზონისასა და ლოცვათა მისთა უწმარ-ჰყოფს, რომელთა მიერ განიკურნებიან სულისა ვნებანი და ყოველნივე წყლულებანი ამის გულისსიტყვსად; რაჟამს იძლინენ ყოველნივე ეშმაკნი, მაშინ უფროდსად აღაორძინებენ და კუალად მის მიერ ჰპოებენ შესავალსა⁴ სულსა შინა და ჰყოფენ უკუანადსკენელსა მას უძვრეს პირველისასა და ამის მიერ იშუების გულისსიტყუად იგი ამპარტავანებისად, რომელმან პირველი იგი მთიები⁵ დიდი ზეცით⁶ გარდამოაგდო. ხოლო შენ ივლტოდე მისგან [14rB] და ნუ ჰყოფნი მის თანა, რადთა არა წარსწყმიდო⁷ ცხორებად შენი და მიეცე ჴელთა უწყალთასა. ხოლო მას ეშმაკსა განსდევნის ლოცვად ღმრთისა მიმართ და გულისჴმისყოფად უძღურებისა თჳსისად და რადთა არას⁸ ვიქმოდით კაცთმოთნებით და ზუაობით და რადთა გჳყუარდეს მარტოებად.

70. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: რაჟამს გონებამან განშორებულისამან მცირედ-რადმე უვნებელობად მიიღის⁹, მაშინ მოუჴდებიან მას ეშმაკნი ცუდადმზუაობრობისანი და დაარწმუნებენ მას დაგდებად სენაკისა თჳსისა და სლვად სოფელსა შინა, ხოლო უკუეთუ¹⁰ ირწმუნის მისი და დაჯდი[ს] ჰუნესა ზედა ცუდადმზუაობრობისასა, მაშინ განგებით შეემთხვის¹¹ მას სული იგი სიძვისად და განწუართის იგი უწყალოდ და ასწავის მას, რადთა უწინარეს სრულიად განმართლებისა არღარა დაუტეობდეს სარეცელსა თჳსსა და რადთა არა ემსგავსებოდის უწესოთა მათ სნეულთა, რომელთა-იგი ვიდრეღა ნეშტი უძღურებისად მათ თანა არნ, იწყიან¹² რორინებად აქა და იქი და უწესოდ ჴამასა და სუმასა და ესრეთ კუალად შეაქციის სენმან მან და მეორე იგი უძვრეს

.....
1 გულისსიტყვანი A (ყოველთვის)
2 ეკრძალე B
3 მზაკუარ A
4 შესლვასა B
5 იგი მთიები] ~ მთიები იგი B
6 დიდი ზეცით] ~ ზეცით დიდი B
7 წარწყმიდო A
8 არას] + რას A
9 მიიღს B
10 უკუეთუ A (ყოველთვის)
11 შეემთხვს B
12 უწყიან B

იყვის პირველისა მის. ამისთვის უკუე თანა-გუაც, რადთა ვსხდეთ სენაკთა ჩუენთა და ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა, რადთა წარვიმართნეთ სათნოებანი და განვაგდოთ ჩუენგან უკეთურებად და ვპოოთ სიმრავლე გულისწმისყოფისად და ავმალდეთ ლოცვასა შინა და ვიხილოთ ჩუენ შორის ნათელი უფლისა.

71. თქუა კუალად: გულისსიტყუანი და საქმენი ამას სოფელსა, ვითარცა ცხოვარნი [14vB] მწყემსისადა, ესრეთ მიუცემიან ღმერთსა კაცისადა, და მიუცემიან შემწედ მისდა გულისთქუამად კეთილი და გულისწყრომად ვნებათა მიმართ და ეშმაკთა, რადთა¹ გულისწყრომისა მიერ სდევნიდეს მგელთა, ხოლო გულისთქუმისა მიერ სცვიდეს ცხოვართა მათ კეთილად და მოსცა შჯუელიცა, თუ ვითარ ჰმწყსიდეს ცხოვართა მათ, და მოსცა ადგილიცა მწუანვილოვანი² და წყალიცა განსუენებისად და საფსალმუნე და ათძალი, რადთა ამის სამწყსოდაგან გამოიზარდოს იგი და შეიმოსოს სამოსელი კეთილი და შეიკრიბოს ნაყოფი შუენიერი და მწიფე.

და უფროსად მა[50vA]რტოდ მყოფსა თანა-აც, რადთა დღე და ღამე სცვიდეს სამწყსოსა მას თვსსა, ნუუკუე მჭეცთა ანუ ავაზაკთა წარიტაცონ რადმე გულისსიტყუათაგან მისთა; უკუეთუ კულა მოინიოს წარტაცებაცა, კუალადცა ისწრაფენ აღმოტაცებად მისა პირისაგან მჭეცისა მის, რამეთუ უკუეთუ გულისსიტყუად ჩუენი იქმნას ძმისა მიმართ ჩუენისა ბოროტ, აჰა ესერა, წარტაცებულ იქმნა იგი მჭეცისა მიერ. კუალად, უკუეთუ გულისსიტყუად საძაგელი მოგვკდეს და არა მსწრაფლ განვაძოთ იგი, აჰა ესერა, ესეცა მჭეცთა მიერვე წარტაცებულ³ იქმნა.

კუალად უკუეთუ გულისწმისყოფასა ჩუენსა ზედა აღვზუავენეთ⁴, იგიცა წარტაცებულვე იქმნა ავაზაკთა მიერ, ხოლო უკუეთუ გულისწყრომად ჩუენი ძმათა მიმართ ვიჭმართ და გულისთქუამად ჩუენი ცოდვათა⁵ მიმართ, მაშინ სრულიად ვად არს ჩუენდა, რამეთუ რომელნი-იგი ღმერთმან შემწედ მოგუცნა ჩუენ, ჩუენნი იგი მბრძოლ ჩუენდა ვყვენით და მახვლნი იგი, რომელნი მო[15rB]გუანიჭნა ჩუენ მეუფემან, რადთამცა მათ მიერ მოვწყდენით მტერნი ჩუენნი, ჩუენ იგინი გულთა ჩუენთა განვიწონენით და წამალნი იგი, რომელნი სახიერმან მან მკურნალმან განსაკურნებელად ჩუენდა მოგუანიჭნა, ჩუენ იგინი გარდავაქციენით მოსაკუდინებელად ჩუენდა. ამისთვის, ძმანო საყუარელნო⁶, მოვედით და კეთილად ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა და სამწყსოდ ესე სული-სა ჩუენისად კეთილად დავმწყსოთ ადგილსა მას მწუანვილოვანსა და ვიღვძებდეთ ღამე და დღე, რადთა ესრეთ მივიწინეთ⁷ ადგილსა მას გან-

.....
 1 რადთა] რომელი B
 2 მწუანვილოვანნი A
 3 წარტაცებულვე B
 4 აღვზუავენეთ B
 5 ცოდვად B
 6 საყვარელნო A
 7 მივიწინეთ A

სუენებისა საუკუნოდსასა.

72. თქუა კუალად: რაჟამს გონებამან ძუელი იგი კაცი აღძუარცოს და ახალი შეიმოსოს, მაშინ იხილოს მან თავი თჳსი ჟამსა მას ლოცვისასა განბრწყინვებული, ვითარცა მარგალიტი პატიოსანი.

73. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ყოველნივე არანმიდანი გულის-სიტყუანი ვნებათა მიერ დაადგრებიან ჩუენ თანა და ესრეთ შთაიყვანებენ გონებასა წარსანყმედელად, რამეთუ ვითარცა ჳსენებად პურისად დაადგრების მშიერსა თანა შიმშილისა მიერ და ჳსენებად წყლისა წყური-ლისა მიერ, ეგრეთვე ჳსენებად საჯმართა და მონაგებთად დაადგრების ანგჳარებისა მიერ და ეგრეთვე სხუანი ყოველნივე გულისსიტყუანი ბოროტნი თითოეულისა ვნებისა მიერ დაადგრებიან ჩუენ თანა, ხოლო სული, განხრწნილი ესევითართა ვნებათა მიერ, ვერ შემძლებელ არს ღირსებით წარდგომად წინაშე ღმრთისა და მიღებად გზრგვნსა მას სიმართლისასა¹, რამეთუ, ვითარცა წერილ არს: სული ესევითარი სერობის-აგან უფლისა იჯმნა და, კუალად, რომლისა-იგი ჳელნი და ფერწნი შეიკრნეს და ბნელსა მას გარესკნელსა მიეცა (მთ. 22,13), მისიცა სამოსელი [15vB] ესევითართა გულისსიტყუათა მიერ მოქსოვილ იყო. ამისთჳსცა თქუა მეუფემან, ვითარმედ: „არა აცჳა სამოსელი ღირსი საქორწინე“ (მთ.22,12). სულისად არს უვნებლობად გულისსიტყუათაგან არანმიდათა.

74. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: უკუეთუ გსურის² ლოცვისათჳს წმიდისა, ევლტოდე გულისწყრომასა და ძვრისჳსენებასა, და უკუეთუ გიყუარს³ სინმიდე, მოაყმე მუცელი შენი შიმშილითა, და წყურილითა აჭირვე მას. იღჳძებდი ლოცვასა შინა. გულისსიტყუანი შე[51rA]გინებულნი და ყოველივე საძაგელი ჳსენებად შორს-ყავ შენგან და სიტყუანი სულისა წმიდისანი ნუმცა მოაკლდებიან პირსა შენსა და კარსა წმიდათა წერილთასა ჳრეკდი ჳელითა სათნოებათადთა⁴, მაშინ აღმოგიბრწყინდეს შენ უვნებლობად გულისად და გონებად შენი გამობრწყინდეს ჟამსა ლოცვისასა, ვითარცა მთიები განთიადისად.

75. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: უკუეთუ გნებავს, რადთა⁵ მიილო ღმრთისაგან გულისწმისყოფისა მადლი, პირველად მცნებანი ეგე, რომელნი გულისწმა-გიყოფიან, კეთილად აღასრულენ და ესრეთ მოგეცეს⁶ შენ ჟამსა მას ლოცვისასა, ილოცვიდე რად, ღმრთისად მიერ გულისწმისყოფად უმეტესი, ხოლო ვიდრე ეგენი, რომელნი გულისწმა-გიყოფიან, არა აღასრულნე, სხუად უმეტესი გულისწმისყოფად არა მოგეცემის, რადთა არა გარდაჳჯდებოდი⁷ მრავალთა მათ მცნებათა და თანამდებ იქმნა უმეტესთაცა ცოდვათა, რამეთუ ჳეშმარიტად ნეტარ არს, რომელი

.....
1 სიმართლისა B
2 გუსურის A
3 გიყვარს A
4 სათნოებათა B
5 რათა A
6 მოგცეს B
7 გარდაჳჯდებოდის B

აღასრულებდეს ყოველსავე, რომელიცა ასწაოს მას გულისკმისყოფამან ღმრთისა მიერმან. ხოლო არა მოვალს გულისკმისყოფად იგი ჭეშმარიტი კაცსა თანა, უკუეთუ [16rB] არა განეშოროს განშორებითა მით პირველი-თა¹ და მეორითა და მესამითა, რამეთუ პირველი განშორებად ესე არს, რადთა დაუტეოს სოფელი და საქმენი მისნი სიყუარულისა და შიშისათჳს და გულისკმისყოფისა ღმრთისა. ხოლო მეორე ესე არს, რადთა ივლტო-დის და განეშოროს ყოველისაგან უკეთურებისა და არანმიდებისა. ხოლო მესამე განშორებად იგი ესე არს, რადთა განეშოროს ნებისაგან თჳსისა და უგულისკმოებისაგან², და ესე სამნი მადლნი განშორებისანი მოეცე-მიან კაცთა საზომისაებრ გულსმოდგინებისა და მოსწრაფებისა მისისა.

76. თქუა კუალად: ვისწრაფოთ, ძმანო, შვილ ღმრთისა ყოფად უბიწოე-ბით და შესლვად განსუენებასა მას, სადა-იგი წინამძღურად ჩუენდა შევი-და იესუ, მაცხოვარი ჩუენი. ვისწრაფოთ, რადთა აღვიწერნეთ კრებულსა მას თანა მოწაფეთა მის თანა და პირმშოთა მათ ზეცისათა, რადთა ვი-პოვნეთ მარჯუენით დიდებულებასა მას მადლისასა. ვისწრაფოთ შესლ-ვად ზეცისა იერუსალემსა, ხოლო საკვრველთა ამათ დიდთა კეთილთა სხჳთა სახითა³ ვერ შემძლებელ ვართ შესლვად, არამედ რადთა დღე და ღამე გარდამოდოდინან სულთაგან ჩუენთა წყარონი ცრემლთანი სიტყჳსა მისებრ წინადასწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს: „დავბანო მარადის ცხე-დარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტო“ (ფს. 6,6). ანუ არა უწყით-ა, რამეთუ „რომელნი სთესვიდენ ცრემლით, მათ სიხარულითა“ მოიმკონ“ (ფს. 125,5)? ამისთჳს წინადასწარმეტყუელი იტყოდა: „ცრემლთა ჩემთასა ნუ დაიდუმებ, უფალო“ (ფს. 38,13); და კუალად იტყჳს: „მექმნეს მე ცრემლნი ჩემნი საჭმელად ჩემდა დღე და ღამე“ (ფს. 41,4), რამეთუ ჭეშმარიტადცა, [16vB] რომელნი მჭურვალითა გულითა და ტკივილითა დიდითა აღმოაცენებენ ცრემლთა, მათ მჭურვალეთა ცრემლნი იგი სულ-თა მათთათჳს საჭმელ სულიერ არიან, რომელი-იგი პოვა მარიამცა, ჯდა რად ფერჳთა თანა იესუდსთა⁵, რომლისათჳს თჳთ მაცხოვარმან წამა და თქუა, ვითარმედ: „მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არაოდეს მიეღოს მისგან“ (ლკ. 10,42). ეჳა, მარგალიტი იგი მრავალსასყიდლისად, რომელი-იგი იპოების⁶ ცრემლთა მიერ. ამას უკუე ვეძიებდეთ, ძმანო, და ნუმცა რას ვეძიებთ სხუასა რასმე, გარნა ცეცხლსა მას, რომლისათჳს თქუა უფალმან, ვითარმედ: „ცეცხლისა მოფენად მოვედ ქუეყანასა ზედა [51vA] და მნებავს ხილვად, უკუეთუ აღგზებულ არსა“ (ლკ. 12.49), რამე-თუ წმიდად იგი და საღმრთო ცეცხლი განანათლებს გულსა და გამოსც-დის მას, ვითარცა ოქროსა წმიდასა, ხოლო უკეთურებასა შესწუავს, ვი-

.....
 1 პირველისა B
 2 უგულისკმობისაგან B
 3 სხჳთ სახით B
 4 სიხარულით A
 5 იესუდსთა A; იესუსთა B
 6 იპოების B

თარცა ლერწამსა და ეკალსა, რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწუველ¹ არს. ესე ცეცხლი აღეგზნა მოციქულთა შორის, რაჟამს-იგი იტყოდეს ენათა ცეცხლისათა (საქ.2,3). ესე ცეცხლი დიდებული ნეტარსა პავლეს გამოეცხადა და გონებად მისი განანათლა, ხოლო ხილულნი თუალნი დაუბნელნა, რამეთუ არა დაუტევის² ჳორციელსა ხილვასა შინა იგი ნათელი და ძლიერებად მისი (საქ.9,8). ესე ცეცხლი ერუენა მოსეს მაცულოვანსა შინა (გამ.3,2). ამან ცეცხლმან სახედ ელვისა ქუეყანით აღიტაცა ელია (4 მეფ.2,11). ამის ცეცხლისა ძალსა ითხოვდა დავით ღმრთისაგან და იტყოდა: „განმიცადე მე, უფალო, და განმიკითხე მე. გამოაჯურვენ თირკუმელნი³ ჩემნი და გული ჩემი“ (ფს.25,2). ამან ცეცხლმან განაჯურვა⁴ გული კლეოპადისი და მისთანადსა [17vB] მის, ეტყოდა რად მათ მაცხოვარი შემდგომად აღდგომისა (ლკ.24,32). ამისთჳს ანგელოზნიცა ამით ცეცხლითა მოტყინარე არიან, რომელთათჳსცა თქუმულ არს: „რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი⁵ ალად ცეცხლისა“ (ფს.103,4). ესე ცეცხლი ღირესა მას, რომელი თუალსა შინა სულისასა მდებარე არს და სწუავს⁶ და მოიყვანებს სულსა ბუნებითსა მას კეთილად მხედველობასა, რადთა ესრეთ შეუძლოს ხედვად საკურველებათა მათ ღმრთისათა უკუნისამდე, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „განანათლენ თუალნი ჩემნი და ვხედვიდე მე საკურველებათა შჯულისა შენისათა“ (ფს.118,18). ესე ცეცხლი არს ეშმაკთა დამწუველ, უკეთურებისა განმაქარვებელ და ცოდვათა უჩინომყოფელ, ძალ აღდგომისა და უკუდავებისა და განმაქარვებელ სულისა. ამისთჳს უკუე ვევედრნეთ ჩუენცა სახიერსა ღმერთსა, რომელ მოგუმადლოს ცეცხლი ესე, რადთა მარადის ნათელსა შინა ვიდოდით და არასადა⁷ შევბრკოლდეთ, არამედ ვითარცა მნათობნი ვბრწყინვიდეთ სოფელსა შინა და მერმესა მას საუკუნოსა დავემკვდრნეთ ქრისტეს თანა საუკუნოსა მას ცხორებასა.

77. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: მრავალგზის გუებრძვინ რად ეშმაკი და ვერ უძლის ძლევად ჩუენდა, ვერცა აღასრულის ნებად თჳსი, მაშინ დაგტევენის ჩუენ და მოვიდის ჩუენ ზედა სხუად ეშმაკი მისსა მას ადგილსა, ხოლო ესევითარი ესე საქმე ესრეთ გულისწმად-ვყოთ: რაჟამს ვნებად რადმე გუებრძოდის და მერმე დაგტევენეს ჩუენ ვიდრე ჟამ რაოდენმე, და ესრეთ მეყსეულად იქმნას აღძრვად და აღდულებად მის ვნებისად, და უკუეთუ ჩუენცა არა მიზეზი გუეცეს უდბო[17vB]ბითა ჩუენითა, მაშინ გულისწმად-ვყოთ, ვითარმედ პირველისა მის ეშმაკისა ადგილსა სხუად უფიცხლესი ეშმაკი მოვიდა და ადგილი მისი მან აღმოავსო უკეთურებითა თჳსითა. ხოლო ესე რად იხილოს გონებამან, მეყსეულად

.....

1 შემწუველ A

2 დაეტევეს B

3 თირკუმელნი B

4 განაჯურვნა B

5 სულად და მსახურნი მისნი] - A

6 სწუავს B

7 არასადა] არა-რად B

მიივლტოდენ უფლისა მიმართ და მიილენ ჩაფხუტი იგი ცხორებისად და შეიმოსენ ჯაჭვ იგი სიმართლისად და იხადენ მახული იგი სულისად და ფარი სარწმუნოებისად აღილენ (ეფ.6,16-17) და იტყოდენ თვისისა მეუფისა მიმართ ცრემლითა მჭურვალითა:

78. უფალო იესუ ქრისტე¹, ძალო ცხორებისა ჩემისაო, მფარველ² მეყავ მე დღესა მას ბრძოლისა ჩემისასა და ვედრებასა ჩემსა შენდამი მოყავ ჩემდა ყური შენი; და მაშინ მარხვითა³ და მღვდარებითა შეიკრძალენ თავი [52rA] თვისი და ესრეთ ებრძოდენ წინააღმდეგომსა მას, ვიდრემდის უფალმან ყოს წყალობად თვისი⁴ და ძალითა თვისითამიერთა უკუნ-აქციოს იგი.

79. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: რაჟამს ეშმაკმან ნაყროვანებისა-მან ფრიად ილუანოს და ვერ შეუძლოს განხრწნად მოღუანებასა მას მონაზონისასა, მაშინ მოიყვანებს გონებასა მისსა უზეშთაესისა მოღუ-ანებისა სურვილსა და მოაგონებნ დანიელისსა და სამთა მათ ყრმა-თასა, თუ ვითარ მცირედითა მით თესლითა იყოფოდეს და სხუათა⁵ ვიეთმე განშორებულთა მოაქსენებნ, რომელთა დაეყვნეს დღენი მათნი მოღუანებათა⁶ მათ შინა ფიცხელთა, და აიძულებნ, რადთა მსგავს მათდა იქმნეს, რადთამცა ესრეთ იწყო უზომოსა მას მოღუანებასა და დაეცა- [18rB]მცა ზომითისა მისგანცა⁷, რაჟამს იგი არნ უფროდს ძალისად მისისა და ჯორცითაცა⁸ ვერ იტვრთავნ ჭამად, პირითა აკუროთხევენ და გულითა სწყევნ მზაკუვარი⁹ იგი ეშმაკი. და ამისთვს ვგონებ, რომელ არა კეთილ არს განყენებად პურისა და წყლისაგან ზომითისა, რომელი არა იყოს საზომსა მისსა, რამეთუ ესე ცხორებად მამათა გამოცადეს და პოვეს უცთომელად და უმჯობესად¹⁰ ესე, რადთა მიიღებდეს კაცი საზრდელსა ნაკლულევანად დღესა შინა ერთგვის და ყოვლადვე შიოდის, რაზომცა ძალ-ედვას ტვრთავად, რამეთუ ვერ შემძლებელ არს კაცი ორთა ამათ საქმეთა, - რადთამცა განძლებოდა პურითა და წყლითა და მიილო-მცა გვრგვნი იგი უვნებელობისად. ხოლო უვნებელობასა¹¹ არა მას ვიტყვ, რომელი დააყენებს საქმედ ცოდვასა, რამეთუ მას არა უვნებელობად ენოდების, არამედ წინააღმდეგომად, გარნა მას ვიტყვ უვნებელობასა, რომ-ელი ყოველთავე უჯეროთა გულისსიტყუათა სრულიად აღმოფხურიდეს¹² გულისაგან თვისისა, რომელსაცა სულიერად წინადაცუეთად სახელ-სდვა

.....

1 ქრისტე B
 2 დამფარველ B
 3 მარხვთა A
 4 თვისი A
 5 სხვათა A
 6 მოღვაწეზათა A
 7 მისგანმცა B] + რა A
 8 ჯორცითა B
 9 მზაკუარი A
 10 უცთომელად და უმჯობესად] უცთომელად B
 11 ხოლო უვნებელობასა] - B
 12 აღმოჭვხრიდეს B

მოციქულმან, და უკუეთუ ვინმე ურნმუნო იქმნებოდის სიტყუასა ამას ჩემსა ზედა, მოიჴსენენ დიდი იგი მოციქული ჰავლე, თუ არა შიმშილითა და წყურილითა აღასრულა სრბად თჳსი. ხოლო ამას ეშმაკსა მსგავს არს ეშმაკიცა იგი მონყინებისად, რომელ-იგი მოაგონებნ მონაზონსა დიდსა მეუდაბნოებასა და შთაუგდებნ¹ შურსა მიმსგავსებად ცხორებასა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისასა და თავისა მის ყოველთა განშორებულთადასა დიდისა ანტ[18vB]ონისსა, რადთა ესრეთ ვერ მოთმინე-იქმნეს² უზეშთაეს ძალისა თჳსისა საზომსა, და მერმე დაუტევის ადგილი იგი თჳსი და იქმნას³ დაუდგრომელ.

80. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ვეკრძალნეთ, ძმანო, სენსა მას ძჳრისმეტყუელებისასა და ნუმცა ვის მოყუასთა ჩუენთაგანსა ვაჴსენებთ ბოროტად, რამეთუ ყოვლადვე გჳმზირიან ჩუენ უკეთურნი იგი ეშმაკნი, გინათუ ვდგეთ, გინათუ ვწვეთ⁴, გინათუ უზნობდეთ და ისწრაფიან ამით⁵ საქმითა სრულიად წარწყმედად სულთა ჩუენთა.

81. თქუა კუალად: სჯიდი მარადის წულილადთაცა გულისსიტყუათა შენთა საყდარსა მას ზედა გულისა შენისასა, რადთა, რაჟამს ავაზაკთა მათ სიმჴნით მოსწყუედდე, მაშინ ავაზაკთმთავარი იგი შეშინდეს და ივლტოდის შენგან.

82. [52vA] თქუა კუალად: კაცი უცები და დაუნყნარებელი საცნობელთა თჳსთა მიერ შეიწყნარებს ისარსა ბრძოლისასა სულსა შინა თჳსსა, ხოლო ბრძენი და დაწყნარებული კეთილად დასცავს საცნობელთა თჳსთა და მძლე ექმნების მტერთა თჳსთა. ამისთჳს უკუე ჯედ სენაკსა შინა შენსა მოთმინებით, რადთა არა მოინინენ სულსა ზედა შენსა ბოროტნი საცნობელთაებრ შენთა.

83. თქუა კუალად: რაჟამს ცოდვათა შენთათჳს კეთილად ინანდე, მაშინ მოგიჴდებიან შენ ეშმაკნი მზაკუვარნი⁶ და მოღუანებათა⁷ შენთა დიდად აღგიჩენენ, ხოლო ცოდვათა შენთა მცირედ და მრავალგზის დაჰფარვენ მათ შენგან დავიწყებითა, ანუ დაგარნმუნებენ, ვითარმედ შენდობილ არიან, რადთამცა დაიჴსნა სინანული [19rB] შენი და არლარა იგლოვდი ცოდვათა შენთათჳს და რადთამცა არლარა იგუემებოდეს იგინი გლოვითა შენითა, ხოლო უკუეთუ ამათ ეგევითართა უკეთურებათა დაჴსნად გნებაჴს, უფრომსად განამრავლე გლოვად იგი შენი.

84. თქუა კუალად: ნუ დაივინყებ ცოდვათა შენთა, დაღაცათუ შეგენანენ⁸ იგინი კეთილად, არამედ იჴსენებდი მათ მარადის ტკივილითა და გლოვითა დიდითა, რამეთუ ესრეთ დამდაბლდეს სული შენი და ივ-

.....

1 შთაუგნდებნ A

2 მოთმინე-იქმნეს] + და B

3 იქმნის A

4 ვწუვეთ A

5 ამით] - B

6 მზაკვარნი A

7 მოღვაწებათა A

8 შეგენანენ A

ლტოდის ამპარტავანებისაგან.

85. თქუა კუალად: რომელსა ენებოს კეთილად სინანული ცოდვათა თვსთათვს, სწორად ბოროტთა მათ საქმეთა მოიგენ კეთილნიცა საქმენი, რამეთუ რომელი სწორად თითოეულისა ცოდვისა იქმოდის სათნოებასა, ესევეთარი-იგი აღლესულითა მით ისრითა სათნოებათადათა მოსწყლავს ვეშაპსა მას. ხოლო მკეცისა მის უმახვლესი საჭურველი ცუდადმზუაობრობად არს, რომლისა მიერ შრომათა მონაზონისათა ცუდ და ამარ იქმს, ხოლო უკუეთუ¹ ვინმე სიმდაბლითა და ფარულად ქმნითა² სათნოებათადათა სძლოს, ესევეთარი-იგი მიახლებულ არს შემუსრვად თავსა მას ვეშაპისასა.

86. თქუა კუალად: სულნელებანი იგი შრომათა შენთანი დაჰბეჭდენ ღუმილითა შენითა, რადთა არა განიხრწნენ იგინი ენისა მიერ და წარპარულ იქმნენ ცუდადმზუაობრობისა მიერ ურგებად.

87. თქუა კუალად: ვითარცა ცოდვათა შენთა დაჰფარავ კაცთაგან, ეგრეთვე სათნოებათა შენთა დაჰფარეველი მათგან, რადთა აღმკოცელნი³ იგი დაფარულთა მათ ცოდვათა შენთანი დაფარულვე [19vB] იყვნენ. უკუეთუ კულა ცოდვათა შენთა ყოვლით კრძალულებითა დაჰფარვიდე და მოღუანებათა⁴ მათ, რომელნი მათთვს მოგეგნენ, განუკრძალველად გამოაცხადებდე, უწყოდე, ვითარმედ ორკერძოვე სცთები და წინააღმდგომსა იქმ, რამეთუ გრცხუენის გამოცხადებად ცოდვათა შენთა, ვითარმედ ნუუკუე საყუედრელ და შეურაცხ იქმნა წინაშე კაცთა. გეშინოდენ უკუე სათნოებათა შენთა გამოცხადებად, ნუუკუე [იქმნას მაჩუენებლობად იგი სულსა შენსა წარმწყმედელ, და უკუეთუ საქმეთა მათ სირცხვლისათა ღმერთსა მხოლოსა ოდენ გამოუცხადებ, მაშა მოღუანებათა შენთა მასვე გამოუცხადებდი და ნუ კაცთა, ნუუკუე მათ ცოდვ[53rA]ანი შენნი არა იცოდიან და საქმენი იგი⁵, რომელნი სინანულად ცოდვათა შენთათვს გაქუნდენ, ეგონოს მათ, ვითარმედ გვრგვინისა მომატყუებელ არიან.

88. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: რაჟამს-იგი გესმოდის სწავლად მოძღურისაგან შენისა, ნუ იქმნები მსაჯულ საქმეთა მისთა, არამედ სიტყუათა მისთა კეთილად შეინყნარებდი, რამეთუ ესე ჩუეულება აქუს ეშმაკსა, რადთა არა გიტეოს სმენად და ქმნად სწავლათა მისთა, არამედ თუცა რადმე ექმნას, ვითარცა კაცსა, მას მოგაგონებდეს და გაგაკითხვებდეს, რადთა იქმნა მოსაჯულისა შენისა მსაჯულ და წამლისა⁶ მის წილ, რომელსა მოგცემდა ღმერთი მის მიერ საცხორებელად სულისა შენისა, მოიღე-მცა სასიკუდინე სულისა შენისა.

89. თქუა კუალად: ნუ ოდენ სათნოებასა მამათასა იტყვ სიტყვთ და მას [20rB] ზედა იხარებ, არამედ, უკუეთუ გნებავს, რადთა მათ თანა

.....
 1 უკუეთუ A
 2 ქმითა B
 3 აღმკოცელი A
 4 მოღაწებათა B
 5 იგი] + რამეთუ B
 6 წამლის B

დაემკვდრო, ისწრაფე შენცა მიმსგავსებად საქმეთა და ცხოვრებისა მათისა.

90. თქუა კუალად: რომელი გუამითა დაყუდებულ იყოს და ენითა ღუმნეს, ეგვევითარი იგი გულისსიტყუათა მიმართცა მწნე იყავნ, რამეთუ სიმწნე სულისა, არა ჳორცთა დაყუდებასა¹ ოდენ შინა გამოჩნდების, არამედ მწნედ წინააღმდგომასა² შინა გულისსიტყუათასა და მოთმინებასა შინა გინებისა და შეურაცხებისასა, რამეთუ სიმდაბლისა მიერ მოუძღურდებიან ყოველნი ღონენი ეშმაკისანი.

91. თქუა კუალად: იყავნ გონებად შენი ბრმა ბოროტთა გულისსიტყუათა და საქმეთა მიმართ, რამეთუ უფალმან განაბრძნვისნის ესევეითარნი ბრმანი, ხოლო კეთილთა მიმართ კეთილად და ფრთხილად მხედველ იყავნ იგი.

92. თქუა კუალად: უბნობასა შინა ნუ პირსა ოდენ, არამედ გულიცა შენი დაიცევ, რამეთუ მაშინ დაუბნელდების თვალი სულისა, რაჟამს გონებად სულმან მან მაჩუენებლობისამან წარიპაროს.

93. თქუა კუალად: ტანჯენ³ ჳორცნი შენნი მარხვითა, რადთა არა სიძვისათჳს ეტყოდის გული, არამედ პურისათჳს, რადთამცა განძლა ოდენ.

94. თქუა კუალად: ჟამსა ბრძოლისასა იღჳძებდი ძლიერად და ილოცვედი ცრემლითა მჳურვალთა, რადთა მოილო შეწენა ღმრთისაგან⁴.

95. თქუა კუალად: სიმაძღრემან საქმელთამან გამოზარდნის გულისსიტყუანი შეგინებულნი და სიგრძემან ძილისამან განამრავლნის უცნებანი. შემდგომად ჭამისა გულისთქუმად იგი და გემოდ საქმლისად უჩინო – იქმნის, ხოლო ბრძოლად იგი სიძვისად გულსა [20vB] შინა განძლიერდის⁵ და სტანჯავნ სულსა.

96. თქუა კუალად: გაქუნდინ მარადის ჳსენებად სიკუდილისად⁶, რადთა მან გიშვას შენ ჳსენებად სასჯელისა მის საშინელისა და სატანჯველთად, ხოლო ამათ მიგიყვანონ⁷ შენ შიშსა ღმრთისასა.

97. თქუა კუალად: უკუეთუ ჳქმნე ცოდვად რადმე და გამხილოს შენ შინაგანმან გონებამან შენმან, ნუ უგულებელს-ჳყოფ მას და ისმენ მტერისა⁸ შენისასა, რომელი-იგი მცირედ და არარად აღგიჩენდეს მას, რადთა ამის გამო არა მოხვიდე დიდთაცა ცოდვათა უგულებელს-ყოფად⁹.

98. თქუა კუალად: მარადის ეკრძალე ბოროტსა მას ჩუეულებასა მრავალმეტყუელებისასა, რამეთუ მას შინა დამკვდრებულ არს ეშმაკი იგი ტყუეილისად.

99. თქუა კუალად¹⁰ წმიდამან ბასილი, ვითარმედ: ბოროტისმყოფელთა

.....

1 დაყუდებათა B

2 წინააღმდგომსა B

3 ტანჯენ A

4 ღმრთისაგან B

5 განძლიერდის A

6 სიკუდილისა B

7 მოგიყვანონ A

8 მტერი A

9 უგულებელს-ჳყოფად B

10 კუალად] + მანვე A

შენთა მიმართ ნუ ძვრის[53vA] მოკსენე ხარ, არამედ აკურთხევედი¹ მათ, რადთა ეშმაკთა მიმართ ძვრისკსენებასა და მტრობასა ზედა შეგენიოს შენ უფალი.

100. თქუა კუალად: ეშმაკმან სიძვისამან მონაზონსა მოლუანესა და-ღაცათუ მიამთხვის ისარი იგი გულისსიტყუათად, გარნა მალე ივლტინ² მისგან, რამეთუ ცეცხლისა მის მჭურვალეებასა და მოლუანებისა მისისასა ვერ თავს-იდებნ, უკუეთუ კულა დაჰქსნის მან მარხვად და მოლუანებად იგი თვისი. მერმე მოვიდის გულისზრახვად მისსა გულისთქუმათა მათთვის საძაგელთა, რადთამცა ესრეთ აღეგზნა მის შორის ცეცხლი იგი ვნებათად და წარტყუნა გონებად მისი და მერმე რადთამცა ა[21rB]ლასრულა მის შორის საქმე უშჯულოებისად.

101. თქუა კუალად მანვე წმიდამან ბასილი: ბოროტ არს წურთად გულისსიტყუათა ბოროტთად, და უბოროტეს და ძნიად განსაკურნებელ არს, უკუეთუ შე-ცა-ექმნას ჩუეულებად და შრომად ფრიადი უკმს მოწყუე-დასა და დავინყებასა მისსა. ამისთვის ჯერ-არს, რადთა პირველვე გემინო-დის და ივლტოდი წურთისაგან ბოროტთა და შეგინებულთა გულისსი-ტყუათა, რადთა არა იქმნას გონებად შენი შესაკრებელ³ საძაგელებათა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „კრებულსა შორის ბოროტსა აღეგზნას ცეცხლი“ (ზირ.16,6). ხოლო, რაჟამს-იგი გულისსიტყუათა მათ ბოროტთა წურთასა დაეჩვის გონებად შენი, მერმე, მაშინ კადნიერად მოგიკდებიან ეშმაკნი და განგაჯურვიან შენ ძლიერად⁴ და მოგაგონებდიან ხატთა მათ, რომელნი-იგი გენახნიან ოდესცა, ანუ რომელი-იგი თვთ მათვე ეჩუენის შენდა ძილსა შინა და გემოსა მას საძაგელისა მის საქმისასა გაუცნებ-დიან და დაგიტკობდიან და წულილ-წულილად მოგაგონებდიან კერპთა მათ განმაჯურვებელთა და საცთურებისათა და სასონარკუეთილ გყოფ-დიან, ვითარმედ ვერ შესაძლებელ არს ბუნებითისა ამის მჭურვალეებისა მოთმენად⁵ და წინააღდგომად, ანუ ვიდრემდის იწყო ბრძოლასა ამას შინა და ჭირსა, მერმე განცხადებულად აღაგზნის შენ შორის საჭმილი იგი ჯორცთა განჯურვებისად და გეტყოდიან, ვითარმედ: უკუეთუ ვერ იტვრთავ მჭურვალეებასა მას ჯორცთასა, რამეთუ გონებად შენი [21vB] ეს-რეთ არს: დაღაცათუ დღეს სცოდო, არამედ ხვალე შეინანო, რამეთუ სახიერ არს ღმერთი და შეინყნარებს მონანულთა და სახედ მოიხუნიან ვიეთნიმე მოლუანეთაგანნი დაცემულნი და კუალად აღდგომილნი სინან-ულითა, რადთა ესრეთ ვრცელ-ყონ სიტყუად მათი⁶ და განზრახვად⁷ იგი საცთურისად, რადთა ესრეთ სასოებითა მით სინანულისადათა ყონ ტაძარი იგი ქალწულებისად სამეძვო, და ესრეთ სტვნივიდიან ბოროტნი იგი და

.....

- 1 აკურთხევედ A
- 2 ივტინ A
- 3 შესაკრებელთა B
- 4 ძლიერად A
- 5 მოთმინე B
- 6 მათი] მიმართი B
- 7 განზრახუად A

მზაკუვარნი¹ გუელნი გულსა შინა კაცისასა.

ხოლო შენ, მ კაცო, რომელი-ეგე დაიბადე კეთილად და გონიერად, ნუ სცთები მიზეზითა სინანულისადათა და სასოებითა მით უცნაურითა, რამეთუ მრავალნი დაეცნეს და მეყსეულად წარტაცებულ იქმნეს სიკუდილისა მიერ, და რომელნიმე ვითარცა საკრველითა რკინისადათა შეკრულ იქმნეს გულისთქუმისა მის მიერ, ანუ არა უწყი, უკუეთუ გაქუნდენ-ლა დღენი ანუ არა, რადთამცა შეინანე, არამედ ჟამსა მას ესევითართა გულისსიტყუათასა დღე იგი სიკუდილისადა მოიჯსენე და მას ინურთი-დი და გამოსახე გულსა შენსა სამ[54rA]ინელი იგი დღე სასჯელისადა, რადთა ესრეთ მჭურვალებადა იგი ჳორცთადა დაშრიტო, რამეთუ სხჳთა სახითა ვერ შემძლებელ ხარ დამდოვრებად ვნებათა მათ ჳორცთასა, გარნა რაჟამს იწყო კუალად წურთად მერმეთა მათ სატანჯველთა და ტკივილთა მათ გამოუთქუმელთა.

102. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ნუ იმკუები სამოსლითა შუენი[22rB]ერითა, რადთა არა შეიმოსო ეშმაკი ცუდადმზუაობრობისადა, რადთა არა შუენიერებითა სამოსლისადათა შეიმკუებიან² სათნობანი, არამედ შუენიერებითა შრომათადათა ოქროვან იქმნების სული, არამედ შეიმოსე შიში ღმრთისადა და ჳსენებადა სასჯელისა მის საშინელისა და სატანჯველთა მათ გამოუთქუმელთადა, რადთა შიშითა ღმრთისადათა შეიმოსო შენ სამოსელი იგი სიმდაბლისა და მოლუანებისადა და ბრძენ იქმნე შენ ბრძოლასა მტერთა ბოროტთასა, რამეთუ „შიში ღმრთისადა დასაბამი არს სიბრძნისადა“ (იგავ. 9,10).

103. თქუა კუალად: იყვნედ ძალ სიტყუათა შენთა საქმენი შენნი, რამეთუ ვითარცა უძნელეს არიან საქმენი სიტყუათასა³, ეგრეცა უმჯობეს არიან, რამეთუ რაჟამს საქმენი კეთილ იყვნინან, მაშინ სიტყუანიცა⁴ ბრწყინვიდიან, ხოლო უკუეთუ საქმენი არა ჩნდენ, სიტყუანი ძალსა მათსა ვერ შემძლებელ არიან აღსრულებად.

104. თქუა კუალად: რაჟამს დღისა მარხვისა და დაყუდეებისა შენისასა მოვიდეს შენდა ძმად, ნუ დაგიძიმდების ვითარცა დამახრწეველი კეთილისა საქმისადა და ამის გამო მოხვიდე სიძულილად და წარწყმიდო სული შენი, არამედ უფროდსად შეიწყნარე იგი, ვითარცა უფალი ღმერთი შენი, მცნებისაებრ უფლისა, და ფრიად ეკრძაღე სიძულილსა.

105. თქუა კუალად: ოდესმე ეშმაკნი შრომათა ჩუენთა დიდად აღგჳჩენენ და კუალად ოდესმე მცირედ და უნდოდ ჰყოფენ მას წინაშე ჩუენსა და ვითარმედ არარად გუერგების ჩუენ მათგან [22vB], რადთა ანუ პირველთა მათ გულისსიტყუათა მიერ ამჳარტავანებად მოგჳყვანენ, ანუ მეორეთა მათ მიერ - სასწონარკუეთილებად, რამეთუ რომელნი იხილნენ, ვითარმედ დაჳსნილებისა მიმართ არა მიდრკებიან, მათ დიდად აღუჩენენ მოლუანებათა მათ მათთა, რადთამცა ამის მიერ ზუაობდეს. კუალად, რომელნი

.....
1 მზაკუვარნი A
2 შეიმკვებიან B
3 სიტყუათასა A
4 სიტყუანიცა A

იხილნენ, ვითარმედ ამპარტავანებისა მიერ არა მიდრკებიან, მოუჭდებიან მათ და ეტყვიან, ვითარმედ არა სარგებელ ეყოფვის მათ შრომათა მათაგან, ჭირსა ოდენ თავს-იდებენ, რადთა ესრეთ დაჰქსნან იგინი და მოიყვანნენ უდბობად და სასონარკუეთილებად. ხოლო ჩუენ, რაჟამს-იგი გულისსიტყუანი შრომათა დიდად აღგზჩენდენ ჩუენ, განვდევენეთ იგინი ჩუენგან და მოვიქსენნეთ ცოდვანი ჩუენნი და ესრეთ დავამდ-აბლოთ სული ჩუენი; და კუალად, რაჟამს-იგი შრომათა დაამცირებდენ, ვითარმედ არარად სარგებელ გუეყოფვის ჩუენ მათგან, მაშინ ჩუენ რა-ზომცა ძალ-გუედვას, გულისკმა-ვყოთ მოწყალებად და კაცთმოყუარებად ქრისტესი და სახიერებისა მისისა სიმდიდრე მოვიქსენოთ და ძალისაებრ ჩუენისა გულსმოდგინედ ვშურებოდით.

106. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: რაზომცა შრომანი შენნი განამრავლნე, ეგზომცა გამოეძიებდი გონებასა შენსა და ხედვედი გულის-სიტყუათა¹ შენთა, ნუუკუე უცნაურად წარგიტაცონ ავაზაკთა მათ [23rB] მწარეთა და დაგარწმუნონ, ვითარმედ დიდ არიან მოღუანებანი და სათნოებანი შენნი და მაგათ მიერ მიწევნულ ხარ საზომსა დიდსა, რამეთუ ესევიტარი ზაკუვად² მრავალთა [54vA] დაირწმუნეს და ამისთვის გონებანიცა მათნი წარწყმიდნეს.

107. თქუა კუალად: მრავალგზის გუენების, რადთამცა სინმიდით და მჭურვალეებით აღვასრულეთ ლოცვად ჩუენი და ფრად აღვიძულნეთ³ თავნი ჩუენნი და ვერ შეუძლით; და მოვიდის კუალად სხუად ჟამი მრავალგზის და ჩუენ არა აღვიძულვიდით თავთა ჩუენთა, არამედ თვთ თავით თვსით შემოვიდის წმიდად იგი ლოცვად სულსა ჩუენსა მჭურვალეებითა საღმრთოთა⁴ და პირველი იგი იქმნების ჩუენისა ვნებულებისაგან, ხოლო მეორე ესე - მადლისაგან ღმრთისა, რამეთუ გუას-ნავებს ჩუენ სინმიდესა სულისასა და კუალად, რადთა ორთა მათ საქმეთა მიერ ვისწაოთ, ვითარმედ არა ჩუენისა ძალისაგან მოგუეცემის ჩუენ მჭურვალე ლოცვად, არამედ რადთა ვიცნობდეთ მომნიჭებელსა მას ესევიტართა მათ კეთილთასა, რამეთუ ჩუენ თუ რად ვილოცოთ, ვითარცა ჯერ-არს, არა ვიცით, ხოლო რაჟამს ვისწრაფდეთ წმიდა-ყოფად ლოცვისა ჩუენისა და ვერ ძალ-გუედვას, მაშინ დავალტვნეთ ცრემლითა ღანუ-ნი ჩუენნი და ღმერთსა ვევედრნეთ, რადთა განდევნოს ჩუენგან ბნელი იგი უგულისკმობისა და ბრძოლისა და გამოგვბრწყინვოს⁵ ნათელი [23vB] იგი მისმიერი გულისკმისყოფისა და მჭურვალეებისა.

108. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ნეტარისა წინადაწარმეტყუელისა დავითის მიერ ვისწავეთ⁶ კეთილად, თუ სადა არს ადგილი ღმრთისად, რამეთუ იგი იტყვს, ვითარმედ: „იყოს მშვდობით ადგილი მისი და

.....
 1 გულისსიტყუასა A
 2 ზაკუად B
 3 აღვიძულნით A
 4 საღმრთოთა B
 5 გამოგვბრწყინვოს A
 6 ვისწავეთ] ვისწრაფეთ B

სამკვდრებელი მისი სიონს“ (ფს.75,3). ამისთჳს უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ადგილი ღმრთისად არს სული სიტყვერი და სამკვდრებელი¹ მისა არს გონებად განათლებული, რომელსა გულისთქუმანი სოფლისანი უვარყვენ² და სათნო-ყოფად ოდენ ღმრთისა ისწრაფდეს.

109. თქუა კუალად: ვითარცა წყალი აღმრლუეული არა დაწმდების, უკუეთუ არა დაიდგას იგი³ ერთსა ადგილსა უძრავად და ესრეთ დაწყნარდეს⁴, ეგრეთვე ცხორებად მონაზონისა არა განწმდების⁵, უკუეთუ⁶ დიდითა მოთმინებითა არა დაეყუდოს და იყოფოდის დუმილითა კეთილითა, რამეთუ მრავალმეტყუელებადცა აღსძრავს სულსა და ჭამა და ძილი ფრიადი განაზრქელებს გონებასა და სიცილი კუალად ეგრეთვე დააბნელებს სულსა და უბნობად და ხედვად მრავალთად სრულიად განაქარვებს გლოვასა. ხოლო დაყუდებულსა ჭეშმარიტსა უკმს ამის ყოვლისაგან განშორებად და მერმე იხილოს ძალი და სარგებელი დაყუდებისად.

110. თქუა კუალად: მოსწრაფებად და სურვილი კეთილთა⁷ [24rB] საქმეთად და მოკუდინებად ჳორცთად - ესენი შობენ ცრემლთა. ცრემლნი განსწმედენ სულსა ცოდვათაგან.

111. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ტკბილ არს ჳორცთა გულისთქუმად, არამედ მწარე არს ცეცხლი იგი საუკუნოდ და ბნელი იგი გარესკნელი. კუალად ძნიად წარსამართებელ არიან სათნოებანი, არამედ ტკბილ არს და გამოუთქუმელ ცხორებად იგი საუკუნოდ.

112. თქუა კუალად: ვითარცა შეუძლებელ არს ალყვანებად წყლისად აღმართ, უკუეთუ არა⁸ დაყვენეს კაცმან მაგრად ყოველნი განსავალნი მისნი და შეაინროს იგი, რომელ ვერ-სადად⁹ შემძლებელ იყოს განსლვად, ეგრეთვე შეუძლებელ არს კაცისა ალყვანებად გონებისად ზეცად [55rA] და შეყვანებად მისი კრებულსა მას თანა უჯორცოთასა, უკუეთუ არა განიწმიდოს გონებად თჳსი ყოვლისაგან ვნებისა და დასთესოს მის შორის კეთილი იგი თესლი სათნოებათად.

113. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: ვითარცა შეუძლებელ არს წყალსა შინა აღმრლუეულსა ხილვად ხატისა თჳსისა, ეგრეთვე შეუძლებელ არს მოღებად და ხილვად მადლისა ღმრთისად სულსა შინა¹⁰ თჳსსა, უკუეთუ არა დააწყნაროს კაცმან გონებად თჳსი და წმიდა-ყოს ყოვლისაგან ვნებისაგან და ზრუნვისა ამის სოფლისა.

114. თქუა კუალად: ვითარცა შეუძლებელ არს აღშენებად გოდლისა თჳნიერ ჳელოვნისა, ეგრეთვე შეუძლებელ არს სიმდაბლისა ჭეშმარიტისა

.....
1 სამკვდრებელ A

2 ეყუნენ A

3 იგი] - B

4 დაწყნარდეს B

5 განწმდების B

6 უკეთუ B (ყოველთვის)

7 კეთილთასა B

8 არა] - B

9 ვერ-სადად] სადათ + ვერ B

10 შინა] შორის A

მოგებად თვნიერ მოთმინებისა, ბრძოლისა და ღვანლისა ფრიადისა.

115. [24vB] თქუა კუალად: ვითარცა ხემან უკუეთუ არა დაყვის მიწასა შინა ჟამი რაოდენიმე და მოირწყის ნჯმისა მიერ მრავალგზის, ვერ ძალ-უც გამოღებად ნაყოფისა, ეგრეთვე კაცმან, უკუეთუ არა მოითმინეს ჭირნი და განსაცდელნი მრავალნი ჭემმარიტებისათს, ვერ გამოიღოს მან ნაყოფი იგი წმიდად სიმართლისად.

116. თქუა კუალად: რომელი ივლტოდის¹ განსაცდელისაგან, რომლისა მიერ იქმნებოდის სარგებელი სულისად, იგი ივლტის ცხორებისაგან სულისა თვისისა და კეთილთაგან საუკუნეთა; და რომელმან არა თავს-იდვას ჭირი უფლისათს, ვერ იხილოს მან სასძლოდ იგი ქრისტესი.

117. თქუა კუალად: ვითარცა წყალი ზრდის ნერგსა, ეგრეთვე ჭირი, რომელი² იქმნებოდის სიმართლისათს, ზრდის სულსა კაცისასა.

118. თქუა კუალად: რომელმან არა დაიმონნეს ჯორცნი თვისნი და აჭირვოს მათ, არამედ აღასრულებდეს გულისთქუმათა³ მათ მათთა, ეგევითარი-იგი ვერ დაჯდეს სერობასა მას ჭემმარიტებისასა და ვერცა შეიმოსოს მან სამოსელი იგი ნათლისად.

119. თქუა კუალად: ვითარცა სიბნელისა მის ბრმათადასა არა არს მიზეზ მზე, არამედ უძღურებად იგი თუალთა მათთა არს მიზეზ სიბნელისა, ეგრეთვე რომელი გამოჭუებულ იყოს მზისა მისგან სიმართლისა, თავსა თვისსა აბრალებდინ იგი, რამეთუ ამაოებისაგან ცხორებისა თვისისა მოიწია ესე მის ზედა.

120. თქუა კუალად: ვითარცა წყარო გან-რად-წმდის ნივთთაგან და სიღ-ნიოშეთა [25rB] მათთაგან, მის ზედა მდებარეთა, მაშინ აღმოაცენებს წყალსა წმიდასა, ეგრეთვე⁴ გონებად გან-რად-წმდეს გულისწყრომისა-გან და ძვრისცენებისა და ზრუნვათაგან ჯორციელთა, მაშინ ჰპოვებს გულისჯმისყოფასა მას წმიდასა და საღმრთოსა და სურვილი იგი საღმრთოდ განძლიერდების მის შორის.

121. თქუა კუალად: ვითარცა რომელმან იწყოს სღვად გზასა და არა აღასრულოს სრბად თვისი, არამედ განზოგებასა ოდენ გზისასა დასცხ[რ] ეს⁵, საკიცხელ და საცინელ იქმნას იგი, რამეთუ ორთაგანვე სადგურთა გამოეჭუა, ვინადთგან გამოვიდა და სადა-იგი მივიდოდა, ვერ მივიდა. ეგრეთვე, რომელმან იწყოს სღვად გზასა მას მოღუანებისასა და აღ-სრულებად შჯულსა უფლისასა, უკუეთუ არა აღასრულოს სრბად იგი თვისი, იქმნეს იგი საცინელ და საკიცხელ ეშმაკთა და გამოვარდეს იგი ცხორებისა მისგან [55vA] საუკუნოდსა.

122. თქუა კუალად: ვითარცა სასწორი არა განსწორდების, რაჟამს ერთი იგი კერძი უძმიმე იყოს, ეგრეთვე შეუძლებელ არს მცნებათა ღმრთისათა⁶

.....
 1 ილვტოდის A
 2 რომელიმე B
 3 გულისთქუმათა] თქუმათა B
 4 [ე]გრეთვე B
 5 დასცხერ B
 6 ღმრთისა B

ნარმართებად, რაჟამს ნებად იგი ჳორცთაჲ უფლებულ იყოს კაცისადა.

123. თქუა კუალად: რომელსა არა აქუნდეს ლოცვაჲ ნმიდაჲ, მას არა აქუს საჭურველი ბრძოლად მტერისა.

124. თქუა კუალად: ვითარცა ცეცხლმან მოწუნის მალნარნი, ეგრეთვე სიმჭურვალემან ჭემმარიტისა სინანულისამან - სიმრავლე ცოდვათაჲ.

125. [25vB] თქუა კუალად: ნუ იტყჳ, ვითარმედ ქრისტიანე ვარ და განვერე საუკუნოდსა¹ მის ცეცხლისაგან, რამეთუ სარწმუნოებამან და ნათლისღებამან ვერ გიწნას შენ მისგან თჳნიერ საქმეთა სიმართლისათა, რამეთუ უკუეთუ გრწამს ქრისტე, დაიმარხენ მცნებანი მისნი; და უკუეთუ გრწამს საუკუნეთა მათ საქმეთათჳს, ისწრაფე² და მოიგენ საქმენი, რომელთა მიერ ღირს-იქმნე შესღვად ცხორებასა მას საუკუნოსა. უკუეთუ კულა მცნებათა ქრისტესთა არა იქმ, ნუ ცუდად სახელ-სდებ თავსა შენსა მორწმუნედ.

126. თქუა კუალად ნმიდამან ბასილი: ეშმაკი საჭურველად ბრძოლისა ჩუენისა ჩუენდა მომართ ჩუენთავე ასოთა აღიღებს და მათ მიერ მოსწყლავს სულთა ჩუენთა³, რამეთუ უკუეთუ თუალნი ჩუენნი ბოროტსა არა ხედვიდენ და ყურთა ჩუენთა სავნებელი არა ესმოდის და ჳელნი ჩუენნი ბოროტსა არა მიეახლნენ და გონებაჲ ჩუენი უკეთურთა მათ განზრახვათა მისთა არა შეინყნარებდეს, ამო იქმნების ყოველივე ძალი და ბრძოლა მისი; და რაჟამს მოვიდეს ბრძოლად ჩუენდა და იხილოს, ვითარმედ შინაგანმცემელი გულისსიტყუაჲ ჩუენ შორის არა არს, რომელმანმცა განულო მას კარი და ასოთა ჩუენთა მიერ შეწევნა არა ჳპოოს⁴, ვერ შეუძლებს ვნებად ჩუენდა, რამეთუ ვითარცა ქალაქსა, მთასა ზედა მაღალსა აღშენებულსა და ზღუდეთა მიერ ძლიერთა მოზღუდვილსა, რომელისა გარემო იყვნიან ჳევნი ღრმანი და კლდენი მაღალნი, ესე ვითარსა მას ქალაქსა [26rB] მბრძოლნი ვერ შემძლებელ არიან გამოღებად, უკუეთუ ვინმე შინაგან არა იპოვოს, რომელმან განულოს მათ კარი, ეგრეთვე, სულსა, შიშითა და მადლითა ღმრთისათა შეზღუდვილსა, ვერ შემძლებელ არიან ეშმაკნი წარტყუნვად და არცა ყოვლაღვე აქუს ჳელმწიფებაჲ ვნებად, უკუეთუ თჳთ არა გულისსიტყუამან რომელმანმე არა განულოს კარი და შეიყვანნეს ბოროტნი იგი მბრძოლნი შინაგან და განსცეს⁵ ქალაქი იგი დიდი და პატივცემული⁶ უფლისა მიერ, რომელ არს სული კაცისაჲ.

127. თქუა კუალად ნმიდამან და ღმერთშემოსილმან ბასილი: სულსა, რომელსა ღმერთი უყუარდეს⁷ და სურვილითა⁸ მისითა შეინუებოდის, სურვილმან ყოს იგი უზეშთაეს ბუნებისა ჳორცთასა და აღატყინოს მის

.....
1 საუკუნესა B (ყოველთვის)
2 ისწრაფენ B
3 ჩვენთა A
4 პოს A
5 განცეს A
6 პატივცემული B
7 უყვარდეს A
8 სურვილითა] + მით B

შორის ცეცხლი იგი ზეცისად, არა შემწეველი, არამედ განმანათლებელი და მიერთგან უჩნდეს მას ყოველივე ჭირი ჯორციელი სიხარულად და შუებად და განსუენებად; მან სურვილმან და ტრფიალებამან საღმრთო-მან გამოზარდის იგი საზრდელითა მით სულისა წმიდისადათა და მორწყოს ნაყოფი მისი წყლითა მით ცხოველითა და შე[56rA]ჰმოსოს¹ სამოსელი იგი ნათლისა და მისცნეს ფრთენი ოქროდსანი და ასწაოს მას ფრინვათა კეთილი და აღსლვათა უზეშთაეს ცათასა და უჩუენოს მას ტრფიალი იგი და სასურველი მისი; რაზომ-იგი შემძ[26vB]ლებელ იყოს ხილვად და ხედვითა მით ესევეითარითა უფროდსად აღაორძინოს სურვილი მისი და უმეტესად და უმაღლესად აღატყინოს ალი მისი და სიმძაფრე სიყუარულისა მისისად, რამეთუ რომელი მოიწყლას ისრითა მით სიყუარულისა მისისადათა, რაზომცა საღმრთოსა მას და მიუნდომელსა² შუენიერებასა გულისჰმა-ჰყოფდე[ს], უმეტესად ემატების წყლულებასა მას სიყუარულისა მისისასა და რაზომცა ისწრაფდეს სურვილითა მით მისითა განძლო-მად, ეგეზომცა განუძლომელ იქმნების იგი, რამეთუ გულისთქუმათა მათ ჯორციელთა შეუდგს განძლომად, ხოლო საღმრთოდ იგი სურვილი რაზომ-ცა მიეცემოდის, ეგეზომცა განუძლომელ არს.

ესევეითარი იყო დიდი იგი შჯულისმდებელი³ მოსე, რომელი მრავალგზის ღირს-იქმნა ხილვასა მას ღმრთისასა, ვითარცა შესაძლებელ არს ხილვად ბუნებასა მას კაცობრივსა, და ორმეოცსა დღესა შინაგან ნისლსა იყოფვოდა⁴ და საღმრთოდ იგი შჯული მოილო და ამას ყოველსა ზედა არათუ არა განძლა ოდენ მისითა მით სურვილითა, არამედ უფროდსად განმრავლდა მისი იგი სურვილი და დაითრო იგი მისითა მით სიყუარულითა ძლიერად და დაავინყდა მას თჳსი იგი ბუნებად და სუროდა ხილვად, რომლისა-იგი არა შესაძლებელ არს ხილვად და ე[27rB]ტყოდა ღმერთსა: „აჰა ესერა, შენ მეტყჳ მე, უფალო, ვითარმედ: გიპოვნია⁵ მაღლი წინაშე ჩემსა და გიცი შენ უფროდს ყოველთასა. უკუეთუ მიპოვნის მაღლი წინაშე შენსა, გამომიცხადე მე თავი შენი, რადთა გიხილო შენ, მეუფეო, ცხადად“ (გამ. 33,12-13). ესრეთ დამთრვალ იყო იგი სიყუარულითა ღმრთისადათა და⁶ სიმთრვალემან მან წყურილი მისი ვერ დაშრიტა, არამედ უფროდსად განაფიცხა და სიმთრვალე⁷ სასუმელისა მის საწადელისად ექმნა აღმაორძინებელ წყურილსა მას საღმრთოსა, რამეთუ, ვითარცა ცეცხლი რაზომსაცა ნივთსა მიიღებდეს, უფროდსად განძლიერდების, ეგრეთვე სიყუარული ღმრთისად საღმრთოთა მათ საქმეთა ხედვითა უმეტესად განძლიერდების და აღორძინდების სურვილი იგი, და რაზომცა ვინ იქცეოდის მას შინა, ეგეზომცა უმაღლესად ამაღლდების

.....
 1 შემოჰსოს B
 2 მიუწითომელსა B
 3 სჯულისმდებელი A
 4 იყოფვოდა A
 5 გიპოვნია A
 6 და] - B
 7 სიმთრვალე B

ალი მისი.

ამისთვისცა¹ ქებასა² შინა ქებათასა წერილ არს, ვითარმედ: „მიჩუენე მე პირი შენი და მასმინე ჳმად შენი, რამეთუ ჳმად შენი ტკბილ არს და პირი შენი შუენიერ“ (ქებათა ქება 2,14). ამით სიყუარულითვე აღევზნა გული ღმერთშემოსილისა მოციქულისა პავლესი, რომლისათჳსცა იტყოდა: „ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, [შიშულოებამან ანუ ურვამან] ანუ მახჳლმან“ (რომ. 8,35)? და შემდგომი ამისი, ვითარცა წერილ არს, და კუალად, ვითარმედ: „შენთვის მოვწყდებით³ ჩუენ მარადდღე და ვიქმნენით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი“ (ფს. 43, 22) [27v]. მერმე კუალად გამოაჩინა მიზეზი იგი მოთმინებისად, რამეთუ თქუა, ვითარმედ: [56vA] ამას ყოველსა ზედა ვძლევთ მის მიერ, რომელმან-იგი შემიყუარნა ჩუენ ღმერთმან, რამეთუ უკუეთუ მოვიჳსენოთ და გულისჳმა-ვყოთ, თუ ვითარ ვიყვენით, ანუ ვითართა კეთილთა ღირს-ვიქმნენით ღმრთისა მიერ და, რამეთუ არა ჩუენ იგი შევიყუარეთ, არამედ მან ჩუენ შემიყუარნა. ჩუენ იგი მოვიძულეთ, არამედ მან ფრიად შემიყუარნა ჩუენ. მტერ ვიყვენით და დავეგენით მას და არათუ ჩუენ ვინებთ დაგებად მისა, არამედ თჳთ⁴ მხოლოდშობილი იგი ძე ღმრთისად გარდამოჳდა ჩუენდა მომართ და დაგუაგნა თავსა თჳსსა; და შეცოდებულთა ამათ მონათა მომართ მეუფე იგი დიდებისად მოვიდა და თავს-იდვა ჩუენთვის ვნებად, ჯუარცუმად და სიკუდილი⁵ და მოგუანიჳა ჩუენ სასოებად იგი აღდგომისად. უცოდველი იგი ჩუენ ცოდვილთა თანა დაისაჯა, რადთა ჩუენ მივიღოთ სიმართლე იგი ღმრთისად. მდიდარი იგი ჩუენთვის დაგლახაკნა, რადთა ჩუენ მისითა მით სიგლახაკითა განვმდიდრდეთ (2კორ.8,9), და ჩუენთვის წყევასა ქუეშე იქმნა, რადთა ჩუენ წყევისაგან განვთავისუფლდეთ (გალ. 3,13), და დაიმდაბლა თავი თჳსი⁶ ჩუენთვის და იქმნა მორჩილ ვიდრე სიკუდილამდე და სიკუდილითა მით ჯუარისადათა (ფილიპ. 2,8) და ბევრეულნი იგი ვნებანი თავს-ისხნა ჩუენთვის, რადთა ჩუენ აზნაურებად მოგუანიჳოს, რომლისათჳსცა წინამდწარმეტყუელი ესაია პირველადვე ღაღადებდა, ვითარმედ: „იგი მოიწყლა [28rB] ცოდვათა ჩუენთათჳს და იგუემა უშჯულოებათა ჩუენთათჳს. სწავლულებად მშჳდობისად მოგუეცა ჩუენ მის მიერ. წყლულებითა მისითა ჩუენ ყოველნი განვიკურნენით. ყოველნი, ვითარცა ცხოვარნი, შევცვითთ და იგი მხოლოდ მიეცა ცოდვათა ჩუენთათჳს, და ტანჯვისათჳს არა აღაღებდა პირსა თჳსსა. ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა უჳმობელად, ესრეთ არა აღაღებდა პირსა თჳსსა, სიმდაბლითა თჳსითა სასჯელი მისი მიეღო და თესლტომი მისი ვინ-მე მიუთხრას? რამეთუ

.....
1 ამისთვის B
2 ქებათა A
3 მოვსწყდებით B
4 თჳთ] - B
5 სიკუდილი B
6 თჳსი] - B

აღებულ არს ქუეყანისაგან ცხორებად მისი. უშჯულოებათათჳს ერისათა¹ მიეცა იგი სიკუდილად², რა უკუე მივაგოთ მას ამის ყოვლისა წილ“ (ეს. 53,5-9)? რამეთუ ჩუენ ვერარადასა ძალ-გვც მიგებად³, არამედ რადთა შე-ვიყუაროთ⁴ იგი და დავიმარხნეთ მცნებანი მისნი და ესრეთ დავიმკვდროთ ცხორებად საუკუნომ სახიერებითავე მისითა, რამეთუ მისი არს დიდებად უკუნითიუკუნისამდე, ამენ!

128. თქუა კუალად წმიდამან ბასილი: რაჟამს გებრძოდის გულის-სიტყუად რომლისამე ცოდვისა მიმართ და იძლეოდ⁵ მისგან, მაშინ მოიქსენე საშინელი იგი და შესაძრწუნებელი და მოუთმენელი ქრისტეს სასჯელი, რაჟამს დაჯდეს მსაჯული იგი საყდართა ზედა მაღალთა და დიდებულთა და წარმოდგომილ იყვნენ წინაშე მისსა ყოველნი დაბადე-ბულნი და ძ[28vB]რწოდინ⁶ გამოჩინებისა მისგან მისისა დიდებულისა [57rA], მაშინ მოვიდოდით თითოეული განსჯად საქმეთა ჩუენთა⁷, ხოლო რომელსა ექმნენ⁸ მრავალნი ბოროტნი ცხორებასა ამას, მაშინ წარმოუდ-გენ ანგელოზნი საშინელნი და ბრწყინვალენი, რომელნი ცეცხლებრ ხე-დვიდენ და სამშვნელით მათით ცეცხლსა გამოუტეობდენ სიმწარისაგან გონებათა მათთადასა; პირნი მათნი მსგავს იყვნენ ბნელისა⁹, მრისხანები-თა მით და კაცთმოძულებითა,¹⁰ და სხუანი კუალად ბრწყინვალეებითა შე-მოსილნი, რომელნი ლახუროსანნი და ჳრმლოსანნი¹¹ ელვარენი, ალითა შემოსილნი, რომელთა ხილვად საზარელ იყოს, რომელნი-იგი ისწრაფდენ და ასწრაფობდენ დასასჯელსა მას სულსა და რისხვით მოჰჳდიდენ თა-ნანადებსა მას.

მერმე მოიგონე მთხრებლი იგი ღრმად და ბნელი და დაუღევენელი და ცეცხლი უნათლოდ ბნელსა მას შინა, რომელსა აქუნდეს ძალი იგი დაწუვისად¹², ხოლო ნათელი მისგან მიღებულ არს; მერმე კუალად ნათე-სავი მატლთა მათ წამლიანთა ჳორცისმჭამელთა, რომელი-იგი მარადის ჭამს და არღოდეს განძღების და მოუთმენელსა ტკივილსა მოატყუებს ჭამითა მით მისითა. მერმე მოიქსენე ყოველთა¹³ უფიცხლესი იგი და უბოროტესი სატანჯველი - ყუედრებად იგი და სირცხვლი საუკუნომ. ამის ყოვლისაგან გეჴინოდენ და ამით განი[29rB]სწავლებოდე და ვითარცა აღჯრითა, ეგრეთ აყენებდი სულსა შენსა გულისთქუმისაგან ბოროტთა

1 ერისა B
 2 სიკდილად B
 3 მოგებად B
 4 შევიყუაროთ B
 5 იძლეოდის B
 6 ძწოდინ B
 7 ჩუენა B
 8 ექმნენ B
 9 ბნელსა B
 10 კაცთმოძულებისად B
 11 ჳმლოსანნი B
 12 დაწუსად A
 13 ყოველთა] + ყოველთა B

საქმეთადასა.

129. თქუა კუალად ნმიდამან ბასილი: ნეტარ არს, რომელი დღესა მას მართლმსაჯულობისა ღმრთისასა, რაჟამს-იგი მოვიდეს უფალი განათლებად დაფარულთა ბნელისათა და გამოცხადებად განზრახვასა¹ გულთასა, იკადროს შესლვად ნათელსა მას შინა მხილებისასა და გამოვიდეს მიერ ურცხუნელი², რამეთუ შეუგინებელ არნ შინაგანი იგი გონებად მისი, რამეთუ მოქმედნი იგი³ ბოროტისანი მერმესა მას აღდგომასა სირცხვლად და ყუედრებად აღდგომად არიან, რაჟამს-იგი ხედვიდენ თავსა⁴ შორის თჳსსა უშუერებასა მას და სანერტელთა ცოდვისათა და, მე ვითარცა ვჰგონებ, უსაშინელეს არს ბნელისა მის და ცეცხლისა საუკუნოდასა სირცხვლი იგი, რომელსა შინა ეგულეების ცოდვილთა საუკუნოდ ყოფად, რაჟამს-იგი მარადის წინაშე თუალთა მათთა აქუნდენ ხატნი იგი ჳორცთა მათთა ცოდვისანი, რომელი-იგი არნ მარადის ჳსენებასა შინა სულისა მათისასა, ვითარცა საღებავი რად აღუჳოცელი, ხოლო მცირედთა არს შესლვად ნათელსა მას ჭემმარიტსა და გამოცხადებად, და შემდგომად გამოცხადებისა დაფარულთა მათთადასა წარსლვად ურცხუნელითა პირითა.

130. თქუა კუალად: ნეტარ არს სული იგი, რომელსა დღე და ღამე⁵ არარად აქუნდეს სხუად ზრუნვად, გარნა ესე ოდენ, თუ ვითარ მიუგოს⁶ სიტყუად საქმეთა თჳსთათჳს დიდსა მას დღესა [29vB; 57vA], რაჟამს-იგი ყოველნი დაბადებულნი შექრნუნდენ და მიუგებდენ სიტყუასა წინაშე მსაჯულისა მის საქმეთა მათთათჳს, რამეთუ რომელი მარადის ხედვიდეს დღესა მას და ჟამსა და ყოვლადვე იწურთიდეს⁷ საშინელისა მის მსაჯულისა სიტყჳსგებასა, ეგევითარი-იგი ანუ ყოვლადვე არა შთავრდომად არს ცოდვასა შინა, ანუთუ, დაღაცათუ ცოდოს, მცირედ-რადმე ყოფად არიან ცოდვანი მისნი, რამეთუ ცოდვა ჩუენ ზედა უშიშობისაგან ღმრთისა მოიწვეის, ხოლო რომელთა თანა მარადის ეგოს სატანჯველთა მათ მოლოდებად, შიში იგი, მათ ზედა დამკჳდრებული, არაოდეს დაუტეობს მათ შთავრდომად საქმეთა შინა, ანუ გულისსიტყუათა ბოროტთა. ამისთჳს უკუე გაჳსოვდინ ღმერთი მარადის და გაქუნდინ შიში მისი გულსა შენსა და ყოველნივემცა მლოცველ შენდა არიან, რამეთუ დიდი შენენვად მოსლვად არს შენ ზედა ლოცვითა მათითა, რომელნი-იგი შემძლებელ არიან ღმრთისა მიმართ ლოცვად და ამის საქმისაგან ნუოდეს დასცხრები, რამეთუ ამასცა ცხორებასა შინა კეთილი შემნე არს ჩუენდა ლოცვად და წარ-რად-ვიდეთ ამიერ, წარვილოთ იგი ჩუენდა, ვითარცა საგზალი მერმისა მისთჳს საუკუნოდასა, რამეთუ ვითარცა ზრუნვად საქმე არს კეთილი, ეგრეთვე მწუხარებად და სასონარკუეთილებად მავნებელ სულისა არიან.

.....
1 განზრახუასა A
2 ურცხუნელი B
3 იგი] - B
4 თავთა A
5 დღე და ღამე] - A; ღამე და ღამე B
6 მიუგო B
7 იწურთიდეს B

ამისთვის უკუე ესევედი სახიერებასა ღმრთისასა და მოე[30rB]ლოდე შენვენასა მისსა, და ესე უნყოდე, ვითარმედ უკუეთუ კეთილად და სათნოდ მისა ვიქცეოდით, არათუ ოდენ არა გარე-მიაქციოს პირი მისი ჩუენგან სრულიად, არამედ, ვიდრეღა ვიტყოდით სიტყუათა მათ ლოცვისათა, გურქუას¹ ჩუენ, ვითარმედ: „აჰა ესერა, მე თქუენ თანა ვარ“ (მთ. 28,20), რამეთუ მისი არს დიდებად უკუენითიუკუენისამდე, ამენ²!

.....
1 გრქუას A
2 ამინ A; B

ღანართი

პარალელები წმ. ბასილი დიდისა და სხვა წმიდა მამების სწავლებებს შორის აღნიშნული ძეგლის ფარგლებში

ა) ლოცვის შესახებ

1.1^{1*}. „ლოცვაჲ უბნობაჲ არს გონებისაჲ ღმრთისა მიმართ“; ლოცვისათჳს: „ლოცვა თავისთავად ბუნებრივი მოვლენაა. იგი მორწმუნე პირის მუსაიფია ღმერთთან“;² სიტყვა 28: „ლოცვა ღვთისა და კაცის შეერთებაა ბუნებით, ხოლო საქმით - ქვეყნიერების სიმტკიცე; ღმერთთან შერიგება“.³

2.2. „უკუეთუ ქუეყანასა ზედა ხილულსა მას მაცუალსა ინება მიახლებაჲ დიდმან წინამსწარმეტყუელმან მოსე და ვერ შეუძლო, ვიდრემდის განიჯადნა ჳამლნი ფერჯთაგან თჳსთა (გამ.3,5), მაშა, ვითარ, ძმაო, შენ, რომელსა-ევე გნებაჲს მიახლებაჲ მისა, რომელი-იგი უზეშთაჲს არს ყოველსავე ბუნებასა გონებათასა და შენ გეგულების მიახლებაჲ მისა ლოცვასა შინა შენსა, და არა ისწრაფო-ა განშორებაჲ შენგან ყოველივე გულისსიტყუად ვნებული“? სიტყვა 28; ლოცვისათჳს: „ვინც ჩვენს მეუფესა და ღმერთთან შესახვედრად მივდივართ, მოუშადაბელი ნუ გავემართებით, რათა მან შორიდანვე არ შენიშნოს, რომ სამეუფეო სამკაული და აბჯარი არ გვმოსავს“.⁴

3.5. „დაღაცათუ ვითარცა წყარონი გარდამოდოდიან შენგან ცრემლნი ლოცვასა შინა შენსა, ნუ აღჳზუავნები და გგონიეს, ვითარმედ უმეტეს ვისსამე ხარ, რამეთუ შენვენად პოვა ლოცვამან შენმან, რადთა შეუძლო მჭურვალედ აღსაარებაჲ ცოდვათა შენთაჲ“; სიტყვა 28; ლოცვისათჳს: „ლოცვისას კადნიერებას ნუ გამოამჟღავნებ, თითქოსდა დიდი სინმიდე გქონდეს, არამედ უმეტესი სიმდაბლით მიმართე და მეტი კადნიერება გექნება“.⁵

4.6. „დეგ ძლიერად ლოცვად მჭურვალედ და გარე-მიაქციენ შენგან ყოველნივე ზრუნვანი ამის სოფლისანი და გულისსიტყუანი, რამეთუ ესენი შეაშფოთებენ გონებასა, რადთა დაჳჳსნან ძალი მისი“; სიტყვა 28; ლოცვისათჳს: „ვინც რაიმე საქმეზე ზრუნვას ლოცვის დროსაც განაგრძობს, მას ეშმაკები შეაქცევენ, რადგან ეშმაკებს სწორედ ის სურთ, რომ ერთი დროით ჩვენგან მეორეც მიიტაცონ; ლოცვის დროს თვით

.....

^{1*} ორმაგი წუმერაცია გულისხმობს შემდეგს: პირველი ციფრი აღნიშნავს ჩვენ მიერ გავლებული პარალელების წუმერაციას, ხოლო მეორე ციფრი - წმ. ბასილი დიდის თხზულების შესატყვისი ლოცვის რიგით წომერს.

2 ალექსი ბერი 2009: 19.

3 ღირსი იოანე სინელი, კიბე, II ნაწილი, თბილისი, 2005 წ., გვ. 125.

4 იოანე სინელი 2005: 126.

5 იოანე სინელი 2005: 127.

სულიერ და საჭირო საქმეებსაც ნუ გამოეძიებ. ასე თუ არ იზამ, უმჯობესს დაკარგავ“.¹

5.10. „ნუ გარეგანითა სახითა ოდენ ილოცავ, არამედ გონებად შენი მოიყვანე გულისკმისყოფასა ლოცვისასა შიშით და ძრწოლით“; ლოცვისათვის: „ღმერთმა რომ გისმინოს, არა მხოლოდ ენით, გულით ილოცე“ (ილ. არსენი);² სიტყვა 28; „ლოცვის დასაწყისში საჭიროა, რომ ამოა ზრახვები მოსვლისთანავე უკუაგდო; შუა ლოცვაში საჭიროა გონების სიტყვებში მოქცევა; ხოლო ლოცვის სისრულე უფლის მიმართ აღტაცებაა“.³

6.11. „რაჟამს გულისწყრომისა მიმართ შეიჭურვოდი, განდევნენ შენგან გულისთქუმაძცა, რამეთუ გულისთქუმისა მიერ იქმნებიან ნივთნი იგი გულისწყრომისანი და ესრეთ შეშფოთნების თუალი იგი გონებისად და დაიწსნების წესი ლოცვისად“; სიტყვა 28; ლოცვისათვის: „სული მაშინ ილოცებს მხურვალედ, როდესაც მრისხანებას დაძლევს“.⁴

7.15. „ილოცევდ კრძალულებით და გულისკმისყოფით და ღმობიერებით და ტკივილითა სულისადათა, აღსაარებითა ცოდვათადათა და სულთქუმითა მჭურვალითა და ძლიერთა“; ლოცვისათვის: „ყოველი კეთილი საქმის თავი და სათნოებათა დასაბამი არის წრფელი ლოცვა-ვედრება ღმრთის წინაშე, რამეთუ სწორედ ლოცვისაგან იშვებიან ჩვენი სხვა სათნოებებიც და სწორედ ლოცვის შედეგად მოგვეცემა ღმრთისაგან ყოველგვარი სიკეთე“ (წმ. მაკარი დიდმოქმედის);⁵ „თვნიერ ამისა გარეგანი უგულო ლოცვა მუსიკაა, ყურთა ოდენ სასმენი, ჰაერთა მცემი და ჰაერში განქრობადი“.⁶

8.16. „რაჟამს ილოცვიდე, გონებასა შენსა ეკრძალე და შემოკრიბე იგი შიშსა ღმრთისასა, რადთა არა განიბნოს ვნებათა მიმართ, არამედ გულისკმა-ყავ, თუ ვის წინაშე მდგომარე ხარ“; სიტყვა 19: „ვინც მთელი გულითა და გონებით გრძნობს, ფიქრობს და ხედავს, რომ ლოცვისას ღვთის წინაშეა წარდგომილი, შეურყეველი სვეტივით დგას იგი და ვნებათაგან ვერც ერთი ავნებს მას“.⁷

9.17. „ფრიად ეშურების ეშმაკი კაცსა მას, რომელი მოსწრაფე იყოს ლოცვისა მიმართ და ყოვლითა ღონისძიებითა ებრძვის, რადთა შეაგინოს ლოცვად მისი და არა დასცხრების აღძვრად გულისსიტყუათა მრავალთა გონებასა შინა და აღსძრავს ვნებათა ჯორცთა შინა, რადთა შეუძლოს დახრწევად მოღუანებისა მის კეთილისა“; სიტყვა 28; ლოცვისათვის: „როდესაც კეთილად ლოცულობ, სწორედ მაშინ აღდგება მტერი შენს

1 იოანე სინელი 2005: 135.

2 წმ. მამათა სწავლებანი, ბათუმი, 2003 წ., გვ. 12.

3 იოანე სინელი 2005: 128.

4 იოანე სინელი 2005: 132.

5 წმ. მამათა სწავლებანი 2003: 11.

6 ალექსი ბერი 2009: 16.

7 იოანე სინელი 2005: 5.

წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან ეს მისი ჩვეულებაა“.¹

10.22. „უკუეთუ ლოცვაჲ გნებაჲს, ღმრთისაგან ჯერ-არს თხოვაჲ ლოცვისაჲ ლოცვითაჲ, რომელმან მოსცის თხოვაჲ მთხოველთა მისთა“; სიტყვა 28; ლოცვისათჳს: „როგორც თვალით ხედვის სწავლა შეუძლებელია სიტყვებით, რადგან ეს ბუნებისგან გვაქვს მოცემული, ასევე, ვერც ლოცვის მშვენიერებას ვისწავლით სხვა სიტყვით, რადგან ლოცვას მოძღვრად ღმერთი ჰყავს; წინასწარ ლოცვით მოამზადე საკუთარი სული ლოცვის ჟამისა და ღვთისადმი ვედრებისათვის და წარმატებას ჩქარა მიაღწევ“.²

11.26. „კაცი, რომელი ჳორციელთა საქმეთა შეთხზულ იყოს და ზრუნვათა შინა განბნეულ იყოს გონებაჲ მისი, ესევეთარსა მას სინმიდით ლოცვაჲ და ვედრებაჲ ღმრთისაჲ ვერ ძალ-უც“ სიტყვა; 27. „ვითარცა შეკრულსა სირბილად ვერ ძალ-უც, ეგრეთვე გონებაჲ, რომელი ვნებათა ჰმონებდეს, ჭეშმარიტისა ლოცვისა ადგილსა ვერ ჰპოებს“; სიტყვა 28; ლოცვისათჳს: „ადექი სოფლისმოყვარებისა და გემოთმოყვარებისაგან; განიშორე ყოველი საზრუნავი; უარყავ შენი ხორცი; განიძარცვე გულის ზრახვები, რადგან სხვა არაფერია ლოცვა, თუ არა - უარყოფა სოფლისა: ხილულისა და უხილავისა“.³

12.35. „დაღაცათუ მეყსა შინა იხილო უცნებაჲ რადმე, არა შეირყიო, დაღაცათუ მახვლითაცა გინა ერთა ზედა-მოგიცდენ, ანუ თუ ლამპრები იხილო აღნთებულები, ნუ შეძრწუნდები, არამედ მწნედ და კადნიერად აღიარებდი კეთილსა მას აღსაარებასა, რომელ არს სახელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და ადრე იხილო დაცემაჲ მტერთა შენთაჲ“; სიტყვა 28; ლოცვისათჳს: „ლოცვისას ხილულ ოცნებასა და ჩვენებას ნუ მიიღებ, რათა ჭკუიდან არ შეცდე“.⁴

13.43. „ვითარცა ყოველთა საცნობელთა თუალნი უმჯობეს არიან, ეგრეთცა ყოველთა სათნოებათა ლოცვაჲ უზეშთაეს არს“; სიტყვა 28; ლოცვისათჳს: „ლოცვა ანგელოზთა საქმე და უხორცო ძალთა საკვებია; დაუსრულებელი საქმე და ყოველგვარ სათნოებათა წყარო“.⁵

ბ) სათნოებების შესახებ

1.45. „დღე და ღამე ჳსენებაჲ უკუანადკნელისა მის დღისა გაქუნდინ და ყოველსავე საქმესა ზედა სახიერსა ღმერთსა ჰმადლობდი“; სიტყვა 6; სიკვდილის შესახებ: „ჭეშმარიტად კეთილ გამოცდილებას ფლობს იგი, ვინც ყოველდღიურად ელის სიკვდილს, მაგრამ ჭეშმარიტად ნეტარია

.....

1 იოანე სინელი 2005: 132.

2 იოანე სინელი 2005: 131-132.

3 იოანე სინელი 2005: 130.

4 იოანე სინელი 2005: 133.

5 იოანე სინელი 2005: 125.

იგი, ვინც ყოველ წუთს ნატრობს მას“.¹

2.47. „რომელი ივლტოდის გულისთქუმათაგან და განსუენებათა ამის სოფლისათა, ესევითარი იგი გოდოლი არს მტკიცე წინაშე პირსა მტრისასა და ვერ ძალ-უც ეშმაკსა მწუხარებისასა დარლუევად მისა“; სიტყვა 2; ამ სოფლის და მის საზრუნავთა მოძულეებისთვის: „თუ ვინმემ სოფელი მოიძულა, იგი მწუხარებას განერიდა, მაგრამ თუკი ვინმეს მისწრაფება შემორჩა რაიმე ხილულის მიმართ, ის ყოველგვარ მწუხარებას ჯერაც ვერ განრიდება, რადგან შეუძლებელია, საყვარელ საგნებთან განშორებამ მწუხარებით არ აღგავსოს“.²

3.50. „ფრიად ძნელ და ყოვლითურთ ეკლოვან არს საბრძოლელად ეშმაკი იგი ცუდადმზუაობრობისად, რამეთუ, რადცა-იგი ჰყო დასაჯსნელად მისა, იგიცა კუალად ექმნების მიზეზ ბრძოლისა მისისა შენდა მომართ“; სიტყვა 22; პატივმოყვარეობის შესახებ: „ყოველგვარ საქმეში პატივმოყვარეობა იმყოფება; როდესაც ვმარხულობ, ჩემს გონებას ქედმაღლობა იპყრობს, ხოლო, როდესაც გავიხსნილებ, მხოლოდ იმიტომ, რომ მარხვა სხვათა თვალთაგან დავფარო, ჩემი გონება კვლავ მაღლდება, რადგან თავს ბრძნად მივიჩნევ; როდესაც ახალ შესამოსელს ვიმოსავ, პატივმოყვარეობა მამარცხებს, მაგრამ ძველის შემოსვისასაც იგივე მძლევს“.³

4.52. „რაჟამს ბრძოლა-უყონ ეშმაკთა მონაზონსა მრავლითა სახითა და ვერარაფთა ვერ შეუძლონ დაცემად, მაშინ მიუშუებენ და ხედვენ გონებასა მისსა, თუ რომელსა-ძი სათნობასა ზედა უდებ არს, ანუთუ რომელი ვნებად უყუარს გონებასა მისსა და რომელსაცა ზედა მიდრეკილად პოვონ უბადრუკი იგი სული, და მითაცა დასცემენ“; გონების კურნების შესახებ: „ნიკიტა სტითატი აღწერს გონების განწმენდის გზას. ჩვენ ხუთი გრძნობის შესაბამისი ხუთი ღვანლი გვაქვს: მღვიძარება, ღმერთზე ფიქრი, ლოცვა, თავშეკავება, სიმშვიდე. შევუსაბამოთ მხედველობას - მღვიძარება, სმენას - ღმერთზე ფიქრი, სუნთქვას - ლოცვა, გემოვნებას - თავშეკავება, შეხებას (აღგზნებას) - სიმშვიდე. ადამიანი ამგვარად სწრაფად განიწმენდს გონებას“.⁴

5.53. „შრომად და მღვძარებად და მარხვად არა ბრძანებულ არს ჩუენდა დაუცადებელად და ძალისა უმეტესად, არამედ ძალისაებრ ჩუენისა“; მარხვისათვის: „საკუთარ ძალებზე აღმატებული მარხვა არ უნდა იტვირთო, მარხვა დაწესდა ადამიანისთვის და არა ადამიანი - მარხვისთვის“ (წმ. იოანე ოქროპირი).⁵

6.54. „მამათა თქუეს, ვითარმედ: ესე არს განშორებად - მარადის ჳსენებად სიკუდილისად და ყოველსავე ზედა წინააღდგომად ნებისა თვისისა ჳორციელისადა“; სიტყვა 6; სიკვდილის შესახებ: „ჭეშმარიტი ნიშანი იმი-

1 ღირსი იოანე სინელი, I ნაწილი, თბილისი, 2004 წ., გვ. 114.

2 იოანე სინელი 2004: 34.

3 იოანე სინელი 2005: 14.

4 იეროთეოს ვლახოსი 2008: 142.

5 წმ. მამათა სწავლებანი 2003: 14.

სა, რომ ადამიანი გულისმიერი გრძნობით განიცდის სიკვდილის შიშს, არის ის, რომ იგი თავისი ნებით სრულიად უგრძნობელია ყოველივე ქმნული-სადმი და სრულიად მოუკვეთია პირადი ნება“.¹

7. 57. „სახე უვნებლობისა ესე არს: რაჟამს ინყოს გონებამან თჳსისა მის ნათლისა ხედვად და უცნებათა მათ მიმართ ძილისათა იყოს დაწყნარებულ და აღუძრველ და სინრფოებით ხედვიდეს ყოველთავე საქმეთა“; 59. „სული უვნებელი არა იგი არს, რომელი საქმით ოდენ არა იქმოდის ცოდვასა, არამედ რომელი გულისსიტყუათაცა მიმართ აღუძრველ და დაწყნარებულ იყოს და უვნებელ“; სიტყვა 29; უვნებლობის შესახებ: „ჭეშმარიტი უვნებელი ის არის, ვისაც ხორცი უვნებელი და სრულიად უხრწნელი აქვს; ვინც გონება ყოველგვარ ქმნილებაზე აღამაღლა;

ყოველგვარი გრძნობა გონებას დაუმორჩილა, სული კი უფლის წინაშე წარადგინა“.²

მაქსიმე აღმსარებელი უვნებობის ოთხ საფეხურს ასახელებს. „პირველი უვნებობა შეინიშნება სულიერი ცხოვრების დამწყებებთან და ნიშნავს „მოქმედი ვნებებისგან თავშეკავებას“. ამ საფეხურზე ადამიანი გარეგნულად არ მოქმედებს; მეორე საფეხურის უვნებობა კეთილშობილი ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი - ვნებიანი აზრებისგან სრული გათავისუფლება; მესამე საფეხური სურვილის აბსოლუტური უგულებელყოფაა და ახასიათებს განღმრთობილ ადამიანს; მეოთხე - სრულყოფილი განწმენდა უბრალო წარმოსახვისგანაც კი. ასეთი უვნებობა სრულყოფილებაა“.³

.....

1 იოანე სინელი 2004: 114.

2 იოანე სინელი 2005: 137.

3 იეროთეოს ვლახოსი 2008: 309-310.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბილისი, 1973.
2. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
3. ახალი აღთქმად, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, 2003.
4. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1983.
5. ბოლოტოვი ვ., ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში, გამ.: „ახალი ივირონი“, თბილისი, 2009.
6. გაბიძაშვილი ე., ქართული ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა: ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, II ტ., თბილისი, 2006.
7. კეკელიძე კ., მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I ტ., თბილისი, 1956.
8. კეკელიძე კ., უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957.
9. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ძვ. მწერლობა, I ტ., გამ.: „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960.
10. კოპლატაძე გ., ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (I-XV სს.), საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2010.
11. კოჭლამაზაშვილი ე., წმ. ბასილი დიდი, „სწავლანი ლოცვისათვის“, ჟურნალი „ლაზარეს აღდგინება“, XVI, თბილისი, 2002.
12. მამათა სწავლანი X და XI სს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.

13. მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია, ახალბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ეკა დულაშვილმა, გამ.: „ახალი ივირონი“, თბილისი, 2008.

14. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბილისი, 1997.

15. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.

16. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I ტ., გამ.: „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

17. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, V ტ., გამ.: „მეცნიერება“, თბილისი, 1967.

18. ქაჯაია ნ., ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 1992.

19. ღირსი იოანე სინელი, „კიბე ანუ კლემაქსი“, I ნაწ., გამ.: „აკრიანი“, თბილისი, 2004.

20. ღირსი იოანე სინელი, „კიბე ანუ კლემაქსი“, II ნაწ., გამ.: „ალილო“, თბილისი, 2005.

21. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.

22. წმ. ალექსი ბერის მოძღვრებანი, შუშანიას სავანე, მე-4 გამოცემა, შპს „კოპიპრინტ-2000“, 2009.

23. წმ. გრიგოლ ნოსელი - „ქალწულებისათჳს და საღმრთოდასა მოქალაქობისა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, გამ.: „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

24. წმ. მამათა სწავლებანი, ბათუმი, 2003.

25. „წმიდანთა ცხოვრება“, I ტ., თბილისი, 2001.

26. ხინთიბიძე ე., ბასილი დიდის სადაურობისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების „მომამბე“, 1962.

27. ხინთიბიძე ე., ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1968.

28. CPG – Corpus Christianorum, Clavis Patrum Graecorum, vol. II, cura et studio Mavritii Geerard, Brepols – Turnhout, 1974.

29. – Halkin F., Bibliotheca hagiographica graeca, t. 1-3 (Subsidia Hagiographica 8a), Bruxelles, 1957.

30. R u d b e r g, Manuscripts and editions of the work of Basil of Caesarea
კრებულში: Basil of Caesarea: Christian humanist, ascetic. A Sixteen-hundredth Anniversary Symposium, Part. I-II, edited by Paul Jonathan Fedwich, Toronto, 1981.

31. Иеромонах Иларион (Алфеев), Восточные отцы и учителя церкви IV в., т. I, М., 1998.

32. Сидоров А., Древнехристианский аскетизм и зарождение монашества., М., 1998.

33. Соколов, Протоиерей Серафим. история восточного и западного христианства IV-XX века). Москва: Издательство Московского института духовной культуры, 2007.

რევაზ მუჯირიშვილი

წმინდა ეკიფანე კვიციანის დიდი შაბათის
ქადაგების საღვთისმეტყველო ანალიზი

სელმპლანელი თეოლოგიისა და ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი
ედიშერ ჭელიძე

რეცენზენტი მღვდელი **ლონგინოზ სუარიშვილი**

შ ე ს ა ვ ა ლ ი¹

ძველი ქართული ქრისტიანული მწერლობის ისტორიაში კარგად არის ცნობილი IV საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ღვთისმეტყველის, წმ. ეპიფანე კვიპრელის შრომები. რამდენიმე გამოქვეყნებული და მკითხველისათვის ხელმისაწვდომია. „შატბერდის კრებულში“ შესულია მისი შემდეგი თხზულებები: 1) „ათორმეტთა მათ თუალთათჳს“. ეს თხზულება ორი - მოკლე და ვრცელი - რედაქციითაა შემონახული. ქართული თარგმანი ვრცელ რედაქციას წარმოადგენს (ვრცელი რედაქცია შემონახულია ლათინურ ენაზე, ხოლო ბერძნული დაკარგულია); 2) „საზომთათჳს და საწყაულთა“ (კრებულში მხოლოდ გარკვეული ფრაგმენტებია; მისი უფრო ვრცელი ვერსია დაცულია XII-XIII საუკუნეების A 691-ში); 3) „თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ“. თხზულება სომხური ენიდან უთარგმნია ვინმე დაჩის და „განსაკითხავად“ მიუძღვნია ცნობილი სტეფანე მტბეგარისათვის, რომელიც X საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწეა²; 4) „ფიზიოლოგი“, რომლის გადამუშავებული და თარგმანებით აღჭურვილი ვარიანტის ავტორადაც ნუსხათა უმეტესობა წმ. ეპიფანე კვიპრელს ასახელებს. ქართული თარგმანი „ფიზიოლოგს“ წმ. ბასილი კესარიელს მიაწერს (სწორედ წმ. ბასილის ავტორობითაა გამოცემული „შატბერდის კრებულში“, რ. მ.). მაგრამ, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ხელნაწერთა ტრადიციას თუ მივიღებთ მხედველობაში, ის წმ. ეპიფანეს თხზულებად იგულისხმება³. ქართულად თარგმნილია, ასევე, ბასილი კესარიელის „ეპისტოლე ეპიფანეს ეპისკოპოსსა“, რომელიც დაცულია S 381 ხელნაწერში (1864 წ.). წმ. ბასილის ეპისტოლეები რუსულიდან ითარგმნა 1799 წელს მოზდოკში გაიოზ ასტრახანის არქიეპისკოპოსის (რექტორის) მიერ⁴. წმ. ეპიფანეს თხზულებათაგან ქართულად ნათარგმნია მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შრომის, „პანარიონის“ ნაწილი - „ოთხმეოცთა მათ წვალებათათჳს“, რომლის ტექსტიც კრიტიკულად დაადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოსო მახარაშვილმა.

ქართულად თარგმნილია ასევე რამდენიმე მცირე ზომის ქადაგება: „საქმენი წმიდათა წინადასწარმეტყველთანი, ვინაჲ იყვნეს, ანუ სადა მოსწყდეს, ანუ სადა დაეფლნეს“, „წმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათჳს, რამეთუ ამისგან ჴორციელ იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ ცხოველისაჲ“, „განკაცებისათჳს უფლისა ქალწულისა მარიამისგან“, „მუცლადღებისათჳს ანნაჲსა, რაჟამს ეხარა შობაჲ წმიდისა

.....
1 ნაშრომი შესრულდა 2014 წელს თბილისის სასულიერო აკადემიაში ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

2 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 431-432.

3 კეკელიძე 1951: 433; წმიდა ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათჳს, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამიზელი დაურთო სოსო მახარაშვილმა, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, 2012, გვ. 30.

4 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის S კოლექციისა, I, თბ., 1959, 446; მახარაშვილი 2012: 29.

ღმრთისმშობელისა და „საღმრთოთა მათ ჯორცთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა დაფლვისათჳს, და იოსებ არიმათიელისა და ნიკოდემოსისთჳს და ჯოჯოხეთს შთასლვისათჳს უფლისა შემდგომად განმაცხოველებელისა ვნებისა მისისა, რომელი-ესე იკითხვების დიდსა შაბათსა“.

წმ. ეპიფანეს ჰომილეტიკურ მემკვიდრეობას ფართო საზოგადოება არ იცნობს, რადგან მცირე გამონაკლისის გარდა, ისინი შესწავლილი და გამოქვეყნებული არ არის¹. აღნიშნული ორი ჰომილიის გარდა, 1901 წელს გამოქვეყნდა წმ. ეპიფანე კვიპრელის ჩვენ მიერ შესწავლილი ქადაგების ძველი ქართულიდან თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოღებული ტექსტი². წმ. ეპიფანე კვიპრელის ჰომილია: „საღმრთოთა მათ ჯორცთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა დაფლვისათჳს და იოსებ არიმათიელისა და ნიკოდემოსისთჳს და ჯოჯოხეთს შთასლვისათჳს უფლისა შემდგომად განმაცხოველებელისა ვნებისა მისისა, რომელი-ესე იკითხვების დიდსა შაბათსა“³ - ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რასაც ცხადყოფს ის ფაქტი, რომ ეს ჰომილია ორმოცამდე ბერძნული ხელნაწერთაა მოღწეული. დაახლოებით ამდენივეა ქართული ხელნაწერების რაოდენობა, რომლებშიც ეს ქადაგება დაცული, რაც, ასევე, წარმოაჩენს იმ მნიშვნელობას, რომელსაც მას ანიჭებდნენ ქართულ მწერლობაში. ჰომილია თარგმნილი უნდა იყოს ბერძნული ენიდან, რასაც ადასტურებს ბერძნობები და ორიგინალის ტექსტთან ზედმიწევნითი თანხვედრა. ბერძნული კრიტიკული ტექსტი გამოქვეყნებულია ჟაკ პოლ მინის *Patrologiae Graekae*-ს 43-ე ტომში (*PATROLOGIAE CURSUS COMPLETUS, Accurante J.-P. MIGNE, Bibliothecae Cleri universae, Tomus XLIII, 1864, col. 440-464*).

.....

1 უდაბნოს მრავალთავში გამოცემულია ტექსტი სახელწოდებით: „თქმული ეპიფანესი აღვსებისათჳს და აღდგომისა უფლისა“. აქ ჰომილიის ავტორად წმ. ეპიფანე ცხადდება, ისევე, როგორც მისი შემცველი სომხური ნუსხების უმეტესობაში. ბერძნულ ხელნაწერ ნუსხებში ჰომილია მიეკუთვნება ხან წმ. იოანე ოქროპირს და ხან წმ. ამფილოქე იკონიელს. მეცნიერები უფრო ამ უკანასკნელს ვარაუდობენ ავტორად (იხ. მახარაშვილი 2012: 33-34). ეპიფანე კვიპრელის კიდევ ერთი ჰომილია, სახელწოდებით: „წმიდისა მარადის ქალწულისა მარიამისთჳს, რამეთუ ამისგან ჯორციელ იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა“ - გამოცემულია: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბ., 1959, გვ. 46-54.

2 წმიდა ეპიფანე, ხორციელად დაფლვა და ჯოჯოხეთში შთასვლა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, ნიკოდემოსისა და იოსებ არიმათიელ მშვენიერ მზრახველის მოქმედება, დაწერილი წმიდა ეპიფანე კვიპრელ მთავარეპისკოპოსისაგან, ხოლო ბერძნულით თარგმნილი წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ, გამოცემა ესტატე კერესელიძისა, ტფილისი 1901. გამოცემას ბოლოში აქვს მინაწერი: „ლოცვა ჰყავთ ჩემ გლახაკისა ხირაკლისათვისცა“; შესაძლოა, ეს ირაკლი იყოს ის პიროვნება, რომელმაც თანამედროვე ქართული ტექსტი მოამზადა! ან რომელიმე ხელნაწერს ჰქონდა მინაწერი და პირდაპირ გადმოიღო (ჩვენ პირველი მოსაზრება უფრო მართებულიად მიგვაჩნია).

3 ეს ტექსტი ჩვენ მიერ გამოქვეყნდა თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო-სამეცნიერო კრებულის V ტომში, თბ., 2014, გვ. 163-223 (რ. მ.).

I. წმინდა ეპიფანე კვიპრელის ცხოვრება და მოღვაწეობა¹

ძირითადი წყაროები წმ. ეპიფანე კვიპრელის ცხოვრების შესწავლისათვის არის თავად მისი თხზულებები და სხვადასხვა საეკლესიო მწერლის ცნობები მის შესახებ, რომელთაც გვაწვდიან წმ. ბასილი დიდი („ეპისტოლე ეპიფანეს ეპისკოსსა“; Basil. Magn. Ep. 258), ნეტარი იერონიმე (Hieron. De vir. illustr. 114; Ep. 57.1-2; 82.4, 7-8; 108.6-7, 21; 127.7; Contr. Ioan. Hieros. 4-14; Adv. Rufin. 1. 16; 2. 13, 21-22; 3.22-23), თეოფილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი (Theoph. Alex. Ep. Epiph.; Ep. synod. Palest. et Cypr.; Ep. Hieron. = Hieron. Ep. 113), პალადი ჰელონოპოლელი (Pallad. Dial. de Vita Ioan. Chrysost. 16-17), საეკლესიო ისტორიკოსი სოკრატე სქოლასტიკოსი (Socr. Schol. Hist. eccl. V 24; VI 10, 12, 14-15), საეკლესიო ისტორიკოსი სოზომენე (Sozom. Hist. eccl. VI 32; VII 27; VIII 14-15), იოანე ხუცესი და პოლიბიოსი, რომელთაც ვრცლად აღწერეს წმ. მამის ცხოვრება (PG. 41, Col. 23-116, ΒΙΟΣ ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΕΠΙΦΑΝΙΟΥ ΕΠΙΣΚΟΠΟΥ ΠΟΛΕΩΣ ΚΩΝΣΤΑΝΤΙΑΣ ΤΗΣ ΚΥΠΡΟΥ)².

წმ. ეპიფანეს ზემოთ დასახელებული ვრცელი ცხოვრება, აღწერილი იოვანე ხუცესისა და პოლიბიოს ეპისკოპოსის მიერ, თარგმნილია ქართულადაც - „ცხოვრება ეპიფანე კვიპრელისა“. თხზულების მიხედვით, ეს იოანე ყოფილა „ნათესავით სარკინოზი“, რომელიც წმ. ეპიფანეს მოუქცევია ქრისტიანობაზე. დღიდან დამოწაფებისა იგი გვერდიდან აღარ მოშორებია თავის მოძღვარს და ყველგან თან ახლდა დაუსრულებელ მოგზაურობაში. ამასთან, წმ. ეპიფანესაგან მალულად იწერდა ყოველივე იმას, „რომელსა-იგი ღმერთი მის მიერ აღასრულებდა საკვრველებათა მათ“ და რაც თავად ეხილა. სიკვდილის წინ მან დაიბარა თავისი სულიერი ძმა, პოლიბიოსი, გადასცა „ქარტა“, რომელშიც მას წმ. ეპიფანეს ცხოვრება ჰქონდა აღწერილი და სთხოვა, ბოლომდე მიეყვანა მის მიერ დაწყებული ეს საპატიო საქმე. პოლიბიოსმა შეუსრულა დანაბარები მეგობარს. მან გაასრულა თხზულება და, ეტყობა, საერთო რედაქციით დაგვიტოვა, რადგან, მიუხედავად ორი ავტორისა, „ცხოვრების“ პირველსა და მეორე ნაწილს შორის სხვაობა მაინც და მაინც არ იგრძნობა³.

ეს ჰაგიოგრაფიული ძეგლი ჩვენამდე მოღწეულია ორი ხელნაწერით: Sin. 6 (სრულად) და Jer. 3 (ნაკლულად, მხოლოდ 5 ფურცელი უჭირავს). სინური ხელნაწერი გადაუწერია იოანე-ზოსიმეს 982 წელს. თხზულება თარგმნილია ბერძნული ენიდან, რასაც უცილობელ ჰყოფს მასში დადასტურებული ბერძნობები. სამწუხაროდ, უცნობია მისი მთარგმნელი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ იგი არის ჩინებული მწერალი, უძველესი ქართული მთარგმნერლობითი

¹ ამ ქვეთავში ჩვენ ძირითადად ვყვრდებით წმ. ეპიფანეს ცხოვრების ძველ ქართულ წყაროს, რომელიც ბერძნულიდან არის თარგმნილი. ასევე ვიყენებთ სხვადასხვა წყაროს, თუ გამოკვლევა, რომლებსაც შესაბამის ადგილას ვუთითებთ.

² <http://www.pravenc.ru/text/190091.html>

³ მახარაშვილი 2012: 12-13.

სკოლის ღირსეული წარმომადგენელი¹.

ზუსტი ცნობები წმ. ეპიფანე კვიპრელის დაბადების თარიღთან დაკავშირებით არ გვაქვს. ნეტარი იერონიმეს ცნობიდან, რომ 393 წელს წმ. ეპიფანე უკვე ღრმად მოხუცებულია, მისი დაბადების მიახლოებულ თარიღად ივარაუდება 315 წელი². წმ. ეპიფანე იყო „ნათესავით ფინიკიელი“, დაიბადა და ცხოვრობდა ქალაქ ელევეთეროპოლისისგან სამი მილიონი³ მანძილით დაშორებულ დაბაში. სოზომენეს ცნობით, ეს დაბა არის „ბესანდუკი“ (Βησανδύκη), რომელიც მდებარეობს ელევეთეროპოლისის მიდამოებში, იერუსალიმიდან სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქ ასკალონის გზაზე⁴.

იოანესა და პოლიბიოსის მიერ აღწერილი „ცხოვრების“ მიხედვით, ეპიფანე იუდაური სარწმუნოების მქონე ოჯახიდან იყო. სხვა ცნობით, იგი ქრისტიანის ოჯახში უნდა დაბადებულიყო⁵, რასაც მიაწინებს თავად ეპიფანეს ეპისტოლე იმპერატორ თეოდოსი I დიდისადმი, რომელშიც ის ამბობს, რომ მისი მშობლები ქრისტიანები და ნიკეის მრწამსის მაღიარებელი იყვნენ⁶. უკანასკნელი ცნობა⁷ ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან თუ თითქმის ყველა წყაროს მოწმობით, ეპიფანე დაიბადა პირველ მსოფლიო კრებამდე 10-15 წლით ადრე (ე. ი. 310-315 წლებში, რადგან ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა 325 წელს), მაშინ მისი მშობლები და, მითუმეტეს, თავად ის ვერ იქნებოდნენ ნიკეის მრწამსის მიმდევრები. ჩვენ მაინც „ცხოვრებაში“ დაცულ ცნობას მივიჩნევთ სანდოდ, რომ მისი ოჯახი თავიდან იუდაური რელიგიის მიმდევარი იყო. მის იუდაურ წარმომავლობას ადასტურებს სვიმეონ ახალი-ღვთისმეტყველის მოწაფე - ნიკიტა სტითატი (XI საუკუნე): „ხოლო რამეთუ მტკიცეთა ჭეშმარიტებათა მქონებელ არიან აწ თქუმულნი ესე, თანა-მეწამეების სიტყუად და დიდი ეპიფანე კვიპრელი, რომელი ებრაელთაგანი იყო“⁸.

ეპიფანეს მამა მიწისმუშაკი იყო, ხოლო დედა სელის ქსოვის საქმიანობას მისდევდა. მათ ჰყავდათ ორი შვილი - ეპიფანე და ასული კალიოტროპია. ათი წლის იყო ეპიფანე, როცა მამა გარდაეცვალა. ამის შემდეგ დედას ძალზედ

.....

1 მახარაშვილი 2012: 12.

2 Hieron. De vir. illustr. 114.

3 „მილიონი“ სიგრძის საზომი ერთეულია. ტექსტში პირდაპირ წერია: „სამი სასწაულით, რომელ არს სამი მილიონი“ („ცხოვრება ეპიფანე კვიპრელისაჲ“, გვ. 92); ბერძ.: τὸ ἑξαίσιον τριῶν (PG. 41. Col. 24) – ἑξαίσιος - ნიში, სასწაული, რაღაცის მისანიშნებელი ადგილი.

4 Sozom. Hist. eccl. VI 32. 3.

5 ამ აზრს იზიარებს ო. ბარდენჰევერი. იხ. მისი Geschichte der altkirchlichen Literatur, III, Darmstadt, 1962, s. 293.

6 Epiph. Ep. Theod. 20.

7 შესაძლოა, ეს ეპისტოლე სხვისი შედგენილია და იმის თქმა, რომ თითქოს ის ყრმობიდანვე ქრისტიანულ გარემოში იზრდებოდა, დასჭირდა ავტორს ეპიფანეს სარწმუნოების სიმტკიცის წარმოსაჩენად ან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცნობაში, თითქოს თავიდანვე მისი მშობლებიც და თვითონაც ქრისტიანი იყო, ივულისხმება მისი მშობლების და თავად ეპიფანეს პატიოსნება და განსაკუთრებული მომურწეობა სიკეთისადმი, მზაობა მართალი სარწმუნოების მიღებისათვის, რასაც მოწმობს მისი ვრცელი ცხოვრება, რომელშიც ნაჩვენებია, თუ მისი დედა და თავად ეპიფანეც ღვთის მიმართ და რჯულისადმი როგორი კეთილგანწყობილი იყვნენ, რის გამოც გაადვილდა შემდგომში ეპიფანეს ქრისტიანობაზე მოქცევა.

8 მათა რაფავა, ნიკიტა სტითატის ანტიმონოფიზიტური სიტყვები, V სიტყვა, მე-10 მუხლი, თბ., 2013, გვ. 133.

გაუჭირდა ოჯახის რჩენა და გადაწყვიტეს კარაულის გაყიდვა, რათა ოჯახს ცოტა ხნით მაინც გაეტანა თავი. პატარა ეპიფანემ დედას შეახსენებს, რომ მათი კარაული იყო „ხენემი“ (ცუდი, ავი, ცუდი ზნის მქონე) და გაიგებდნენ რა, რისხვას დაატეხდნენ არაპატიოსანი ქცევისთვის და ეტყოდნენ: „რომელსა აქუნდეს ბოროტი, ბოროტად დაადგრეს, მსგავსად შჯულისა“¹. შვილის ასეთ გონიერებას დედამ ამგვარად უპასუხა: „წარვედ, შვილო, და ღმერთმან მამათა ჩუენთამან აბრაჰამისმან, ისაკისმან და იაკობისმან მოსცეს გულისწმის-ყოფად კარაულსა მაგას, რადთა სასყიდელი მისი ჩუენ ვიმსახუროთ“². ეს ადგილები ცხადყოფს, რომ წმ. ეპიფანე და მისი მშობლები იუდაური რჯულის მიმდევრები იყვნენ არა უბრალოდ, არამედ აქტიურად, რადგან ათი წლის ბავშვი უკვე გარკვეულია რჯულის საკითხებში.

ამის შემდეგ ეპიფანე წავიდა სავაჭროზე, რათა დედას დამორჩილებოდა. ეს შემთხვევა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, გადამწყვეტი გამოდგა მის ცხოვრებაში.

წმ. ეპიფანეს იუდაურ წარმომავლობაზე ნათლად მოწმობს მისი საუბარი ჯერ იუდეველ ვაჭარ იაკობთან და შემდეგ – ერთ ქრისტიანთან, კლეობიოსთან. იუდეველი ვაჭრის კითხვაზე, თუ რომელი სარწმუნოების მიმდევარი იყო, ეპიფანემ მიუგო, რომ იგი იყო იუდეველი³. ყოველივე ეს ხაზგასმით მიანიშნებს მის წარმომავლობაზე და მოსაზრება, რომ ის და მისი მშობლები თავიდანვე ქრისტიანები იყვნენ, კვლავ აღვნიშნავთ, არამართებულად მიგვაჩნია. მეტიც, არა თუ თავიდანვე არ იყვნენ, არამედ მისი მშობლების ქრისტიანობა საერთოდ არ ჩანს „ცხოვრებიდან“, რადგან მამა პატარაობაში გარდაეცვალა, როცა ის ჯერ ისევ იუდეველია; ხოლო როდესაც ის და მისი და ქრისტიანები გახდებიან, დედაც უკვე გარდაცვლილია.

წმ. ეპიფანე გარკვეული დროის შემდეგ ერთი მდიდარი კაცის ოჯახში მოხვდა. იგი იშვილა ვინმე იუდეველი შჯულის მოძღვარმა (დედა დასთანხმდება ამ წინადადებას, რადგან მისი მფარველობის ქვეშ მოექცა და მატერიალური კუთხით ოჯახი, სავარაუდოდ, გარკვეულ შევებას იგრძნობდა), კაცი საკვირველი და ღვთისმსახური, მცხოვრები ქალაქ ელევთეროპოლისში, სახელად ტრიფონი „ცხოვრების“ მიხედვით, სწორედ მის სახლში განისწავლა ეპიფანე ძველი აღთქმის წიგნებით. მალე ტრიფონს ჯერ ერთადერთი ასული გარდაეცვლება, შემდეგ თავადაც გავა ამქვეყნიდან. მთელი თავისი ქონება ტრიფონმა ეპიფანეს დაუტოვა. ეპიფანეს დედაც გარდაეცვლება და ის თავის დას წაიყვანს ტრიფონისგან ნაანდერძეკე მამულში⁴.

აქ გასარკვევია ერთი გარემოება. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, წმ. ეპიფანე მშობლების მიერ სასწავლებლად იგზავნება ქალაქ ალექსანდრიაში⁵. მაგრამ ზუსტად დადგენა იმისი, თუ როდის მიდის იგი ალექსანდრიაში, ძალზედ

1 „ცხოვრება ეპიფანე კვიპრელისა“, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 10. თბ., 1966, გვ. 92.
2 იმნაიშვილი 1966: 92.
3 იბ. იმნაიშვილი 1966: 93.
4 იბ. იმნაიშვილი 1966: 94-95.
5 Nautin. 1963. Col. 618; cp.: Epiph.Adv. haer. 26. 17.

რთულია. ყოველ შემთხვევაში, მისი მამის სიცოცხლეში ეს ყველაზე ნაკლებად არის წარმოსადგენი, რადგან თუკი, როგორც „ცხოვრებაში“ წერია, ათი წლის ასაკში გარდაცვალა მამა, ცხადია, მის სიცოცხლეში ასეთი მცირე ასაკის ბავშვს მართო უცხო ქალაქში არ გაუშვებდნენ. შესაძლოა, წმ. ეპიფანე ტრიფონთან ყოფნის დროს მიდის ალექსანდრიაში და ის ფაქტი, რომ მშობლები აგზავნიან მას, შეიძლება არა ბუნებით მამას, არამედ მამობილს, ანუ ტრიფონს, გულისხმობდეს. მაგრამ ამის გადაჭრით თქმა, რასაკვირველია, არ შეგვიძლია, რადგან „ცხოვრებაში“ ეს ფაქტი საერთოდ არ არის ნახსენები.

ერთი რამ უდავოა: ეპიფანე ნამდვილად ჩადის ალექსანდრიაში, რასაც „ცხოვრებაც“ გადმოგვცემს, ოღონდ, უკვე მას შემდეგ, რაც ქრისტიანი გახდება. იგი ქრისტიანობაზე მოექცევა მონაზონ ლუკიანესთან შეხვედრის შემდეგ. ნახავს რა ლუკიანეს განსაკუთრებულ ღვთისმოსაობას¹, ეპიფანე დაინტერესდება მისით, მიიყვანს თავისთან სახლში და საბოლოოდ გადაწყვეტს ნათელდებას. მართლაც, მოინათლებიან ეპიფანეც და მისი დაც. ლუკიანემ თავისთან, მონასტერში, წაიყვანა ეპიფანე² და თექვსმეტი წლის ასაკში ის ხდება მონაზონი. ლუკიანემ ის ილარიონ დიდს (რომელიც ლუკიანეს შემდეგ იყო მონასტრის წინამძღვარი) მიაბარა, რათა „ასწავოს მას ღმრთის მოცემულთა წერილთა წერად“³. ამის შემდეგ იწყება წმ. ეპიფანეს ცხოვრების მეორე ეტაპი. „ცხოვრებაში“ აღწერილია მის მიერ აღსრულებული არაერთი სასწაული. ერთ-ერთი სასწაულის დროს მოექცა სარკინოზი ვინმე, სახელად იოანე, რომელსაც წმ. ეპიფანემ ცალი თვალი აღუხილა. ეს სწორედ ის იოანეა, რომელმაც აღწერა წმ. ეპიფანეს ცხოვრება.

საყურადღებოა, რომ წმ. ეპიფანე კვიპრელმა ფინიკიაში მონასტერი დააარსა, სადაც შეიკრიბა ძმათა სიმრავლე. შემდეგში იგი მონასტრის მამასახლისად დაადგენს ედესელ ფილოსოფოს ეპიფანეს, რომელიც მან მოაქცია სარწმუნოებაზე და თვითონ გადაწყვეტს ეგვიპტეში წასვლას. აი, აქ არის უკვე ცნობა იმის შესახებ, რომ ეპიფანე მიდის ალექსანდრიაში. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს მოსაზრება, თითქოს ის მონაზვნად აღკვეცამდე მიდის ეგვიპტეში, რაც არ დასტურდება „ცხოვრების“ მიხედვით.

ალექსანდრიაში წმ. ეპიფანე უპირატესად იმისათვის ჩადის, რათა უკეთ შეესწავლა მონაზვნური ცხოვრების იდეალები. მართლაც, არაერთი წყაროს მიხედვით, იგი გაეცნო სათნო ცხოვრებით სახელგანთქმულ მონაზვნებს. ფიქრობენ, რომ წმ. ეპიფანე უნდა შეხვედროდა მონაზვნობის, როგორც

.....
1 ერთხელ, როდესაც ეპიფანე თავისი დაბის მოსანახულებლად მიდიოდა, გზაში შემოხვდა ერთი ქრისტიანი, სახელად ლუკიანე. მათ გზაში შეეგებათ დავრდომილი ადამიანი, ჩაუვარდა ლუკიანეს ფეხებში და შეჰღაღადა: „კაცო ღმრთისაო, შემიწყალე მე, რამეთუ სამი დღე მაქუს მე უპუროდ აღსრულებით და არარად მაქუს მე, ყოვლად არავე არა“. ხოლო ნეტარ ლუკიანეს არაფერი ჰქონდა, რომ მიეცა. მაშინ გაიხადა „მოსაზრადნელი“ და მისცა, რათა ქალაქში შესვლისთანავე გაეყიდა და ეყიდა პური. ამ დროს ეპიფანემ იხილა საოცარი რამ: „ვითარცა განიძარცვა ლუკიანე და მისცა დავრდომილსა მას, სპეტაკი სამოსელი ზეით გარდამოჭდა და შეემოსა მას“ (იმნაიშვილი 1966: 95).

2 ეპიფანეს და მიაბარეს ერთ წმინდა ქალწულს, სახელად ბერენიკეს, რომელიც დედად (იგულისხმება ნათლია) გაუხდა ნათლობისას (იხ. იმნაიშვილი 1966: 97).

3 იმნაიშვილი 1966: 97.

რამ ახლი მოძრაობის ფუძემდებლებს¹ – წმ. ანტონი დიდსა და წმ. პახუმი დიდს². „ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით, ეპიფანე ასევე შეხვდა წმ. პაფნუტი თეზაიდელს: „ჩუენ მოვედით ალექსანდრიით და წარვედით ზენა კერძო თეზაიდით, და შეგუემთხვია ჩუენ მონაზონი ვინმე, მოწაფე დიდისა ანტონისი, სახელით პაფნოტიოს“³.

არსებობს აზრი, რომ ხანგრძლივი პერიოდი წმ. ეპიფანე მოღვაწეობდა ეგვიპტის ერთ-ერთ მონასტერში, რომელიც ჩამოაყალიბა წმ. პახუმი დიდმა⁴. ამას მიუთითებს „ცხოვრების“ ტექსტიც – რომ იგი მიდის ნიტრიის უდაბნოში, სადაც იყო პახუმი დიდის მიერ დაარსებული მონასტრები: „ჰრქუა ეპიფანე პაფნოტის: მინებს, მამაო, ყოფად ადგილსა მას, რომელსა ჰრქუან ნიტრიაჲ. ხოლო პაფნოტი ჰრქუა ეპიფანეს: ჰე, მივედ შენ ცოცხლებით და აღეშენო მამათაგან“⁵.

ეგვიპტეში ყოფნის დროს წმ. ეპიფანე გაეცნო ალექსანდრიულ ღვთისმეტყველებას. კერძოდ, შეისწავლა წმ. პეტრე ალექსანდრიელის, წმ. ალექსანდრე ალექსანდრიელის და, რაც მთავარია, წმ. ათანასე ალექსანდრიელის შრომები. უკანასკნელისგან ღრმად განისწავლა ნიკეის სიმბოლოს სწავლებაში „თანაარსობის“ შესახებ და განმტკიცდა საბოლოოდ იმ აზრში, რომ არიანული სწავლება იყო უკიდურესად გაუკუღმართებული⁶. ეგვიპტეში გარკვეული დროით ყოფნის შემდეგ წმ. ეპიფანე კვლავ ბრუნდება ფინიკიაში, თავის დაარსებულ მონასტერში, რომელსაც სპანოდრიონი ეწოდებოდა და სადაც, ნეტარი იერონიმეს ცნობით, ხდება პრესვიტერი⁷. საყურადღებოა, რომ ეპიფანეს მიერ ეგვიპტის დატოვების მიზეზად „ცხოვრების“ ტექსტი ასახელებს ეგვიპტელი ეპისკოპოსების განზრახვას, რომ ხელნი დაესხათ ეპიფანესთვის ეპისკოპოსად⁸.

ხანგრძლივი დროის შემდეგ, მიუხედავად მისი უარისა, წმ. ეპიფანე მაინც ხდება ეპისკოპოსი. 367 წელს, როდესაც გარდაიცვალა კვიპროსის მთავარეპისკოპოსი, კუნძულის ეპისკოპოსებმა, რომლებმაც კარგად იცოდნენ წმ. ეპიფანეს მკაცრი ცხოვრებისა და მისი სარწმუნოებრივი სიმტკიცის შესახებ, გამოარჩიეს ის მთავარეპისკოპოსად⁹. სხვათა შორის, ეპისკოპოსად

.....
1 წმ. ანტონი დიდი ითვლება განდევილური ცხოვრების ფუძემდებლად, ხოლო პახუმი დიდი - მონასტრული ცხოვრებისა. IV საუკუნე რამდენიმე ფრიად საყურადღებო ნიშნით არის გამორჩეული: 1) ქრისტიანობამ მასშტაბური დევნის პერიოდი დაასრულა და მას ჯერ შეიწყნარებენ და შემდეგ აღიარებენ; 2) დაიწყო მსოფლიო კრებათა ეპოქა, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ეკლესიის შემდგომ ისტორიაში; 3) დაბოლოს, როგორც უკვე ვთქვით, დაფუძნდა მონაზვნური ცხოვრება. მონაზვნობა მანამდე არსებობს და, რა თქმა უნდა, IV საუკუნიდან არ იღებს საფუძველს, მაგრამ, როგორც მოძრაობა, როგორც ჩამოყალიბებული ინსტიტუტი, სწორედ ხსენებულ საუკუნეში იწყებს განვითარებას, ადგილი კი, სადაც ჩაეყარა საფუძველი ამ ახალ მოვლენას, არის ეგვიპტე. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი ის, რომ წმ. ეპიფანე სწორედ ალექსანდრიისკენ მიემართება.

2 Dechow. 1988. P. 32.
3 იმნაიშვილი 1966: 111.
4 Nautin. 1963. Col. 618; Riggi. 1966. P. 101.
5 იმნაიშვილი 1966: 111.
6 Nautin. 1963. Col. 618; Dechow. 1988. P. 35.
7 Hieron. Contr. Ioan. Hieros. 4.
8 იმ. იმნაიშვილი 1966: 113.
9 Pallad. Dial. de Vita Ioan. Chrysost. 16; იმნაიშვილი 1966: 114-117.

მის ხელთდასხმაში გარკვეული როლი მიუძღვის წმ. ილარიონ დიდს, რომელიც ძალზედ კარგად იცნობდა მას, რადგან ლუკიანეს გარდაცვალების შემდეგ სწორედ ილარიონი იყო ეპიფანეს მოძღვარი. წმ. ეპიფანე კვიპრელის საეპისკოპოსო კათედრა იყო კვიპროსის მთავარ ქალაქ კონსტანტიაში, ამიტომაც მოიხსენიება ის ხშირად კონსტანტიის ეპისკოპოსადაც¹.

ძალიან მალე წმ. ეპიფანემ ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. მისი პოპულარობა თანდათან იზრდებოდა. 70-იან წლებში მან ისეთი დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ იმპერატორმა ვალენტმა, რომელიც სასტიკად დევნიდა მართლმორწმუნე ეპისკოპოსებს, ხელის ხლება ვერ გაუბედა. კუნძული კვიპროსი, კერძოდ კი, ქალაქი სალამინი (კონსტანტია), განსწავლული მთავარეპისკოპოსის გამოისობით, განთქმული გახდა მთელ აღმოსავლეთში².

წმ. ეპიფანე კვიპრელი ცნობილია შეუდრეკელი და დაუღალავი ბრძოლით მწვალებლების წინააღმდეგ. განსაკუთრებული სიმკაცრე მან ორიგენეს სწავლების მიმდევრებისადმი გამოიჩინა; უშეღავათოდ ებრძოდა მათ, ვინც ორიგენეს ნაწერებს, რომლებშიც ერეტიკული სწავლებანი იყო გაბნეული, ღვთივსულიერად მიიჩნევდა. 90-იან წლებში ეპიფანე ჩადის პალესტინაში და იქ იღვწის ორიგენიზმის აღმოსაფხვრელად. უკანასკნელი ცთომილების წინააღმდეგ ბრძოლაში იმდენად ღრმად შეიჭრა, რომ ხანდახან ვეღარც კი არჩევდა ცილისწამებას სინამდვილისაგან, ანუ ვინ ნამდვილად იყო ორიგენეს პატივისმცემელი და ვის კიდევ ცილს სწამებდნენ. ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა წმ. იოანე ოქროპირთან მიმართებაში: თეოფილე ალექსანდრიელი, მიხვდა რა, რომ კვიპროსის ეპისკოპოსი არ დაერიდებოდა არანაირ ბრძოლას ერესის წინააღმდეგ, წერილით შეატყობინა, თითქოს კონსტანტინოპოლი და მისი მთავარეპისკოპოსი მფარველობდა ორიგენიზმს. სხვათა შორის, არაერთი წყარო მიუთითებს, რომ თეოფილე ალექსანდრიელს პირადი მტრული განწყობა ჰქონდა წმ. იოანესადმი და ბრალდებით, თითქოს ის ორიგენიზმის მიმდევარი იყო, განაწყობ სხვები კონსტანტინეპოლელი ეპისკოპოსის წინააღმდეგ. ამას ადასტურებს „ცხოვრების“ ტექსტიც: „მიუწერა თეოფილე ეპიფანეს საცთური წიგნი იოვანჭსთვს, ვითარმედ იოვანეს ორიგინჭსი ჰრწამს და აღძრულ არს მეფისად განძებად მისა, ხოლო ეპიფანეს წინააღმდეგ მკუთერ დაეჯერა თეოფილჭსი, რამეთუ არა იცოდა, ვითარმედ მტერ არს თეოფილე იოვანესა მიმართ“³. ეპიფანე, მიუხედავად მოხუცებულობისა, დატოვებს კვიპროსს და გაემართება კონსტანტინოპოლისკენ.

აქ უნდა გავარკვიოთ ერთი გარემოება. საეჭვოდ მიგვაჩნია ზოგიერთი ისტორიკოსისა და მკვლევრის ცნობა⁴ ეპიფანეს მიერ გამოჩენილი სიმკაცრისა თუ უხეშობის შესახებ იოანესადმი. წმ. ეპიფანეს „ცხოვრებიდან“ ნათლად

1 ძველი სახელწოდება ქალაქისა იყო „სალამინი“. ქალაქი მიწისძვრის გამო დაინგრა ჯერ 332, ხოლო ბოლოს 342 წელს. იგი განაახლა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა და ახალი სახელიც სწორედ მის პატივსაცემად ეწოდა. ამიტომაც არის, რომ წმ. ეპიფანე მოიხსენიება როგორც კვიპროსის ეპისკოპოსად, ისე სალამინისა და კონსტანტიის ეპისკოპოსადაც.

2 მახარაშვილი 2012: 8.

3 იმნაიშვილი 1966: 136. იხ. Sozom.Hist. eccl. VIII 13; Socr.Schol.Hist. eccl. VI 9.

4 Sozom.Hist. eccl. VIII 14; Socr.Schol.Hist. eccl. VI 12.

ვხედავთ, რომ არც ეპიფანე და არც აღმწერი მისი ცხოვრებისა არ არიან უპატივცემულოდ განწყობილნი წმ. იოანე ოქროპირისადმი. „ცხოვრებაში“ ავტორი, თითქოსდა სრულიად მოულოდნელად, გვამცნობს ამბებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, არ უკავშირდება წმ. ეპიფანე კვიპრელს. წმ. მოღვაწის „ცხოვრებაში“ ჩართულია თეოფილეს დაპირისპირება ალექსანდრიის მთავრის, ჰერაკლეს ორ ძესთან, რომლებიც კონსტანტინოპოლში წავიდნენ და წმ. იოანეს დახმარება სთხოვეს. გადმოცემულია, ასევე, თეოფილესა და იოვანეს მიმოწერა. შემდეგ ჩართულია დედოფალ ევდოქსიას მიერ თეოგნოსტოსის ქვრივის ბალის მისაკუთრების ამბავი. ეს ფაქტი წმ. იოანე ოქროპირმა ამხილა, რის გამოც დედოფალი გაღიზიანდა და მისდამი მტრულად განეწყო. ვფიქრობთ, ამ ამბების მოხსენიება ცხადყოფს „ცხოვრების“ ავტორის კეთილგანწყობას იოანესადმი, რადგან, აპირებდა რა წმ. ეპიფანეს კონსტანტინოპოლში გამგზავრების და იქ ორიგენიზმის წინააღმდეგ გალაშქრების მოთხოვნას, წინ წაუმძღვარა ისეთი ამბები, რომლებშიც ჩანს იოანე კონსტანტინოპოლელის კაცთმოყვარეობა და ბოროტებისადმი შეურიგებლობა, რითიც, ვფიქრობთ, ხაზი გაუსვა წმ. იოანეს უდანაშაულობას და მართლმორწმუნეობას. წმ. ეპიფანეც რომ ცუდად არ იყო განწყობილი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსისადმი, ადასტურებს „ცხოვრების“ ავტორის კიდევ ერთი მინიშნება: „ეპიფანეს უნდა აღსლვად სამეუფოდ, და ესე რა ესმა თეოფილესგან იოვანესთვის, უმეტესად ხოლო ისწრაფდა ეპიფანე აღსლვად, არა თუ რადთა იოვანეს ბოროტი უყოს, არამედ რადთა შეეწიოს მას“¹.

ის, რომ წმ. ეპიფანე არ შეერია იოანესადმი მტრულად განწყობილ კრებულს, არამედ მას მხოლოდ საეკლესიო სწავლების სიწმინდე აინტერესებდა, კარგად ჩანს ერთი ეპიზოდიდან: როცა სამეფო სახლის მსახურმა გაიგო იოანეს მცირე განაწყენება ეპიფანესადმი², კვიპრელ ეპისკოპოსს დახმარება სთხოვა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის კათედრიდან გადაყენებაში იმ მიზეზით, რომ ის თითქოს რაღაც უცხო სწავლებას ემხრობოდა. ეპიფანემ ამაზე მიუგო: „უკუეთუ წვალებისათვის არს, რომელსა-ეგე იტყვ, ვცნათ იოვანწსთვის, და ემხილოს მას; და უკუეთუ არა აღიაროს მან, რამეთუ ცოდა, არა არს ღირს იგი მღვდელთმოდურებასა და, რადცა ბრძანოს თქუენმან ჳელმწიფებამან, ყოს მამამან თქუენმან (ანუ ეპიფანემ, რ. მ.). უკუეთუ კუალად თქუენისა რადსმე გინებისათვის ეძიებ განძებასა იოვანწსსა ეკლესიადთ, თქუენმან ეპიფანე ამას შინა არარად გაზრახოს“³.

მართლაც, მიხვდა რა კვიპრელი ეპისკოპოსი, რომ წმ. იოანე ოქროპირი მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი იყო და დედოფლისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსის მასთან დაპირისპირება პირად შულღზე იყო დამყარებული, დატოვა კონსტანტინოპოლი და გაემართა თავისი საყდრისკენ. მაგრამ არ ისურვა კაცთა მოდგმის მტერმა, რომ ასე მშვიდად დასრულებულიყო

1 იმნაიშვილი 1966: 136.

2 დიდად შეაღონეს რა სამმოს წევრებმა („აიძულებდეს იგინი ეპიფანეს“), თითქოს ეკლესიისთვის რაღაც განსაკუთრებული საჭიროება იყო, წმ. ეპიფანეს ერთ მონასტერში მღვდლად აკურთხებინეს მონაზონი, რამაც იოვანე ოქროპირის უკმაყოფილება გამოიწვია.

3 იმნაიშვილი 1966: 137.

ორი დიდი წმინდანის ურთიერთობა და მაინც შეეცადა მათ დაპირისპირებას. „ცხოვრების“ ავტორი გვაუწყებს, რომ ხმა დაირხა ქალაქში, თითქოს ეპიფანე მივიდა დედოფალ ევდოქსიასთან და იოანეს კონსტანტინოპოლის კათედრიდან გაძევება ურჩია. ეს დაიჯერა თავად წმ. იოანემაც და სამდურავი წერილი მისწერა ეპიფანეს: „ეპიფანე ბრძენო, აზრახე-ა ჩემი განძებამ? რამეთუ არლარა დაშჯდე შენ საყდარსა შენსა“, რასაც ეპიფანემაც უპასუხა: „მოდუაწეო იოვანე, ცემაჲ თავს-იდევ და სძლო, არამედ ადგილსა მას, სადა-იგი განძებულ ხარ შენ, ვერ მიაწინე მუნ“¹.

ეს უკანასკნელი ფაქტი, ვფიქრობთ, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მათ შორის რაიმე მტრობა ჩამოვარდა და ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით, რომელშიც ჩანს საეკლესიო მოღვაწეთა ურთიერთ სიძულვილი (გავიხსენოთ, რომ ორივე მათგანი დიდ მოღვაწეთა რიცხვში ირიცხებიან). სხვათა შორის, ერთმანეთისადმი არამოდულე განწყობას უკანასკნელი მიმართებებიც ადასტურებენ: „ეპიფანე ბრძენო...“ და „მოდუაწეო იოვანე...“. ვფიქრობთ, ასეთი ეპითეტებით არ შეამკობდნენ ერთმანეთს, რაიმე ღვარძლი რომ ჰქონოდათ. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს არის არა წყევლა, არამედ, უმეტესად, წინასწარმეტყველება მათი საბოლოო ხვედრის შესახებ; რომ წმ. იოანე მართლაც გადასახლებაში გარდაიცვალა და წმ. ეპიფანე გზაში, ვიდრე თავის საყდარში დაბრუნდებოდა. დაბოლოს, თავად „ცხოვრების“ ავტორიც ხაზს უსვამს, რომ: „ხოლო ესე დაეწერე (იოანესა და ეპიფანეს მიერ ერთმანეთისადმი ნათქვამი სიტყვები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, რ. მ.), მმანო, რადთა არავინ ეპიფანეს დასდვას ბრალი. ესე არა თუ ამისთვის ესევითართა ამათ კეთილთა იქმოდა და ამას ესევითარსამცა სიღრმესა სიბოროტისასა აქუნდამცა მას შთასლვად, ნუ იყოფინ!“² საერთოდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის ხარვეზები ასაჩინოებს ქრისტიანობას, როგორც ცოცხალ რელიგიას. რობოტულად დაპროგრამებული ადამიანების კრებული კი არ არის, რომელთათვისაც წარმოდგენელია რაიმე ნაკლის ქონა, არამედ, პირიქით, აქ არიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომელნიც საღვთო მადლის მეშვეობით და პირადი უდიდესი ძალისხმევით და შრომით მიიწევენ სიკეთისაკენ, რომელთათვისაც ადამიანური სისუსტეები, რაღა თქმა უნდა, უცხო არ არის. თუმცა, მთელი მათი მოღვაწეობა არის სწორედ ამ სისუსტეებს არშეგუება და მათი დათრგუნვა.

74

წმ. ეპიფანე კვიპრელი 403 წლის მაისის დასაწყისში, კერძოდ, 12 მაისს, როდესაც კუნძულზე ბრუნდებოდა, გემზე გარდაიცვალა. მისი სხეული გემიდან გადაასვენეს ტაძარში, რომელიც ადრე თავად ეპიფანემ ააგო კონსტანტიაში. ის ჩრდილოეთ ეკვდერში დაკრძალეს³. ტაძარს, რომელშიც წმ. ეპიფანე კვიპრელი დაკრძალეს, შემდგომში თავად წმინდანის სახელი ეწოდა. ამ სახელით არის ნახსენები VII მსოფლიო კრების აქტებში⁴. სწორედ უკანასკნელმა კრებამ

1 იმნაიშვილი 1966: 138

2 იმნაიშვილი 1966: 138.

3 Hackett. 1901. Col. 406; Karageorghis. 1969. P. 197; Dechow. 1988. P. 413.

4 Mansi. T. 13. Col. 296.

მოიხსენია იგი წმინდა მამად და ეკლესიის მასწავლებლად.

12 მაისს ქრისტიანულმა ეკლესიამ დააწესა წმ. ეპიფანეს ხსენების დღე. ამ დღის აღსანიშნავად დაუწერიათ ეპიფანეს სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც ქართულად შემონახულია წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ „დიდ სვინაქსარში“. ეს საკითხავი იოანესა და პოლიბიოსის თხზულებას ემყარება, ამიტომ რაიმე ახალი მასში არ არის¹.

II. თხზულების საღვთისმეტყველო ანალიზი

წმ. ეპიფანე კვიპრელის ჰომილია – „სადმართოთა მათ ჯორცთა დაფლვისათჳს“ – როგორც ლიტერატურული თვალსაზრისით, ისე, რაღა თქმა უნდა, უპირატესად, საღვთისმეტყველო კუთხით, უაღრესად საყურადღებო ძეგლია. ნაშრომის ამ ნაწილში განვმარტავთ წმ. ეპიფანე კვიპრელის ჩვენ მიერ გამოცემული ქადაგების ყველაზე ყურადსადებ და საღვთისმეტყველო კუთხით გამოკვეთილ ადგილებს. კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით წმ. ეპიფანეს აზრის პარალელურად, შეძლებისდაგვარად, განვიხილავთ საეკლესიო მწერალთა მსჯელობებსაც და ეკლესიის სწავლებას. ზოგი საკითხი მოკლედ გვაქვს განმარტებული, ზოგი კი შედარებით ვრცლად. ჰომილიის ტექსტიდან ციტირებისას წყაროდ ვუთითებთ Jer. 30-ს.

1) მაცხოვრის ჯვარზე აღსრულება კაცობრივი ბუნებით

წმ. ეპიფანეს ქადაგება იწყება ემოციით, რომ ცხოვრების მომცემი, მხსნელი სოფლისა კაცობრივი სულით იმყოფებოდა ჯოჯოხეთში, რამაც გამოიწვია სამყაროს დადუმება, ბნელით მოცვა: „რაღა არს ესე დღეს დუმილი მრავალი ქუეყანასა ზედა, დუმილი მრავალი ქუეყანასა ზედა, და მყუდროებად მრავალი, დუმილი მრავალი, რამეთუ მეუფესა სძინავს“². მთელი სიმძაფრით არის გადმოცემული ის დაბნეულობა და შფოთი, რომელიც გამოიწვია იესო ქრისტეს ჯვარზე სიკვდილმა და რომელსაც გვაუწყებს სახარება: „ხოლო იესუ კუალად წმა-ყო წმითა დიდითა და განუტევა სული. და, აჰა, კრეტსაბმელი იგი ტამრისაჲ მის განიპო ორად – ზეითგან ვიდრე ქუემდე, და ქუეყანაჲ შეიძრა და კლდენი

.....

1 მახარაშვილი 2012: 20.

2 Jer. 30: 156 v.

განსქთდეს, და საფლავნი აღეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესუნებულთა წმიდათანი აღდგეს... ხოლო ასისთავმან მან და მისთანათა, რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს რად ძვრად იგი რად-იგი იქმნა, შეეშინა ფრიად“ (მათ. 27, 50-54). წმ. მამის თქმით: „ქუეყანასა შეეშინა და დაყუდნა, რამეთუ ღმერთმან ჯორცითა დაიძინა“¹.

წმ. ეპიფანე კვიპრელის ეს სიტყვები, რომ „ღმერთმან ჯორცითა დაიძინა“, ხაზს უსვამს იმას, რომ არათუ სხვა ეცვა ჯვარს, არა მოჩვენებითად, არამედ ჭეშმარიტად ავიდა ჯვარზე იესო ქრისტე, სრული ღმერთი და სრული კაცი, ორი ბუნებით, მაგრამ ის, რაც ვნებადია, ანუ კაცობრივი ბუნება, ევნება ჯვარზე, ხოლო ვნებაგანუცდელი საღვთო ბუნება შეუხებელად დარჩა; მსგავსად იმისა, როგორც იტყვის შემდგომში წმ. ლეონ დიდი²: „მე ღმრთისად ჯუარცუმულად ითქუმის და დაფლულად, რაჟამს-იგი ესენი (ტანჯვანი, რ. მ.) არა თვთ მით ღმრთეებითა, რომლითა მხოლოდშობილი და თანასამარადისოდ და თანაარსი არს მამისად, არამედ უძღურებითა კაცობრივისა ბუნებისადთა თავს-იხსნა. ვინადაც მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა ჯუარცუმულად და დაფლულად და აღდგომილად მრწამსსა შინა ერთ პირად აღვიარებთ ყოველნი, სამოციქულოდსა მისებრ სიტყვსა, ვითარმედ: უკუეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი დიდებისად ჯუარს-აცუეს (1 კორ. 2, 8)“³. სწორედ ამასვე მოწმობს წმ. პეტრე მოციქულის სიტყვები: „ქრისტემან რად ივნო ჩუენთვს ჯორცითა“ (1 პეტრ. 4, 1). ყოველივე ამის შესახებ სხვა ქადაგებაში წმ. ეპიფანე ამბობს: „ქრისტემან რად ივნო ჩუენთვს ჯორცითა, უვნებელად ჰგიეს ღმრთეებად კაცსა თანა, ხოლო უვნებელ ღმრთეებად, რამეთუ გამოუკულეველ არს და გამოუთქუმელ სიბრძნითა, რამეთუ ივნო ჯორცითა, ხოლო ცხოველ არს ღმრთეებითა, და აღადგინნა მკუდარნი ჭეშმარიტად და დაეფლა ჯორცითა და თვნიერ საშუმინველისა იდვა სამ დღე უსულოდ და შეუძრველად, და შეიხვა სამკუდროდთა ტილოდთა და დაიდვა საფლავსა. და დასდევს ლოდი და დაებეჭდა ბეჭდიითა. არა თუ ღმრთეებად შეეყენა, არა თუ ღმრთეებად დაეფლა“⁴. ასევე ამბობს: „რომელმან ვნებად ჩუენთვს დაითმინა ჭეშმარიტად ჯორცითა და სრული კაცებად შეიმოსა, ივნო ჭეშმარიტად ჯუარსა ზედა თანაყოფითა ღმრთეებისადთა, არამედ არა ვნებითა, რამეთუ ღმრთეებად უვნებელ არს და უქცეველ ორთავე ამათგან ბუნებათა, ნათელ, განუცადებელ“⁵. ცხადად საუბრობს წმინდა მამა იმაზე, რომ იესო ქრისტემ ვნება დაითმინა ხორციით, მაგრამ არა ისე, თითქოს საღვთო

1 Jer. 30: 156 v.

2 წმ. ლეონის ტომოსი (ეპისტოლე წმ. ფლავიანე კონსტანტინოპოლიელისადმი) IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ აღიარა როგორც ჭეშმარიტად მართლმადიდებლური სწავლება.

3 ახ. ქართ.: „ღვთის ძე ჯვარცმულად და დაფლულად ითქმის, როცა მან ვნებანი იტვირთა არა ღმრთეებით, რომლითაც მამის მხოლოდშობილი, თანადაუსაბამო და თანაარსია, არამედ კაცობრივი ბუნების უძღურებით. ამის გამო მრწამსში მხოლოდშობილ ღვთის ძეს ჯვარცმულად, დაფლულად და აღდგომილად და ერთ პირად ვალიარებთ ყველანი, სამოციქულოს სიტყვების შესაბამისად: ”უკუეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი დიდებისად ჯუარს-აცუეს (1 კორინთ. 2, 8)“; ეპისტოლე წმიდათაგანისა პაპა ლეონისი წმიდათაგანისა ფლავიანეს მიმართ კონსტანტინოპოლელ ეპისკოპოსისა, ხელნაწერი S 1463 (XII ს.), გვ. 218 v.

4 წმ. ეპიფანე კვიპრელი, ქალწულისა მარიამისთვის, სინური მრავალთავი, თბ., 1959, გვ. 50.

5 სინური მრავალთავი 1959: 50.

ბუნება გაშორებული იყო კაცობრივი ბუნებისგან, არამედ „თანაყოფითა ღმრთეებისადა“, თუმცა არა ვნებით, რადგან საღვთო ბუნება უვნებელია.

ეპიფანე კვიპრიელის მიერ გადმოცემული ზემოთ ხსენებული სწავლება მკაფიოდ მიაჩნებდა იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომელიც შემდგომში განვითარდა ჯერ უშუალო ნესტორის¹ ამოღებრძობით და შემდეგ – მონოფიზიტური² გაუკუღმართებით³. პირველის მიხედვით, თითქოს სხვა იყო მამა ღმერთისგან შობილი, ხოლო სხვა - ქალწულ მარიამისგან შობილი (ღვთისმშობლად არ მოიხსენიებდნენ ყოვლად წმინდა ქალწულს, არამედ უწოდებდნენ ქრისტეს მშობელს). შესაბამისად, იესო ქრისტეში ისინი ორ პიროვნებას ეძიებდნენ და, მათი თქმით, კაცი იესო ქრისტე ეცვა ჯვარს და არა ღმერთი, რადგან შეუძლებელია ზეარსი, ყოვლად უვნებო, ჯვარს ეცვას. სწორედ ნესტორის (428-431 წლებში იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი) წინააღმდეგ გაილაშქრა წმ. კირილე ალექსანდრიელმა (+444 წ.) და გააქარწყლა მისი ბიწიერი სწავლება. თავის თორმეტ ანათემამში ის შეაჩვენებს მათ, ვინც განყოფს იესო ქრისტეს ორ პიროვნებად და ვინც მარადის ქალწულს ღვთისმშობლად არ სახელდებს: „თუ ვინმე არ აღიარებს, რომ ჭეშმარიტად ღმერთია ემმანუელი და, ამის გამო, ღვთისმშობელია წმინდა ქალწული, რადგან ხორციელად შვა მან ხორცმნილი სიტყვა მამა ღმერთისა, ანათემა!“⁴ განმარტავს რა თავადვე ამ მუხლს, მოჰყავს წმ. ათანასე ალექსანდრიელის (+373 წ.) ნათქვამი: „იშვა რა ხორცი მარიამ ღვთისმშობლისგან, თვით ის ითქმის შობილად, ვინც სხვებს არსებობისათვის შექმნილობა მიაჩნია, რათა თავის თავზე განეკუთვნა მას ჩვენეული შობა“⁵. კიდევ უფრო უცხადესად იმავე წმ. ათანასეს სიტყვებს

1 ნესტორის ერესი დაიგმო III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც 431 წელს გაიმართა მცირე აზიის ქალაქ ეფესოში. კრებას წმ. კირილე ალექსანდრიელი თავმჯდომარეობდა, რომელიც მტკიცედ იბრძოდა ცთომილების წინააღმდეგ და საბოლოოდ დაიცვა წმინდა კათოლიკე მართლმადიდებლური სწავლება. სამწუხაროდ, კრების გადაწყვეტილება ყველა ადგილობრივ ეკლესიას ერთსულოვნად არ მიუღია. ანტიოქიის ეკლესია, რომლის ეპისკოპოსიც იყო წმ. იოანე ანტიოქიელი, უნდობლად უყურებდა ეფესოს კრებას და, განსაკუთრებით, წმ. კირილე ალექსანდრიელს საბოლოოდ, წარმოქმნილი გაურკვეველობა აღმოიფხვრა, მშვიდობა და ერთიანობა აღდგა 433 წელს. ანტიოქიის საყდარმა და მისმა მომხრეებმა აღიარეს ეფესოს კრება და მისი დადგენილებები.

2 მონოფიზიტური ერესი იყო ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მწვალებლობათა ისტორიამი. წარმოიშვა, დაახლოებით, V საუკუნის 40-იან წლებში; კერძოდ, პირველად 448 წლის კონსტანტინოპოლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე, რომელსაც წმ. ფლავიანე კონსტანტინოპოლის ხელმძღვანელობდა, გამოაშკარავდა დედაქალაქის ერთ-ერთი მონასტრის არქიმანდრიტის, ევტიქის ცრუსწავლება, რომელიც ევსები დორილეელმა წარმოაჩინა, როგორც მართებული მოძღვრება. მწვალებლობა, საბოლოოდ, დაიგმო IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც 451 წელს ჩატარდა კონსტანტინოპოლის გარეუბანში, ქალკედონში.

3 მართალია, წმ. ეპიფანე წინარე მოღვაწეა ნესტორის ცრუ სწავლებისა და მონოფიზიტური ერესის გამოჩენამდე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ წმინდა მამები, ჭკრეტდნენ რა მომავალ საფრთხეს, კონკრეტულ საკითხზე სწავლებას მკაფიოდ და სიღრმისეულად განმარტავდნენ, რათა, ერთი მხრივ, განემტკიცებინათ მორწმუნენი, ხოლო, მეორე მხრივ, რაიმე ბიწი არ შერეოდა ჭეშმარიტ სწავლებას. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუმცა ოფიციალურად V საუკუნეში გამოწყდებოდა ზემოხსენებული ორი ერესი, მაგრამ მათ ცრუ სწავლებას საფუძველი უფრო ადრეულ პერიოდში მოეძებნება; შესაბამისად, წმ. ეპიფანეს დროს (და უფრო ადრეც) ცთომილი აზრები, რომლებსაც ყურდნობა ნესტორისა და მონოფიზიტების ცრუ სწავლება, უკვე არსებობდნენ და, ბუნებრივია, წმინდა მამები, მათ შორის ეპიფანეც, მიაჩნებენ ჭეშმარიტ სწავლებას.

4 წმ. კირილე ალექსანდრიელი, თორმეტი ანათემა, თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, „სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები“, II, თბ., 2004, გვ. 26.

5 წმ. კირილე ალექსანდრიელი, პირველი ანათემატიზმა და მისი განმარტება, თარგმნა ედიშერ

დასძენს: „როგორ შეიძლება ქრისტიანები იყვნენ ისინი, ვინც ამბობს, რომ სხვა არის ძე და სხვა – სიტყვა ღვთისა?“¹

წმ. იოანე დამასკელი (VII ს-ის დასასრული და VIII ს-ის პირველი ნახევარი), რომელიც მთელ დოგმატურ მსჯელობათა შემაჯამებლად გვევლინება და რომელმაც გადმოგვცა უმთავრესი დოგმატური სწავლებანი², ამგვარად გვმოდღვრავს: „წმინდა ღვთისმშობელმა შვა ჰიპოსტასი, ორ ბუნებაში ცნობილი, რომელიც, ერთი მხრივ, მამისგან უჟამოდ შობილია ღმრთეებით, ხოლო უკანასკნელ ჟამს მისგან (ღვთისმშობლისგან) არის ხორცქმნილი და ხორციტ ნაშობი. მაგრამ, თუ შემკითხველები იმას მიგვანიშნებენ, რომ წმინდა ღვთისმშობლისგან შობილი ორი ბუნებაა, ამაზე ვიტყვით: დიახ, ორი ბუნებაა იგი, რადგან თვითვეა ღმერთიც და ადამიანიც“³.

მონოფიზიტები ასწავლიდნენ, რომ თითქოს იესო ქრისტეში არა ორი, არამედ ერთი ბუნება იყო, რომ საღვთო ბუნებამ შთანთქა კაცობრივი ბუნება. ევტიქი (კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი მონასტრის არქიმანდრიტი, მონოფიზიტური ერესის მამამთავარი), რომელმაც შემოკრიბა და მეწინამძღვრობდა უკეთურთა კრებულს, ამგვარად ცუდმესიტყვობდა: „ორთა ბუნებათაგან ქმნილად აღვიარებ უფალსა ჩუენსა უწინარეს შეერთებისა, ხოლო შემდგომად შეერთებისა – ერთსა ბუნებასა აღვიარებ“⁴. მათი სწავლებიდან გამომდინარე, ჯვარზე ეცვა იესო ქრისტე მოჩვენებითად, რადგან მას ხორციელება კი არ ჰქონდა შობის შემდეგ, არამედ მხოლოდ შესახედაობა ადამიანური, როგორც გვაუწყებს მათი ცრუსწავლების შესახებ წმ. ლეონ დიდი (+ 461 წ.)⁵.

ვინც ირწმუნებს არა საღვთო სიტყვისებრ, რომ: „უფალი იგი დიდებისაჲ ჯუარს-აცუეს“ (1 კორ. 2, 8), არამედ სხვაგვარად, წმ. კირილე ალექსანდრიელი შეაჩვენებს მათ და იტყვის: „თუ ვინმე არ აღიარებს, რომ ღვთის სიტყვა ხორციტ ევნო, ხორციტ ჯვარს-ეცვა, ხორციტ იგემა სიკვდილი და გახდა პირმშო მკვდართა, რადგანაც არის იგი სიცოცხლე, ცხოველმყოფელი და ღმერთი, ანათემა!“⁶ წმ. იოანე დამასკელიცხადად გვასწავლის, რომ ყოველივე მოქმედება მაცხოვრისა მის საღვთო პიროვნებაში აღესრულება ბუნებათა განუცალკევებლად, თუმცა, მათი (ბუნებების) მიმლეობის შესაბამისად: ვიტყვით „ჯვარცმის, აღდგომისა და ამაღლების შესახებ. ესენი განეკუთვნება არა ბუნებას, არამედ ჰიპოსტასს. ასე რომ, ვნებადი ბუნებით ევნო და ჯვარს ეცვა ორ ბუნებაში მყოფი ქრისტე, რადგან ხორციტ ჩამოეკიდა იგი ჯვარზე და არა ღმრთეებით. ამიტომ, რადგან ისინი ჩვენს შეკითხვაზე: „ორი ბუნებით

ქელიძემ, „სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები“, II, თბ., 2004, გვ. 31.

1 წმ. კირილე ალექსანდრიელი, პირველი ანათემატიზმა და მისი განმარტება 2004: 32.

2 ამიტომაც ეწოდა მის სახელმძღვანელოს „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, რომ ყველაზე უმთავრესი მოძღვრებანი, საეკლესიო მამათაგან გადმოცემული, შემოკრიბა და მართლაც ზედმიწევნით მოგვაწოდა.

3 წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ქელიძემ, LXXX, თბ., 2000, 425.

4 ახ. ქართ: „ორი ბუნებისგან ქმნილად ვაღიარებთ ჩვენს უფალს შეერთებამდე, ხოლო შეერთების შემდგომ - ერთ ბუნებას“; იხ. ეპისტოლე წმ. ლეონისი, S 1463: 219 r.

5 იხ. S 1463: 217 v.

6 წმ. კირილე ალექსანდრიელი, თორმეტი ანათემა 2004: 27.

მოკვდა“? გვიპასუხებენ და გვეტყვიან: „არა“, მაშ, არც ორი ბუნება ყოფილა ჯვარცმული, არამედ იშვა რა ქრისტე (ანუ განკაცებული სიტყვა ღვთისა), იშვა იგი ხორციტ, ჯვარს ეცვა ხორციტ, ევნო ხორციტ და მოკვდა ხორციტ, მისი ღმრთეება კი უვნებელი დარჩა“¹.

გვაუწყა რა წმ. ეპიფანემ მაცხოვრის ხორციელად სიკვდილის ამბავი, შემდეგ უკვე ახსენებს იმას, თუ ამ მცირედმა მიძინებამ როგორ გაამარჯვებინა სიკეთეს და იგი, ამ გამარჯვების სიხარულით განმსჭვალული, შესძახებს: „სადა-მე უკუე არიან აწ პირველ მცირედისა ამბოხებანი და ჳმანი და შფოთნი, ქრისტესთჳს აღძრულნი, ჳ უმჯულონო? სადა-მე უკუე არიან ერნი და წესნი და საჭურველნი და ლახუარნი? სადა არიან მეფენი და მღდელნი და მსაჯულნი დაშჯილნი?“² ანუ სად არის ის უმჯულოთა კრებული, რომელიც იესო ქრისტეს სიკვდილს ითხოვდა? სად არის იუდეველთა ის ხმამაღლობა, რომლითაც მრისხანედ და ამაყად მოითხოვდნენ: „ჯუარს-აცუ, ჳუარს-აცუ ეგე“ (ლუკ. 23, 21)! მართალია, მათ, ერთი შეხედვით, თითქოსდა სძლიეს და მოაკვდინეს მაცხოვარი, მაგრამ სინამდვილეში თავად იძლიენენ მისგან; შეეჭიდნენ უმჯულოები, მაგრამ საბოლოოდ თვითოვნე დამარცხდნენ: „ეკუეთნეს ქრისტესა, ლოდსა მას თავსაკიდურსა და იგინი შეიმუსრნეს“³. განუმზადეს რა მათ სასიკვდილო ძელი ქვეყნიერების მხსნელს, მაგრამ, უმჯულო ჳამანისებრ, თავადვე აღესრულნენ მათსავე აღმართულ სიკვდილის იარაღზე: „ადამაღლეს ძელსა ზედა კლდე იგი ცხორებისად და გარდამოსლვასა თჳსსა იგინი მოაკუდინნა“⁴.

2) ჯოჯოხეთის შემუსვრა და მართალთა სულების გამოხსნა

ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი საკითხი, რომელსაც წმ. ეპიფანე კვიპრელი ეხება, არის მაცხოვრის მიერ ჯოჯოხეთის შემუსვრა და საუკუნითგან დამძინებულთა სიკვდილის ტყვეობიდან გამოხსნა.

პირველი ნაწილი ამ ეპიზოდისა არის ის, რომ მაცხოვარი ჳემშარიტად ჩადის ჯოჯოხეთში ადამიანური სულიტ. ამას, მოციქულთა პერიოდიდან მოყოლებული, ერთსულოვნად ასწავლიდნენ ეკლესიის მოძღვარნი. პეტრე მოციქულის პირველი სიტყვა იერუსალიმში სულიწმინდის მოციქულებზე გარდამოსვლის დღეს სწორედ ამას ცხადყოფს, როდესაც დავითის სიტყვები მოჰყავს: „არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს და არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი... წინაღსწარ იცოდა და იტყოდა აღდგომისათჳს ქრისტესისა, რამეთუ არა დაშთა სული მისი ჯოჯოხეთს, არცა ჳორცთა მისთა იხილეს გასახრწნელი“ (საქ. მოც. 2, 27, 31). აქედან ჩანს, რომ ქრისტე კაცობრივი სულიტ იყო ჩასული ჯოჯოხეთში. კიდევ უფრო მკაფიოდ

.....
1 წმ. იოანე დამასკელი, LXXX, 2000: 425-426.

2 იქვე.

3 Jer. 30: 156 v.

4 იქვე.

და გამოკვეთილად გადმოსცემს ამ სწავლებას პეტრე მოციქული თავის ეპისტოლეში: „ქრისტემანცა ერთგზის ცოდვათა ჩუენთათჳს ივნო, მართალმან მან – ცრუთათჳს, რადთა ჩუენ წარგუადგინნეს ღმრთისა; მოკუდა ჳორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლითაცა საჰყრობილესა მას სულთა მივიდა და ქადაგა“ (1 პეტრ. 3, 18-19). განსაკუთრებით ბევრი დაიწერა ამ საკითხის შესახებ IV საუკუნეში, როდესაც გამოჩნდა აპოლინარი ლაოდიკიელის (დაახ. 310-390 წწ.) ცრუსწავლება, რომელიც უარყოფდა იესო ქრისტეში ადამიანურ გონიერ სულს¹. ამიტომაც გამოკვეთილად ამბობდნენ საეკლესიო ავტორები, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტად აღესრულა ჯვარზე, ჭეშმარიტად დაეფლა, **ჭეშმარიტად ჩავიდა ჯოჯოხეთში კაცობრივი სულით**² და ჭეშმარიტად აღდგა და დაჯდა მარჯვენით მამისა. თუკი ვინმე ამას არ აღიარებს, ასეთი ავტომატურად გამოხსნის საიდუმლოს უარყოფელი ხდება.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, თუ ვინ ამოჰყავს ჯოჯოხეთში ჩასულ იესო ქრისტეს, აქაზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. რათქმა უნდა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი და, შესაბამისად, არაერთი აზრი გამოითქვა; დასაწყისში მოკლედ ვიტყვით, რომ ეკლესია ყოველთვის გამოკვეთს შემდეგ სწავლებას: იესო ქრისტე, ღმერთმამაკაცი, აღესრულა ჯვარზე ხორციით, დაეფლა, ჩავიდა ჯოჯოხეთში, აღდგა და თანა-აღადგინა საუკუნითგან დაძინებულნი მართალნი. მაგრამ, როდესაც უფრო კონკრეტულად და სიღრმისეულად განიხილება საეკლესიო ავტორთაგან ეს საკითხი, მათშიც განსხვავებულ აზრებსაც ვხვდებით. როდესაც ჩვენ ვახსენებთ საეკლესიო სწავლებას, რომლის მიხედვითაც მაცხოვარმა ქვესკნელიდან აღმოიყვანა საუკუნითგან დაძინებულნი მართალნი და, ამავე დროს, ვამბობთ, რომ არის სხვა მოსაზრებებიც, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ კერძო აზრებს, რომლებიც საეკლესიო მამათაგან არის გამოთქმული და რომლებსაც თავიანთი საფუძველი აქვთ. შევეცდებით განვიხილოთ ეს მოსაზრებები არგუმენტებითურთ და თანმიმდევრულად ჩამოვაყალიბოთ მართებული აზრი.

ძირითადად გამოყოფენ ორ კერძო აზრს: პირველი არის ის, რომ მაცხოვარი ჩავიდა ჯოჯოხეთში და ადამიდან მოყოლებული ქრისტეს აღდგომამდე გარდაცვლილი ყველა ადამიანი აცხოვნა, უკლებლივ ყველა ამოიყვანა იქიდან, რასაც გულისხმობს საეკლესიო მოძღვართაგან არაერთგზის დამოწმებული ტერმინი – ჯოჯოხეთის „წარმოცალიერება“. მეორე აზრის მიხედვით, ჩავიდა რა ქრისტე ჯოჯოხეთში, იქადაგა იქ და ვინც იმ დროს ირწმუნა მისი, ის გამოიხსნა (ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირველი აზრი სუსტი და ხარვეზიანია).

1 აპოლინარის თქმით, თითქოს მე ღმერთს, შეიერთა რა კაცობრივი ბუნება, არ მიუღია ადამიანური გონიერი სული, არამედ მან მხოლოდ სხეული და სამშვივნელი მიიღო. აპოლინარის ერესი II მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც კონსტანტინოპოლში 381 წელს ჩატარდა, მწვალებლობად გამოცხადდა.

2 უფლის საღვთო სხეული ამ დროს საფლავშია დადებული, საღვთო ბუნება ყველგანმყოფი და გარეშემოუწერელია. შესაბამისად, მასზე (საღვთო ბუნებაზე) "ჩასვლა" ან რაიმე სახის გადაადგილების თქმა პირდაპირი გაგებით ყოვლად დაუშვებელია; გამომდინარე აქედან, ვიტყვით, რომ ჯოჯოხეთში ჩადის იესო ქრისტე კაცობრივი სულით განუშორებლად საღვთო ბუნებისგან, რომელიც არის ყველგან მყოფი.

თავდაპირველად მოვიხმობთ ნაწილს ჰიმნოგრაფიაში¹ გადმოცემული სწავლებისა ამ საკითხთან დაკავშირებით: „ზარგანდილ იქმნა ჯოჯოხეთი, მაცხოვარ, გიხილა რა ცხოვრებისმომცემელი ეგე, სიმდიდრისა მისისა წარმომაცალიერებელი და საუკუნითგანთა მათ მკუდართა აღმადგინებელი“²;

„მიიძინე რა მცირედ, განაცხოველენ მკუდარნი, ხოლო აღსდევ რა, აღადგინენ საუკუნითგან დაძინებულნი მკუდარნი, სახიერ“³;

„დედანი, რომელნი განთიად მოსრულ იყუნეს ტირილად საფლავსა უფლისასა, ჰრქუა ანგელოზმან: რადასათეს მკუდართა თანა ეძიებთ ცხოველსა მას და უკუდავსა, რამეთუ აღდგა, ვითარცა ღმერთ არს, საფლავით ყოვლადმდიერი და იქსნა ადამ ნათესავითურთ, და დახსნა ქუესკნელისა მოქლონი“⁴;

„შთაჭუედ ქუეშე ქუეყანისა შემოსილი ეგე ნათლითა სიმართლისადათა და მკუდარნი, ვითარცა ძილისაგან, აღადგინენ, განსდევნე რა ყოველივე ბნელი ჯოჯოხეთს შინა“⁵;

„მორჩილ ექმენ მამასა თვსსა, სიტყუაო, და ვიდრე ჯოჯოხეთადმდე შთახუედ და აღადგინენ ნათესავნი კაცთანი“⁶;

„დადაცათუ დაეფალ საფლავსა შინა, და უკუეთუ ჯოჯოხეთადცა შთაქედ, არამედ საფლავნიცა წა[რ]მოაცალიერენ და ჯოჯოხეთიცა განშიშულეზულ ჰყავ, ქრისტე“⁷;

„დადაცათუ მკუდრად იხილვე, არამედ, ვითარცა ღმერთმან ცხოველმან, კაცნი მომკუდარნი განაცხოველენ, მოაკუდინე რა ჩუენი იგი მკუდარყოფელი“⁸;

„ვითარცა მარცვალნი იფქლისაჲ, შთაჭუედ წიაღთა შინა ქუეყანისათა და აღმოგვცენე მრავალმიწიერი იგი ჯუვილი, აღადგინენ რა კაცნი ადამისთაგანნი“⁹;

„ცხოვრებისა იგი ლოდი, შეიწყნარა რა მუცელსა შინა ჯოჯოხეთმან, მან, ყოველთა განმლეველმან, წარმოსტყუენნა საუკუნითგან მის მიერ შთანთქმულნი იგი მკუდარნი“¹⁰; და სხვანი და სხვანი.

ვფიქრობთ, აქ მოცემული სწავლებანი იმის შესახებ, რომ მაცხოვარი ჩავიდა ჯოჯოხეთში და განაცხოველნა ნათესავნი კაცთანი და თანა-აღადგინნა ადამის ძენი, არ უნდა გვაძლევდეს იმის თქმის საშუალებას, რომ ღმერთმა უკლებლივ ყველა პიროვნება გამოიხსნა წყვიდადისგან. ისინი, ვინც ყველას

.....
1 საერთოდ, ჰიმნოგრაფიაში მოცემული ტექსტები დოგმატურ სწავლებაზე დაყრდნობით არის შექმნილი. ის, რაც ლიტურგიკული საკითხავებით გადმოიცემა (რომლებიც მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთხმად ხმიანდება), არანაირად არ შეიძლება იყოს კერძო აზრი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია, – ეს არის დოგმატურ ძეგლთა კრებული, რომელშიც მოცემულია უცილობელი საეკლესიო სწავლებანი, რაც აღიარებულია ეკლესიის მიერ.

2 ტრიოდისონი, რომელ არს სამსაგალობელი, მარხვანი, წმიდასა და დიდსა შაბათსა, ცისკარი, ნეტარ-არიაანის ჩასართავები, სასუენი მეორე, ტვ., 1901, გვ. 564.

3 ტრიოდისონი 1901: 565.

4 ტრიოდისონი 1901: 569.

5 ტრიოდისონი 1901: 563.

6 ტრიოდისონი 1901: 561.

7 ტრიოდისონი 1901: 560.

8 ტრიოდისონი 1901: 560.

9 ტრიოდისონი 1901: 559.

10 ტრიოდისონი 1901: 558.

გამოხსნას უჭერენ მხარს, სწორედ იმას მიანიშნებენ, რომ ჯოჯოხეთის წარმოცალიერებაში და ადამის ძეთა აღმოყვანაში უკლებლივ ყველას ხსნა იგულისხმება. თუკი დარჩა იქ ვინმე, მაშინ სადღაა მაცხოვრისმიერი ძლევა ბოროტისა? მაშინ ისევ გამარჯვებული რჩება ბოროტი. მაგრამ მათ ვეტყვით, რომ სიტყვა „წარმოცალიერება“, რა თქმა უნდა, ნიშნავს დაცლას, გამოლევას, გამოსუფთავებას, მაგრამ არა სიმრავლის დატვირთვით, რომ თითქოსდა მხოლოდ ყველა სულის ამოყვანა მოიაზრება ამ ტერმინში, არამედ ღირსების შინაარსით. მაცხოვარმა წარმოცალიერასულთა საპყრობილე (ანუ ჯოჯოხეთი), ეს ნიშნავს იმას, რომ მაცხოვარმა წამოიღო ჯოჯოხეთიდან ყოველივე, რაც კი ღირსეული იყო მასში. აქედან გამომდინარე, იესო ქრისტემ, გამოსტაცა რა ჯოჯოხეთის მკობელთ მართალთა სულები, სრულიად დააცარიელა და გაასუფთავა ის ადგილი იმ პირთაგან, რომელთა სამყოფელიც სხვაგან მოიაზრებოდა; რაც კი რამ სუფთა იყო, ყველაფრისგან გაწმინდა და დატოვა სრული წყვდიადი; ღირსების ნატამალიც კი არ დაუტოვებია იქ. გამომდინარე აქედან, ზემომოხმობილ ლიტურგიკულ საკითხავებში გადმოცემული სწავლება მაცხოვრის მიერ ადამიანთა გამოხსნის შესახებ გულისხმობს იმას, რომ ღმერთმა ადამიანური ბუნება გამოიხსნა. მეტიც, ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ აღდგომის შემდეგ ყველა პიროვნება ავტომატურად გამოხსნილია. საეკლესიო სწავლებით, იესო ქრისტემ სიკვდილის ტყვეობისგან გამოიხსნა და ცოდვათაგან გაათავისუფლა კაცობრივი ბუნება, ხოლო თითოეული პიროვნება ნათლობის გზით თანაშეერთვის ამ მოქმედებას. შესაბამისად, კაცთა ნათესავში იგულისხმება ადამიანური ბუნება და არა ყველა პიროვნება. ამ საკითხს პირდაპირ თანხვდება წმ. იოანე დამასკელის შემდგომი სწავლება: „ვამბობთ, რომ ჩვენი ბუნება მკვდრეთით აღდგა, ზეავიდა და დაჯდა მამის მარჯვნივ, **თუმცა არა ისე, რომ ადამიანთა ყველა ჰიპოსტასი აღდგა და დაჯდა მამის მარჯვნივ, არამედ – მთელი ბუნება ქრისტეს ჰიპოსტასში**. მართლაც, საღვთო მოციქულმა თქვა: ”თანა-აღვადგინა და თანა-დაგვხსნა ჩვენ ქრისტეში (ეფეს. 2, 6)¹. თუკი ყველა პიროვნება აღმოიყვანა ჯოჯოხეთიდან მაცხოვარმა და, ბუნებრივია, ღმერთს წინდაწინ ეცოდინებოდა, რომ ეს უნდა გაეკეთებინა, მაშინ აზრი ეკარგება ძველი აღთქმის ეკლესიის მოღვაწეობას. ისმის კითხვა: რაღა საჭირო იყო მამათმთავართა დაუღალავი შრომა და უფლის მიერ მათი მოწონება, რა საჭირო იყო შჯული და მსხვერპლშეწირვა, რისთვის იღწოდნენ და იღვენებოდნენ წინასწარმეტყველნი? თუკი ყველას ცხოვრება ერთნაირად უნდა განხილულიყო და ყველა დააღწევდა საბოლოოდ ჯოჯოხეთს თავს, რატომღა მოუწოდებს ღმერთი თავისთან ხალხს და რატომ იქნება თავის დროზე ისრაელი გამორჩეული? გამოდის, რომ საღვთო მოქმედება ფუჭი ყოფილა, აკეთებს იმას და მოუწოდებს იმისკენ, რასაც აზრი არა აქვს. რა თქმა უნდა, ეს ასე არაა. შესაბამისად, ვფიქრობთ, ძალზედ მკაფიოა იმ აზრის არამართებულობა, რომ თითქოს ქრისტემ ყველა პიროვნება ამოიყვანა ქვესკნელიდან.

ახლა შევეხოთ მეორე აზრს, რომელიც გაცილებით საფუძვლიანია და, ამასთან ერთად, საკმაოდ ავტორიტეტული მოძღვრებისგან გადმოცემული,

.....

1 წმ. იოანე დამასკელი, L, 2000: 388.

კერძოდ: იესო ქრისტე, ჩადის რა ჯოჯოხეთში, იქადაგებს და, რა თქმა უნდა, ძველი აღთქმის მართალნიც ამოჰყავს და ისინიც, ვინც ირწმუნებს მის ქადაგებას. ამ აზრის გამოთქმისას ყოველთვის მოიხმობა სიტყვები წმ. პეტრე მოციქულის ეპისტოლედან: „ქრისტემანცა ერთგზის ცოდვათა ჩუენთათჳს ივნო, მართალმან მან ცრუთათჳს, რადთა ჩუენ წარგუადგინნეს ღმრთისა, მოკუდა ჳორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლითაცა საჰყრობილესა მას სულთა მივიდა და ქადაგა“ (1 პეტრ. 3, 18-19). წმ. იოანე ოქროპირი ამ ადგილის განმარტებისას ამბობს: „რომელმან-იგი კაცთა ცხოვრებისათჳს არა სირცხულ-იჩინა განკაცებამ, მან, სახიერმან მეუფემან, არცა ერთი დაბადებულთა თჳსთაგანი დაუტევა უკურნებელად, არამედ ვითარცა-იგი მკვდრთა ქუეყანისათა მიერ დასატევენელ იქმნა ჳორცთშესხმითა, და ქადაგ იქმნა მათ შორის დიდისა მის ზრახვისა – მამისა – ღმრთეებასა, ეგრეთვე მყოფთა ჯოჯოხეთისათა მიმართცა მიიწია სიკუდილითა და სულთა მათ შორის შეეყენებულთა ქადაგა სულითა მით კაცობრივითა, რომელი ჯუარსა ზედა შეჰვედრა მამასა, რადთა არა ხოლო მათ, რომელნი მეცნიერ იყვნეს მისსა, არამედ მათცა, რომელნი-იგი ოდესმე ურჩ და უმეცარ იყვნეს, სწორებით ეუწყოს ქადაგებამ ცხოვრებისად. რამეთუ არა ხოლო ცოდვილთა, არამედ მართალთადაცა იგივე იყო სავანე – ქუესკნელი ჯოჯოხეთისად, ვინაფთგან სამოთხე დაჰშულ იყო გარდასლვითგან ადამისით. ხოლო სასუფეველი ცათამ არღა სავალქმნილ იყო კაცთა, რამეთუ მიელოდა ქრისტეს მიერ წინა-განღებასა დასაბამითა თბისა ჩუენისადათა. **ამისთჳსცა ჯოჯოხეთს მკვდრთა—მართალთა და ცოდვილთა—ყოველთა სწორებით ექადაგა, და რომელთაცა ჰრწმენა, იგინიცა აღდგეს ქრისტეს თანა და აღმოიყვანნეს ჯოჯოხეთით**“¹. ვფიქრობთ, ნათელია, რომ წმ. იოანე ოქროპირი მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ჯოჯოხეთში ექადაგათ რა, ვინც ირწმუნა ქადაგებას, მიუხედავად გარდაცვალებამდე მათი მდგომარეობისა, გამოიხსნა ყველა მათგანი. სხვაგან იგივე მამა ბრძანებს: „თქუმილ არს ვიეთგანვე, ვითარმედ ამისთჳს ეხარა მკუდართაცა ჯოჯოხეთისათა, რადთა რომელნი არა ბოროტებით, არამედ უმეცრებით იყვნეს უღმრთოებასა შინა, ესევეითართა მათ ესმეს და ჰრწმენეს. და რომელნი-იგი ჳორცთა შინა დაშჯილ იყვნეს უმეცრებითა ღმრთისადათა, ესენი ცხონდენ ქრისტეს მიერ სულითა, რაჟამს ჰრწმენეს მისი, და მის მიერ მოწყალებით აღმოიყვანებულ იქმნენ სიღრმეთაგან ჯოჯოხეთისათა“². „საქმე

.....

1 ახ. ქართ.: „რომელმაც კაცთა ხსნის გამო თავი დაიმდაბლა და განკაცდა, მან, სახიერმა მეუფემ, არც ერთი თავის მიერ დაბადებულთაგანი არ დატოვა უკურნებლად, არამედ, როგორც ქვეყანაზე მკვიდრებს უქადაგა, ასევე, ჯოჯოხეთში მყოფებთანაც მივიდა სიკვდილის მეშვეობით და იქ დატყვევებულ სულებს უქადაგა კაცობრივი სულით; რათა არა მხოლოდ მათ, ვინც მცნობელნი იყვნენ მისი (იგულისხმება ისრაელიანთა ერი, რ. მ.), არამედ იმათაც, ვინც ოდესმე უმეცარნი და ურჩნი იყვნენ, ერთნაირად ეუწყოთ ხსნის შესახებ. არა მხოლოდ ცოდვილნი, არამედ მართალნიც ჯოჯოხეთში მკვიდრობდნენ, რადგან სამოთხე დახშული იყო ადამის გამოდევნის დღიდან, ხოლო ცათა სასუფეველი ჯერ არ იყო გახსნილი, რადგან მიელოდა ქრისტეს მიერ განღებას. ამიტომ ჯოჯოხეთში მკვიდრებს - მართლებს და ცოდვილებს - ყველას ერთად ექადაგა და ვინც ირწმუნა, ისინიც აღდგნენ ქრისტესთან ერთად და ამოვიდნენ ჯოჯოხეთიდან“. სამოციქულოს განმარტება, I, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ევრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოქლამაზაშვილმა, თბ., 2011, გვ. 499-500.

2 ახ. ქართ.: „თქმილია ზოგიერთისგან, რომ იმიტომ ეხარა მკვდრებს ჯოჯოხეთში, რათა ვინც არა ბოროტად (შეგნებულად, რ. მ.), არამედ უმცირესობის გამო იყო უღმრთოებაში, ასეთებმა

მოციქულთას“ წიგნის განმარტებისას, პავლე მოციქულისა და შილას ფილიპიის საპყრობილეში ყოფნის დროს აღსრულებულ სასწაულზე იგივე წმ. მამა ასევე გამოკვეთილად შენიშნავს: „ვითარ-ესე აქა ყოველთა იხილეს სასწაული, ხოლო მესაპყრობილესა ოდენ ჰრწმენა და პყრობილნი იგი დაშთეს ურწმუნობასა შინა, ეგრეთვე **ჯოჯოხეთს ყოველთათვის შთავიდა ქრისტე, ხოლო რომელთა ჰრწმენა მისი, იგინი ოდენ გამოვიდეს მის თანა და ურწმუნოდ დაშთომილნი ჯოჯოხეთსაცა შინა დაშთომილ იქმნეს**“¹.

ვინც მეორე აზრს იზიარებს, არგუმენტად მოჰყავს, ერთი მხრივ, იგივე, რაც პირველ შემთხვევაში, კერძოდ: თუკი მხოლოდ ძველი აღთქმის მართალნი, რომლებიც შედარებით მცირენი არიან, გამოიყვანა ჯოჯოხეთიდან, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ეშმაკი მაინც გამარჯვებული რჩება, რადგან ვედარ ჩაითვლება ეშმაკის ძალის სრულ შემუსვრად, რასაც გვაუწყებენ წმ. წერილი და საეკლესიო მოძღვარნი? მეორე მხრივ, მოიყვანება წმ. პეტრე მოციქულის ზემომოხმობილი სიტყვები მისი ეპისტოლედან (1 პეტრ. 3, 18-19). პირველი არგუმენტის შემთხვევაში იმავს ვიტყვით, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხოლო რაც შეეხება წმ. პეტრე მოციქულის სიტყვებს, რომ: „საპყრობილესა მას სულთა მივიდა და ქადაგა“ (1 პეტრ. 3, 19), ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: თუ ეკლესია კერძო აზრად მიიჩნევს იმას, რომ მაცხოვარმა იქადაგა ჯოჯოხეთში და ვინც იქ ირწმუნა, ისიც გამოიხსნა, ხოლო საპირისპიროდ თვლის რა, რომ ისინი გამოდიან, ვისაც თავისი მართალი ცხოვრებით მოლოდინი ჰქონდა სიკეთისა, მაშინ რაღას ნიშნავს მოციქულის სიტყვები? რატომ იქადაგა ან ვისთვის იქადაგა? მაცხოვარმა იქადაგა ჯოჯოხეთში არა იმიტომ, რომ საშუალება მიეცა ვინმესთვის მორწმუნე გამხდარიყო, არამედ რათა მომლოდინენი მისი მოსვლით გამოწვეული ტკბობისა იქვე გაეხადა თანაზიარნი იმ უდიდესი სიხარულისა, რომელიც სიკვდილის ტყვეობიდან გამოსხნას გულისხმობდა. ეხარათ მათ ქვეყნად ძე ღმერთის მოვლინება და ახარა ქრისტემ ჯოჯოხეთში მყოფთაც; ხოლო თანაზიარი გახდა ამ სიხარულისა ის, ვინც მიმღები იყო ამისი. კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს: „სხვა არარაისათვის ჩავიდა უფალი ჯოჯოხეთში, თუ არა იმისთვის, რათა ექადაგა იქ სახარება“². ანუ მაცხოვარმა არ დააყოვნა და ჯოჯოხეთში ახარა ახალი სიცოცხლის დასაწყისის შესახებ, რათა რაც შეიძლება სწრაფად გამხდარიყვნენ თანამოზიარენი სიხარულისა მისი მომლოდინენი. დიდი შაბათის საგალობელში ვკითხულობთ: „მეუფებდა ჯოჯოხეთი პირველ ნათესავსა ზედა ჩუენსა, არამედ არა დაადგრა, რამეთუ რაჟამს-იგი დაეფალ ნებსით, ქრისტე, და სიკუდილისა მოქლონნი შემუსრენ,

მოსმინონ და ირწმუნონ. ვინც ხორცში იყო დასჯილი ღვთის შეუცნობლობის გამო, ისინი ცხონდნენ ქრისტეს მიერ სულით, როცა ირწმუნებენ მისას, და მისი მოწყალებით ამოყვანილ იქნენ ჯოჯოხეთის სიღრმედან“; სამოციქულოს განმარტება, I, 2011: 503.

1 ახ. ქართ.: „როგორც აქ, იხილა რა ყველამ (გულისხმობს პყრობილებს, რ. მ.) სასწაული, მაგრამ მხოლოდ საპყრობილის მცველმა ირწმუნა, დანარჩენები კი დარჩნენ ურწმუნობაში, ესევე, **ჯოჯოხეთში ყველასთვის ჩავიდა ქრისტე, თუმცა, ვინც ირწმუნა, მხოლოდ ისინი გამოვიდნენ მასთან ერთად, ხოლო ვინც არ ირწმუნა, დარჩა ქვესკნელში**“; სამოციქულოს განმარტება, I, 2011: 289.

2 კლიმენტი ალექსანდრიელი, Strom.VI, 6; Православно-Догматическое Богословие, Макария Митрополита Московскаго и Коломенскаго, Томъ II, С.-Петербургъ, 1883, стр. 171.

და საუკუნითგანთა მომკუდართა ახარე, რაჟამს იქმენ შენ პირშმო მკუდართა მკსნელი¹. ვფიქრობთ, ამ აზრს ცხადად წარმოაჩენს წმ. იოანე დამასკელი, როდესაც ამბობს: „ჩადის ჯოჯოხეთში განდმრთობილი სული, რომ ისევე, როგორც მიწაზე მყოფთათვის ამოვიდა სიმართლის მზე, ასევე მიწის ქვეშ წყვდიადში და სიკვდილის ჩრდილში მსხდომთაც გამოუბრწყინდეს სინათლე, რომ ისევე, როგორც მიწაზე მყოფთ ეხარათ მშვიდობა, დატყვევებულთ - გათავისუფლება, ბრმათ - თვალის ახელა და ისევე, როგორც მორწმუნეებს მარადიული ხსნის მიზეზად გაუხდა იგი, ურწმუნოებს კი - მხილებად ურწმუნოებისა, ამგვარადვე - ჯოჯოხეთში მყოფთაც, „რომ მისადმი მოდრკეს ყველა მუხლი ზეციერთა, ქვეყნიერთა და ქვესკნელში მყოფთა“ (ფილიპ. 2, 10); და, ამ სახით, გახსნა რა მან საუკუნიდან ბორკილდადებულნი, კვლავ მკვდართაგან ზეამოვიდა და გაგვიკვალა ჩვენ აღდგომა². მაცხოვარი ბრძანებს სახარებაში: „აბრაჰამს, მამასა თქუენსა, უხაროდა, რადთა იხილოს დღე ესე ჩემი, იხილა და განიხარა“ (ინ. 8, 56). სწორედ იმიტომ, რომ იხილონ და განიხარონ მსგავსად აბრაამისა სხვებმაც, იქადაგა და ახარა თავისი მოსვლა ჯოჯოხეთში მყოფებს, ხოლო განიხარეს მათ, ვისაც ეწადა მისი ხილვა. მართალ მამათა კონდაკში ვკითხულობთ: „ჯელთა მიერ დაწერილსა ხატსა არა ჰმსახურეთ, არამედ გამოუსახველითა მით არსებითა შეიჭურენით, სამგზის სანატრელნო, ბრძმედსა მას შინა ცეცხლისასა იდიდენით, და შორის საჯუმილსა აღისა აღზებულისასა ჰხადოდით ღმერთსა: ისწრაფე, მოწყალე, და მსწრაფლ გუეწი შეწევნად ჩუენდა, სახიერო, რამეთუ ძალ-გიძს ყოველივე, რაოდენიცა გენებოს“³. მიუხედავად ჯოჯოხეთში ყოფნისა, ძველი აღთქმის მართლებს მესიის მოლოდინი ჰქონდათ და იქიდან შეჰკლადებდნენ სახიერ ღმერთს, რათა სწრაფად მოწევნულიყო ქვეყნად სინათლის სხივი, ქვეყნიერების მხსნელი. სწორედ თავის მოვლინებას ახარებს მაცხოვარი ქვესკნელში მყოფებს.

განვიხილოთ, თუ ვის ეწადა მაცხოვრის ხილვა და ვინ ამოიყვანა ჯოჯოხეთიდან მაცხოვარმა საეკლესიო სწავლების მიხედვით. მიუხედავად კერძო შეხედულებებისა, ეკლესია ყოველთვის გამოკვეთილად იზიარებდა ერთ აზრს, კერძოდ მაცხოვარმა, ჩავიდა რა ჯოჯოხეთში, ბჭენი საპყრობილისანი შემუსრნა და საუკუნითგან შესვენებულნი მართალნი (ხანდახან გამოიყენება ტერმინი: საუკუნითგან შესვენებულნი მორწმუნენი, რ. მ.) აღადგინა და თანა-დასხნა მამის მარჯვენით. ვინ არიან ძველი აღთქმის მართალნი? „მართალნი“ აქვს ორგვარი გაგება - „მართალნი“ ზოგადი გაგებით და „მართალნი“ კერძოობითად. ზოგადი გაგებით „მართალნი“ არიან ძველი აღთქმის მამათმთავარნი, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი და ძველი აღთქმის ღირსეული მეფენი, ხოლო კერძოობითად „მართალნი“ არიან ისინი, ვინც არ შედის ზემოდასახელებულ არც ერთ დასში, მაგრამ პირადად აქვს მართლის სახელი დამკვიდრებული, მაგალითად, აბელი,

1 ტრიოდინი 1901: 571.

2 წმ. იოანე დამასკელი, LXXIII, 2000: 420.

3 კურიაკესა წმიდათა მართალთა მამათასა, კონდაკი, სადღესასწაულოდ, რომელ არს გამოკრებული თუენი, II, გამოსაცემად მოამზადა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, „ალილო“, თბ., 2013, გვ. 70.

ლოთი, იობი და სხვანი. ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი საეკლესიო ავტორი, ვინც გამოკვეთილად საუბრობს ამ საკითხზე, არის წმ. ირინეოს ლიონელი (დაიბადა დაახლოებით 140-160 წლებში, გარდაცვალების შესახებ კი ცნობა არა გვაქვს); იგი ბრძანებს: „ჩადის რა უფალი ქვესკნელში, ახარებს იქ თავის მოსვლას და ცოდვებისგან განთავისუფლებას იმათი, ვისაც სწამს მისი; ხოლო ერწმუნა მას ყველა, მომლოდინე მისი; ე. ი. ყველა – **წინამაუწყებელნი მისი მოსვლისა, მომსახურენი მისი კრებულისა, მართალნი, წინასწარმეტყველნი და მამათმთავარნი**“¹. ტერტულიანე² ამბობს: „ქრისტე ღმერთი მოკვდა როგორც ადამიანი და დაეფლა, მსგავსად წერილისა, შესრულდა წესი, რაც ყველა მოკვდავზე აღესრულებოდა, რომ ჩადიოდნენ ჯოჯოხეთში; უწინარეს ზეცაში ასვლამდე, ჯერ ჩავიდა ქვესკნელში, რათა იქიდან თანა-ამოეყვანა **მამათმთავრები და წინასწარმეტყველები**“³. საეკლესიო ისტორიკოსი, ევსები კესარიელი (დაახ. 260/265–339/340 წწ.) ამბობს: „ის (მაცხოვარი, რ. მ.) მოვიდა გამოსახსნელად სულთა, ჯოჯოხეთში მყოფთა, და მრავალი საუკუნე **მისი მოსვლის მომლოდინეთა**, ჩავიდა, შემუსრა ბჭენი სპილენძისანი და კარნი რვალისანი შეამტვრია, და ქვესკნელში ადრე შეკრულნი გამოიყვანა თავისუფლებისთვის“⁴. აქ კარგად გამოჩნდა, რომ პირველი სამი საუკუნის მანძილზე უფრო კონკრეტდებოდა ის საკითხი, რომლის მიხედვითაც მაცხოვარმა გამოიხსნა ჯოჯოხეთის ტყვეობიდან ძველი აღთქმის მართალი ადამიანები.

თავად წმ. ეპიფანე კვიპრელი ჩვენ მიერ შესწავლილ ქადაგებაში ბრძანებს: „ქრისტეს თანა მკუდართა თანა შთავიდეთ; ვისწავნეთ მუნცა ქმნილნი იგი საიდუმლონი; გულისკმა-ვეყნეთ ღმრთისა დაფარულისა ქუეშე ქუეყანისა დაფარულნი საკვრველებანი; ვისწავოთ, თუ ვითარ ჯოჯოხეთისათა გამოუჩნდა ქადაგებად ესე. რაჲ-მე არს უკუე? ჯოჯოხეთისათა გამოუჩნდა რაჲ, ყოველთავე მარტივად-მე აცხოვნებსა ქრისტე, ანუ არა? **არა! არამედ მუნცა მორწმუნეთა**“⁵. აქედან გამომდინარე, წმ. ეპიფანე მიიჩნევს, რომ არა თუ ყველა ადამიანის გამოხსნა აღესრულა მაცხოვრის მიერ, არამედ მხოლოდ მორწმუნეებისა. და ვინ შეიძლება მივიჩნიოთ ამ მორწმუნეებად? ისინი, ვინც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუკუნოდ ელოდნენ მის მოსვლას, ანუ ძველი აღთქმის მართალი ადამიანები. ამავე ქადაგების ბოლო ნაწილში ვკითხულობთ:

1 წმ. ირინეოს ლიონელი, Haeres.IV, 12, n. 1; Макария Митрополита 1883: 170.

2 ტერტულიანე დაიბადა დაახლოებით 155 წელს. ჩვენთვის უცნობია მისი გარდაცვალების თარიღი, თუმცა, უეჭველია, რომ იგი გარდაიცვალა 220 წლის შემდეგ. ნეტარი იერონიმეს ცნობით, ტერტულიანე იყო კართაგენის მღვდელი. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მოიცავს 195-220 წლებს. დაახლოებით 207 წელს იგი ღიად გადავიდა მონტანისტური ერესის მხარეზე და გახდა მისი ადეპტი, რამაც შედეგად მოიტანა ცალკე სექტის დაფუძნება. მას ტერტულიანისტების სექტა ეწოდა, რამაც კართაგენში შეინარჩუნა თავი Vსაუკუნემდე, ნეტარი ავგუსტინეს ეპოქამდე. აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ 207 წლამდე დაწერილ მის შრომებში გამოკვეთილია მართლმადიდებლური სწავლება (იხ. I-VII საუკუნეების ლათინი საეკლესიო მწერლები, ნაწილი III, შეადგინა ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2003, გვ. 6-7).

3 ტერტულიანე, Deanima, c. LV; Макария Митрополита 1883: 170-171.

4 ევსები კესარიელი, Demonstr. Evang. Lib. X ad verba Ps. 16; Макария Митрополита 1883: 172.

5 Jer. 30: 157 r; ბერძ.: οὗτοι, ἄλλα καὶ καὶ τοὺς πιστεύσαντας (Sancti Epiphanii, Homilia in sabbato magno, Patrologiae cursus completus, XLIII, col. 440, D, 11).

„სასუფეველი ცათად პირველ საუკუნითგან განმზადებულ არს, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა აღვიდა (1 კორ. 2, 9; იხ. ესაია 64, 4), **კეთილთა (ἀγαθῶν) მათთვის**“¹. იგივე წმ. მამა სხვა თხზულებაში კიდევ უფრო ცხადად ამბობს: „ღმრთეება ქრისტესი ადამიანურ სულთან ერთად ჩადის ჯოჯოხეთში, რათა გამოიხსნას ისინი, რომლებმაც ადრე შეისვენეს, **კონკრეტულად, წმინდა მამათმთავარნი**“². მკაფიოდ საუბრობს ამის შესახებ წმ. კირილე იერუსალიმელი (დაიბ. 313/315 წ-ს, გარდ. 386/387 წ-ს): „ის (იესო ქრისტე, რ. მ.) ჭეშმარიტად დაიდვა ქვის საფლავში, როგორც ადამიანი, მაგრამ მის გამო განიპო უზადრუკებისა და შიშის ქვები; ჩავიდა მიწისქვეშეთში, რათა იქიდან გამოეხსნა **მართალნი**. თუკი ცოცხლები დატკებებიან მადლით მაშინ, როცა უმეტესი ნაწილი მათგან ურწმუნოა, ადამიდან მოყოლებული, ვინც დიდი ხანი შეკრული იყო, არ მიიღებს ხსნას? წინასწარმეტყველი ესაია ესოდენ ბევრს იუწყებოდა ამის შესახებ. არ გასურს შენ, რომ მოსულმა მეუფემ განათავისუფლოს **მართლმორწმუნენი**? იქ იყო დავითი და სამოელი, ყველა წინასწარმეტყველი და თავად იოანე, რომელმაც უთხრა: „შენ ხარ მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?“ (მათ. 11, 3) არ გასურს შენ, რომ მან, ჩასულმა იქ, განათავისუფლოს ისინი?“³ იგივე წმ. მამა სხვაგან ამბობს: „**იკსნებოდეს ყოველნივე მართალნი**, რომელნი შთაენთქნეს სიკუდილსა, რამეთუ შეჰგვანდა ქადაგებულსა მას მეუფესა **ჰსნამ კეთილთა მათ ქადაგათად**. და მაშინ თითოეულად **წმიდანი** იგი იტყოდეს: სადა არს, სიკუდილო, ძლევამ შენი? ანუ, ჯოჯოხეთო, საწერტელი შენი? (1 კორ. 15, 55) რამეთუ მიკსნა ჩუენ ძლევისმყოფელმან“⁴. ასევე: „რომელი-იგი (ქრისტე, რ. მ.) მარტოდ შთაჰდა ჯოჯოხეთა და მრავალთა თანა აღმოვიდა; რამეთუ შთავიდა სიკუდილდ და მრავალნი გუამნი **შესუენებულთა წმიდათანი თანა-აღადგენნა**“⁵. წმ. კასიანე რომაელი (+435) ასევე მკაფიოდ საუბრობს ჯოჯოხეთიდან გამოხსნილთა შესახებ: „ჩავიდა ქრისტე ჯოჯოხეთში და თავისი დიდების ძალით განაქარვა „ბნელი იგი არმური“ ტარტაროზისა, შელეწნა ბჭენი, დაამსხვრია **მორწმუნეთა ჯაჭვნი და წმინდა ტყვეები**, პერობილნი ჯოჯოხეთის მიუწვდომელ წყვიდადში, ტყვეობიდან გამოიხსნა და თანა-აღიყვანა ზეცაში“⁶. რომის პაპი, წმ. გრიგოლ დიდი (დაახ. 540-604 წწ.) ამგვარად გვმოდღვრავს: „საღვთო რისხვა, მართალთა სულებთან მიმართებაში, შეჩერდა მოვლინებით ჩვენი მხსნელისა; განათავისუფლა ისინი ჯოჯოხეთის საპერობილედან, შუამდგომელმა ღმერთსა და ადამიანს შორის (იესო ქრისტემ, რ. მ.), როცა თავად ჩავიდა იქ და ზე-აიყვანა სამოთხისეულ ნეტარებამდე“⁷.

.....

1 Jer. 30: 167 v.

2 წმ. ეპიფანე კვიპრელი, Haeres. LXIX, n. 62; Макария Митрополита 1883: 173.

3 წმ. კირილე იერუსალიმელი, Оглас. Поуч. IV, n. II, стр.64-65; Макария Митрополита 1883: 172-173.

4 წმ. კირილე იერუსალიმელი, ადღგომისათვის მკუდრეთით უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, სინური მრავალთავი 1959: 164.

5 სინური მრავალთავი 1959: 164.

6 წმ. კასიანე რომაელი, De instit. coenob. III, c. 3; Макария Митрополита 1883: 173.

7 წმ. გრიგოლ დიდი, Moral. XII, c. 7; Макария Митрополита 1883: 173.

მოვიხმობთ ასევე რამდენიმე საღვთისმსახურო საკითხავსაც, რომელიც განმარტავს უკანასკნელ აზრს: „ჯოჯოხეთი ძლეულ იქნა, შეიძრა, შედრწუნდა და დაირღუა ძლიერი იგი ძალი მისი და წარმოსთხია უყე მწარე მუცლისაგან თვისისა და განუტევენა, რომელნიცა პირველ **უსამართლოდ შთაენთქნეს**, გარნა კლდემან სიმტკიცისამან, ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან გამოიქსნნა პირველ შესუენებულნი იგი მუცლისაგან ვეშაპისა, რომელნიცა პერობილ ჰყუნეს მას“¹. ასევე: „დღეს მეუფემან წარმოსტყუენა ჯოჯოხეთი და აღადგინნა კრულნი, რომელნი საუკუნითგან **ბოროტად** პერობილ იყუნეს მას შინა“². საინტერესოა, ვინ უნდა იყვნენ **უსამართლოდ** და **ბოროტად** შთანთქმულნი, თუ არა ძველი აღთქმის მართალი ადამიანები, რადგან უღმრთო და არამართალი ადამიანების მოკვდინება არა თუ უსამართლო, არამედ, პირუკუ, სწორედ სამართლიანია. პანაშვიდის წეს-განგებაში ვკითხულობთ: „განძენებული სიკუდილი მოჰკალ, ქრისტე ღმერთო, და **სულნი სარწმუნოებით დაძინებულნი** სიკუდილისაგან იქსნნენ და შენ წინაშე მკვდრ-ჰყვენ, რადთა გალობდენ: ღმერთო, მქსნელო ჩუენო, კურთხეულ ხარ შენ“³. VII ხმის საცისკრო გალობების დროს იკითხება: „არღარა სადა-მე შემძლებელ არს სიმტკიცე სიკუდილისა ჯელმწიფებად კაცთა, რამეთუ შთაჰდა ქრისტე – შემმუსრველი და დამარღვეველი ძალთა მისთა; შეიკრვის ჯოჯოხეთი, იხარებენ ერთჯმობით წინაღწარმეტყუელნი, მეტყუელნი: აჰა, წარმოუდგა მაცხოვარი **სარწმუნოებასა შინა მყოფთა**, გამოვედით **მორწმუნენი** აღდგომასა ქრისტესა“⁴.

როგორც ვხედავთ, ჰიმნოგრაფიაშიც ნათლად არის განმარტებული, რომ იესო ქრისტემ ჯოჯოხეთიდან მორწმუნეთა (ვინც გარდაცვალებამდე ირწმუნა მესიის მოვლინება და ადამიანთა სამოთხეში დაბრუნება) და მართალთა სულელები ამოიყვანა. თუმცა, უნდა ვთქვათ ისიც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჰიმნოგრაფიული თხრობა ორგვარად არის გადმოცემული – ერთი მხრივ, იმ მუხლებში, რომლებშიც, ზოგადად, ადამიანთა გამოხსნა არის ნაუწყები, იგულისხმება ის, რომ არა ყველა პიროვნება, არამედ ადამიანური ბუნება გამოიხსნა, მეორე მხრივ, არის საკითხავები, რომლებშიც დაკონკრეტებულია, თუ საკუთრივ ვინ ამოიყვანა ჯოჯოხეთიდან სახიერმა უფალმა.

ყოველივე ეს ხომ არ გულისხმობს იმას, რომ იესო ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთიდან იხსნებიან მხოლოდ და მხოლოდ ძველი აღთქმის ეკლესიის წევრები, საკუთრივ ისრაელიანთა რჯულის აღმასრულებელი ადამიანები, კერძოდ: ძველი აღთქმის მამათმთავარნი, წინასწარმეტყუელნი, ძველი აღთქმის მართალი მეფენი და სხვა? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ დანარჩენი, ვინც უშუალოდ, ეთნიკურად არ განეკუთვნებოდა ღვთივრჩეულ ერს და საერთოდ არ იცნობდა მოსეს რჯულს, ყველა დარჩა გამოუხსნელი? რა თქმა უნდა,

1 ტრიოდონი 1901: 569.

2 აღდგომის ლიტანიობის საცისკრო გალობა, VIII, ტროპარის ჩასართავი, მუხლი VI, ზატიკი, თბ., 1999, გვ. 6.

3 წესი და განგება პანაშვიდისა, რომელი აღესრულების მიცვალებულსა ზედა, გალობა VII, მუხლი III, მცირე კურთხევანი, თბ., 1998, გვ. 487.

4 ჳმა VII, საცისკრო გალობა, VI გალობის შემდეგი კონდაკი, რვაჳმათა ანუ პარაკლიტონი, გვ. 522.

ამგვარად წარმოდგენა არამართებული იქნება. ძველი აღთქმის პერიოდში მცხოვრები ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა პატიოსნად, სინდისის ხმის შესაბამისად, არ იყო ჩაფლული აღვირახსნილ ცხოვრებაში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი გონებითა და ცხოვრებით ეძებდა ჭეშმარიტებას და შეძლებისდაგვარად და დატევნისამებრ შეიცნობდა ღმერთს, ასეთი ითვლება „მართალ“ ადამიანად. ყველა ადამიანს აქვს შემოქმედის მიერ მიცემული იმის უნარი, რომ ეძიოს ჭეშმარიტება, ეძიოს თავად ღმერთი. წმ. იოანე დამასკელი ბრძანებს: „მის მიერ (ღმერთის მიერ, რ. მ.) ბუნებითად არის შთათესილი ყველაში ცოდნა იმისა, რომ არსებობს ღმერთი. თვით შესაქმეც, მისი თანაშემტკიცება და წარმმართველობა საღვთო ბუნების სიდიადეს ქადაგებს“¹. ორიგენე (დაახლ. 185-254 წწ.) ამბობს: „ის, რომ ღმერთი არის ერთადერთი შემოქმედი ყოველივესი, ეწერა წარმართების გულებშიც“². ყველა ერს თუ ცალკე ადამიანს არ ჰქონდა წერილობითად რჯული, მაგრამ ცხოვრობდნენ ზოგადი მორალის, ზნეობრივი წესებისა და კანონების მიხედვით, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუნებითად იყო ჩაწერილი ადამიანთა გულებში ღმერთის მიერ. შესაბამისად, ასეთი ადამიანები ღმერთს ესათნობოდნენ ზნეობრივი კანონების მიხედვით. სწორედ ამაზე მიანიშნებს წმ. პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში და ბრძანებს: „წარმართთა, რომელთა შჯული არა აქუნ, და ბუნებითსა მას შჯულსა ჰყოფდეს, ამათ, რამეთუ შჯულ არა აქუს, თავისა თვისისათჳს შჯულ არიან; რომელნი გამოაჩინებენ საქმესა შჯულისასა, დაწერილსა გულთა შინა მათთა, თანა-მოწამებითა მათდა გონებისა მათისადათა და შორის ურთიერთას გულისსიტყუანი შეასმენდენ ანუ სიტყუას-უგებდენ“ (რომ. 2, 14-15).

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი არამცირედი დამოწმებანი ნათლად წარმოაჩენს საეკლესიო მოძღვრებას ჯოჯოხეთის ძლევისა და იქიდან „საუკუნითგან დაძინებულ“ მართალთა სულების გამოხსნის შესახებ. აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ ის მოძღვარნი, რომელნიც, ზოგადად, მხოლოდ ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის შესახებ გვაუწყებენ, გულისხმობენ არა ყველა პიროვნების გამოხსნას, არამედ, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ადამიანური ბუნების ცოდვათაგან განთავისუფლებას და სიკვდილის ტყვეობიდან გამოხსნას.

3) ახალი რჯულით ძველის ჩანაცვლება

შემდეგი საკითხი, რომელსაც წმ. ეპიფანე კვიპრელი ეხება თავის ქადაგებაში, არის ძველი რჯულის განახლება ახალი რჯულით. იგი ამბობს:

.....

1 წმ. იოანე დამასკელი, I, 2000: 321.

2 Origen, Commentarii in epistulam ad Romanos 1: 228, 230; Библейские комментарии отцов Церкви и других авторов I-VIII веков Новый Завет VI (Послание к Римлянам), 2003, стр. 99.

„ისმინე – სიტყუად ქრისტეს ვნებისა ზემოთგანვე; ისმინე და უგალობდ, ისმინე ადიდებდ, ისმინე და ქადაგებდ ღმრთისა დიდთა საკვრველებათა. ვითარ შჯული ადგილ-სცემს, ვითარ მადლი აყუავილდების, ვითარ სახენი წარცდებიან, ვითარ ჭემმარიტება იქადაგების, ვითარ აჩრდილნი წარვლენ, ვითარ მზე სოფელსა აღავსებს, ვითარ ძუელი იგი დაძუელდების, ვითარ ახალი იგი დამტკიცნების, ვითარ პირველი იგი წარცდა და ვითარ ახალი იგი აღყუანა“¹. ძველი აღთქმის ეკლესია მოწოდებული იყო იმისთვის, რომ განემზადებინა თავის წიაღში მყოფნი მესიასთან შესახვედრად. მათი მსხვერპლშეწირვა, რჯულის აღსრულება იმ მოლოდინით უნდა აღვსილიყო, რომ მოვიდოდა დრო და ისინი ეშმაკის ტყვეობიდან გამოიხსნებოდნენ; მთელი სატამრო მსახურება და, შესაბამისად, თავად ტამარი უფრო მეტად განდიდდებოდა. ანგია წინასწარმეტყველი სწორედ ამის შესახებ ეუბნებოდა უხუცესებს: „დიდ იყოს დიდება სახლისა ამის უკუანამსკენელი უფრომს პირველისა, – იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი“ (ანგია, 2, 10). მოსე წინასწარმეტყველი, აძლევს რა უკანასკნელ დარიგებებს ისრაელიანებს, ეუბნება: „წინასწარმეტყველი ძმათაგან შენთა, ვითარცა მე, აღადგინოს უფალმან ღმერთმან შენმან, მისი ისმინეთ“ (II რჯული, 18, 15). ძველი რჯულის შეცვლის შესახებ გამოკვეთილად საუბრობს პავლე მოციქული თავის ეპისტოლეებში, განსაკუთრებით ნათლად კი ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში, როდესაც ქრისტეს მღვდლობაზე მიუთითებს არა აარონის წესით, არამედ მელქისედეკის წესით და გაახსენებს დავით მეფსალმუნის სიტყვებს: „ფუცა უფალმან და არა შეინანოს, შენ ხარ მდღელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“ (ებრ. 7, 21; იხ. ფსალ. 109, 4); ის ცხადად საუბრობს სამღვდლო ხაზის გადანაცვლებაზეც: „უკუეთუმცა განსრულება ლევიტელთაგან მღვდლობისა იყო, – რამეთუ ერი იგი მას ზედა შჯულდებულ არს, – რადღა საკმარ იყო მერმე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა სხუად აღდგინებად მდღელი და არა წესსა მას ზედა აპრონისსა თქუამდ? რამეთუ ცვალებასა თანა მღვდლობისასა ჩანს იძულებით, რამეთუ შჯულისაცა ცვალება იქმნების, რომელსა ზედა თქუმულ არს ესე: სხვსა ნათესავისამან დაიპყრა, რომლისაგანი არასადა საკურთხეველსა წარდგომილ იყო. წინამსწარ ჩანს, რამეთუ იუდამს ნათესავისაგან აღმოგვბრწყინდა უფალი ჩუენი“ (ებრ. 7, 11-14). ბუნებრივია, დაისმის კითხვა, თუ რატომ მოხდა რჯულის შეცვლა? ვიტყვით, რომ მისი არასრულყოფილების გამო, რასაც მოწმობს იმავე პავლე მოციქულის სიტყვები: „შეურაცხება იქმნების პირველისა მის მცნებისა უძღურებისა მისისათვს და ურგებობისა, რამეთუ არარად სრულ-ყო შჯულმან, ხოლო შემოსლვად უმჯობესისა სასოებისა, რომლისა მიერ მივეახლებით ღმერთსა“ (ებრ. 7, 18-19). სწორედ ამას უსვამს ხაზს წმ. ეპიფანე კვიპრელი თავის ქადაგებაში და ამბობს, რომ „რჯული ადგილს უთმობს მადლს, რომ აჩრდილი წარხდება და მზე აღმოვალს, ჭემმარიტება იქადაგება“², რომელსაც წინასახეობრივად მოასწავებდა სწორედ ძველი რჯული. წმინდა პავლე მოციქული ებრაელებს ახსენებს იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებს:

1 Jer. 30: 157 r-157 v.

2 იხ. Jer. 30: 157 r-157 v.

„აჰა ესერა, დღენი მოვლენან, – იტყვს უფალი, – და აღვასრულო სახლსა ზედა ისრაელისასა და სახლსა ზედა იუდაისსა აღთქუმად ახალი (δυστήριον καινόν)“ (ებრ. 8, 8; იხ.: იერემ. 31, 31), და შემდეგ უკვე თავადვე დასძენს, რომ: „რაჟამს-იგი რქუას: „ახალიო“, დააძულელა პირველი იგი; ხოლო დაძულელბადი იგი და დაბერებადი მახლობელ არს განრყუნისა“ (ებრ. 8, 13). მამ რალა საჭირო იყო ძველი აღთქმის რჯული, თუკი უნდა დახსნილიყო, განა ისიც ღმერთის მოცემული არ იყო?! ძველ რჯულს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა შეემზადებინა ადამიანი მესიის მისაღებად. მას, თავისთავად, დიდი ღირსება ჰქონდა თავის დროზე: „რამეთუ აქუნდა პირველსა მასცა შჯულსა სამართალი მსახურებათად, წმიდად იგი სოფლიოდ“ (ებრ. 9, 1), თუმცა, კვლავ გავიმეორებთ, სრულყოფილება აკლდა, იგი მხოლოდ წინასახე იყო, მიმყვანებელი ქრისტემდე, რასაც ადასტურებს პავლე მოციქულის ეპისტოლე: „შჯული იგი მზარდულ გუექმნა ჩუენ ქრისტეს მიმართ, რადთა სარწმუნოებითა განვმართლდეთ. ხოლო მო-რად-იწია სარწმუნოებამ, არღარა მზარდულთა ქუეშე ვართ“ (გალატ. 3, 24-25). წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „ვიდრე-იგი ჩჩვლ იყო კაცთა ბუნებამ, უკმდა მზარდულობასა ქუეშე შჯულისასა ყოფად. ხოლო აწ, აღიზარდა რად და სრულ-იქმნა მადლითა ქრისტესითა, არღარა ერთი ნათესავი ისრაიტელთამ, არამედ ყოველი ნათესავი კაცთამ შვილებასა ღმრთისასა ღირს-იქმნა“¹. პავლე მოციქული უგუზურს უწოდებს ისეთ ადამიანს, რომელიც კვლავ სინათლის აჩრდილს მისდევს და არა თავად სინათლეს მას შემდეგ, რაც გამოჩნდა ქვეყნად სინათლი წყარო: „დაბრმეს გონებანი მათნი, რამეთუ ვიდრე დღენდელად დღედმდე იგივე საბურველი საკითხავსა მას ზედა ძუელისა შჯულისასა ჰგიეს აღუმრცვულად, რამეთუ ქრისტეს მიერ განქარდების“ (2 კორ. 3, 14). აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მოვიდა რა მესია, ყოველივე წინასახეობრივი მსახურება დაირღვა და სრულყოფილი, მაცხოვნებელი, გამომხსნელი შჯული მოეცა კაცობრიობას, რაზეც, კვლავ აღვნიშნავთ, საუბრობს წმ. ეპიფანე.

4) ორი მოწმის შესახებ

ქადაგებაში ასევესაუბარია იმ ეპიზოდების შესახებ, რომლებშიც ორი და მეტი მოწმე ადასტურებს იესო ქრისტეს მყოფობას, მის საღვთო და კაცობრივ ბუნებას. მხოლოდ ერთი ადამიანის მოწმობა, როგორც სანდოც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ყოველთვის ეჭვს იწვევდა. ამიტომ საჭირო იყო სულ მცირე

.....
1 ახ. ქართ.: „ვიდრე სიჩვილეში იყო ადამიანთა ბუნება, მართებდა რჯულის მზარდულობის (აღმზრდულობის, რ. მ.) ქვეშ ყოფნა; ხოლო ახლა (მე ღმერთის განკაცების ჟამს, რ. მ.), აღიზარდა რა და სრულ-იქმნა ქრისტეს მადლით, უკვე არა მხოლოდ ისრაელიანთა შტო, არამედ ადამიანთა მთელი მოდგმა ღვთის შვილობის ღირსი გახდა“. სამოციქულოს განმარტება, II, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის(კარიჭის ძის) მიერ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2006, გვ. 501.

ორი ადამიანის დამოწმება, რათა რაიმე ფაქტი დადასტურებულიყო. შჯულის მოთხოვნაც სწორედ ამგვარი იყო: „წამებასა ერთისა მოწამისასა ნუ ირწმუნებთ, რომელი წამებდეს ყოვლისავე უშჯულოებისათვის და ცოდვისათვის რომლისავე კაცისა მიმართ, რამეთუ ორითა და სამითა მოწამითა დაემტკიცების ყოველივე სიტყუად“ (2 რჯ. 19, 15; იხ. მათე 18, 16). სწორედ აქედან გამომდინარე საუბრობს წმ. ეპიფანე და ამბობს, რომ: „შორის ორთა მათ ცხოველთასა იცნობე, იესუ, ძეო ღმრთისაო; შორის მამისა და სულისა, ორთა მათ ცხოველთადასა, ცხორებად ცხორებისაგან, ბუნებად ცხოველი იცნობე“¹; მამამ და სულიწმინდამ დაამოწმეს ძის შესახებ ნათლისღებისა და ფერისცვალების დროს: „ნათელ-ილო იესუ და მეყსეულად აღმოვიდა რად წყლისა მისგან და, აჰა, განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა. და ჳმად იყო ზეცით და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“ (მათე 3, 16-17); ფერისცვალების დროს: „აჰა, ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობდა მათ და, აჰა, ჳმად იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“ (მათე 17, 5). მაშასადამე, იესო არის ძე მამა ღმრთისა, და თანაარსი მამისა და სულისა. ასევე, ანგელოზთა და კაცთა შორის შეიცნობა ძის ხორციელი შობა, – ამბობს წმ. ეპიფანე: „შორის ანგელოზთა და კაცთა ბაგასა შინა იშვე“²; ანგელოზთა გუნდი, რომელიც უგალობდა ბაგაში მწოლიარე ყრმას: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმრთისა, და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ, და კაცთა შორის სათნობაჲ“ (ლუკა 2, 14), მოწმობდა ბეთლემში შობილ ღმერთ მამაკაცზე; ანგელოზმავე ახარა მწყემსებს შობა მაცხოვრისა: „აჰა ესერა, გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა, რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა“ (ლუკა 2, 10-11); მწყემსებმაც დაამოწმეს მხსნელის მოვლინება: „მოვიდეს (მწყემსები, რ. მ.) მსწრაფლ და პოვეს მარიამ და იოსებ და ყრმაჲ იგი მწოლარე ბაგასა. და ვითარცა იხილეს, გულისჳმა-ყვეს სიტყუად იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთვის“ (ლუკა 2, 16-17).

კვლავ აგრძელებს წმ. ეპიფანე ორი მოწმის შესახებ საუბარს და ამბობს: „შორის ორისა ერისა ლოდი თავსაკიდური დაიდევ; და შორის შჯულისა წინაწარმეტყუელთა ერთბამად იქადაგე; და შორის მოსესსა და ელიაძსა მთასა ზედა გამოშჩნდი; და შორის ორთა ავაზაკთადასა ღმრთად გონიერისა მის ავაზაკისა მიერ იცნობე“³. ორი ერის – იუდეველებისა და წარმართების – შემაერთებელ ლოდად დაიდო მაცხოვარი სოფლისა, ქრისტიანობის სახელით გააერთიანა მანამდე ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული ერი. რჯულსა და წინასწარმეტყველებს შორის ერთად იქადაგა ქრისტემ და აჩვენა, რომ სწორედ მხსნელის შესახვედრად ამზადებდა რჯული და რომ ძველი აღთქმის ყველა წინასწარმეტყველი მესიის მოსვლას წინასწარმეტყველებდა. ორმა უდიდესმა პიროვნებამ – მოსემ და ელიამ – დაამოწმა მაცხოვრის შესახებ

1 Jer. 30: 157 v.

2 Jer. 30: 157 v.

3 Jer. 30: 157 v.

თაბორის მთაზე“, რასაც გადმოგვცემს სახარება: „აჰა, ორნი კაცნი მის თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს გასლვასა მას მისსა, რომელი ეგულუბოდა აღსრულებად იერუსალემს“ (ლუკა 9, 30-31). მოსეს და ელიას გამოჩენა მოწმობს იმაზევე, რომ რჯული და წინასწარმეტყველები ერთად მოუწოდებდნენ ხალხს იესო ქრისტესკენ, მოსე – როგორც რჯულისმდებელი და ელია – როგორც ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი წინასწარმეტყველთაგან. ორი ავაზაკი მოწმობს იესო ქრისტეს ჯვარზე სიკვდილს, რათა მოჩვენებითი არ ეგონოს არავის.

5) ღვთის ხატებისა და მსგავსების შესახებ

ქადაგებაში ერთგან წმ. ეპიფანე ამბობს: „აღდეგ, ხატო ჩემო და მსგავსებად ჩემდა შექმნულო“¹. საეკლესიო სწავლებით, ღვთის ხატებაში მოიაზრება თავისუფალი ნება, უკვდავება (უხრწნელება), მეუფებრიობა და მოაზროვნეობა (გონიერება); ხოლო მსგავსებაში იგულისხმება სათნოებითი თვისებანი – სიწმინდე, სამართლიანობა, სიყვარული, ღმობიერება და ა. შ. წმ. იოანე დამასკელი ბრძანებს: „საკუთარი ხელებით შექმნა მან (ღმერთმა, რ. მ.) ადამიანი თავისი ხატისებრ და მსგავსებისებრ, შეძერწა რა სხეული მიწისგან და მისცა რა მას, საკუთარი შთაბერვის მიერ, მოაზროვნე და გონისმიერი სული, რასაც საღვთო ხატად ვამბობთ, რადგან „**ხატისებრობა“ გონისმიერობასა და თვითუფლებრივობას აღნიშნავს, „მსგავსებისებრობა“ კი – ძალისამებრ სათნოების მსგავსებას**“². უნდა დავძინოთ, რომ ხატება და მსგავსება, ერთი მხრივ, არ განსხვავდებიან, რადგან **მსგავსება ხატებაშიც** განიჭვრიტება და **ხატება – მსგავსებაში**, მეორე მხრივ, განსხვავება მათ შორის არის ის, რომ ხატება ბუნებისეულია (ვგულისხმობთ იმას, რომ, მიუხედავად ადამიანის მდგომარეობისა, ბოროტებაშია ჩაფლული თუ სიკეთეში მყოფობს, მაინც ღვთის ხატად ითვლება, რადგან მოაზროვნეობა და თავისუფალი ნება უნარჩუნდება), ხოლო მსგავსება მდგომარეობაა (როდესაც ადამიანი სიკეთეში მყოფობს და სათნოებითად იღვწის, მაშინ მასში ღვთისადმი მიმსგავსებულობა ქმედითია, ხოლო თუ ბოროტად ცხოვრობს და არ ზრუნავს გამოსწორებაზე, მაშინ მასში „მსგავსებისებრობა“ აღიხოცება, რადგან ბოროტება ვერ მიემსგავსება ღმერთს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღვთის ხატი ყველა ადამიანია, როგორც თვითუფლებრივი და მოაზროვნე, ხოლო ყველა ადამიანი ღვთის მსგავსი არ არის, რადგან ღმერთს მიმსგავსება მხოლოდ ძალისამებრ სათნოებითი გზით არის შესაძლებელი. თუმცა ორივე მათგანი დასაბამიდანვე ბოძებული აქვს ადამიანს. ამასთან, ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ვინაიდან ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი, შესაბამისად, მასში ღვთის თვისებანი არსობრივად გადმოინერგება, ან, უკეთ რომ ვთქვათ, თითქოს ღვთის თვისებანი და ადამიანისა არსობრივად იგივეობრივნი არიან. არა,

.....
1 Jer. 30: 166 v.

2 წმ. იოანე დამასკელი, XXVI, 2000: 361.

ადამიანი მიმსგავსებულია ღმერთს და არა იგივეობრივია მისი. წმ იოანე ოქროპირი ამბობს: „ხატისებრობა და მსგავსებისებრობა, – ესაა არა არსების განუსხვავებლობა (ე. ი. არა ის, რომ ადამიანს და ღმერთს ერთი და იგივე არსება აქვთ, ე. ჭ.), არამედ – მთავრობის მსგავსება (ე. ი. ადამიანი მადლისმიერი ხატია საღვთო ხელმწიფობისა, ე. ჭ.); ხოლო „მსგავსებისებრობა“ იგივეა, რაც თვინიერება, უდრტვიწველობა და ძალისაებრ მიმსგავსება ღვთისადმი სათნოების შინაარსით“¹. წმ. გრიგოლ ნოსელი ასევე გამოკვეთილად საუბრობს ამის შესახებ: „მართალია, პირველხატის მშვენიერებებს ხატი (ღვთის ხატად შექმნილი, რ. მ.) ფლობს, თუკი არ ექნებოდა რაიმე განსხვავებულობა, ხატი კი აღარ იქნებოდა, არც მსგავსი, არამედ ყოვლითურთ იგივეობრივად წარმოჩნდებოდა და ყოვლადუცვალეზად. მაშ, რა არის ღმერთსა და ადამიანს შორის, მის მსგავსს შორის, ის განსხვავებულობა, რაც იხილვება? ის, რომ იგი (ღმერთი, რ. მ.) დაუბადებელია (ἀκτίστωσ εἶναι), ხოლო ეს (ადამიანი, რ. მ.) აგებული და დაბადებული (διὰ κτίσεωσ ἵπιοσται). თვისებათა ამგვარმა განყოფამ ასევე სხვაგვარი განყოფილების აღიარებამდეც მიგვიყვანა, რადგან ყველას მიერ და ყოვლად თანაღიარებულია, რომ დაუბადებელი ბუნება უწყევია და მარადის უცვალეზელად ჰგებზ, ხოლო დაბადებული ცვალეზის გარეშე ვერ იქნება, რადგან თვით არაარსისგან არსად შემოყვანება, მოძრაობა და შეცვალეზაა, რადგან არარსებობიდან არსებობაში საღვთო ნებით დაიდგინა“². ვფიქრობთ, ცხადად წარმოჩინდება ის აზრი, რომ „ხატებაში“ და „მსგავსებაში“ არა თუ ღვთისადმი არსობრივი იგივეობა მოიაზრება, არამედ, წმ. იოანე დამასკელის თქმისებრ, ძალისაებრი მიმსგავსება.

ასევე უნდა ვთქვათ, რომ იყო გავრცელეზული იმგვარი მოსაზრება, თითქოს „ხატება“ დასაბამშივე ჰქონდა ადამიანს, ხოლო „მსგავსება“ შემდეგ უნდა მოეპოვებინა სათნოებითი ცხოვრების შედეგად. იმოწმებდნენ დაბადების შემდეგ მუხლებს: „დათქუაღმერთმან: ვქმნეთკაციხატადჩუენდადამსგავსად... და შექმნაღმერთმანკაციხატადღმერთისა“ (დაბ. 1, 26-27). გამომდინარე აქედან, ვინაიდან წერია, რომ შექმნა „ხატად“ და „მსგავსება“ აღარ არის ნახსენები, თითქოს ეს უკანასკნელი თითოეულმა ადამიანმა შემდგომში თავად უნდა მოიპოვოს. ამგვარი აზრის არამართებულობას ცხადად წარმოაჩენს საეკლესიო მოძღვართა მსჯელობანი, როდესაც ისინი განმარტავენ, თუ რა იგულისხმება „ხატებასა“ და „მსგავსებაში“. ამის შესახებ წმ. კირილე ალექსანდრიელს თავის ვრცელ შრომაში „ანთროპომორფისტთა წინააღმდეგ“ (κατὰ ἀνθρωπομορφιστῶν), სპეციალური თავიკ კი აქვს გამოყოფილი ვრცელი სათაურით: „მათ მიმართ, რომლებიც ამბობენ, რომ, ერთი მხრივ, „ხატისებრობა“ (κατ’ εἰκόνα) მივიღეთ მყისვე შექმნისთანავე, ხოლო „მსგავსებისებრობა“ (κατ’ ὁμοίωσιν) – არანაირად, რადგან დაცულია იგი ჩვენთვის სამერმისო საუკუნეში. ამიტომაც დაწერილია: „რაჯამს ქრისტე გაცხადდება, მისი მსგავსნი ვიქნებით“ (1 ინ. 3, 2). და კიდევ თქმულია: „შევექმნათ კაცი ჩვენი ხატისებრ და მსგავსებისებრ“ და ადამიანის

1 ედიშერ ჭელიძე, მართლმადიდებლური ხატმეტყველება, თბ., 2001, გვ. 100.

2 S. Gregorii Nysseni, De hominis opificio, XVI, Patrologiae cursus completus, LXIV, Caput XVI, col. 184, C, 1-D, 1.

შექმნის შემდეგ ითქმის: „შექმნა ღმერთმა ადამიანი, თავისი ხატისებრ შექმნა იგი“, დაიდუმა რა აქ „მსგავსებისებრობა“, რათა ეჩვენებინა, რომ ჯერ არ მიგვიღია იგი, არამედ დაცულია ჩვენთვის იმ ნეტარ ცხოვრებაში“. სათაურშივე კარგად გამოიკვეთა ის ხაზი და მიმართულება, საიდანაც უნდა წარმართოს წმ. მამამ თავისი მსჯელობა. ხსენებულ თხზულებაში იგი ამბობს: „თუ ამბობენ, რომ სხვადასხვაა „ხატისებრობა“ და „მსგავსებისებრობა“, განსხვავება მიუთითონ, ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ **სხვას არაფერს ცხადყოფს „ხატისებრობა“, თუ არა „მსგავსებისებრობას“, ასევე, „მსგავსებისებრობაც“ – „ხატისებრობას“**. ღვთისადმი მსგავსება ხვედრებული გვაქვს პირველი შექმნისთანავე და ვართ ხატება ღვთისა, რადგან, როგორც მითქვამს, მიმღებელია ადამიანური შექმნილობა, უფრო კი ბუნება, – სიკეთისაც, სამართლიანობისაც და სიწმინდისაც და ამათი სურვილი შთასამირკვლებული აქვს ღვთისაგან. ამის დანახვა შესაძლებელია შემდეგიდან: ადამიანურ გონებას გადახრა შეემთხვა, მაგრამ არა ცუდიდან კარგისკენ, არამედ კარგიდან – ცუდისკენ. ამრიგად, მართებულია პირველად იმის წინაარსებობა, რისი დამტოვებლებიც გადავიხარეთ, რადგან ის, რომ ადამიანის სულში პირველი შექმნისთანავე შთაითესა ყოველგვარი კარგის სურვილი და წადილი და ცოდნა, ამას ასაჩინოებს ყოვლადბრძენი პავლე, რომელიც ამბობს: „რაჟამს წარმართნი, რჯულის არმქონენი, ბუნებით მოქმედებენ რჯულისას, ისინი, რჯულის არმქონენი, თავისი თავის რჯული არიან, რომლებიც აჩვენებენ რჯულის საქმეს, დაწერილს მათს გულებში, თანამოწმეობს რა მათი სინდისი“ (რომ. 11, 14-15). თუკი წარმართებსაც, რომლებიც რჯულის გარეთ არიან, ბუნებითად ძალუმთ იცოდნენ რჯული ანუ რჯულმდებლის (მოსეს, ე. წ.) მიზანი, ცხადი იყოს ამიერიდან ყველასთვის, რომ მართალი და კეთილი შეიქმნა დასაბამში ადამიანური ბუნება“; აგრძელებს რა მსჯელობას წმ. მამა, დასძენს: „თუ თქვა წმინდა წერილმა სადღაც, რომ „შექმნა ღმერთმა ადამიანი თავისი „ხატისებრ“, დაიდუმა კი „მსგავსებისებრობა“, გვმართებს შევიცნოთ, რომ **საკმარისი იყო ეთქვა „ხატისებრობა“, როგორც სხვა არაფრის ცხადყოფელი, თუ არა „მსგავსებისებრობისა“**, რადგან ზედმეტია იმის თქმა, რომ ეს („მსგავსებისებრობა“, ე. წ.) ჩვენთვის დაცულია სამერმისო საუკუნეში, რამეთუ თქვა რა ღმერთმა: „შექმნათ ადამიანი ჩვენი ხატისებრ და მსგავსებისებრ“, ვინ გაბედავს თქმას, რომ შეიქმნა იგი „ხატისებრ“, მაგრამ – ჯერაც არა „მსგავსებისებრ“¹. წარმოდგენილი მსჯელობით პირდაპირ მიუთითებს წმ. კირილე, რომ ადამიანი შეიქმნა როგორც „ხატისებრ“, ისე „მსგავსებისებრ“, და არათუ ნაწილ-ნაწილ, ან ერთი – თავიდანვე და მეორე – სამერმისოდ, არამედ მყისვე ერთიც და მეორეც, რასაც ცხადყოფს წმ. ეპიფანე კვიპრელის ქადაგებაში გადმოცემული ის ეპიზოდი, რომელშიც ასე მიმართავს მაცხოვარი ადამს: „ადექი, ხატო ჩემო და ჩემს მსგავსად შექმნულო“ (ἀνάστα, μοιφή ἢ ἔμῃ, καὶ κατ’

1 წმ. კირილე ალექსანდრიელი, ანთროპომორფისტთა წინააღმდეგ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, №3, თბ., 2011, გვ. 176.

ἐκόντα ἐμῆν γεγενημένῃ)¹. არა თუ „ხატად“ შექმნულ, ხოლო „მსგავსად“ – არა, არამედ ერთად – „ხატად და მსგავსად“. წმ. ათანასე ალექსანდრიელი (+373 წ.) ბრძანებს: „ამ სახით შეძლონ განჭვრეტა მამის სიტყვისა, რომლისებრაც შეიქმნენ კიდეც დასაბამიდან, რადგან ღვთის **ხატისებრ დაიბადა იგი (ადამიანი, ე. წ.) და შეიქმნა მსგავსებისებრ (καὶ καθ’ ὁμοίωσιν γεγενῆσθαι)**, როგორც აღნიშნავს კიდეც წერილი, როდესაც ამბობს ღვთის პირით: შევქმნათ ადამიანი ჩვენი ხატისებრ და მსგავსებისებრ“².

მართლაც, თუკი ვაღიარებთ, რომ მსგავსება არის სათნოებითი ბაძვა ღვთისა, და ეს ნამდვილად ასეა, მაშინ შეუძლებელია იმის თქმა, რომ „მსგავსება“ არა შექმნისთანავე აქვს ადამიანს, არამედ თავად უნდა მოიპოვოს. წმ. სოფრონ იერუსალიმელი (560-638 წწ.) ამგვარ რამეს ამბობს: „როდესაც მას (ადამიანს, რ. მ.) ჰქონდა უმწვერვალესი კეთილდღეობა (εὐθυμερίαν ἄκραν), როდესაც საზრდოობდა სამოთხის ნაყოფთაგან, როდესაც უშურველად იშვებდა ყველა სიკეთით, როდესაც იღებდა ღვთის ნათელცისკროვნებას (φωταυγεία), როდესაც იგი, ქმნილებად მყოფი, მიწიერ ქმნილებებზე მეუფებდა, როდესაც **ღვთის ხატად იყო შერაცხილი და მსგავსებით საკვირველად განიხარებდა**“³. წმ. დოროთე ღაზელი (VI ს.) გვაუწყებს: „ბუნებითად გვაქვს სათნოებანი, ღვთისგან ბოძებულნი ჩვენდამი, როგორც ამბობს: „შევქმნათ ადამიანი ჩვენი ხატისებრ და მსგავსებისებრ“. თქვა: „ხატისებრ“, რადგან უხრწელი და თვითუფლებრივი შექმნა ღმერთმა სული, ხოლო ამბობს: „მსგავსებისებრ“, ესე იგი „სათნოებისებრ“⁴. სწორედ სათნოებანია, რომლებიც მიახლებს ადამიანს ღმერთთან, რასაც ვერ შევძლებდით, თუკი არ გვექნებოდა ესენი. იმ ადამიანში განიჭვრიტება მსგავსება ღვთისადმი, რომელშიც მოქმედია სათნოებანი. ნიკიტა სტიტატის თქმით, „მსგავსებისებრობა (τὸ καθ’ ὁμοίωσιν) – ესაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება, გულმორწყალება, თანაგრძნობა, კაცთმოყვარეობა. რომლებშიც ესენი მოქმედებს და იცვება, მათში იხილვება ცხადად ხატისებრობა და მსგავსებისებრობა“⁵. მართალია, დაცემისა და სამოთხის დაკარგვის შემდეგ გარკვეულწილად შეიბღალა ჩვენში „ხატება“ და „მსგავსება“, მაგრამ, მთლიანად კი არ აღიხოცა, არამედ მაინც შენარჩუნდა, რისი საშუალებითაც კვლავ ილტვოდნენ ადამიანები ღმერთისკენ; ხოლო უკანასკნელ ჟამს, მოვიდა რა ქვეყნად ღმერთი-სიტყვა, კვლავ აღადგინა სრულად ჩვენში შებღალული „ხატება“ და „მსგავსება“. წმ. ირინეოს ლიონელი ამბობს: „რაჟამს ხორცი შეისხა და ადამიანი გახდა იგი (ძე ღმერთი, რ. მ.), თავის თავში შემოკრიბა ადამიანთა ხანგრძლივი ისტორია, ერთბაშად მოგვიბოძა ცხოვნება, რათა ის, რაც წარვწყმიდეთ ადამში, ესე იგი **ღვთის ხატისებრ და მსგავსებისებრ ყოფნა**, უკუმიგველო იესო ქრისტეში“⁶. ბოლოს მოვიყვანთ წმ. იოანე დამასკელის სიტყვებს: „რადგან წილი გვიბოძა მან უკეთესისა და არ დავიცავით, თვითვე

1 PG.LXIII, col. 461,B,14-15; იხ. Jer. 30: 166 v.

2 ჭელიძე 2001: 95.

3 ჭელიძე 2001: 97.

4 ჭელიძე 2001: 101.

5 ჭელიძე 2001: 103.

6 ჭელიძე 2001: 98.

წილმიმღები ხდება უარესისა (ვამბობ - ჩვენეული ბუნებისა), რომ თავისი თავის მიერ თავის თავში განაახლოს მან ხატისებრობა და მსგავსებისებრობა¹. მართლაც, თუკი არ იყო შექმნილი ადამიანი „მსგავსად“, მაშინ რა განაახლა განკაცებულმა ძე ღმერთმა? შეიძლება აღდგენა იმისი, რაც არ ყოფილა? რაღა თქმა უნდა, არა! მაცხოვარმა განაახლა ჩვენში ჩვენ მიერვე შებღალული „ხატება“ და „მსგავსება“.

ასე რომ, საეკლესიო სწავლებით, ადამიანი შეიქმნა არა თუ მხოლოდ „ხატად“, ხოლო „მსგავსება“ კი სამერმისოდ მოსაპოვებელია, არამედ ერთდროულად და მყისვე ღვთის „ხატად“ და „მსგავსად“, რაც გულისხმობს სათნოებით ბაძვას და წვდომას ღმერთისას.

6) ადამის დაცემის შესახებ მეექვსე დღეს

კიდევ ერთი გამოკვეთილი საკითხი, რომელსაც წმ. ეპიფანე ეხება ჰომილიაში, არის ის, რომ მეექვსე დღეს ხდება მაცხოვრის ჯვარცმა და განახლება სიცოცხლისა, იმ დღეს, რა დღესაც დაეცა ადამი და სამოთხიდან გამოიდევნა. ქადაგებაში ვკითხულობთ: „დღესა მეექუსესა იქმნა განჩინება² შენი და დღესავე მეექუსესა ვქმენ განახლებად შენი და სამოთხისა განღება³. საეკლესიო სწავლების მიხედვით, ადამი იმავე დღეს ეცემა, რა დღესაც შეიქმნა და სწორედ ამიტომაც მაცხოვრის მიერ მეექვსე დღეს იღება სამოთხის კარი. პარასკევსვე შედის ავაზაკი სამოთხეში, მყისვე, ჯვრიდან პირდაპირ სამოთხეში მკვიდრდება. წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ინება მან (ქრისტემ) ავაზაკის შეყვანა სამოთხეში; მყისვე სიტყვა თქვა და ავაზაკი სამოთხეში შეიყვანა⁴. სხვაგან კვლავ ამბობს: „ხედავ ავაზაკის ფილოსოფიას, ხედავ მის გულისხმას, ხედავ მის მოძღვრებას? მყისვე ჯვრიდან ცისკენ აწვდა იგი⁵. სწორედ იმ დროს განალო მაცხოვარმა სამოთხისკარი, რა დროსაც დაიხურა კაცთათვის. ადამის მეექვსე დღეს დაცემის შესახებ წმ. იოანე ოქროპირი გვაუწყებს: „გზრგვნი ეკლისად დაიდგა, რადთა დაჰქსნეს წყევად იგი ჩუენდამოდ; ძელსა ზედა ჯუარს-ეცუა, რადთა დაჰქსნეს ადამისმიერი ქმნული იგი ცოდვად. ძელისა მიერ განაგდო სატანა სამოთხით ადამ და ძელისა მიერ უფალმან შეიყვანა სამოთხედ ავაზაკი. და უსაკვრველესილა, საყუარელნო, რამეთუ მეექუსესა დღესა დაჰბადა უფალმან ადამ და მეექუსესავე დღესა განიდევნა ადამ სამოთხით. ამისთვის

1 წმ. იოანე დამასკელი, LXXVII, 2000:423.

2 განჩინება – ნიშნავს დაწესებას, დადგენას, დამტკიცებას, განსჯას, განსაზღვრებას; ანუ იგულისხმება ადამის დაცემის შემდეგ საღვთო განაზრახი, საღვთო განაჩენი მისი სამოთხიდან გამოშვების შესახებ; ბერძნულში არის ტერმინი: ἡ ἀποφασίς (PG, LXIII, col. 461, D: 2) – განჩინება, განგდება; ეს ტერმინი წმ. ეფრემ მცირესთან და წმ. არსენ იყალთოელთან ითარგმნებოდა როგორც „განჩინება“ (მსჯელობა, დასაბუთება) და „უკუთქუმა“ (უარყოფითი მსჯელობა).

3 Jer. 30: 166 v.

4 წმ. იოანე ოქროპირი, „ოთხდღიანი ლაზარეს შესახებ“; ედიშერ ჭელიძე, ცხონებულთა სამყოფელის შესახებ, „გული გონიერი“, №1, თბ., 2011, გვ. 158.

5 წმ. იოანე ოქროპირი, ჯვრისა და ავაზაკის შესახებ, I ჰომილია; „გული გონიერი“, №1, 2011: 159.

და უფალმან მეექუსესა დღესა სათნო-იჩინა ვნებად, რადთა რომელსა დღესა დაეკმა სამოთხე ადამს, მასვე დღესა განელოს ავაზაკსა. მიმწუხრი განიდევნა ადამ სამოთხით, ურჩ ექმნა რამ მცნებასა ღმრთისასა, და მიმწუხრი შევიდა ავაზაკი სამოთხედ, მსმენელ იქმნა რამ კმასა მეუფისასა¹.

წმ. ათანასე ალექსანდრიელიც ეხება ამ საკითხს. როდესაც წმ. მამას ჰკითხეს, თუ რა დრო დაყო ადამმა სამოთხეში, მან მიუგო: „ხოლო კითხვასა ამას შენსა ზედა არა ერთჟამ იქმნეს მამანი ჩუენნი, არამედ რომელთამე თქუეს ექუსი თუე დაყოფად, და რომელთამე თქუეს უფროდს ამისსა; ხოლო სხუათა თქუეს, ვითარმედ: მსგავსად ჟამისა მის, რომელ დაყო უფალმან ჯუარსა ზედა, იყო ადამ სამოთხესა შინა, რომელთა-იგი სიტყუად უჭემმარტეს მგონიეს“². სწორედ ეს აზრი გადმოიცემა წმ. ეპიფანე კვიპრელთანაც, რომ მეექუსე დღეა მსხვერპლის გაღების დღე არა შემთხვევით, არამედ იმ დღეს ემთხვევა განახლება ადამისა, რა დღესაც მასში ცოდვა დამკვიდრდა და ცოდვის ძლით – სიკვდილი.

7) სამოთხისა და სასუფეველის შესახებ (მათი ოდენ ხარისხობრივი სხვაობა)

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, რომელსაც წმ. ეპიფანე ეხება, არის სამოთხისა და სასუფეველის ხარისხობრივი განსხვავება. ქადაგებაში ვკითხულობთ: „გამოგიყვანე შენ ქუეყანისა სამოთხით, კუალად გაგებ შენ არღარა სამოთხესა, არამედ ზეცისა საყდარსა“³. სხვა ქადაგებაში წმ. ეპიფანე ასევე ამბობს: „რამეთუ ვითარცა-იგი ერთისა ადამის მიერ დაეკმა სამოთხე, ეგრეთვე ჯერ-იყო, რადთა მეორისა ადამის მიერ (იესო ქრისტეს მიერ, რ. მ.) უზესთაეს განელოს არათუ სამოთხე ხოლო, არამედ ზესთა ბუნებათა იგი აღსავალი ადამის ნათესავთა“⁴. ვფიქრობთ, წმ. ეპიფანე განასხვავებს სამოთხესა და სასუფეველს, როცა ამბობს, რომ ღმერთმა ადამი გამოიყვანა

1 ახ. ქართ.: „ეკლის გვირგვინი დაიდგა (უფალმა, რ. მ.), რათა დახსნას ჩვენზე მოწვენილი წყევლა. ჯვარზე შეემშვივალა, რათა დაარღვიოს ადამისმიერი ცოდვა. ძელის მიერ განაგდო სატანამ ადამი სამოთხიდან და ძელის მიერვე უფალმა შეიყვანა სამოთხეში ავაზაკი. და კიდევ უფრო საკვირველი, – მეექუსე დღეს დაბადა უფალმა ადამი და მეექუსესავე დღეს განიდევნა იგი სამოთხიდან; ამიტომ, უფალმა მეექუსე დღეს სათნო-იჩინა ვნება, რათა რომელ დღესაც დაეხშო ადამს სამოთხე, იმავე დღეს განელოს ავაზაკს. მიმწუხრად განიდევნა ადამი სამოთხიდან, ეურჩა რა საღვთო მცნებას, და მიმწუხრად შევიდა ავაზაკი სამოთხეში, მოისმინა რა სამეუფო ხმა“; წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კონსტანტინოპოლელ მთავარეპისკოპოსისა, სიტყუად ვნებისათს მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესა, მისა ღმრთისა, და ვითარმედ დღესა, რომელსა განვიღინა ადამ სამოთხით, მასვე დღესა შევიდა ავაზაკი სამოთხედ, A 129, 256 r.

2 ახ. ქართ.: „ამ კითხვას სხვადასხვაგვარად პასუხობენ ჩვენი მამები; ზოგი ამბობს, რომ ექუსი თვე დაყო, ზოგი უფრო მეტსაც მიიჩნევს; ხოლო სხვამ თქვა, რომ რა დროც დაყო უფალმა ჯვარზე, იმდენივე ჟამი იმყოფება ადამი სამოთხეში, რომელთაგან უჭემმარტესად ეს უკანასკნელი მიმაჩნია“; წმ. ათანასე ალექსანდრიელი, ათანასე ალექსანდრიელის თქმულისგან რჩევით გამოკრებილი, A 116, 94 r.

3 Jer. 30: 167 r.

4 ახ. ქართ.: „რადგანაც პირველი ადამის მიერ დაეხშო სამოთხე, ასევე საჭირო იყო, რათა მეორე ადამის მიერ (იესო ქრისტეს მიერ, რ. მ.) განღებულყო არა თუ მხოლოდ სამოთხე, არამედ ზეციური აღსავალი ადამის მოდგმისათვის“. (წმ. ეპიფანე კვიპრელი, „მუცლადღებისათს ანნაძსა, რაჟამს ესარა შობად წმიდისა ღმრთისმშობლისა“, A 162, 16 v).

ჯოჯოხეთიდან და კვლავ დააბრუნა ნეტარ მდგომარეობაში, ოღონდ ისევ იქ კი აღარ, სადაც მკვიდრობდა ადამი შექმნისთანავე, არამედ ზეციურ სამყოფელში. თავდაპირველად უნდა ვთქვათ, რომ სამოთხეც და სასუფეველიც არსობრივად ერთია, ორივე ნეტარეულთა, ცხოვებულთა სამყოფელია და ამ ნიშნით რაიმე განსხვავება არ არის. საეკლესიო მოძღვართა ის ნაწილი, რომელიც განსხვავებული კუთხით განიხილავს მათ, გულისხმობს მხოლოდ ხარისხობრივ სხვაობას. სამოთხე სრულიად უსასყიდლოდ მიეცა ადამიანს, ხოლო სასუფეველი არის მაცხოვრის სისხლით მოპოვებული, რასაც დიდი ღვაწლის, დიდი ძალისხმევის შედეგად უერთდებიან ადამიანები. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ამგვარად საუბრობს სამოთხისა და სასუფეველის ხარისხობრივ განსხვავებაზე: „ზოგიერთები ამბობენ: როგორ გავიგოთ, რომ ერთი მხრივ, უფალი ავაზაკს ეუბნება: „დღეს ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“ (ლუკა 23, 43), მეორე მხრივ კი, პავლე მოციქულს ნათქვამი აქვს: „წმინდანთაგან არავის მოუპოვებია აღთქმა“ (მდრ. ებრ. 11, 13, 39) ...არავინ მითხრას, რომ ერთი და იგივეა სამოთხე და სასუფეველი, რადგან სასუფეველის სიკეთენი არც ყურს სმენია, არც თვალს უნახავს, არც ადამიანის გულამდე მისულა (1 კორ. 2, 9), ხოლო სამოთხე ადამის თვალმაც ნახა და ყურმაც ისმინა მისმა, რადგან თქვა მისდამი: „ყველა ხისგან, რაც სამოთხეშია, ჭამით ჭამე“ (დაბ. 2, 16). თუმცაღა ერთი ხე აეკრძალა მას, მაგრამ მასაც ხედავდა და მის შესახებ ისმინა კიდევ და მოვიდა კიდევ იგი ადამიანის გულამდე. ასე რომ, ამბობენ ისინი, არაფერი უთქვამს საწინააღმდეგო პავლე მოციქულს (იგულისხმება პავლე მოციქულის სიტყვები: „არავის მოუპოვებია აღთქმული“, იხ. ებრ. 11, 13, 39, ე. ჭ.), რადგან ავაზაკი სამოთხეს მიეახლა, ხოლო სასუფეველს არ მიახლებია, მიეახლება კი მაშინ, როდესაც მიეახლებიან, აგრეთვე, ყველა ისინი, პავლე მოციქულმა რომ ჩამოთვალა (იხ. ებრ. თავი 11)¹. აქ, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის თქმით, სხვა არის ხარისხობრივად სამოთხე, რომელშიც ავაზაკი შედის პარასკევსვე, ჯვარზე აღსრულებისთანავე, და სხვა არის სასუფეველი, რომელიც გაიხსნა და კაცთათვის მისაწვდომი გახდა მაშინ, როდესაც მესამე დღეს აღდგა იესო ქრისტე და თანააღადგინა საუკუნიტგან შესვენებულთა სულელები.

სამოთხისა და სასუფეველის ხარისხობრივ სხვაობაზე კიდევ უფრო ნათლად მსჯელობს წმ. სვიმეონ თესალონიკელი (1381-1429 წლები): „როგორც წმინდანთაგან გვისწავლია, სულელები მიდიან მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირს ადგილებში: ერთნი – ცაში, რომელთა მოღვაწეობაც ცათა შინა იყო და რომლებიც, სხეულში მყოფნიც, ცად იქნენ აყვანილნი, როგორც გვასწავლის პავლე, - იქ ატაცებული და აღსრულებისა და ქრისტესთან ყოფნის მოწადინე, რათა აღსრულდეს ნათქვამი: სადაც ვარ მე, ისინიც იქნებიან ჩემთან ერთად“ (ინ. 17, 24), რაც თქვა უფალმა; მეორენი სამოთხეში არიან, თანახმად ნათქვამისა: „დღეს ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“ (ლუკა 23, 43). სარწმუნოა, რომ იქ იყოს, აგრეთვე, სინანულით გასული ყველა სული, როგორც თვით იმ კეთილგონიერი ავაზაკის სული. სამართლიანია, რომ ერთნი, როგორც მთლიანად მბაძველნი

.....
 1 ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, ლუკას სახარების განმარტება; ედიშერ ჭელიძე, ცხოვრებულთა სამყოფელის შესახებ, „გული გონიერი“, №1, 2011: 163-164.

ქრისტესი, ცათა მიმართ ამადლებულ უფალთან ერთად იმყოფებიან ცაში, მეორენი კი, რომლებმაც შეინანეს, სამოთხეში არიან, როგორც ის ავაზაკი, რადგან ქრისტემ გახსნა ცაც და სამოთხეც. ყოველი მათგანი, ცხოვრების შესაბამისად, იღებს ნუგემს ღვთისგან, ამასთან, ყველანი არასრულნი არიან, ვიდრე მოვა უფალი, როგორც გვისწავლია: „რათა ჩვენ გარეშე არ სრულ-იქმნენ“ (ებრ. 11, 40), და მათ ყველას, რწმენის მიერ სრულქმნილთ, „არ მოუპოვებიათ აღთქმა“ (ებრ. 11, 13, 39)¹.

დასასრულ, კვლავ აღვნიშნავთ, რომ ორივე – სასუფეველიც და სამოთხეც, – არის ცხოვრებულთა სამყოფელი და ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ არის მათ შორის; ხოლო როდესაც ნაწილი საეკლესიო მამათაგან რაიმე სხვაობაზე საუბრობს, არათუ უპირისპირდებიან სხვა მოძღვართ, არამედ, უბრალოდ, სხვა კუთხით განიხილავენ, თორემ არსებითად ერთსა და იმავეს ამბობენ როგორც ერთნი, ისე მეორენი. ერთი მხრივ, სამოთხე და სასუფეველი ერთი და იგივეა, რადგან ორივე ცხოვრებულთა განსასვენებელია, ხოლო მეორე მხრივ, განსხვავება ის არის, რომ სასუფეველი, სამოთხესთან შედარებით, აღმატებული მდგომარეობაა, სადაც, წმ. სვიმეონის თქმისებრ, მკვიდრობენ ისინი, ვინც სხეულში მყოფნიც ცათა შინა მოქალაქობდნენ. მეორედ მოსვლის შემდეგ ეს განსხვავებულობაც აღარ იქნება, შესაბამისად, ყველანი მხოლოდ სასუფეველში დამკვიდრდებიან.

წმ. ეპიფანე კვიპრელი თავის ქადაგებას სწორედ იმით ასრულებს, რითიც დაიწყო, კერძოდ, მაცხოვარმა, დაიძინა რა ხორციით, შეისვენა რა საფლავში და ჩავიდა ჯოჯოხეთში, იქიდან, საუკუნითგან დაძინებულნი მართალნი აღადგინა. მოვიხმობთ ქადაგების ერთ-ერთ ბოლო ნაწილს: „რამეთუ ამისთვის მოვკუედ და აღვდეგ, რათა მკუდართაცა ზედა და ცხოველთაცა ზედა უფლებდე; ვინაჲცა აღდეგით, წარვიდეთ ამიერ, რამეთუ მამად იგი ზეცათად წარწყმედულსა მას ცხოვარსა მიელის...ამას და ესევითარსა რად ეტყოდა მეუფე, აღდგა მის თანა მის შორის შეერთებული ადამ, და მის თანა აღდგა ევაცა, და მრავალნი გუამნი საუკუნითგან შესუენებულთა წმიდათანი აღდგეს და ქადაგებდეს მეუფისა მესამისა დღისა აღდგომასა“².

1 წმ. სვიმეონ თესალონიკელი, პასუხები მღვდელთმთავრის ზოგ შეკითხვაზე, შეკითხვა მეოთხე; ედიშერ ჭელიძე, ცხოვრებულთა სამყოფელის შესახებ, „გული გონიერი“, №1, 2011: 164-165.

2 Jer. 30: 167 r-167 v.

III. ჰომილიის ქართული თარგმანი

წმ. ეპიფანე კვიპრელის წინამდებარე ჰომილია თარგმნილია უშუალოდ ბერძნული ენიდან. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ძირითადად ორი გარემოება: ერთი მხრივ, ზედმიწევნითი თანხვედრა ქართული ტექსტისა ბერძნულ დედანთან და, მეორე მხრივ, ტექსტში დადასტურებული ბერძნიზმები. ქართული თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულ ორიგინალს. აქედან გამომდინარე, შუალობითი, სხვაენოვანი ტექსტის არსებობა გამორიცხებულია. ბერძნულ დედანსა და ქართულ თარგმანს შორის მხოლოდ მცირეოდენი განსხვავებებია, რომლებიც ნაჩვენებია ჩვენ მიერ გამოცემული ტექსტის კრიტიკულ აპარატში. ქართულ ტექსტში არაიშვიათად არის გამოყენებული ისეთი სიტყვები, რომლებიც უთარგმნელად არის გადმოტანილი. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: მარგალიტი - ὀ μαργαρίτης, ბალანტი - τὸ βιάντιον, ალოფ - ἄλφι, ლამპარი - ἡ λαμπάδα, სიდონი - ἡ σιδῶν, ლიტანია - ἡ λιτή. სხვათა შორის, კონკრეტულად „ლიტანიას“ შემთხვევაში პირდაპირაც გადმოიტანა ბერძნული ფორმა მთარგმნელმა და მისი შესაბამისი თარგმანითაც: „ლიტანიათა და ვედრებათა“.

ტექსტის თარგმანი შესრულებულია ეკლესიის დიდი მამის, წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ. ამას ცხადყოფს ხელნაწერი Jer. 30, რომელშიც წმ. ეპიფანე კვიპრელის წინამდებარე ქართული ტექსტის დასაწყისში, სათაურთან, მარცხენა კიდეზე, გაკეთებულია წარწერა: „ახლად თარგმნილი ბერძ[ულის] – აგან გიორგი [მთა]წმინდელისა მიერ“¹. თარგმანი რომ გიორგი ათონელის არის, ეს ცხადია; მაგრამ უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს: „ახლად თარგმნილი?“ ეს სიტყვები უდავოდ გვეუბნება, რომ წმ. ეპიფანეს ქადაგება ადრე, უქვევლად ათონამდელ პერიოდში, თარგმნილი იყო, მაგრამ თავიდან თარგმნა გიორგი მთაწმინდელმა. მართლაც, X საუკუნის ცნობილ ათონის მრავალთავში (Ath. 11) არის ხსენებული ქადაგების ტექსტი. X საუკუნის ხელნაწერში რომ წმ. გიორგი ათონელის თარგმანი ვერ იქნება (ვერც სხვა ათონელი მოღვაწისა), ეს ეჭვს არ იწვევს. თუმცა, სამწუხაროდ, მასში მთარგმნელი მითითებული არაა, როგორც ეს არის თითქმის ყველა უძველეს თარგმანთან მიმართებით.

ჩნდება კითხვა: თუკი არსებობდა მანამდე თარგმნილი ეს ტექსტი, მას ხელმეორედ რატომღა თარგმნის მას გიორგი ათონელი? საქმე ის არის, რომ ხსენებულ ხელნაწერში დაცული ტექსტი არაიშვიათად შეიცავს ხარვეზებს, არ არის ზედმიწევნითი თარგმანი. ზოგ შემთხვევაში აზრი გაუმართავიც კია. რჩება შთაბეჭდილება, რომ მთარგმნელის მიზანდასახულობა ის კი არ არის, გადმოსცეს ჰომილია ზუსტად ისე, როგორც ორიგინალშია, არამედ ცდილობს უბრალოდ აზრი გადმოიტანოს, ტექსტი კი რაც შეიძლება შეამციროს. ამიტომაც სიტყვები, რომლებიც მხატვრულობას სძენს ქადაგებას, დამახასიათებელს

.....
1 კავებში ჩასმულ ასოებს ფოტოპირზე მცირე ლაქა აქვს და კარგად არ ჩანს.

ამ ჟანრისათვის, ხანდახან გამოტოვებული აქვს. არის შემთხვევა, როდესაც ანონიმი მთარგმნელი ბოლომდე არ უკვირდება შინაარსს და ისე გადმოაქვს. მაგალითისათვის მოვიყვანო ერთ ეპიზოდს: „ვითარ საფლავსა, ოდეს, ვის ზე, ქრისტე ყოველთა ცხორებად დაიდვა, მდღელთა სიტყუად იგი ვისმინოთ: და ვითარ შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი, რომლისა სახელი იოსებ; ესე კანდიერ იქმნა, შევიდა პილატესა და მოითხოვნა ჯორცნი იესუმსნი“¹. სიტყვები, რომლებიც ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში² დახრილი შრიფტით გვაქვს გამოყოფილი, არის სახარებიდან (მარკ. 15, 42-43; მათე 27, 57-58; ლუკა 23, 50-52), რომელზეც მთარგმნელი გვეუბნება, რომ არის „მდღელთა სიტყუად“; გაუგებარია, ვის გულისხმობს მთარგმნელი „მდღელებში“. ბერძნულში წერია: **τῆν ἡμέραν ἀκισσάμεν** (PG, XLIII, col. 444, C, 5-6). შეხვდა რა სიტყვა **ἡμέραν**, პიდაპირ თარგმნა „მდღელთა“ და არც დააკვირდა კარგად იმას, რომ გამოვიდა არამართებული შინაარსი. გიორგი მთაწმინდელი კი შემდეგნაირად თარგმნის: „საღმრთოთა სიტყუათა ვისმინოთ“. **ὁ ἱερέως** არის სწორედაც – მღვდელი, ქურუმი, ხუცესი, ხოლო **ἱερός** არის – საღმრთო, წმინდა, ნეტარი, განმწმინდელი, სამღვდლო, ღირსი, პატიოსანი, ღმრთივგანზრძნობილი. ორივე სიტყვა მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში ერთნაირი ფორმით იქნება – **τῆν ἡμέραν**. შესაბამისად, წმ. გიორგი ათონელი, კონტექსტიდან გამომდინარე, მართებულად თარგმნის სიტყვას და გადმოაქვს არა როგორც „მდღელთა“ ან თუნდაც „სამღვდლო“, არამედ „საღმრთო“, რაც, რა თქმა უნდა, ზუსტია, რადგან სახარების ყოველი სიტყვა, გადმოცემული მოციქულთაგან, არის ღმრთივშთაგონებული, საღმრთო.

ამ და სხვა გარემოებებმა აიძულეს გიორგი ათონელი (ნაკლებად სავარაუდოა, რომ მას არ სცოდნოდა ამ თარგმანის შესახებ), ახლიდან ეთარგმნა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ჰომილია, – ერთი მხრივ, რათა გაესწორებინა ეს ხარვეზები და, მეორე მხრივ, რაც შეიძლება დაეახლოვებინა ის ბერძნული ორიგინალისათვის.

1 „დიდსა შაფათსა საკითხავი: თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეპიფანე კვირელ მთავარეპისკოპოსისა დაფლვისათვს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და იოსებისთვს მართლისა“, Ath. 11, 103 r.

2 მუჯირიშვილი რ., წმ. ეპიფანე კვირელი, ”დიდი შაბათის საკითხავი ქრისტეს ჯვარცმის, გარდამოხსნის, დაფლვისა და კაცობრივი სულით ჯოჯოხეთში ჩასვლის შესახებ”, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, V ტ., თბ., 2014, გვ. 163-223.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ახალი აღთქუმად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, მეცნიერულად დადგენილი ტექსტი წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა რედაქციებისა, იბეჭდება დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტის, აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009.
2. ზატიკი, გამომცემელ-რედაქტორი დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, თბილისი, 1999.
3. იმნაიშვილი 1966 – „ცხორებად ეპიფანე კვიპრელისაჲ“, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 10), გამოსცა ი. იმნაიშვილმა, რედაქტორი ა. შანიძე, თბილისი, 1966.
4. კეკელიძე 1951 – კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, რედაქტორი ალ. ბარამიძე, თბილისი, 1951.
5. კეკელიძე 1957 – კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი V, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957.
6. მახარაშვილი 2012 – წმიდა ეპიფანე კვიპრელი, „ოთხმეოცთა წვალებათათჳს“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამიებელი დაურთო სოსო მახარაშვილმა, რედაქტორი მაია რაფავა, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
7. მცირე კურთხევანი, თბილისი, 1998.
8. მცხეთური ხელნაწერი, ნაკვეთი V (დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, რედაქტორი ზ. სარჯველაძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1986.
9. რაფავა მ., ნიკიტა სტიტატის ანტიმონოფიზიტური სიტყვები, რედაქტორი პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2013.
10. რვაკმათა ანუ პარაკლიტონი, გამომცემელ-რედაქტორი დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, 1998.
11. სადღესასწაულოდ, რომელ არს გამოკრებული თუენი, II, გამოსაცემად მოამზადა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, „ალილო“, თბილისი, 2013.

12. სამოციქულოს განმარტება I, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, რედაქტორები თინა დოლიძე და თამარ მესხი, „ალილო“, თბილისი, 2011 (ბოლო გამოცემა).

13. სამოციქულოს განმარტება, II, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის(კარიჭის ძის) მიერ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, რედაქტორი მზექალა შანიძე, თბილისი, 2006.

14. სინური მრავალთავი 1959 – სინური მრავალთავი, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1959.

15. ტრიოდიონი 1901 – ტრიოდიონი, რომელ არს სამ-საგალობელი, მარხვანი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, ტფილისი, 1901.

16. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, I₂, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჯღამაიამ, რედაქტორი ელ. მეტრეველი, თბილისი, 1976.

17. ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, შეადგინა თინათინ გიორგობიანმა, რედაქტორები ქ. აბესაძე, მ. მჭედლიძე, თ. კოშორიძე, „ლოგოსი“, თბილისი, 2012.

18. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 1 (შესაქმისად, გამოსლვათად), ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, ნაკვეთის რედაქტორები ბ. გიგინეიშვილი და ც. ქურციკიძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1989.

19. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 2 (ლევიტელთად, რიცხუთად, მეორისა სჯულისად), ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, ნაკვეთის რედაქტორები ბ. გიგინეიშვილი და ც. ქურციკიძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1990.

20. წმ. გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა, სამი ქართული რედაქცია: უძველესი (VIII-IX სს.), წმ. გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) და ახალი (თარგმანი გვანცა კობლატაძისა) ბერძნული ტექსტიტურთ, რედაქტორი გრიგოლ რუხაძე, „ლოგოსი“, თბილისი, 2010.

21. წმ. იოანე დამასკელი 2000 – წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, რედაქტორი ნინო მელიქიშვილი, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000.

22. წმ. კირილე ალექსანდრიელი, თორმეტი ანათემა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები II, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2004.

23. წმ. კირილე ალექსანდრიელი, პირველი ანათემატიზმა და მისი განმარტება, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები II, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2004.

24. წმ. კირილე ალექსანდრიელი, სწავლებანი პირველქმნილი ადამის შესახებ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, №3, თბილისი, 2011.

25. ჭელიძე 2001 – ჭელიძე ე., მართლმადიდებლური ხატმეტყველება, თბილისი, 2001.

26. ჭელიძე 2003 – I-VII საუკუნეების ლათინი საეკლესიო მწერლები, ნაწილი III, შეადგინა ედიშერ ჭელიძემ, სერია: მართლმადიდებლის სამაგიდო წიგნი, თბილისი, 2003.

27. ჭელიძე ე., ცხონებულთა სამყოფელის შესახებ, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, №1, თბილისი, 2011.

28. Библейские комментарии отцов Церкви и других авторов I-VIII веков, Новый Завет, VI (Послание к Римлянам), Редактор тома Джералд Брэй, Редактор русского издания К. К. Гаврилкин, С. С. Козин, Герменевтика, 2003.

29. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х Дворецкий, 1958.

30. Православно-Догматическое Богословие, Макария Митрополита Московскаго и Коломенскаго, Томъ II, С.-Петербурзь, 1883.

31. PATROLOGIAE CURSUS COMPLETUS, Accurante J.-P. MIGNE, Bibliothecae

Cleri universae, Tomus XLIII, 1864.

32. PATROLOGIAE CURSUS COMPLETUS, Accurante J.-P. MIGNE, Bibliothecae Cleri universae, Tomus XLIV, 1863.

33. <http://www.pravenc.ru/text/190091.html>.

34. <http://azbyka.ru/biblia/>.

35. <http://bibledatabase.net/html/septuagint/index.htm>.

36. <http://drevo-info.ru/articles/10573.html>.

გამოყენებული სქლნაწიკები

1. „დიდსა შაფათსა საკითხავი: თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეპიფანე კვპრელ მთავარეპისკოპოსისა დაფლვისათუს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და იოსებისთუს მართლისა“, Ath. 11.

2. ეპისტოლე წმიდათაგანისა პაპა ლეონისი წმიდათაგანისა ფლაზიანეს მიმართ კონსტანტინუპოლელ ეპისკოპოსისა, S 1463.

3. წმ. ათანასე ალექსანდრიელი, ათანასე ალექსანდრიელის თქმულისგან რჩევით გამოკრებილი, A 116.

4. წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კონსტანტინოპოლელ მთავარეპისკოპოსისა, სიტყუად ვნებისათუს მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, მისა ღმრთისა, და ვითარმედ დღესა, რომელსა განივლინა ადამ სამოთხით, მასვე დღესა შევიდა ავაზაკი სამოთხედ, A 129.

ნუგზარ ქოქიაშვილი

მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებათა
ექვთიმე ათონელისეული რედაქცია
(„მცირე სჯულისკანონი“)
და მისი მიმართება „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტთან

სელმძღვანელი თეოლოგიისა და ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი
ედიშერ ჭელიძე

რეცენზენტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ენრიკო გაბიძაშვილი

შ ე ს ა ვ ა ლ ო¹

ადამიანი ღვთის განსაკუთრებული ქმნილებაა. ქვეყნიერება შეიქმნა ისე, რომ იგი გახდა შესაქმის გვირგვინი, „რამეთუ არცა ჯერ-იყო მთავრისაჲ, რადთამცა პირველ მათსა წარმოიჩინა, რომელთა-იგი ზედა ეგულებოდა მთავრობაჲ, არამედ, პირველ სამთავროდსა, ჯერ-იყო შემზადებაჲ და ესრეთლა შემოყვანებაჲ მეუფისაჲ. ხოლო ვინაფთჳან ყოველთა დამზადებელმან, ვითარცა სამეუფონი ეზონი, ესრეთ განუმზადნა მეუფედ ყოვადსა მას ზღუაჲ და ჳმელი და ცაჲ და ქუეყანაჲ და ჭალაკნი და მდინარენი, და ვითარცა სართული და კამარაჲ მოდრიკა მათ ზედა სამყაროდ ესე ყოვლადშუენიერი და სამეუფოთა ამათ შინა სიმდიდრე პირად-პირადი დაუუნჯა“².

ადამიანი ყველა სიკეთესთან თანაზიარი იყო. იგი ქვეყნიურ სასწაულთაგან ნაწილის მჭკრეტელი, ნაწილის ბატონი უნდა ყოფილიყო და ამ მიღებული ტკობის შედეგად ცნობა ჰქონოდა მზომბლისა, თანაც, განჭკრეტილთა მშვენებისა და სიდიადის წილ შემოქმედის გამოუთქმელი და სიტყვაზე აღმატებული ძალა გამოეკვლია. ადამიანის დანიშნულებაში შედიოდა მადლის მოხვეჭა, რათა მუდმივი მიდრეკილება და ლტოლვა ჰქონოდა ღმერთთან ერთიანობისაკენ.

ცოდვით დაცემით კი განქარდა ყოვლადცხოველი და ყოვლადცოცხალი ანაბეჭდი ღვთიურობისა და დაიშრიტა სულიერი ცნობიერება ადამიანში.

ღმერთმა ადამიანი საზოგადოებრივ არსებად შექმნა. ამქვეყნად მოღვაწე ადამიანები საზოგადოების წევრები არიან. საზოგადოების გარეშე, განდევილად მცხოვრები ადამიანი არის წმინდანი, – მართალი, სრულყოფილი და არ საჭიროებს დახმარებას საზოგადოებისაგან, სხვა ადამიანებისაგან. დანარჩენი ადამიანებისთვის კი საზოგადოება არის მათი არსებობის აუცილებელი წინაპირობა³. პავლე მოციქული ბრძანებს: „ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6,2).

ამ აუცილებელი წინაპირობის მისაღწევად საჭიროა მშვიდობიანი თანაარსებობა, ხოლო მშვიდობიანი თანაარსებობისათვის – სიმშვიდე, სიწყნარე და წესრიგი, რაც შედეგია მართლმსაჯულებისა, ანუ შედეგი სამართლის სუფევისა. რომაული სამართლის აქსიომა, რომ სადაც არის საზოგადოება, იქვეა სამართალიც (**Ubi societas, ibi ius**), შეიძლება სხვაგვარადაც გამოითქვას: ადამიანთა ჯგუფმა, საზოგადოებამ რომ იარსებოს, მასში უნდა არსებობდეს და

1 ნაშრომი შესრულდა 2014 წელს თბილისის სასულიერო აკადემიაში ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

2 წმინდა გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გამოსაცემად მოამზადეს ე. კოჭ-ლამაზაშვილმა, ქ. ბეზარაშვილმა, ნ. დობორჯგინიძემ, თ. დოლიძემ, გ. თევზაძემ, თ. მესხმა, ნ. მახარაძემ, თ. ოთხმეზურმა, ზ. სხირტლაძემ, ა. შმიდტმა, ნ. ჭიჭინაძემ, ბ. უტიემ, ა. პლონტკე-ლდუნინგმა, ქრისტინაულ-არქეოლოგიური ძიებანი II, გამომც. „ახალი საქართველო“. თბილისი, 2009, გვ. 99.

3 პანაიოტის ი. ბუმისი, კანონიკური სამართალი. გამომც. „მთაწმინდელო“, თბილისი, 2007, გვ. 7.

სუფევედეს სამართალი ანუ მართლმსაჯულება, რომელიც ჩვენამდე არსებული ყველა საზოგადოების საფუძველია¹.

ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანები მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ და მათი ურთიერთობანი დაუწერელი კანონებით განისაზღვრებოდა. დროთა განმავლობაში დააარსეს სახელმწიფოები, რომელნიც წერილობით განსაზღვრავდნენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. ასე იქმნებოდა პირველი კანონმდებლობები.

სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა ორგანიზებულ თანაარსებობას, უძველესი სისტემაა. სახელმწიფოები ცდილობდნენ და ცდილობენ, მიადწიონ საკუთარ მოქალაქე-წევრთა მართვის გონივრულ, სრულყოფილ სისტემას².

ქრისტიანული ეკლესია აღმოცენდა და განვითარდა რომაული თვით-მპყრობელი სახელმწიფოს წიაღში. ეკლესია ღმრთაებრივი წარმომავლობისაა, ხოლო მისი წევრები ერთი სხეულის ასონი არიან. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია ორგანიზებული სახელმწიფოს გარემოში იყო მოქცეული და იგი არც ცდილა, არიდებოდა სახელმწიფოსთან ურთიერთობებს, არამედ სახელმწიფოს მეშვეობით არკვევდა და ავითარებდა საკუთარ სამოციქულო და სამოდვრო საქმეებს. ეკლესია ერიდებოდა, ერთი მხრივ, ურთიერთაღრევას, მეორე მხრივ, – დაპირისპირებას სახელმწიფოსთან. უფლის მცნების თანახმად: „მიეცით კეისრისად კეისარსა და ღმრთისად – ღმერთსა“ (მარკ. 12,17). პავლე მოციქულის შეგონების მიხედვით, საჭიროა „ყოველი სული ჯელმწიფებასა მას უმთავრესისა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ჯელმწიფებად, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი-იგი არიან ჯელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (რომ. 13,1).³

ეკლესია მაღლიერებით იწყნარებდა, ან უსიტყვო მორჩილებით ითმენდა მისი გავლენის სფეროში სახელმწიფოს შეჭრას. 313 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა მილანის ედიქტი, ეკლესიამ დაიწყო სახელმწიფოსთან ურთიერთობების ჩამოყალიბება. პირველი სამი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო ქრისტიანულ ეკლესიას სასტიკად სდევნიდა. 380 წელს თეოდოსი I-მა, რომელსაც გოთების დამარცხების გამო რომის იმპერატორ გრაციანესგან მინიჭებული ჰქონდა აღმოსავლეთისა და თრაკიის იმპერატორის ტიტული, გამოსცა დადგენილება გრაციანეს სახელით; მასში ნაწუწყებია, რომ ქრისტიანობა სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა⁴. სახელმწიფოს მხრივ ეკლესიის მიმართ დამცველობითი პოზიციის დაკავება არ უნდა მივიჩნიოთ საეკლესიო ხელისუფლების დაკნინებად, არამედ, – ეკლესიისადმი სახელმწიფოს მსახურებად. სახელმწიფო საეკლესიო კანონებს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდა და ისინი სახელმწიფოს კანონებად გამოაცხადა.

.....
 1 იქვე, გვ. 7.
 2 ბუმისი ი., პანაიოტის 2007: 187.
 3 ახალი აღთქუმაჲ, ჰრომაელთა მიმართ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2014, გვ. 330.
 4 Тальберг, Николай Дмитриевич, История христианской Церкви (М. 1991, 2-е изд. - М. Св.-Тихоновский богословский ин-т, 2000).

ამით მან შეიძინა უმნიშვნელოვანესი გამაერთიანებელი ძალა – ზნეობრიობა. არსებობს უამრავი სახელმწიფო კანონი, რომელიც მიემართება საკუთრივ ეკლესიის საკითხებს ან ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს. ეს კანონები თუ კანონთა კრებულები ბიზანტიის თვითმპყრობელთა ხანიდან მომდინარეობს. ესენია:

„თეოდოსის კოდექსი“, რომელიც შედგენილ იქნა იმპერატორ თეოდოსი II-ისა და ვალენტიანიანე III-ის დროს. გამოიცა 438 წელს. კანონები ამ კოდექსში დაყოფილია 16 წიგნად. ბოლო წიგნი შეიცავს სახელმწიფო კანონებს, რომელნიც შეეხება საეკლესიო საქმეებს.

იუსტინიანე დიდმა (527-565) გამოსცარომაული სამართლის ფუნდამენტური კრებულები, რომელთაც უწოდეს „საერო სამართლის კორპუსი“ (Corpus iuris civilis). ამ კორპუსში შედის 4 კრებული: 1. „დადგენილებათა კოდექსი“ Codex Justinianus (Constitutionum), გამოიცა 529 და 534 წლებში, პირველს ეწოდა „ძველი“, ახალს – „შესწორებული“. კრებული დაყოფილია 12 წიგნად, თითოეული წიგნი – ტიტლოსებად. საეკლესიო საქმეებს ეხება პირველი წიგნის დასაწყისი ტიტლოსები. 2. პანდექტები, ანუ „დიგესტონი“ (Digesta), გამოქვეყნდა 533 წელს, დაყოფილია 50 წიგნად. 3. მოხსენებები (Institutiones) - დაყოფილია 4 წიგნად, წიგნები - ტიტლოსებად, ტიტლოსები - პარაგრაფებად. შეიძლება ითქვას, რომ ეს სახელმძღვანელოა სამართლებრივი მასალის შესასწავლად. 4. „ახალი დადგენილებები“, ანუ „ნოველები“ (Novellae Constitutiones), იგივე „ნეარონები“. ესაა იუსტინიანეს ის კანონები, რომელნიც გამოიცა „კოდექსის“ გამოქვეყნების შემდეგ. „ნოველები“ დაწერილია ბერძნულ ენაზე. პირველი თარიღდება 535 წლით. ისინი ერთ წიგნად შეკრიბეს იუსტინიანეს სიკვდილის შემდეგ. საეკლესიო საკითხებში იუსტინიანეს კანონების ძირითადი ადრესატი, როგორც წესი, კონსტანტინოპოლის პატრიარქია¹.

მაკედონელთა დინასტიის ეპოქის ბიზანტიაში საერო და კანონიკური სამართალი არ განირჩეოდა ერთმანეთისაგან და კონსტანტინოპოლის სკოლის სამართალმცოდნეები მონაწილეობდნენ საკანონმდებლო კრებულების: „პროქირონის“, „ეპანაგოგის“ და „ბასილიკის“ გამოცემებში².

„ხელმისაწვდომი კანონი“ გამოაქვეყნა ბასილი I მაკედონელმა 878 წ-ს.

„ბასილიკი“ დიდი კოდიფიცირებული ნაშრომია ლეონ VI ფილოსოფოსისა (ბრძენისა) (886-912). მასში შევიდა მხოლოდ ის ძველი კანონები, რომელთაც არ ჰქონდათ ძალა დაკარგული. კრებული დაყოფილია 60 წიგნად. საეკლესიო საქმეებს შეეხება 1,3,4 და 5 წიგნები.

„ახალი დადგენილებები“ ანუ „ნოველები“ იუსტინიანეს შემდგომი იმპერატორებისა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ირაკლი (ჰერაკლე) კეისარისა და სხვა, უფრო გვიანი ხანის იმპერატორებისა - ალექსი I-ისა (1081-1118) და მანუელ II-ისა (1143-1180).

XII ს-ში ბიზანტიაში იურიდიულ ძალას ანიჭებდნენ იუსტინიანეს „კორპუსის“ იმ კანონებს, რემელნიც „ბასილიკების“ კრებულში იყო შეტანილი

.....

1 В. Цыпин, Церковное Право, М, 1994, с. 68.

2 იხ. დაწვრილებით: Цыпин 1994:16

და სათანადო ცვლილებები განიცადეს დროის შესაბამისად.

იუსტინიანეს 131-ე „ნეარონის“ (Novella) განყოფილებაში - „სამეფო“ - აღნიშნულია: „ამრიგად, ჩვენ დავადგინეთ, რომ კანონის ძალა მიენიჭოს წმიდა საეკლესიო სჯულის კანონებს, დადასტურებულთ წმიდა შვიდი საეკლესიო კრების მიერ... ზემოხსენებულ წმიდა სინოდთა დოგმებსაც ვიწყნარებთ, როგორც საღმრთო წერილს, ხოლო საეკლესიო სჯულს ვიცავთ, როგორც (სახელმწიფო) კანონებს“¹. მეტიც, ეკლესიის კანონები სახელმწიფო კანონებზე უპირატესად მიიჩნევა. ასემაგალითად, სხვადასხვა „ნეარონებში“ აღნიშნულია: „ზოგჯერ იტყვი, რომ სჯულის კანონები მოიცავენ სახელმწიფო კანონებს, ზოგჯერ იტყვი, რომ სახელმწიფო კანონები მისდევენ სჯულის კანონებს“ და „სჯულის კანონების საწინააღმდეგო პრაგმატული ფორმულირებები მოკლებულია ძალმოსილებას“².

საეკლესიო კანონებს არ ადგენს ეკლესიის წევრთა ნება, არამედ - უფალი. ეკლესიის კანონები მიზნად ისახავენ, შეათავსონ თავიანთ წევრთა ნება ღვთის ნებასთან და ამით მიაღწიონ მის სრულყოფას. ეს კანონები არ არის დროებითი და გარდამავალი. როდესაც ეკლესია და მისი წევრები ღმერთის ნებისადმი დაპირისპირებულ სახელმწიფო კანონს წააწყდებიან, მათ მართებთ მორჩილება უფლის კანონისადმი, რაკი „მორჩილებად ჯერ-არს ღმერთისად უფროდს, ვიდრე კაცთად“ (საქმე მოც. 5,29).

ეკლესია არ განაგებს ნივთიერ საშუალებებს თავისი კანონების დანერგვისათვის, არამედ ცდილობს, სულიერი რესურსებით (ღმრთის სიტყვითა და წმიდა საიდუმლოებებით) თავისუფლად, საკუთარი ნებით შეცვალოს ადამიანი. წმიდა კანონები ეყრდნობა წმიდა წერილს და უცდომელ, ავტორიტეტულ სამოციქულო და საეკლესიო ტრადიციას, ანუ ღმერთი-მამის მიერ ძე-ღმერთის მეშვეობით სულიწმიდით გაცხადებულ ჭეშმარიტებას და, ამასთანავე, ეს კანონები შემუშავებულია და მოწონებული ეკლესიის მიერ, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო კრებათა მიერ, რომლებიც განასახიერებენ ეკლესიის უცდომელობას. მსოფლიო კრების ავტორიტეტი წარმოადგენს აბსოლუტურ სიდიდეს (საზომს), რადგან ის წარმოადგენს ეკლესიის ბაგეს, სიტყვიერი გამოხატვის ორგანოს კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიისა, რომელიცაა „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (I ტიმ. 3,15) და მსოფლიო საეკლესიო კრებათა მამები, სულიწმიდით მართულნი, აყალიბებენ დადგენილებებს, რის გამოც არიან უცდომელნი ეს დადგენილებანი.

112

წმიდა კანონები წარმოადგენენ ჭეშმარიტების სულისკვეთებისა და გულწრფელი ქრისტესმიერი სიყვარულის გამოხატულებას. შესაბამისად, ისინი გამოხატავენ და ცხადყოფენ ნამდვილ სარწმუნოებას და, ამასთანავე, თავიანთი ძალმოსილებით წინასწარ იცავენ მას ყოველგვარი სუბიექტური გადახვევისაგან, თუნდაც მარჯვნივ, როგორიცაა მოჩვენებითი სარწმუნოება, თუნდაც მარცხნივ, როგორიცაა უსამართლობა და ცოდვა (მდრ. იგავთა 4,27).

.....
 1 G. Raith-M. Potlh; Suntagma twñ Qeiwn kai ierwñ kanonon, tom. A. jqhnsi 1852, sel 36-37 (ათენის სინტაგმა).
 2 იქვე, გვ. 36.

აქ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ წმიდა გიორგი მთაწმიდელის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა ბიზანტიის იმპერატორ, კონსტანტინე X დუკასთან შეხვედრის დროს, როდესაც ის თავის ობლებთან ერთად კონსტანტინოპოლს ჩავიდა. იმპერატორმა სამეფო დარბაზში დიდი აუდიენცია მოაწყო და უაღრესი პატივისცემით მიიღო იგი. მამა გიორგიმ, სამეფო წესისამებრ, თავყანი სცა, შეაქო, დალოცა და აკურთხა. იმპერატორმა, იხილა რა ქართველი ბერის ღმრთივსულიერი სახე და ისმინა „სიტყვა პირისა მისისა, მდაბალი და შემუსრვილი და მსმენელთა სასმენელსა მკვირცხედ შემავალი“, მოიხიბლა მისი განსწავლულობით და სიხარულით წარმოთქვა: ”მადლობელი ვარ ბაგრატ მეფისა, რომ ასეთი ანგელოზებს მიმსაგვსებული კაცი გამომიგზავნა, რადგან წარმოშობით თუმცა ქართველია, „ყოვლითურთ წესი ჩუენი ჰმოსიეს“-ო. მან წაიკითხა ბაგრატ IV-ის გამოგზავნილი წერილიც, სადაც გიორგის, ყოველთა ქართველთა მოძღვარს, უსხეულო ძალებს ადარებდა და სთხოვდა, კეთილად შეიწყნარეო. მაშინ უფრო მეტად „გულისხმა-ყო“ ბერის ღირსება კეისარმა, დიდი პატივით მოიკითხა და უთხრა: რასაც მთხოვ, შეგისრულებო. იმ დროს სამეფო დარბაზობას მრავალ წარჩინებულ პირთან ერთად რომელი დიდებულები და ყარსის (ვანანდის) სომხური სამეფოს მეფე გაგიკვირებოდა თანმხლებ პირებთან ერთად. იმპერატორმა „იწყო უბნობად და კითხვად შჯულისათჳს მართლმადიდებელთაჲსა“, ანუ თუ არის რაიმე განსხვავება თქვენს სარწმუნოებასა და ბერძენთა „სრულსა და უცთომელსა სარწმუნოებას“ შორისო. მაშინ ნეტარმა ბერმა ხმამაღლა და ღმრთივბრწყინვალედ წარმოთქვა: „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ და რაჟამს ერთგვის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“¹. წმინდა კანონები თითოეულ მორწმუნეს სთავაზობენ პროტოტიპს (ნიმუშს), რომლის საფუძველზეც თითოეულს მართებს მოღვაწეობა და რომლისკენაც უნდა მიიმართებოდეს, ან რომლის საფუძველზეც შეიძლება შემოწმდეს მისი აზრების, მისი სურვილების, მისი სიტყვებისა თუ საქმეების სისწორე. კანონები წარმოადგენენ საზომს, კრიტერიუმს, საფუძველს, რომლის მიხედვითაც ობიექტურად განისჯება მორწმუნეთა, მწყემსთა და სამწყსოს საქმეები. ეს თუ არ იქნა, თითოეული კაცი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისა და უსამართლობისაკენ მიიქცევა „გონებითა მის ჯორცთა მისთაჲთა“ (კოლ. 2,18).

წმიდა კანონთა მიზანი მაცხოვრებელი (სოტერიოლოგიური) ხასიათისაა. მათი მეშვეობით უზრუნველიყოფა ეკლესიის საიდუმლოთა შეუვალობა და უკუიგდება ქრისტესმიერი ცხოვნებისათვის ნაუწყები სიტყვიდან ყოველგვარი გადახვევა, თუ მისი გაყალბება. წმიდა კანონები საუკუნეების მანძილზე იწერებოდა ეკლესიის წიაღში მოღვაწე მამების მიერ. ეს კანონები, ეკლესიის წმინდა მოძღვრებასთან ერთად, ეკლესიის ერთიანობას განაპირობებს,

.....
1 გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კვიციანიძემ და ც. ქურციკიძემ, „მეცნიერება“, თბ., 1967 წ., გვ. 178.

ეკლესიის მეშვეობით კი ყოველი მორწმუნისათვის მიიღწევა ქრისტესმიერი ცხოვნების გათავისება. აღნიშნულ მიზანთა განხორციელებას თავდებობს შესაბამისი პასუხისმგებელი საეკლესიო ორგანო, რომელიც შემწეობით უნდა ემსახუროს ეკლესიის წევრებს, თანახმად უფლის მიერ მათდამი დაკისრებული უფლებამოსილებისა: „აღსაშენებელად და არა დასარღუეველად“ (II კორ. 13,10). და თუ როგორია პასუხისმგებელი საეკლესიო ორგანოები და რანაირად „ხერხდება“ ეს ყოველივე, ამასაც წმიდა კანონები განსაზღვრავენ. შესაბამისად, წმიდა კანონები წინასწარ იცავენ ეკლესიის სხეულს, ასევე ყოველ მორწმუნე ქრისტიანს სახიფათო ეკლესიოლოგიური გადახვევებისაგან, მწვალებლობისაგან, განხეთქილებისაგან (სქიზმათაგან), გარე, ანუ „კიდემეკრებილობებისაგან“ და ა. შ.

საეკლესიო კანონები ითვალისწინებენ ეკლესიის წიაღში ქრისტიანის უზრუნველყოფილ შემოსვლას, მის იქ ყოფნას და სრულყოფას და, ამასთანავე, მასში წესრიგსა და ერთიანობას. საერთოდაც, ისინი წარმოადგენენ უცილობელ წინაპირობას ჩვენს სამყაროში ეკლესიის დანიშნულების (მისიის) წარმატებისათვის.

სჯული და კანონები საჭიროა, რათა შევიგნოთ ჩვენი შეცდომები, ჩვენი ცოდვა, ჩვენი დაცემა, რასაც დაღუპვამდე მივყავართ: „რამეთუ სჯულისაგან არს გამოცნობად ცოდვისა“ (რომ. 3,20), ასევე: „არამედ ცოდვად არა ვიცოდი, გარნა სჯულისაგან“ (რომ. 7,7). საეკლესიო სასჯელი, ეპიტიმია, რომელსაც ადგენენ კანონები, აღმზრდელიობითი ხასიათისაა, ამიტომაც ეწოდება მათ „კანონი“. „ქართული „კანონი“ ბერძნული kanwn „კანონ“-ისაგან არის წარმომდგარი. ბერძნულში კი ეს სიტყვა შემოხიზნულია ძველისძველ დროსავე, უკვე ჰომიროსის წინათ, ერთ-ერთი სემიური ენითგან (Th. Zahn. Grundriss d. Geschichte d. neatest. kanons, 1901, გვ. 2), სადაც იგი ლერწამსა ჰნიშნავდა, ლელის მუხლებს. ბერძნულად „კანონ“-ს თავდაპირველად ხუროს ერთს ხის იარაღს ეძახდენ, რომელსაც ოსტატები მუშაობის დროს თარაზოს მაგიერ სისწორეს გასაგებად ხმარობდნენ ხოლმე. შემდეგ საბერძნეთშიაც სამართლის წიგნებსაც „კანონს“ ეძახდენ იმიტომ, რომ იგი სათნოებისა და ბოროტმოქმედების საზომად ითვლებოდა. II საუკუნის ნახევრითგან მოყოლებული „კანონი სარწმუნოებისა“ (ol kanwn th~ pistew~) იმ მცნებასა და წესსა ჰნიშნავდა, რომელიც ყველა მაშინდელ საქრისტიანო ეკლესიაში მიღებული იყო, ხოლო მსოფლიო კრებების შემოდგომ „კანონ“-ს მსოფლიო და ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებას ეძახდნენ, სადაც განსაზღვრული იყო „მართალი სარწმუნოება“, საეკლესიო წესწყობილება და ის სასჯელი, რომელიც უნდა გადაეხადა სამღვდელოებასა და მრევლს სხვადასხვა დანაშაულობისათვის სარწმუნოებისა, წესიერებისა და სინდისის წინაშე“¹.

კანონების მიზანია, გაამახვილონ ცოდვილის ყურადღება ჩადენილი ცოდვის სიმძიმეზე და დაეხმარონ მას, აღარ გაიმეოროს ცოდვა, ჰქონდეს შეცოდებისა და დაცემის მუდმივი შეგრძნება და გამოსწორებისადმი მისწრაფება. ამას კი უნდა მოჰყვეს სიმდაბლე და სინანული. წმიდა იოანე ოქროპირი გვასწავლის:

.....
1 ივ. ჯავახიშვილი, თბ., 1982, VI, გვ. 25.

„სინანული წამალია შეცოდებათაგან... განაღებს იგი ზეცას და სამოთხისაკენ მიგვიძღვის“¹.

წმიდა კანონები გვიჩვენებენ წრფელსა და სიმართლისაკენ მიმავალ გზას; ისინი ნათლის მომცველი ნიშანსვეტები, გზის მარადიული მანათობლები არიან, რომლებიც მოქმედებენ ეკლესიის თვალსაწიერზე ზოგადად და კონკრეტულად იმ ცალკეული მიზნის გამოსავლენად, რომელთაც უნდა მისდევდეს მორწმუნე, რათა შეიცნოს მიზანი, ხოლო მიზანი არის ადამიანის სრულყოფა, მისი განწმენდა, მიღწევა ღვთისა „ხატებისა და მსგავსებისა“.

სახელმწიფოს კანონები, პირიქით, მის წევრთა ნებით არის განპირობებული და აღიქმება ან როგორც მთლიანობა, ან ცალ-ცალკე, განკერძოებულად. ამ კანონების მიზანია, დაუმორჩილოს ყოველი ინდივიდის ნება ერთიან ნებას. სახელმწიფოს კანონები მრავალჯერ იცვლებოდა ვითარებათა შესაბამისად ან პიროვნებათა მიერ.

კრებულებს, რომლებიც შეიცავდა როგორც საეკლესიო, ასევე სამოქალაქო კანონებს საეკლესიო საქმეთა შესახებ, „ნომოკანონებს“ უწოდებდნენ. დღევანდლამდე მოღწეული პირველი ასეთი კრებული არის საეკლესიო კანონთა კრებული, დაყოფილი 50 დასათაურებად (ტიტლებად), რომელიც მიეწერება იოანე სქოლასტიკოსს, თუმცა მისი ავტორობა საეჭვოაა მიჩნეული. მას მე-6 საუკუნის შუა წლებს მიაკუთვნებენ. ამ კრებულის წინასიტყვაობიდან ცნობილი ხდება 60-ტიტლოვანი კანონიკური კრებულის არსებობის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა სქოლასტიკოსის შრომის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. მატერიალური შედგენილობა 60-ტიტლოვანი კრებულისა ქალკედონის კრებაზე დასახელებულ „კანონთა წიგნთან“ შედარებით გამდიდრებული ყოფილა მოციქულთა, სარდიკის, ეფესოს III და ქალკედონის IV მსოფლიო კრებათა კანონებით. ფიქრობენ, რომ საეკლესიო კანონების შემდეგ კრებულს ერთვოდა იუსტინიანე იმპერატორის სამოქალაქო კანონმდებლობის კოდექსიდან გამორჩევით გამოკრებილი სამოქალაქო კანონები საეკლესიო საკითხების შესახებ, კერძოდ, Collectio XXV capitulorum და, ამ ფაქტზე დაყრდნობით, 60-ტიტლოვანი კრებულის შედგენის თარიღად 535 წ-ის ახლო ხანებს მიიჩნევენ. დასახელებული კრებული პირველი სისტემური კანონიკური კრებულია, რომელშიც სხვადასხვა კრების კანონები დაჯგუფებული იყო იმ 60 საეკლესიო საკითხის მიხედვით, რამაც გამოიწვია კრებულის 60 ტიტლოსად ანუ ნაწილად დაყოფა.

იოანე სქოლასტიკოსის საეკლესიო კანონების 50-ტიტლოვანი კრებული პირველი სისტემური კრებულია, რომელიც სრული სახით არის შემონახული. შედგენილია ის 566 წლამდე, რადგან იოანე აქ ანტიოქიის ეკლესიის ხუცესად და აპოკრისიარად იხსენიება, ხოლო 566 წ-ს ის უკვე კონსტანტინოპოლის პატრიარქია. 60-ტიტლოვან კრებულთან შედარებით მან დამატებით შეიტანა ბასილი დიდის 68 კანონი (ამფილოქესადმი გაგზავნილი მეორე და მესამე ეპისტოლეები), ხოლო კრებული 50 ნაწილად დაყო (შესაძლებელია, იუსტინიანეს, დიგესტონების მიბაძვით) და თითოეული ნაწილისათვის

1 Iwanh~ olCrusostomou, Peri:metanoia~, Dmil ia H 1, PG 49, col. 337A.

შესაბამისი კანონების რიცხვი გაიზარდა.

სქოლასტიკოსის დასახელებული კრებულის თითქმის ყველა ბერძნულ ხელნაწერს ბოლოში, დამატების სახით, ერთვის სამოქალაქო კანონმდებლობის წიგნებიდან, სახელდობრ, იუსტინიანე იმპერატორის ნოველებიდან გამოკრებილი სამოქალაქო კანონების კრებული საეკლესიო საკითხების ირგვლივ. ეს კრებული შეუდგენია იმავე იოანე სქოლასტიკოსს 565-578 წწ-ში. შემოკლებით ამ კრებულს Collectio 87 capitulorum ეწოდება.

იოანე სქოლასტიკოსის მიერ შედგენილი ორი დასახელებული კრებულის გაერთიანებით უცნობი ავტორის მიერ შედგენილ იქნა ფორმითა და შინაარსით სრულიად ახალი კანონიკური კრებული, რომელიც დღეს „50-ტიტლოვანი ნომოკანონის“ სახელწოდებითაა ცნობილი. კრებული, რომლის შექმნას 582-602 წწ-ში ვარაუდობენ, ასეთი პრინციპითაა შედგენილი: თითოეული ტიტლოსის ქვეშ მოცემულია ჯერ საეკლესიო კანონზე მითითება (ტექსტის გარეშე), ხოლო შემდეგ - ამ საკითხთან დაკავშირებული სამოქალაქო კანონის სრული ტექსტი. კრებულის ბოლოში შეტანილია დამატების სახით Collectio 87 capitulorum-იდან ის 22 თავი, რომელიც ავტორს ტიტლოსებში ვერ გაუხაწილებია¹.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანი არის საეკლესიო-სამართლებრივი კრებული, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში 14-ტიტლოვანი ნომოკანონის სახელითაა ცნობილი. მის ავტორად მიჩნეულია კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფოტოს (ფოტი) დიდი და ხშირად „ფოტის ნომოკანონს“ უწოდებენ. „IX ს-ის II ნახევრის კონსტანტინოპოლის ამ ცნობილი პატრიარქის 883 წ-ის რედაქციის ნომოკანონის ავტორად გამოცხადების ტრადიცია ემყარება X-XI სს-ის ბერძნულ ხელნაწერთა ჩვენებას, რაც კიდევ უფრო განამტკიცა 14-ტიტლოვანი ნომოკანონის XII ს-ის ცნობილი კომენტატორების, ბალსამონისა და ზონარას მოწმობამ“². ფოტის ავტორობის პრობლემა სამეცნიერო ლიტერატურაში გაუთავებელი კამათის საგანი იყო. „ამჟამად მიიჩნევენ, რომ არსებობს მისი ორი რედაქცია სხვადასხვა ეპოქისა. პირველი რედაქცია მიეწერებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, სერგის (610-638)“³.

საეკლესიო სამართლის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ძირითადი კანონიკური კოდექსის პროტოტიპის – 14-ტიტლოვანი კრებულის ჩამოყალიბებას. მართალია, დღეს უკვე აღარ მოიპოვება ამ კრებულის შემცველი ბერძნული ხელნაწერები, რომლებიც თავდაპირველი სახით წარმოგვიდგენენ დასახელებული კრებულის შედგენილობას, მაგრამ ამ კრებულის წინასიტყვაობა, შემონახული სრული სახით, საშუალებას გვაძლევს შედარებით სრულად აღვადგინოთ მისი შინაარსობრივი და ფორმალური სახე: შინაარსობრივად 14-ტიტლოვანი კრებული, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებით ზოგჯერ 14-ტიტლოვან კანონიკურ სინტაგმას უწოდებენ, ხოლო ზოგჯერ 14-ტიტლოვან ნომოკანონს, იმეორებს

1 დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, გვ. 8-9.

2 იქვე. გვ. 10-11.

3 მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, თბილისი, 2003, წიგნი I, გვ. 100.

იოანე სქოლასტიკოსის 50-ტიტლოვანი კანონიკური კრებულის შედგენილობას და დამატებით შეიცავს მეტად მნიშვნელოვან კანონიკურ მასალას: კართაგენის 419 წ-ის კრების კანონებს, რომლებიც ლათინურიდან ბერძნულად სპეციალურად ამ კრებულისათვის უნდა ყოფილიყო თარგმნილი; ბასილი დიდის 68 კანონს, რომლებიც სქოლასტიკოსის კრებულშიც იყო შეტანილი, აქ კიდევ მიმატებული აქვს ამავე ავტორის სხვა ეპისტოლეებიდან შედგენილი 23 კანონი და, რაც მთავარია, ამ კრებულში პირველადაა შეტანილი სხვა საეკლესიო მოღვაწეთა კანონიკური ეპისტოლეები, რომლებმაც საბოლოოდ დაიმკვიდრეს ადგილი კანონიკურ კოდექსში. 14-ტიტლოვანი კრებულის შემდგენლის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს დასახელებული მასალისათვის ანალიტიკური საძიებლების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უცვლელი დარჩა საუკუნეების მანძილზე - აღნიშნული კრებულის შინაარსობრივად გამდიდრების შემდეგაც. 14-ტიტლოვანი კრებულის წინასიტყვაობის ის ადგილი, სადაც ავტორი სამოქალაქო კანონების შესახებ ლაპარაკობს, მეცნიერთა დიდი კამათის საგანია. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სამოქალაქო კანონები კრებულში თავიდანვე ტიტლოსების თავებს შორის იყო განაწილებული საეკლესიო კანონებზე მითითების შემდეგ, ხოლო მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ სამოქალაქო კანონების კრებული 14-ტიტლოვან კანონიკურ კრებულს ბოლოში ერთვოდა დამატების სახით. მეორე ვარაუდის მიხედვით, 14-ტიტლოვანი კრებულის ძირითადი ნაწილი თავდაპირველად მხოლოდ საეკლესიო კანონების შემცველ ძეგლს წარმოადგენდა და შედგენილი უნდა ყოფილიყო VI ს-ის ბოლოს (დაახ. 580 წ.), ხოლო დასახელებული კრებულის 14-ტიტლოვან ნომოკანონად გადაკეთება მოხდა მოგვიანებით, 629-640 წწ-ში, მას შემდეგ, რაც კრებულზე დამატების სახით დართული სამოქალაქო კანონები ტიტლოსებს შორის გაანაწილეს. მკვლევართა პირველი ნაწილის ვარაუდით, 14-ტიტლოვანი კრებული, რომელიც თავიდანვე ნომოკანონად ჩამოყალიბდა, VII ს-ის I ნახევარში არის შედგენილი. 14-ტიტლოვანი კრებულის გარეგანი ფორმა, სისტემური ნაწილის 14 ტიტლოსად დაყოფა, როგორც ფიქრობენ, იუსტინიანეს სამოქალაქო კანონების კოდექსის მიბაძვით უნდა იყოს გაკეთებული.

14-ტიტლოვანი ნომოკანონის VII ს-ის რედაქციის შინაარსობრივი შევსების გზით 883 წ-ს ჩამოყალიბდა 14-ტიტლოვანი ნომოკანონის საბოლოო რედაქცია, როგორც ეს აღნიშნულია ამ კრებულის წინასიტყვაობაში და „რომელმაც ზოგადქრისტიანული სახელმძღვანელო ნორმის უფლებები კანონიკის დარგში ოფიციალურად კონსტანტინოპოლის 920 წ-ის საეკლესიო კრებაზე მიიღო“¹. 883 წ-ის რედაქციაში დამატებით შესულია: VI (ტრულის) მსოფლიო კრების 102 კანონი, ნიკიის VII მსოფლიო კრების 22 კანონი, კონსტანტინოპოლის 861 წ-ის ადგილობრივი კრების 17 კანონი, კონსტანტინოპოლის 879 წ-ის ადგილობრივი კრების 3 კანონი, აგრეთვე, ათანასე ალექსანდრიელის, გრიგოლ ნაზიანზელისა და ამფილოქე იკონიელის კანონიკური ეპისტოლეები. აღსანიშნავია, რომ 14-ტიტლოვანი ნომოკანონის 883 წ-ის შემდგენელს ეკუთვნის დასახელებულ

1 Никодим. Православное церковное право. СПб, 1897, стр. 200.

საეკლესიო კრებათა კანონებზე მითითებების შეტანა სისტემატური ნაწილის ტიტლოსების თავებში. 883 წ-ის რედაქციის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ ამ კრებულის რედაქტორს გადაუსინჯავს 14-ტიტლოვანი ნომოკანონის VII ს-ის რედაქციაში შეტანილი სამოქალაქო კანონები, მოძველებული და ძალადაკარგული ამოუღია, ხოლო მათ ნაცვლად ახალი კანონები - „nomika-tina- rhsei-“ შეუტანია. ეს სწორედ სამოქალაქო-სახელმწიფო კანონების კოდექსთა რევიზიის და გადასინჯვის პერიოდია¹.

14-ტიტლოვანი ნომოკანონის 883 წ-ის რედაქცია გახდა ქართული თარგმანის დედანი, რომელიც ქართულ საეკლესიო მწერლობაში „დიდი სჯულისკანონის“ სახელით დამკვიდრდა. ბერძნულიდან სხვა ენებზე ნათარგმნ ძირითად კანონიკურ კოდექსებს შორის „დიდი სჯულისკანონი“ ერთ-ერთ უძველეს თარგმანად უნდა ჩაითვალოს. ამჟამად მიიჩნევა, რომ 883 წელს ფოტი პატრიარქის მიერ ჩამოყალიბებული დღესაც მოქმედი 14-ტიტლოვანი ნომოკანონის რედაქციის ქართული თარგმანი შეასრულა არსენ იყალთოელმა XI ს-ის ბოლოს.

ბერძნულიდან ნათარგმნ მნიშვნელოვან კანონიკურ თხზულებებს განსაკუთრებული წვლილი უნდა შეეტანათ ქართული კანონიკური მწერლობის ჩამოყალიბებაში. პირველი კანონიკური კრებული ქართულ ენაზე „მცირე სჯულისკანონის“ სახელწოდებითაა ცნობილი. კრებული ეფთვიმე მთაწმიდელს შეუდგენია მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი სხვადასხვა კანონიკური სტატიების საფუძველზე. ეფთვიმეს ეს შრომა ქართული კლასიკური კანონიკური მწერლობის სათავეა.

ეფთვიმე მთაწმიდელი, როგორც სულიწმიდით განბრძნობილი მოძღვარი, სასულიერო მწერალი და ღვთისმეტყველი, სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მისი შემოქმედება მიუწვედომელ სიმაღლედ იქნა მიჩნეული უკვე მის მოწაფეთა და მიმდევართა წრეში. იგი ათიოდე წლით თუ იყო უფროსი მეფე ბაგრატ III-ზე, მაგრამ იმავეს აკეთებდა კალმით, რასაც დიდი მეფე - ხმლით. მას განუწყვეტელი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფო სახლთან, განსაკუთრებით, - დავით კურაპალატთან, რომელმაც მას „ახალი ოქროპირი“ უწოდა: „მადლი ღმერთსა, რომელმაც ჟამთა ჩვენთა ახალი ოქროპირი გამოგვიჩინა“. მეფე გადამწერებს აგზავნიდა ათონზე და „სურვიელ იყო და მოსურნე საღმრთოთა მათ თქუმულთა და მოძღვრებისათა მომლოდებელ“. ეფთვიმეს თარგმნა არ იყო ოდენ ბერძნულიდან ქართულად გადმოღება თხზულებისა. ეს იყო ქართულ ნიადაგზე დამოუკიდებელი გააზრება ქართველისათვის უცხო ტექსტისა, გააზრება უმაღლესი სიტყვათხელოვნებით, თავისუფალი მიმოქცევით, როცა თარგმნილის ენა და გააზრება ხშირად უფრო შთამბეჭდავი და შთამაგონებელია, ვიდრე ენა სათარგმნისა.

ეფთვიმეს ეკისრებოდა საქმე „მძიმე და მრავალფერი“. დღე და ღამე განიადაგებით ენთო, იწვოდა, ანათებდა და იხარჯებოდა ღმრთისაგან „რწმუნებული იგი ტალანტი“. თოთხმეტი წელიწადი წინამძღვრობდა იგი

1 დიდი სჯულისკანონი 1975: 10.

ათონის ქართველთა სათვისტომოს. ათანასე ლავრელის ანუ მთაწმინდელის ანდერძით, იმავე დროს იყო „სულიერი ეპიტროპი“ ბერძენთა სავანისა. ყოველივე ამასთან, უპირველესი მისი საზრუნავი, რისთვისაც მოწოდებული იყო, გახლდათ საკუთარი ერის ინტელექტუალური ცხოვრების სწორად წარმართვა.

ეფთვიმეს წინაშე მუდამ იდგა ქართველი მკითხველის პრობლემა. „ქართველთა განმანათლებელი“ თარგმნისას მუდამ ერის პრაქტიკული საჭიროებიდან გამოდიოდა, მის პოლიტიკურ თუ კულტურულ ინტერესებს ითვალისწინებდა. ამ პრინციპით უთარგმნია მას ქართულად 50-ზე მეტი საღვთისმეტყველო, სამართლის, ლიტერატურული, ფილოსოფიური თუ საისტორიო ნაშრომი.

ბიბლიოლოგია, ჰაგიოგრაფია, ჰომილეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, კანონიკა, ლიტურგიკა – ძველი მწერლობის თითოეული ეს დარგი წარმოუდგენელია ეფთვიმეს ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებების გარეშე.

„მცირე სჯულისკანონი“ გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა. გამოცემისთვის წამდვარებულ წინასიტყვაობაში მკვლევარი აღნიშნავს: „ეს კრებული საეკლესიო ცხოვრების პრაქტიკაში ფართოდ ყოფილა გამოყენებული, იმდენად, რომ იგი ხმარებიდან ვერ განუდევნია არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილ „დიდ სჯულისკანონსაც“ კი“¹. „ეს ერთადერთი ძეგლია XI საუკუნის დამლევამდე ნათარგმნი კანონიკურ თხზულებათაგან, რომელიც პარალელს პოულობს „დიდი სჯულისკანონის“ სტატიებს შორის“², ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი ურთიერთმიმართების საფუძველზე ეფთვიმეს რედაქტირების რაობის განსაზღვრა, კერძოდ კი, – „მცირე სჯულისკანონის“ პირველი ნაწილის, მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებების ეფთვიმესეული რედაქციის მიმართების დადგენა „დიდი სჯულისკანონის“ შესაბამის ტექსტთან.

ეფთვიმესა და არსენის ნაშრომთა შედარება კიდევ ერთ ახალ მასალას მოგვაწვდის მათი მთარგმნელობითი მუშაობის ტიპოლოგიური დახასიათებისთვის.

.....
1 მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა, „მეცნიერება“ თბ., 1972, გვ. 3.
2 დიდი სჯულისკანონი 1975: 15.

„მცირე სჯულისკანონის“ თარგმნის დრო და ადგილი

„მცირე რჩულისკანონი“, ანუ „მცირე სჯულისკანონი“ ეფთვიმე მთაწმიდელს შეუდგენია ბერძნული კანონიკური მწერლობის სხვადასხვა წყაროების მიხედვით. ეს წყაროები ეფთვიმეს უთარგმნია ქართულად, რედაქციულად დაუმუშავებია და შიგ ქართული მასალა შეუტანია. „მცირე სჯულისკანონი“ თავიდანვე განსაზღვრული იყო ქართული ეკლესიის სახელმძღვანელოდ¹.

„მცირე სჯულისკანონის“ შედგენის დრო შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, აღნიშნავს ე. გიუნაშვილი, რადგან პირდაპირი მითითება ამის თაობაზე ძეგლში არ მოგვეპოვება².

„მცირე სჯულისკანონის“ შედგენასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა კ. კეკელიძემ. ღვაწლმოსილი მეცნიერი ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომში აღნიშნავს, რომ კრებული ეფთვიმეს უთარგმნია მამის სიკვდილის შემდეგ³. ეს შეხედულება ეფუძნება გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწერილ ორიგინალურ შრომას: „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთვმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისადა“, სადაც ნაუწყებია, რომ როდესაც მამასახლისობას თავი დაანება, „თვსსა სენაკსა დაჯდა და წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა“⁴.

განსხვავებული აზრისაა ე. გიუნაშვილი. მკვლევარი მიიჩნევს, რომ „მცირე სჯულისკანონის“ ქართული რედაქცია ეფთვიმე მთაწმიდელს 1005 წლამდე შეუდგენია. მისი მთავარი არგუმენტი არის გიორგი მთაწმიდელის ცნობა, რომ ეფთვიმე ათონელს მამის სიცოცხლეშივე უთარგმნია „რჩულისკანონი წმიდისა იოვანე მმარხველისა და მეექუსისა კრებისა და ძეგლისწერა მართლისა სარწმუნოებისა... ვიდრე-ღა მამა მისი იოვანე ცოცხალ იყო და ყოველი ზრუნვა და საურავი მონასტრისა და მას ეტჯრთა“⁵ (იოვანე გარდაიცვალა 1005 წელს). იგი, აგრეთვე, იმოწმებს ხელნაწერის ანდერძს, რომელიც ეფთვიმეს მიერაა შედგენილი: „ლოცვითა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესითა ღირს-ვიქმენ მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მოწესეთა ეფთვმე თარგმანებად ბერძნულსაგან ქართულად მცირესა ამას რჩულისკანონსა, წმიდისა მის მეექუსისა კრებისა მიერ აღწერილსა და ყოვლადნეტარისა იოვანეს მმარხველისა მიერ, კონსტანტინეპოლისა მთავარებისკოპოსისა, განწესებულისა სასწავლელად და სარგებელად სულისა“⁶. თუმცა ციტატა დასრულებული არ არის. ასევე არასრულადაა ციტირებული ის ივ. ჯავახიშვილის „ქართული

1 მცირე სჯულისკანონი 1972: 3.

2 იქვე. გვ. 4.

3 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ I, 1960, გვ. 187.

4 იქვე. გვ. 211.

5 მცირე სჯულისკანონი 1972: 4.

6 რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერი N 92 C1 (G 103, a; C 38), გვ. 265. იქვე.

სამართლის ისტორიაში“. იგი სრულად გამოქვეყნებულია ნ. ზაოზერსკისა და ა. ხახანაშვილის პუბლიკაციაში¹ და მას სრული სახით გვთავაზობს ვ. კეკელიძე: „...რომელნიცა იკითხვიდნენ წინამძღუარნი და მოძღუარნი ეკლესიათანი, რამეთუ ყოველივე პირი და სახესხუათა მათ პირველთა მამათა მიერ აღწერილსა რჩულისკანონისად აქა შემოკრებულ არს და კეთილად განმარტებული“².

„მცირე სჯულისკანონის“ თარგმნის ადგილი არავისთვის საეჭვო არ არის. ძველი თარგმნილია ათონის წმიდა მთაზე, ქართველთა სავანეში.

„მცირე სჯულისკანონის“ შემცველი ხელნაწერები და მისი გამოცემები

„მცირე სჯულისკანონი“ მრავალი ნუსხის სახითაა შემონახული. ე. გიუნაშვილს უსარგებლია ოთხი უძველესით. ესენია:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A ფონდი, N 96. გადაწერილია 1031 წელს. ეს ხელნაწერი საფუძვლად დაედო ე. გიუნაშვილის 1972 წლის აკადემიურ გამოცემას. ჩვენც ამ კრიტიკულ გამოცემას გამოვიყენებთ და შევეცდებით, შევავსოთ კვლევით ნაწილში წარმოდგენილი რამდენიმე საკითხი. გამომცემელს A-96-ის ზოგიერთი დაკლებული ნაწილი შეუვსია და დაუზუსტებია სხვა ხელნაწერების ჩვენებების მიხედვით.

ეს ხელნაწერი 182 ფურცლისგან შედგება. თითოეულ გვერდზე 20 სტრიქონია. ახლავს მრავალი მინაწერი. ბოლოს მშვენიერი ასომთავრულით დართული აქვს ანდერძი: „დაიწერა რჩულისკანონი ესე ქალაქსა ღმრთივდაცვულსა კონსტანტინეპოლის, ახალსა ჰრომსა, ნებითა და ბრძანებითა ღმერთშემოსილისა წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ მთაწმიდელისადათა, ჰელითა გლახაკისა მწარედ ცოდვილისა ბასილი ეტრატი მალუმის ძისადათა. შრომისათჳს ლოცვაჲ-ყავთ და უცხად ჩხრევისათჳს შემინდევით, ერნო ღმერთშემოსილნო. დაიწერა წიგნი ესე მონასტერსა ხორას, მეფობასა რომანოზისასა, და ქრონიკონი იყო სნა“ (=1031 წელს)³. ანდერძიდან ვიგებთ, რომ ხელნაწერი გადაუწერიათ გრიგოლ მთაწმიდელის ნებითა და ბრძანებით, რომელიც იყო ათონზე ქართველთა მონასტრის წინამძღვარი. ის რიგით მესამე წინამძღვარია ეფთვიმეს შემდეგ. გრიგოლის დროს ხდება ბერძნების მიერ წართმეული სალოცავების - ნათლისმცემლის, ლეონდარის, მელინძის, სტილახის, დომროვიის და ერისოს დაბრუნება. დღელამ-სწორებით იბრძოდა მამა გრიგოლი, იბრძოდა - თუ

.....
1 Н. А. Заозерский, А. С. Хаханов, Номоканон Иоанна Постника в его редакциях: Грузинской, Греческой и Славянской, М., 1902, стр. 94. ალ. ხახანაშვილის მიერ გამოცემული Правила VI всел. Собора. Древности восточные. т. II. вып. 3. Москва, 1903.
2 კეკელიძე 1960: 212.
3 მცირე სჯულისკანონი 1972: 14.

ლოცვით, თუ წყევლით, თუ ლოგოსით, თუ ბოდმით, თუ მკლავით. ხშირად მიმოდოდნენ მისი წარგზავნილები საქართველოს და ბიზანტიის მართებელ გზებზე, რათა აღედრათ საქართველოს სამეფო კარი კონსტანტინეპოლის საიმპერატორო ტახტის წინაშე - ხელყოფისა და იავარქმნისაგან დაეცვათ ათონის მთის ქართული სავანეები. სამჯერ ჩაიგდეს ბერძნებმა ხელში ქართველთა მთავარი ლავრა და გაიტაცეს ყოველივე, „რადცა დრისტი ტურფად იყო, მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ-იქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში“¹.

2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის S ფონდი, N 143. გადაწერილია XI ს-ის 30-იან წლებში. ეს ეტრატის ხელნაწერი 204 ფურცელს შეიცავს, ნაკლულია. აკლია თავშიც, შუაშიც და ბოლოს. დაწერილია ნუსხურით, სათაურები და აზვაციის დასაწყისები - ასომთავრულით, სინგურით, ანუ წითელი მელნით; მთარგმნელი - ეფთჳმე; გადამწერი - ბასილი; მომგებელი (დამკვეთი) - ზაქარია ვალაშკერტელი; გადაწერის დრო დგინდება სწორედ მისი მომგებლის მიხედვით. ზაქარია ვალაშკერტელი XI ს-ის 30-იან წლებში უკვე თავს რამდენიმე ხელნაწერს გადასაწერად². გადამწერი, უნდა ვივარაუდოთ, იგივე ბასილია, რომელმაც გადაწერა ზემოთ მითითებული ხელნაწერი (A-96). კ.კეკელიძე, თავის 1923 წ-ს გამოცემულ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მოღვაწე, ბასილი, რომელმაც შექმნა საგალობლები ეფთჳიმე ათონელისა (A 558), რომელთა აკროსტიქი იძლევა შემდეგ წინადადებას: „ღმერთშემოსილსა ეფთჳიმის გლახაკი ბასილი შეამკობს“, არ უნდა იყოს ძე ზაგრატ მესამისა (გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფისა. გარდ. 1014 წ-ს), რომელიც ხახულის ლავრის მოღვაწეა, განმანათლებელი „ქუეყანისა ჩუენისა“ და, ასევე, საგალობლების ავტორი (H 1710 67B-70A). ეს მოსაზრება დვაწლმოსილი მეცნიერისა, ვფიქრობთ, საკამათოა, რადგან იმ პერიოდში ხელნაწერთა გადამწერი, ძირითადად, ბასილი ზაგრაციონის ძე იყო (ნ. ქ).

3. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერი N 92 C1 (G 103, A; C 38), გვ 265. ხელნაწერი აღუწერია რუსუდან ორბელს. ხელნაწერი თავიდან ფრაგმენტული სახისყოფილა, მაგრამ გვიანდელი ნუსხის მიხედვით აღუდგენია ბატონიშვილ თეიმურაზს. ძველი ტექსტის ხელი და სხვა პალეოგრაფიული მონაცემები რუსუდან ორბელს ავარაუდებინებს, რომ გადაწერილია XI ს-ის 30-იან წლებში³.

4. XIV საუკუნის ნუსხურით გადაწერილი ხელნაწერი (A-737). მისი „ქვედა ფენა“ წარმოადგენს VI-VII სს-ის პალიმფსესტს. ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია, ასე რომ, მხოლოდ ხელის მიხედვით ხერხდება გადაწერის

.....

1 გიორგი მთაწმინდელი, „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“. საქართველოს სამოთხე, შემკრებული და გამომცემელი გობრონ (მიხაილ) საბინინი. პეტერბურგი, 1882, გვ 429.

2 მცირე სჯულისკანონი 1972: 14.

3 იქვე.

დროის დადგენა¹.

„მცირე სჯულისკანონი“ მეცნიერულად გამოიკვლია და ქართულ-სლავურ თარგმანებთან ერთად მოსკოვში გამოსცა ნ. ზაოზერსკიმ (ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ა. ხახანაშვილმა). გამოცემისას ალ. ხახანაშვილს უსარგებლია ოთხი ხელნაწერთი, როგორც ამას აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი², რომელთაგან ერთი XI ს-ისა ყოფილა, მეორე - XVIII ს-ისა და საქართველოს საეკლესიო მუზეუმს ეკუთვნოდა. სხვა ხელნაწერების შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ქართული ტექსტის გამოცემა კრიტიკული არ არის. ხელნაწერებში არსებული განსხვავებები არსად აღუნიშნავთ. არ ჩანს, რომელი ხელნაწერი დაედო საფუძვლად ამ გამოცემას.

გამომცემლებმა თავდაპირველად 1902 წელს გამოსცეს სჯულისკანონის მეორე ნაწილი: „კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ, კონსტანტინოპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდა“. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ქართული ტექსტი, რომელიც თავისებურსა და, ბერძნულ-სლავურთან შედარებით, მნიშვნელოვან რედაქციას წარმოადგენს, რუსულ თარგმანში: „Номоканон Иоанна Постника в его редакциях: Грузинской, Греческой и Славянской“, მეტად დამახინჯებული და უმეტესწილად მიუღებელია³.

„კანონნი შეცოდებულთანი“ ცალკეც ხშირად გვხვდება ხელნაწერებში (იხ. მაგ. A 404, გვ. 204-209). კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ ქართული ტექსტის გამოცემის დროს ნ. ზაოზერსკისა და ა. ხახანაშვილს ეს ხელნაწერი გამოუყენებიათ⁴. ბერძნული ტექსტის დადგენისათვის მათ X ს-ის ხელნაწერთან ერთად XIII ს-ის ბერძნული ხელნაწერთაც ისარგებლეს, რომლის ტექსტი ცნობილი გახადა პიტრამ⁵. ამ ხელნაწერში, ისევე როგორც ეფთვიმესეულ თარგმანში, ავტორად წარმოდგენილია „ღირსი მამა ჩვენი იოანე მმარხველი, რომელიც იყო პატრიარქი კონსტანტინოპოლისა,“ ხოლო X ს-ის ხელნაწერში დასახელებულია „იოანე მონაზონი“, რომელიც იყო VIII-IX სს-ის რჯულმდებელი მოღვაწე, დიაკონი, სულიერი მოწაფე ბასილი დიდისა, რომელსაც „შვილი მორჩილებისა“ ეწოდა. აღნიშნული ხელნაწერი გამოსცა მორინომ⁶.

მეცნიერული კვლევის შედეგად ნ. ზაოზერსკის და ხახანაშვილს გამოაქვთ დასკვნა, რომ ავტორი „შეცოდებულთა კანონებისა“ არის იოანე მონაზონი, რომელსაც კონსტანტინოპოლის პატრიარქის, იოანე მმარხველის მიერ შედგენილი კანონიკური შრომების საფუძველზე შეუდგენია „სჯულისკანონი“ (ნომოკანონი) ანუ „კანონარი“, რასაც მყისვე უდიდესი გავრცელება მოუპოვებია და მოძღვართა სახელმძღვანელოდ დამკვიდრებულა მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში.

.....

1 მცირე სჯულისკანონი 1972: 14.

2 ჯავახიშვილი 1982:46.

3 კეკელიძე 1960:211.

4 იქვე.

5 Pitra, Spicilegium Solesmense, T, IV, 1858. p.436-438.

6 Morino: Commentarius historicus de disciplina in administratione sacramenti peonitentia, Parisii, 1651.p.101-107.

1903 წელს მათ კრებულის პირველი ნაწილიც გამოსცეს, რომელსაც ეწოდება „რჩულისკანონი მეექუსისა კრებისა“: „Правила VI всел. Собора“. <<Древности восточные>>. Т. II. Вып. 3. Москва.

2003 წელს, პირველი გამოცემიდან 100 წლის თავზე, ედიშერ ჭელიძემ გამოსცა იოანე მონაზონის „მცირე სჯულისკანონის“ (შეცოდებულთა კანონები) ახალქართული თარგმანი. ეს გამოცემა ბერძნულიდან ხელახლა ითარგმნა. იგი შეჯერებულია ძველქართულ (ეფთვიმესეულ), სლავურ და ლათინურ ტექსტებთან და მნიშვნელოვანი სქოლიოებიც გააჩნია.

უცხოური გამოცემებიდან აღსანიშნავია Morino: Commentarius historicus de disciplina in administratione sacramenti peonitentia, Parisiis, 1651 და Pitra, Spicilegium Solesmense. T. IV, 1858.¹

„მცირე სჯულისკანონის“ შედგენილობა და მისი მიმართება გამოყენებულ წყაროსთან

„ეფთვიმე მთაწმიდელის კანონიკური კრებული თავისი შედგენილობით სრულიად ორიგინალური და ერთადერთია ქრისტიანული ეკლესიის სამართლის ისტორიაში. მისი მსგავსი შედგენილობის კრებული არ იცის არც ბიზანტიის და ქრისტიანული აღმოსავლეთის, არც სხვა ქვეყნების საეკლესიო სამართლის ისტორიამ“².

იმ პრობლემათა შორის, რომლებსაც „მცირე სჯულისკანონის“ ტექსტი მკვლევართა წინაშე აყენებს, ერთ-ერთი თხზულების შედგენილობის საკითხია. ეს საკითხი არ არის მხოლოდ ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ხასიათისა. მკვლევრის უპირველესი ამოცანაა შემდეგი საკითხების გარკვევა:

1. რა მიმართებაშია ეფთვიმესეული კრებული ბერძნულ წყაროებთან, არის ის რომელიმე მათგანის პირდაპირი გადმოღება, თუ თვით ეფთვიმეს აქვს შედგენილი სხვადასხვა წყაროების მიხედვით. რა არის სხვათა და რა არის საკუთრივ ეფთვიმესი.

2. რა მასალას იძლევა ეს ძეგლი ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდის სპეციფიკის დასადგენად.

3. რა ღირებულების მასალას შეიცავს ეს ძეგლი წმიდა წერილის ლექსიკონისათვის, როგორ არის მასში საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია წარმოდგენილი.

4. როგორ არის დაცული კრებულში ძველი ქართული ენის ნორმები.

ამ საკითხების გარკვევას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ეფთვიმესეული

.....

1 მცირე სჯულისკანონი (შეცოდებულთა კანონები), ბერძნულიდან თარგმნა, ძველქართულ, სლავურ და ლათინურ ტექსტებს შეუჯერა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, თბ., 2003, გვ. 130-131.

2 მცირე სჯულისკანონი 1972: 3.

„მემკვიდრეობის“ შესწავლის საქმეში.

კრებულის სახელწოდება - „მცირე რჩულისკანონი“ - თვით ეფთვიმე მთაწმიდელს ეკუთვნის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერებს ბოლოში დართული აქვთ ანდერძი, სადაც წერია: „ღირს-ვიქმენ მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მოწესეთად ეფთვმე, თარგმანებად ბერძულისაგან ქართულად მცირესა ამას რჩულისკანონისა“¹... გარდა ამისა, ე. გიუნაშვილი მიუთითებს სხვა ციტატასაც: „მაიძულეს ღმრთისმოყუარეთა და სულიერთა ძმათა აღწერად მცირედი ესე რჩულისკანონი“ და ასკვნის: „თუმცა მკვლევარს ზემორე ციტატა მოაქვს, როგორც ეფთვიმეს მიერ შედგენილი მთელი რჯულდებითი კრებულის (ე. ი. VI მსოფლიო კრების კანონებისა და „სარწმუნოების ძეგლისწერის“ ჩათვლით) სახელწოდების დადასტურება, მაშინ როცა ხსენებული სიტყვები იოანე მონაზონისაა და მხოლოდ მის „კანონარს“ გულისხმობს. საზოგადოდ, ეფთვიმე „რჩულისკანონს“ უწოდებს, აგრეთვე, VI მსოფლიო კრების მისეულ რედაქციასაც და მთელ კრებულსაც“². რადგან პატივცემულ მკვლევარს ეს საკითხი ბოლომდე არ უკვლევია, აღნიშნული ხარვეზი შეავსო პროფესორმა ე. ჭელიძემ: „საყურადღებოა, რომ მოტანილი ციტატა შედის ხსენებული კანონარის წინასიტყვაობაში, რაც, ცხადია, ბერძნულ-სლავურ ტექსტებსაც აქვთ და რისი ავტორიც იოანე მონაზონია. ამრიგად, სულიერ ძმათაგან იძულებაზე საუბრობს არა ეფთვიმე, არამედ ბერძენი ავტორი, იოანე მონაზონი, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ საკუთრივ ბერძნულში გამოთქმა „მცირედი სჯულისკანონი“ არ გვხვდება. ორიგინალის ტექსტი, კერძოდ, ამგვარია: „იძულება მივიღე მორწმუნეთა ერთი ნაწილისაგან, წერილობით დამეტოვებინა ესენი“. ამრიგად, ბერძნულში, ნაცვლად „მცირედი სჯულისკანონისა“, გვაქვს „ესენი“ (ταυτα; შდრ. სლავ. чина). შესაბამისად, განსაზღვრება „მცირედი (ანუ მცირე)“ იოანე მონაზონის ნაშრომის ეფთვიმესეული შეფასებაა, რაც უაღრესად ზედმიწევნითია. ამავე გამონათქვამს იყენებს უკვე თვით ეფთვიმე VI კრების კანონებსა და იოანე მონაზონის კანონარის მისეულ თარგმანზე დართულ ანდერძში. როგორც ვხედავთ, მოტანილ ციტატაში „მცირე სჯულისკანონი“ ეწოდება როგორც VI მსოფლიო კრების კანონებს, ასევე იოანე მონაზონის კანონარს. ამავე ძეგლს „რჩულისკანონად“ იხსენიებს წმ. გიორგი მთაწმიდელიც: „რჩულისკანონი წმიდისა იოანე მმარხველისაა“.

ყოველივე ზამოთქმულის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ბერძნულ „კანონარს“ ეფთვიმე და გიორგი თარგმნიან „რჩულისკანონად“³.

ტერმინ „სჯულისკანონს“ განიხილავს, აგრეთვე, ე. გაბიძაშვილი ქართულ კანონიკური სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლის, „დიდი სჯულისკანონის“ შესავალში. იგი წერს: „ძველ ქართულ მწერლობაში ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ „მცირე სჯულისკანონის“ თარგმნის შემდეგ სახელწოდება „რჩულისკანონი“ ანუ „სჯულისკანონი“ საეკლესიო კანონთა კრებულის აღსანიშნავად ხშირად გვხვდება. ტერმინი ქართულ მწერლობაში ეფთვიმე მთაწმიდელის შემო-

1 მცირე სჯულისკანონი 1972: 3.

2 მცირე სჯულისკანონი 2003:140.

3 იქვე გვ. 143.

ტანილი უნდა იყოს. „სჯულისკანონის“ სახელით გვიანდელ ქართულ წყაროებში ხშირად „დიდი სჯულისკანონი“ იგულისხმება. ამრიგად, თუ ბიზანტიური ხანის მწერლობაში რამდენიმე რედაქციის საეკლესიო კანონების კრებულთა აღსანიშნავად „ნომოკანონი“ იხმარება, რაც თვით კრებულებთან შედარებით გაცილებით გვიან იქნა შემოღებული¹, ქართულ მწერლობაში მის შესატყვისად ყოველთვის „სჯულისკანონი“ გვხვდება. წარმოადგენს თუ არა ქართული ტერმინი ბერძნულის ზუსტ თარგმანს? სახელწოდება „ნომოკანონი“ (nomokanwn) თავდაპირველად მხოლოდ ისეთ კანონიკურ კრებულს გულისხმობდა, რომელშიც საეკლესიო კანონებთან (kanwn) ერთად სამოქალაქო კანონებიც იყო შეტანილი. ამიტომ სახელწოდებაც კრებულში შესული ორივე რიგის კანონთა ბერძნული ტერმინების შეერთებით არის მიღებული – „ნომო“+„კანონი“ (nomo+kanwn). იგი შემდეგ მიაკუთვნეს ისეთ კანონიკურ კრებულებსაც, რომლებშიც სამოქალაქო კანონმდებლობიდან არაფერი არის შეტანილი და წმინდა საეკლესიო კანონების კრებულებს წარმოადგენენ². ქართული სახელწოდების – „დიდი სჯულისკანონის“ ან „სჯულისკანონის“ – ახსნა უფრო ძნელია. თუ ვიგულისხმებთ, რომ „სჯულისკანონი“ „ნომოკანონის“ კალკია, რადგან „დიდი სჯულისკანონის“ ზოგიერთ ნუსხაში, რომელშიც შეტანილია XIII ს-ში ბერძნულიდან დამატებით ნათარგმნი მასალა (ქუთ. 17 და H-1670), nomo~ მართლაც, თარგმნილია როგორც „სჯული“³, მაშინ უნდა გვქონოდა „სჯული და კანონი“, ანდა ზუსტად კალკირებული ფორმა „სჯულიკანონი“. „სჯულ“-ში ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავდებთ ბერძნული „ნომოს“-ის მნიშვნელობას⁴, რადგან მაშინ კრებული, რომელსაც „სჯულისკანონი“ ეწოდება, აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამოქალაქო სამართლის კანონებსაც. ამას ეწინააღმდეგება კრებულის შედგენილობა და შინაარსი. აქვე დავსძენთ, რომ ქართველი მთარგმნელის მიერ სამოქალაქო კანონებზე ყურადღების გამახვილება ისე, რომ ეს კრებულის სახელწოდებაში აღნიშნული ყოფილიყო, სრულიად მოულოდნელია, რადგან „დიდი სჯულისკანონის“ მთარგმნელს თითქმის უგულებელყოფილი აქვს დედნის სამოქალაქო კანონები და მათი რიცხვი თარგმანში მინიმუმამდე აქვს შეკვეცილი.

ქართული თარგმანის სახელწოდების პირველ ნაწილში დადასტურებულ „სჯულს“ აქ ის მნიშვნელობა რომ ჰქონდეს, რომელიც აქვს გამოთქმაში „სჯული ქრისტესი“, ე.ი. სარწმუნოების სინონიმი იყოს, მაშინ „სჯულისკანონს“ ქრისტიანული სარწმუნოების კანონების მნიშვნელობა ექნება. „სჯულისკანონი“ ასეთი გაგებით ძალზე ზოგადი ტერმინი გამოდის და არა მარტო საეკლესიო კანონმდებლობას მოიცავს, არამედ ზოგადქრისტიანული ცხოვრების უნივერსალური კანონმდებლობის მნიშვნელობას იძენს. ამიტომ „სჯული“ აქ სარწმუნოებრივ სამართალს უნდა გულისხმობდეს. ივ. ჯავახიშვილის

.....
 1 В. Н. Бенешевич, Канонический сборник XIV титулов. Санкт-Петербург, 1905. стр. 105-108.
 2 Никодим. Православное церковное право. СПб. 1897. стр. 195. Бенешевич 1905:108-109.
 3 Никодим 1897: 195. Бенешевич 1905:163,23.
 4 ვ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 18.

მოწმობით: „იმავე მნიშვნელობით, რაც სამართალსა“ ჰქონდა, ძველ ქართულ მწერლობაში სიტყვა „სჯული“ ანუ „შჯული“-ც იხმარებოდა.... ეს სიტყვა ზმნა „სჯა“-საგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილების მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ძველ ქართულ მწერლობაში „სჯულს“, ან „შჯულს“ მაინც უფრო სარწმუნოებრივი, საეკლესიო სამართლის მნიშვნელობის ელფერი ედვა და ამით იგი ტერმინისაგან „სამართალი“ განსხვავდებოდა¹. რაც შეეხება „სჯულისკანონის“ მეორე ნაწილს, „კანონი“, - ეს იგივეა, რაც ბერძნული „ნომოკანონის“ ასევე მეორე შემადგენელი ნაწილი. „კანონს“ ძველ ქართულ მწერლობაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ერთ-ერთი, მისი ძირითადი მნიშვნელობა მაინც კანონების შემცველი კრებული, კანონების კოდექსია.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ „სჯულისკანონის“ ორივე შემადგენელი კომპონენტის დასახელებულ მნიშვნელობებს, მაშინ ეს სახელწოდება თანამედროვე გაგებით საეკლესიო სამართლის კანონთა კრებულს ან საეკლესიო სამართლის კანონების კოდექსს ნიშნავს².

სტატიები, რომლებითაც შედგენილია „მცირე სჯულისკანონი“, სხვადასხვა პერიოდისაა და სხვადასხვა კანონიკური კრებულიდანაა შერჩეული ქართული ეკლესიის პრაქტიკულ საჭიროებათა შესაბამისად. კრებული ოთხი ნაწილისაგან შედგება:

1. „წესი და განგებად და რწულისკანონი მეექუსისა კრებისაა“, წარმოადგენს ტრულის 691 წ-ის კრების კანონების სახეცვლილ კრებულს.

2. „კანონნი შეცოდებულთანი“. მის ავტორად წმიდა ეფთვიმეს თარგმანში კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოანე მმარხველი (582-595) არის დასახელებული. შესავალში, რომელიც ბერძნულ-სლავურს არ გააჩნია, ვკითხულობთ: „უწყებულ იყავნ, ვითარმედ ესე ნეტარი იოვანე მმარხველი უკუანადასკნელ იყო უფროდს ყოველთა მათ, რომელთა რწულისკანონისა წესნი აღწერნეს და მეექუსისაცა კრებისა შემდგომად იყო მრავლითა ჟამითა“³. ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იოანე მმარხველი მეექვსე კრების შემდგომდროინდელი პერიოდის მოღვაწეა. მაშ თუ ეს წინასიტყვაობა ეფთვიმეს ეკუთვნის, საიდან ასეთი შეუსაბამობა? ძეგლის კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ავტორი „შეცოდებულთა კანონებისა“ არის იოანე მონაზონი, რომელსაც კონსტანტინეპოლის პატრიარქის, იოანე მმარხველის მიერ შედგენილი კანონიკური შრომების საფუძველზე შეუდგენია „სჯულისკანონი“ (ნომოკანონი) ანუ „კანონარი“, „რასაც მყისვე უდიდესი გავრცელება მოუპოვებია და მოძღვართა სახელმძღვანელოდ დამკვიდრებულა მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში. მოგვიანებით, კერძოდ, XI ს-ში, ზემორე კანონიკური წყაროების მიხედვით, ამ პერიოდის სახელგანთქმულ მოღვაწეს, იოანეს, ასევე მმარხველად წოდებულს, შეუდგენია ვრცელი „კანონარი“. შესაბამისად, ის ძეგლი, რომელიც იოანე მმარხველის „კანონიკონად“ არის

.....
1 ჯავახიშვილი 1982: 29.
2 დიდი სჯულისკანონი 1975: 22-23.
3 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A ფონდის ხელნაწერი N 96, გვ. 101r.

ცნობილი და რაც რთული შედგენილობის კრებულია, ნ. ზაოზერსკის დასაბუთებით ეკუთვნის არა VI ს-ის წმინდანს და კონსტანტინეპოლის პატრიარქ იოანეს, მმარხველად წოდებულს, არა VIII-IX სს-ის მოღვაწეს, იოანე მონაზონს, არამედ XI ს-ის მონაზონს, იოანეს, ასევე „მმარხველად“ წოდებულს.

მართლმადიდებლურ ტრადიციაში არც წმ. იოანე მმარხველის (პატრიარქის) ნაშრომებს, არც XI ს-ის იოანე მმარხველის (მონაზონის) კანონიკონს არ მოუპოვებიათ იმგვარი საყოველთაო გავრცელება, რაც შეიძინა VIII-IX სს-ის მოღვაწის, იოანე მონაზონის (ზედწოდებით: „შვილი მორჩილებისა“) სჯულისკანონმა. მეტიც, იმ ძეგლმა, რომელიც იოანე მმარხველის „კანონიკონადაა“ ცნობილი, არ დაიმსახურა მოწონება წმ. ნიკოლოზ კონსტანტინეპოლელი პატრიარქისა (იხ. „ათენის სინტაგმა“, ტ. IV, გვ. 425), მაშინ, როცა ხსენებული იოანე მონაზონის (ზედწოდებით: „შვილი მორჩილებისა“) „სჯულისკანონი“ (უკეთ: „მცირე სჯულისკანონი“) მოძღვართა სახელმძღვანელოდ დამკვიდრდა მართლმადიდებლურ სამყაროში¹.

ეფთვიმემ იცის, რომ მონასტერში მოღვაწე მამები ირქმევდნენ რომელიმე წმინდანის სახელს და ცდილობდნენ მათი ღვაწლის მსგავსი საქმეების აღსრულებას. ამას ცხადყოფს მეორე იოანე მმარხველის მოღვაწეობა, რომელმაც, პირველის მსგავსად, იღვაწა კანონშემოქმედებითად; მეორე, ეგნატე „ღმერთშემოსილი“, XI-XII სს-ის მოღვაწეა, რომელიც მოსე ხუცესს, ხანცთელს, ავალებს ხელნაწერთა გადაწერას და მომგებლად (დამკვეთად) წარმოჩნდება ჩვენ წინაშე. ასეთი უამრავი მოღვაწე შეგვიძლია დავასახელოთ ეკლესიის ისტორიიდან.

ამიტომაც აღნიშნავს ეფთვიმე: „უკუანამსკნელ იყო უფრომს ყოველთა მათ, რომელთა რჩულისკანონისა წესნი აღწერნეს და მეექუსისაცა კრებისა შემდგომად იყო მრავლითა ჟამითა“.

3. ეფთვიმე მთაწმიდელის კრებულის მესამე ნაწილია „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი, ვითარცა წმიდამან მამამან ჩუენმან ბასილი განაწესა“. ეს კანონები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბასილი დიდის კანონებად იწოდება, მაგრამ საქმის ვითარება სხვაგვარადაა. ტექსტის განხილვა გვიჩვენებს, რომ ამ კანონების ავტორი ვერ იქნება ბასილი დიდი, რადგან ამ კანონების დამწერი საჭიროების მიხედვით იმოწმებს ბასილი დიდს.

ჰანს-გეორგ ბეკი ამ კანონებს განიხილავს, როგორც ფსევდო იოანე მმარხველის კანონების მესამე შემადგენელ ნაწილს და ავტორად უცნობ კომპილატორებს მიიჩნევს, რომელთაც ეს კანონები ბასილი დიდის კანონების მიხედვით უნდა შეედგინათ².

პირდაპირი ცნობა კანონიკონის შედგენის დროის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ტექსტიდან ირკვევა, რომ ამ სტატის ავტორი იცნობს შეცოდებულთა კანონებს. ე. გიუნაშვილი მიიჩნევს, რომ ეს კანონები VIII-IX სს-ს დიდად არ შორდება, მითუმეტეს, ისინი X ს-ში უკვე საკმაოდ ყოფილა გავრცელებული

.....

1 მცირე სჯულისკანონი 2003:140.

2 Hans-Georg Beck, Kirche und Theologische in Literatur Byzantinischen Reich, München, 1959, s. 424.

სადღისმსახურო პრაქტიკაში.

4. კრებულის მეოთხე, ბოლო ნაწილს წარმოადგენს „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისად, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლეს შეკრებულთა, წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, რომელ-ესე წარიკითხვის სოფიაწმიდას, პირველსა კვირაკესა წმიდათა მარხვათასა“.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ძეგლი იწოდებოდა VII მსოფლიო კრების კანონებად. მათი გაიგივება მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ VII მსოფლიო კრებამ დაგმო ხატმებრძოლობა და აქაც ხატმებრძოლობის დაგმობასთან გვაქვს საქმე. სინამდვილეში კონსტანტინოპოლის 843 წლის ადგილობრივ კრებას მიუღია ძეგლისწერა სარწმუნოებისა. ბერძნული დედანი არ იუწყება, თუ ვის, სად და როდის მოუწვევია ეს კრება. ეფთვიმეს თარგმანში აღნიშნულია ამის შესახებ: „ამისთვისცა შემოვკერბით მადლისა მიცემად ღმრთისა, ყოველთაგან ქალაქთა და სოფელთა, მადლითა ღმრთისადთა და ბრძანებითა ღმრთისმსახურთა მეფეთადათა - მიქაელ მართლმადიდებლისა მეფისა და თეოდორადს, დედისა მისისა, მღვდელთმოდურნი ესე, მოშურნენი მართლისა სარწმუნოებისათჳს, რომელნი შემოვკერბით სამეუფოსა ამას ქალაქსა, ტაძარსა იოვანე მახარებლისა და ღმრთისმეტყუელისა, მადლობისა და დიდებისა მიცემად უფლისა სულიერისა ამის ნაყოფიერებისათჳს“ (A-96, 152v)¹.

კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ ეს ძეგლი ეფთვიმეს „უთარგმნია ბერძნულიდან მეათე საუკუნის გასულს“². მანვე მიაკვლია ამ ძეგლის სხვა, უფრო გვიანდელ არსენ იყალთოელის თარგმანსაც, რომელიც შეტანილია შიომღვიმის ტიპიკონში, როგორც დიდმარხვის პირველი კვირაკის საკითხავი.

ბერძნულ და, აგრეთვე, მის გვიანდელ ქართულ თარგმანში არაა დაცული ვრცელი ნაწილი, რომელიც ხატმებრძოლობის ისტორიას ეხება. ეს ნაწილი ეფთვიმეს შემოუტანია თავის რედაქციაში, რაკი ამ დროს ძალაშია სომეხ-ქართველთა საეკლესიო დავა და მწვავედ იდგა ხატმებრძოლობის საკითხი.

არც ბერძნულში, არც სლავურში და არც სხვა რომელიმე ენაზე ეს ძეგლისწერა კანონიკური კრებულების ნაწილს არ წარმოადგენს; მხოლოდ ეფთვიმესთანაა იგი კრებულის შემადგენელი ნაწილი.

ეფთვიმეს მუდამ ახსოვდა, თუ როგორი თარგმანი სჭირდებოდა მის მკითხველს. მას უნდა ეთარგმნა ისე, ვით „მას ჟამსა შეჰგუანდა“. თარგმნისადმი შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ განაპირობა მისი მუშაობის მრავალფეროვნება. ეფთვიმეს შრომები ხან დედნის ზუსტი ასახვით გამოირჩევა, ხან თამამი პერიფრაზებით; თხრობა ხან შევსებული და დაზუსტებულია სხვა წყაროთა გამოყენებით, ხან - პირიქით, შეკვეცილი ან გამოკრებილი; ქართული თარგმანი ხან ერთ რომელიმე ბერძნულ მოდელს ასახავს, ხანაც რამდენიმე წყაროდანაა შემოკრებილი.

ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანების ხასიათის, მთარგმნელობითი მეთოდების მეცნიერულმა შესწავლამ მისი საკვირველი მრავალფეროვნება გამოავლინა. ეფთვიმეს ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულ

1 მცირე სჯულისკანონი 1972: 11.

2 კეკელიძე 1960: 485.

შესწავლას გიორგი მთაწმიდელმა და ეფრემ მცირემ ჩაუყარეს საფუძველი. გიორგი მთაწმიდელის შეფასებით, - „ეგვიტარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა, და ვჰგონებ, თუ არცადა გამოჩინებად არს“¹. ეფრემი საგანგებოდ შეეხო ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებას; ახსნა ეს თავისებურება ქართველი მკითხველის იმდროინდელი დონითა და საჭიროებებით; ეფთვიმეს მწერლური სტილის განსაკუთრებულობა მის ლიტერატურულ ამოცანებს დაუკავშირა.

ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებად ეფრემი „კლება-მატებას“ მიიჩნევს: მისი თქმით, ეფთვიმეს „მაღლითა სულისა წმიდისადათა კელ-ეწიფებოდა შემატებადცა და კლებადცა“ (A-24,3r). ეფრემი ეფთვიმეს წარმოგვიდგენს როგორც შემოქმედ მთარგმნელს, რომელიც ყოველთვის ნაბიჯ-ნაბიჯ როდი მიჰყვება სათარგმნ ტექსტს. ზოგიერთ ადგილს, საჭიროების მიხედვით, კვეცს; სხვა ადგილებს, პირიქით, - ავრცობს დამატებითი მასალის დართვით. ე. ი. თარგმნის პროცესში ეფთვიმე ქმნის სათარგმნ თხზულებათა ახალ რედაქციებს, ქართველი მკითხველის სულიერი საჭიროების გათვალისწინებით შედგენილს².

ქართველი მკითხველი ეფთვიმეს თარგმანებამდერთულ საღვთისმეტყველო სწავლათათვის მოუშადადებელი („ლიტონი“) იყო. ამიტომ ეფთვიმეს ლიტერატურული საქმიანობა მიზნად ისახავდა სათარგმნ თხზულებათა ისეთ შერჩევას და იმ სახით თარგმნას, რაც საღვთისმეტყველო ცოდნის მხრივ მოუშადადებელი ქართველი ერის სულიერი აღზრდისათვის იქნებოდა შესაფერისი. ასეთმა მიდგომამ, ეფრემის სიტყვით, ისეთი შედეგი გამოიღო, რომ „მის მიერ აღზრდილი ერი მისთავე მაღლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა“ (Jer-43,2v)³.

ეფრემის ფილოლოგიური დაკვირვებები ეფთვიმესეული „კლება-მატების“ შესახებ, რასაკვირველია, სავსებით უტყუარი აღმოჩნდა, მაგრამ ისიც გაირკვა, რომ თურმე ეფთვიმე მხოლოდ ამ მეთოდს როდი მიმართავდა, არამედ ძალზე ხშირად დედანთან ზედმიწევნით სიახლოვესა და სიზუსტესაც იცავდა. რა მეთოდითაც უნდა ესარგებლა, ეფთვიმე არასოდეს ივიწყებდა თავის მთავარ ამოცანას - ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის ხარვეზების შევსებას, თანადროული ქართველი მკითხველის საღვთისმეტყველო მომზადების დონის შესატყვისი თარგმანების შექმნას. ეს ამოცანა მთარგმნელს ავალებდა, ბერძნული ლიტერატურის საგანძურიდან გამოეკრიბა ყველაზე ძვირფასი მარგალიტები; ძნელად გასაგები ტექსტებისათვის დაერთო აუცილებელი განმარტებანი, სათარგმნ თხზულებათა შინაარსი გადმოეცა სადად და

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჟიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, ი. აბულაძის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1967, გვ. 178.
 2 ჰაველს ეპისტოლეთა განმარტება, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, „ნათლისმცემელი“, თბ., 2003, გვ. 382.
 3 თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988, გვ. 148.

მისაწვდომად, ზუსტად და ადეკვატურად, ნათელი და დახვეწილი სტილით, რაც ეფთვიმემ, მართლაც, საკვირველი ოსტატობითა და მხატვრული ძალით განახორციელა.

ეფთვიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნათარგმნ თხზულებებში ანტიერეტიკული და ანტიწარმართული ჩანართების გაკეთებას; განმარტებებით ავრცობს არა მარტო საკუთრივ ტექსტს, არამედ სათაურსაც კი; აღნიშნავს თხზულების დაწერის დროს, ადგილს და მიზეზს; იძლევა ავტორის შესახებ სხვადასხვა ცნობას.

მთარგმნელობით-კომპილაციური ხერხების მრავალფეროვნების მიუხედავად, ეფთვიმეს ნაშრომებს ბევრი რამ აერთიანებს: თავისებური სტილი; ლაღი, ნათელი, ხატოვანი ენა; ლოგიკური გამართულობა, სისადავე, მისაწვდომობა; აზრის მკაფიოდ და შთამბეჭდავად ჩამოყალიბება; ძირითადის წინ წამოწევა და უმნიშვნელოს იგნორირება; თხრობის კომპოზიციური და იდეური მთლიანობა.

რაც უნდა სანდო იყოს ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები, საბოლოო სიტყვა მაინც ნაშრომის ტექსტოლოგიურმა შესწავლამ უნდა თქვას, რადგან, თუ ზუსტია აღნიშნულ თარგმანთა ეფთვიმესადმი მიკუთვნება, მათში უთუოდ გამოძღვანდება ეფთვიმეს შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი. მართალია, ზემოთ უკვე დავაფიქსირეთ ეფთვიმეს სტილისათვის ნიშანდობლივი თავისებურებები, მაგრამ მათი შესწავლა უნდა გაგრძელდეს იმ მონაცემთა გათვალისწინებით, რაც ეფთვიმეს მთარგმნელობითი მუშაობის შესახებაა ცნობილი თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში. ამიტომ საჭიროა, გავარკვიოთ, რამდენადაა გამოვლენილი საკვლევ ძეგლში ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი პრინციპები, მისი სტილისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები; რა მიმართებაა ამ თარგმანსა და მისივე დედნიდან მომდინარე არსენისეულ თარგმანს შორის; რამდენად წარმოაჩენს ამ ორ თარგმანს შორის სხვაობა ეფთვიმეს მთარგმნელობითი მუშაობის თავისებურებებს.

მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებათა ეფთვიმესეული რედაქცია და მისი მიმართება „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტთან

ეფთვიმე მთაწმიდელის კანონიკური კრებულის, „მცირე სჯულისკანონის“ პირველ ნაწილს წარმოადგენს ტრულის 691 წლის კრების კანონები, მაგრამ კრებულში ეს კანონები ისეა წარმოდგენილი, თითქოს ისინი VI მსოფლიო კრების კანონები იყოს: „წესი და განგება დარჩულის კანონი მეექვსესა კრებისად, ას სამეოცდარვათა წმიდათა მამათად, რომელნი შეკრბეს კონსტანტინეპოლეს, ახალსა ჰრომსა, კონსტანტინე ღმრთისმსახურისა მეფისა ზე, მისწულისა მისა ჰერაკლე მეფისა“. ამ სათაურიდან ისე გამოდის, თითქოს კონსტანტინე IV-ის [პოგონატის] (668-685) მიერ 668-681 წლებში მოწვეული კრება ადგენს კანონებს. ასეთი აზრი გატარებულია, აგრეთვე, ეფთვიმეს წინასიტყვაობაში¹.

ე. გიუნაშვილის ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს წინასიტყვაობის შესავალი ნაწილი, სადაც წერია: „ამან წმიდამან, მეექვსემან კრებამან ას სამეოცდარვათა მამათამან, რომელნი შეკრბეს კონსტანტინეპოლეს, სამეუფოსა პალატასა და დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება და დაწერეს ძეგლი ღმრთისმეტყუელებისად და კანონნი ეკლესიისანი სამოდღურებლად მორწმუნისა ერისა, პირველად აკსენეს სარწმუნოება განწესებული ნიკიისა კრებისად ტმ(318) მამათად და კონსტანტინეპოლისად რნ(150) მამათად, ეფესოდასად ს(200) მამათად და ქალკიდონისა ქლ(630) მამათად და კონსტანტინეპოლისავე რო(170) მამათად და ყოველივე ხუთთა მათ კრებათა მიერ ქადაგებული შეიწყნარეს და დაამტკიცეს და რომელნი მათ განეკუთნეს და შეეჩუენნეს, შეაჩუენეს და რომელნი მათ შეეწყნარნეს და ედიდნეს, ადიდეს და შეიწყნარნეს“².

ნუთუ ეფთვიმემ არ იცოდა, რომ VI მსოფლიო კრებას საეკლესიო კანონები არ შეუმუშავებია და რომ კანონების მიღების მიზნით უკვე იუსტინიანე II-მ მოიწვია სპეციალური კრება 691 წელს? მაშ რატომდა ჰქვია ეფთვიმეს კრებულში შეტანილ კანონებს კონსტანტინე კეისრის მიერ 680-681 წლებში მოწვეული VI მსოფლიო კრების კანონები?

132

ე. გიუნაშვილი მიიჩნევს, რომ ეფთვიმე ათონელს ხელთ ჰქონდა ბერძნული ხელნაწერები, რომლებიც ასე არის დასათაურებული: kanone~ th~ ekth~ sunov dou, მეექვსე კრება კი ყველგან იწოდება oikoumenikhად. მაშასადამე, ეფთვიმეს დროს უკვე არსებობდა ტენდენცია, რომელიც ტრულის 691 წლის კრებას მსოფლიო კრებას უწოდებს და მას აიგივებს 680-681 წლების კრებასთან³.

V და VI მსოფლიო კრებებს საეკლესიო კანონები არ მიუღია. აღნიშნული კრებების სხდომებზე მხოლოდ და მხოლოდ დოგმატური საკითხები განიხილებოდა. არც ერთი განწესება საეკლესიო დისციპლინასთან დაკა-

1 იხ.: მცირე სჯულისკანონი 1972: 5.

2 იქვე, გვ. 15.

3 იქვე, გვ. 5.

ვმირებით მათ არ გამოუციათ. სულ მალე წარმოჩნდა გადაუდებელი აუცილებლობა იმისა, რომ მსოფლიო კრების ავტორიტეტული სახელით გამოსულიყო ისეთი კანონები, რომლებიც მწვალებლური შფოთის შედეგად ეკლესიაში დასუსტებულ დისციპლინას განამტკიცებდა; საჭირო გახდა წინარე კრებების ძალმოსილების აღდგენა და ახალი კანონებით მკაცრი წესრიგის დამყარება. ამიტომ იყო, რომ 691 წელს კეისარმა იუსტინიანე II-მ მოიწვია კრება, საერთო სახელწოდებით - ტრულის, რათა შეეცსო V და VI მსოფლიო კრებათა ხარვეზი საეკლესიო სამართლის საკითხში. ამ კრებას „მეხუთე-მეექვსე“ ეწოდა, - ზუსტი თარგმანი ბერძნული კომპოზიტისა „პენთექტი“. დიდი სჯულისკანონის მიხედვით, ამ კრების სრული დასახელება არის „კონსტანტინოპოლის გუმბადასა (ახალი ქართულით „გუმბათი“, ბერძნულად „ტრულოს“) შინა სამეფოძსა პალატისასა შეკრებულთა წმიდა მამათა...კრება“. მსოფლიო კრების ავტორიტეტით მოსილი ეს საეკლესიო კრებაც, ისევე, როგორც მისი წინამორბედი კრებები, V (553 წ.) და VI (681 წ.), შედგა კონსტანტინეპოლში, გუმბათოვან სამეფო დარბაზში. აქედან მომდინარეობს ბერძნული ტრადიციით მე-5-6 კრების დასახელების ვარიანტი - Penqekh en troolw „ტრულოს“. კრების სხდომები მიმდინარეობდა 691 წლის 1 სექტემბრიდან 692 წლის 31 აგვისტომდე. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 227 მამა. რადგანაც ეს კრება 681 წლის კრების გაგრძელებას წარმოადგენდა და სამეფო დარბაზების იმავე განყოფილებაში გაიმართა, ამიტომ მის მიერ მიღებული კანონები ტრულის მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებად იწოდება. კრებამ 102 კანონი მიიღო. ეს კანონები შეტანილია აღმოსავლეთის ყველა კანონიკურ კრებულში. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის ეკლესია ამჟამად ამ კანონებს არ ანიჭებს თავისთვის სავალდებულო კანონებრივ ძალას, წინათ ასე არ იყო. პაპი ინოკენტი III-ს მოჰყავს 82 კანონი და მას მეექვსე მსოფლიო კრების კანონად მოიხსენიებს. გრაციანემ ამ კრების ბევრი კანონი აღწერა თავის დეკრეტში. პაპი ადრიანე I თავის ეპისტოლეში პატრიარქ ტარასის მიმართ აცხადებს, რომ იწყნარებს ამ კანონებს; VII საეკლესიო კრებაზე, როცა ტრულის 82-ე კანონთან დაკავშირებით ეს კანონები VI მსოფლიო კრების კანონებად მოიხსენიეს, რომაელ ლეგატებს საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამთ.

ამდენად, ცხადი ხდება, რომ ეფთვიმეს დროს ტრულის კრების კანონებს მეექვსე მსოფლიო კრების კანონებს უწოდებდნენ.

„VI მსოფლიო კრების ძეგლისწერის ბერძნულ ტექსტებთან შედარებით ქართული ტექსტი სიდიდით სულ ცოტა ერთიორად სჭარბობს. აგებულობითაც ქართული ხშირად არსებითად განსხვავდება ბერძნულისაგან. უკვე პირველი პარაგრაფიდან მოყოლებული იწყება განსხვავება და ბერძნული დედნის პირველი პარაგრაფი უდრის ქართულის მხოლოდ მეორე თავს. ქართული ტექსტის პირველი თავი ხუთი უწინარესი მსოფლიო კრების კანონებისა და წინანდელ კრებათა მიერ მიღებული წმიდა მამათა კანონიანი ეპისტოლეების განახლება-დამტკიცებას წარმოადგენს მეექვსე მსოფლიო კრებისაგან“¹. ასეთი

.....
1 ჯავახიშვილი 1982: 47.

აზრი გამოთქვა ივ. ჯავახიშვილმა.

კრებულის ის ადგილი, რომელსაც ე. გიუნაშვილი წინასიტყვაობას უწოდებს, ხოლო ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ის ბერძნულ ტექსტს საერთოდ არ გააჩნია, გახლავთ მეექვსე, 680-681 წლების კრების აღწერა, რომელშიც ეფთვიმეს ტრულის კრების I კანონის ის ნაწილები შეუტანია, სადაც საუბარია უწინარეს მსოფლიო კრებებზე, მონოთელიტ ერეტიკოსებზე და კრების დოგმატურ დადგენილებაზე. კრებაზე „მეტყველნი ესევითარისა მის წვალებისანი“: თეოფანე ფარანელი, ონორე ჰრომი, კუროზ ალექსანდრიელი, სერგიოს, პიროზ, პავლე და პეტრე კონსტანტინეპოლელნი, მაკარი ანტიოქიელი (პატრიარქი) და სტეფანე, მოწაფე მისი, შეაჩვენეს. მონოთელიტურ ცრუ სწავლებას იცავდა, აგრეთვე, ბერი პოლიქრონიოსი, რომელმაც განაცხადა, რომ მკვდარს აღადგენდა, რადგან ჭეშმარიტი რწმენა ჰქონდა. როდესაც „ვერარაჲ აღადგინა, უმეტესად განაქიქა გმობაჲ თვისი“ და „უგუნური იგი და ცოფი ბერი შეაჩუენეს“.

კრებამ იერუსალიმის პატრიარქის, სოფრონის და რომის პაპის, ადათონის ეპისტოლეთა საფუძველზე მიიღო დოგმატი უფალ იესო ქრისტეში ორი ნებისა და ორი ქმედების შესახებ. აღწერილი „მართლისა სარწმუნოებისა ძეგლი“ და „საკელესიონი კანონნი“ კონსტანტინე მეფის წინაშე „წარიკითხეს“. კეისარმა „თვსითა ხელითა, წითელითა წამლითა, სიმტკიცე საღმრთოჲსა მის ძეგლისაჲ დაწერა“.

კრებაზე წმინდანებად შერაცხეს მარტინე რომის პაპი და მაქსიმე აღმსარებელი.

მეექვსე კრების განხილვას მოსდევს თავი „ა“, სადაც უფრო ვრცელადაა თავიდან აღწერილი მეექვსე კრება. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საქმე გვაქვს ერთი ტექსტის ორ რედაქციასთან, ვრცელთან და მოკლესთან. რა განაპირობებს ჩვენს ასეთ მოსაზრებას? ტექსტების ურთიერთშედარებით ირკვევა მათი ურთიერთსიახლოვე. თუ ტექსტებს პირობითად გავყოფთ ნაწილებად და ვუდარებთ ერთმანეთს, ამაში ნათლად დავრწმუნდებით.¹

მოკლე რედაქცია

ვრცელი რედაქცია

134

ამან წმიდამან მეექუსემან კრებამან ას სამეოცდარვათა მამათამან, რომელნი შეკრბეს კოსტანტინეპოლეს, სამეუფოსა პალატასა, და დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ და დაწერეს ძეგლი ღმრთისმეტყუელებისაჲ და კანონნი ეკლესიისანი სამოძღურებლად მო-რწმუნისა ერისა.

დიდმან ამან და ყოველთა ქალაქთა და სოფელთაგან ნებითა და მადლითა ღმრთისაჲთა და ბრძანებითა მო-რწმუნისა და ღმრთისმსახურისა მე-ფისა კოსტანტინესითა შემოკრებულმან ღმრთივდაცულსა სამეუფოსა ქალაქსა მეექუსემან კრებამან ტამარსა დიდისა პალატისასა ესრეთ აღწერა და განაწესა და ამას იტყვს: ღმრთისა და მამისა

.....
1 მცირე სჯულისკანონი 1972:16.

მხოლოდმობილი ძმ და სიტყუად, რომელი-იგი ყოვლითურთ მსგავს ჩუენდა იქმნა, თვნიერ ცოდვისა, ქრისტე, ჭემმარტი ღმერთი ჩუენი, წმიდისა სახარებისა ქადაგებითა ესრეთ ბრძანებს: „მე ვარ ნათელი სოფლისად, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისად.“ - და კუალად თქუა: „მშვდობასა მოგცემ თქუენ, მშვდობასა ჩემსა დაგიტევებ თქუენ“.

ამის ღმრთივქადაგებულისა, ჭემმარტიისა და მიუზრდილებელისა ნათელისა ბრწყინვალებითა განათლდა და შეუდგა მას ღმრთისმსახური ესე მეფე ჩუენი და მშვდობად იგი მის მიერ აღთქმული წინამძღვრად მოიღო. და იქმნა მართლმადიდებლობისა შემწე და წვალებისა წინააღმდგომ. ამისთვისცა წმიდად ესე და მსოფლიოდ კრებად ღირსთა ამათ მღდელთმოდღუართა მოსწრაფედ შემოკრბა და ყოველივე სავსებად ეკლესიისად შეაერთა. ხოლო წმიდამან ამან და პატოსანმან კრებამან მტრისა მიერ დათესილი ღუარძლი ყოველივე ეკლესიისაგან აღმოჰფხურა და ყოველი წვალებისა ურჩულოებად განიოტა და სწავლასა წმიდათა მოციქულთასა და ღმრთისა მიერ გამორჩეულთა მამათასა შეუდგა და წმიდათა მათ და ყოვლისა სოფლისა განმანათლებელთა ხუთთა კრებათა თანა ყოვლითურთ ერთნება და ერთგანზრახვა იქმნა.

პირველად ავსენეს სარწმუნოებად განწესებული ნიკიისა კრებისად ტმც(318) მამათად და კოსტანტინეპოლისად რნ(150) მამათად, ეფესოდად ს(200) მამათად და ქალკიდონისა ქლ(630) მამათად და კოსტანტინეპოლისავე რო(170) მამათად და ყოველივე ხუთთა მათ კრებათა მიერ ქადაგებული შეიწყნარეს და დაამტკიცეს და რომელნი მათ შეეწყნარეს და ედიდნეს,

პირველად ტმც(318) ნიკიას შეკრებულთა წმიდათა მამათა, ურჩულოდას არიოზის განმკუეთელთა, რომელთაცა ერთარსებად, ერთღმრთეებად და ერთბუნებად სამგუამოვნისა მის წმიდისა სამეხისა ჳმამაღლად ქადაგეს და მამასა და ძისა და სულისა წმიდისა ერთითა და განუყოფელითა სარწმუნოებითა თაყუანისცემად ასწავეს

ადიდნეს და შეიწყნარეს. და სხუათაცა კრებათა, რომელნი ადგილ-ადგილ ქმნილ იყვნეს საღმრთოდ და მართლ-მადიდებლობით და კანონნი განეწესნეს, მითუალნეს, ვითარცა ქუემო თვთ ასხენებენ.

ერსა მორწმუნეთასა და თანაწამებითა და თანამოღუაწებითა ღმრთისმსახურისა დიდისა კონსტანტინე მეფისადთ ყოველნი – იგი მართლისა სარწმუნოებისა წინა-აღმდგომნი მწვალებელნი განიოტნეს.

მეორედ კოსტანტინეპოლეს შეკრებულთა რნ(150) ღმერთშემოსილთა მამათაჲ, თევდოსი დიდისა მეფისა ზე, მოტებულთა ბოროტისა მის მაკედონიოს, სულისა წმიდისა მზრძოლისა და აპოლინარისა უკეთურისა, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „არა შეიმოსა უფალმან გონებაჲ კაცობრივი“ და ამით გამობდა ცხოვრებისა ჩუენისა საიდუმლოსა, არა სრულეებით-ყოფად ზრახვიდა, რომელიცა მაკედონიოსისვე თანა განიოტეს წმიდათა მათ მამათა.

მესამედ ეფესოს შეკრებულთა ს(200) მამათა, თევდოსი მეფისა ზე, ძისა არკატისა, რომელთა არცხვინეს ურჩულოსა ნესტორის და ერთ ქრისტედ განჯორციელებული უფალი ჩუენი ქადაგეს და წმიდაჲ იგი ქალწული მარიაჲ, უხრწნელი იგი და უმეტესად კურთხეული, ჭემმარიტად ღმრთისმშობლად აღიარეს და ქადაგეს და ბილწი იგი ცუნდრუკებაჲ ბოროტისა მის ნესტორისა იოტეს და სრულიად აჯოცეს, რომელი იგი კაცად განყოფილად და ღმერთად განყოფილად ერთსა მას ქრისტესა იტყოდა და წმიდასა ღმრთისმშობელსა უვარ-ჰყოფდა, ამისათვის-ცა სრულიად აჯოცეს იგი წმიდათა მათ მამათა.

მეოთხედ ქალკიდონს შეკრებულთა, მარკიანე მეფისა ზე, ქლ(630) წმიდათა მამათა, რომელთა ერთი იგი ქრისტე მე ღმრთისაჲ, ჩუენთვს განკაცებული ორითა ბუნებითა, წმამაღლად ქადაგეს, - სრული ღმერთი და სრული კაცი, და შეაჩუენეს: ევტუქე და დიოსკოროს და სებეროს, ბოროტნი იგი მწვალებელნი, და მათ თანა ნესტორიცა, ესე, - ვითარცა განმყოფელი გუამსა ქრისტესსა, და იგინი, - ვითარცა

შემრეველი ბუნებათანი, რომელი-
იგი, – ურთიერთას განყოფილითა
და წინააღმდეგობითა გმობითა ერ-
თად მთხრებლად წარწყმედისა და
უღმერთობისა შთაცვავს.

მეხუთედ ამას სამეფოსა ქალაქსა,
იუსტინიანე მეფისა ზე, შემოკრებულთა
რო(170) წმიდათა მამათა, რომელთა
განკუთხეს თეოდორე მომფსუეტელი,
მოდლური ნესტორისი, და ორიგენე,
მრავალთა წვალებათა მეტყუელი, და
დიდიმოს და ევაგრე, და იბ იგი თავნი
თევდორიტესნი, წინააღმდეგომნი ღმერთ-
შემოსილისა კვრილესნი და ებისტოლე
იგი ივანსი, მიწერილი მარენ სპარსისა
მიმართ და ყოველივე წვალეზი შეაჩვენეს
და სარწმუნოებად პირველთა მათ
წმიდათა კრებათა მიერ განწესებული
დაამტკიცეს.

აწ უკუე ჩუნენ ყოველივე წმიდათა
მათ კრებათა მიერ ქადაგებულსა
სარწმუნოებასა ვქადაგებთ და დავა-
მტკიცებთ და ესრეთ ვლადადებთ შე-
მოკრებულნი წმიდასა ამას მეექუსესა
კრებასა: „გურწამს ერთი ღმერთი, მამად
ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა
და ქუეყანისად, ხილულთა ყოველთა და
არახილულთად და ერთი უფალი იესუ
ქრისტე, ძე ღმრთისად, მხოლოდშობილი
მამისაგან, შობილი უწინარეს ყოველთა
საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი
ჭემმარიტი ღმრთისაგან ჭემმარიტისა,
შობილი და არა ქმნული, ერთარსი
მამისად, რომლისა მიერ ყოველივე
შეიქმნა, რომელი ჩუნენთვს, კაცთათვს,
და ჩუნენისა ცხორებისათვს გარდამოჭდა
ზეცით და ჯორცნი შეისხნა სულისაგან
წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა
და განკაცნა და ჯუარს ეცუა ჩუნენთვს
პონტოელისა პილატეს ზე, ივნო, დაეფლა
და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად
წერილისა, ამაღლდა ზეცას და დაჯდა
მარჯუენით მამისა და კუალად მოვალს

განშჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისადა არა არს დასასრული, და სულიწმიდაა უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იციემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყუელთა მიერ, და ერთი წმიდაა და სამოციქულოა ეკლესიაა. აღვიარებთ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელედ ცოდვათა, მოველით აღდგომასა მკუდრეთით და ცხორებასა მერმისა საუკუნოხსა, ამენ“.

და მერმე ახლად შემოსული იგი წვალებად, ერთისა ნებისა და ერთისა საქმის მეტყუელთაა, სრულიად განაგდეს და მეტყუელნი ესევეთარისა მის წვალებისანი: თეოფანე ფარანელი, ონორე ჰრომი, კვროზ ალექსანდრიელი, სერგიოს, პიროზ, პავლე და პეტრე კოსტანტინეპოლელნი, მაკარი ანტიოქიელი და სტეფანე, მოწაფე მისი, შეაჩუენეს, რამეთუ ამათ ყოველთა იკადრეს თქუმად ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესათს, ვითარმედ: „ერთი ნებაა და ერთი ხოლო საქმე აქუნდა შემდგომად განკაცებისა“, რომელ-ესე უარის-ყოფაა არს ორთა ბუნებათაა. და პოლიხრონიოსცა, უგუნური იგი და ცოფი ბერი, შეაჩუენეს, რომელმან იქადა ესევეთარისა მას წვალებასა შინა აღდგინებად მკუდრისაა, ხოლო წმიდათა მათ მამათა მისცეს ფლოზად აღდგინებად და, ვითარ-იგი ვერარაა აღადგინა, უმეტესად განაქიქა გმობად თვისი.

ესე ზემოწერილნი მწვალებელნი წმიდათა მათ მამათა შეაჩუენეს.

კმა იყო მეცნიერებად მართლისა სარწმუნოვებისა წმიდაა ესე ღმერთ-შემოსილთა მათ მამათაგან დაწესებული მართლადსაარებად, არამედ ვინაითგან არა დასცხრა პირველთაგან, მომპოვნებელმან მან უკეთურებისაგან ბრძოლად ნათესავსა კაცთასა, და ვითარცა-იგი პირველ თანაშემწედ მოიპოა გუელი და მის მიერ წამალი იგი გესლიანი სიკუდილისაა უწდია ბუნებასა კაცთასა, ეგრეთვე აწპოვნა ჭურნი შემსგავსებულნი ნებისა თვისისანი თეოფანე ვინმე ფარანელი ებისკოპოსი და სერგიოს და პიროს და პავლე და პეტრე, რომელნი იყვნეს მღდეულთმოდღუარ სამეუფოხსა ამის ქალაქისა, ამათ თანა ონორიცა, ჰრომის წინამძღუარი და კვროზ, – ალექსანდრიისაა, მაკარი ანტიოქიელი და სტეფანე, მოწაფე მისი.

ესენი პოვნა ბოროტმან მან მტერმან აღმასრულებლად ნებისა თვისისა და ისწრაფა მათ მიერ აღდგინებად ეკლესიასა შინა საცთური ბოროტი, რამეთუ ამათ პირველთქმულთა კაცთა ბირებითა, დასაბამითგან კაცისმკლველისადათა, იკადრეს თქუმად ერთი ნებაა და ერთი საქმე ორითა მათ ბუნებათაა, ერთისა მის სამებისაგანისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაა და ამით სახითა განაახლა ერსა შორის ქრისტეანეთასა წვალებად იგი აპოლინარისი, სებეროსისი და თემისტისი,

ურჩულოთად მათ, რადთამცა სრულეზად იგი განკაცებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი განაქარვა ესევითარითა მით მზაკუვარებითა და აჩუენა თვნიერ ნებისა და საქმისა ყოფად გონიერად სულიერნი იგი ჯორცნი უფლისანი.

ამისთვს ალადგინა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან მორწმუნე ესე მეფე ახალი დავით და პოვა გულითადი თვისი, ვითარცა წერილ არს: „არა სცა ძილი თუალთა თვისთა, არცა ჰრული - წამთა თვისთა, არცა განსუენებად - ჯორცთა თვისთა, ვიდრემდის ღმრთივშემოკრებული ესე ყო კრებად და წმიდათა ამათ მამათა მიერ პოვა სრული იგი მართლმადიდებლობისა ქადაგებად, რამეთუ ვითარცა იტყვს უფალი, – „სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულნი სახელითა ჩემითა, მუნ ვარ მე მათ შორის ჭეშმარიტად“ (მათე 18,20), უკუე ჩვენ შორის არს სახიერი იგი დამიძღვს ჩუენ გზასა ჭეშმარიტებისასა.

ამან წმიდამან კრებამან სარწმუნოებით და მოწლედ შეიწყნარა ებისტოლე წმიდისა და ნეტარისა აგათონ ჰრომთა პაპისად, მოწერილი ღმრთისმსახურისა მეფისა ჩუენისა კონსტანტინესა, რომელსა შინა წერილ არს სახელდებით განკუეთა და განყრად ყოველთა, რომელთა ქადაგეს ერთი ნებად და ერთი საქმე განკაცებისა განგებულეებასა შინა ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისასა, ეგრეთვე სახედ.

რკდ-ცა (124) ღმერთშემოსილთა ებისტოპოზთა ებისტოლე, რომელნი ღირსსა მას აგათონს თანა შეკრბეს, მოწერილი მორწმუნისა ამის მეფისა მიმართ, სათნოდ და კეთილად შეიწყნარეს, რამეთუ თანა-ეწამებოდეს ესე ებისტოლენი და დაამტკიცებდეს ებისტოლესა მას დიდისა ლეონისსა, ჰრომთა პაპისა, რომელი მიუწერა წმიდასა ფლაბიანეს, კონსტანტინე-პოლელ პატრიარქსა, კრებასა მას ქალკიდონისა, რომელსაცა ძეგლ მართლ-

და ებისტოლე, მოწერილი ადათონ ჰრომთა პაპისად კონსტანტინე მეფისა მომართ, შეიწყნარეს შემსგავსებულად ებისტოლისა მის დიდისა ლეონისა ჰრომთა პაპისად, რომელი მოეწერა კრებასა ქალკიდონისასა, და კრებად იგი რკდ (124) ებისტოპოსთად, რომელნი ჰრომს შეკრიბნა ღირსმან აგათონ, ითვსეს და ყოველი მათ მიერ თქმული და განწესებული დამტკიცეს და ერთ კრებად შეირაცხნეს რძღ (318) კონსტანტინეპოლისანი და რკდ (124) ჰრომისანი. და წმიდად მარტინე, ჰრომისა პაპი, და წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ჯამალლად ადიდეს და საჯსენებლად საუკუნოდ ნეტარებად და ქებად მათი განაწესეს. და აღწერილი იგი მართლისა სარწმუნოებისა ძეგლი და საეკლესიონნი იგი კანონნი წინაშე ღმრთისმსახურისა კონსტანტინე მეფისა წარიკითხეს და თავადმან კონსტანტინე მეფემან თვისითა კელითა, წითელითა წამლითა, სიმტკიცე საღმრთოვსა მის ძეგლისად დაწერა და

ყოველთა მათ მღდელთმოდლუართა სახელები თვისი დაწერეს კაცად-კაცადმან თვისითა ჳელითა.

და ესე არს თქმული იგი და განწესებული წმიდათა მათ და ღმერთ-შემოსილთა მამათად.

მადიდებლობისა უწოდა წმიდამან მან კრებამან; ეგრეთვე დაამტკიცა წმიდამან ამან კრებამან ებისტოლენი იგი წმიდისა და ნეტარისა კვრილესნი, განსაკუთელნი ურჩულომსა ნესტორისანი და რავდენიცა მიუწერა აღმოსავალისა ებისკოპოსთა, ეგრეთვე - ებისტოლენი სოფრონ იერუსალჴმელ პატრიარქისაჲ.

ესე ყოველი შევიწყნარეთ ჩუენ ყოველთა და სწავლასა წმიდათა მათ ხუთთა კრებათასა და წმიდათა მათ ღმერთ-შემოსილთა მამათასა შეუდგეთ. და აღვიარებთ უფალსა ჩუენსა და ჳემმარიტსა ღმერთსა იესუ ქრისტეს, ერთსა მას წმიდისა და ერთარსებისა სამებისაგანსა, სრულსა ღმრთეებითა და სრულსა კაცებითა, ყოვლითურთ მსგავს ჩუენდა, თჳნიერ ცოდვისა, რომელი უწინარეს საუკუნეთა იშვა მამისაგან ღმრთეებითა, ხოლო უკუანადსკნელთა ჳამთა - ჩუენთვის და ჩუენისა ცხოვრებისათჳს განჯორციელდა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, ჳემმარიტისა მის ღმრთისმშობელისა, ბუნებითა კაცობრივითა. ერთი უფალი იესუ ქრისტჴ, მხოლოდშობილი ორითა ბუნებითა შეურევენლად, უცვალებლად, განუყოფელად, განუშორებლად ცნობილი, რამეთუ განყოფილებად იგი ბუნებითად არა შეირია, არცა დაიჳსნა ერთობითა მით გუამისაჲთა, არამედ უფრომსდა მტკიცე იყო თჳსება ორი ბუნებისა, შეკრებული ერთ პირად და ერთ გუამად.

რამეთუ არა ორად პირად განიკუეთა ანუ განეყო ორგუამოვნებად, არამედ იგივე ერთი მხოლოდშობილი სიტყუად ღმრთისაჲ, უფალი იესუ ქრისტჴ ორი ბუნებითა და ორი საქმითა, ვითარცა პირველითგან წინასწარმეტყუელთა ქადაგეს და თავადმან იესუ ქრისტემან გუასწავა და წმიდათა მოციქულთა გუაუწყეს და ღმერთშემოსილთა მა-

მათა გუასწავეს, ვქადაგებთ ჩუენცა ორთა ბუნებათა და ორთა ნებათა და ორთა ბუნებათთა საქმეთა, ხოლო ორთა მათ ბუნებითთა ნებათა არა წინააღმდეგომთა. ნუ იყოფინ, ვითარცა ურჩულონი იგი მწვალებელნი იტყვან, რამეთუ „მეუდგა კაცობრივი იგი ნებად მისი საღმრთოსა ნებასა და არა წინააღმდეგომ იყო, ანუ მზრძოლ, არამედ უფროდსად ჰმორჩილებდა საღმრთოსა მას და ყოვლადმლიერსა ნებასა მისსა“. რამეთუ ჯერ-იყო ნებისა მის ჯორცთადას აგებულებად და დამორჩილებად ნებისა მას ღმრთეებისასა, ვითარცა იტყვს დიდი ათანასე, რამეთუ: „ვითარცა ჯორცნი მისნი ჯორც სიტყვსა ღმრთისა ჩუენისა ითქუმიან და არიან, ეგრეთვე ბუნებითი იგი ნებად ჯორცთა მისთად თვსად სიტყვსა ღმრთისა ითქუმის და არს“. ვითარცა თავადი იტყვს, ვითარმედ: „გარდამოვკედ ზეცით, არა რაფთა ვყო ნებად ჩემი, არამედ ნებად მომავლინებელისა ჩემისა“. თვსად ნებად ნებასა მას ჯორცთასა იტყოდა, რამეთუ ჯორცნიცა მისნი იყვნეს; და ვითარცა წმიდანი იგი და უბიწონი ჯორცნი განღმრთობითა არა განილინეს, არამედ თვსსა წესსა და ბუნებასა ეგნეს, ეგრეთვე კაცობრივი ნებად მისი შეერთებითა ღმრთეებისადათა არა განილია, არცა განქარდა, არამედ უფროდსად განემტკიცა, ვითარცა იტყვს წმიდად გრიგოლი ღმრთისმეტყუელი, ვითარმედ: „ნებად იგი მტრისადა არა წინააღმდეგომ საღმრთოსა ნებასა იყო, არამედ ყოვლითურთ განღმრთობილ და მიმყოლელ საღმრთოსა ნებასა“.

ეგრეთვე ორთა ბუნებითთა საქმეთა განუყოფელად, უცვალეებელად, შეურევ-ნელად უფლისა და ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესა აღვიარებთ, ესე იგი არს საღმრთოსა საქმესა და კაცობრივსა საქმესა, ვითარცა იტყვს ღმერთშემოსილი ლეონ განცხადებულად, ვითარმედ:

„თითოეული ბუნებად მისი იქმს წესსა თვისა ზიარებითა მეორისადათა“.

ბუნებად იგი სიტყვსად იქმს საქმეთა სიტყვსათა, და ბუნებად ჯორცთად იქმს, რად-იგი შეჰგავს ჯორცთა, რამეთუ არა ეგების თქუმად, თუ ერთ არს საქმე ბუნებითი ღმრთეებისად და ჯორცთად, რადთა არცა დაბადებული არსებასა მას ღმრთეებისასა აღვიყვანოთ, არცა სიმაღლე იგი და საკვრველებად საღმრთო მას ბუნებისად დაბადებულთა და განწესებულსა ადგილსა შთამოვიყვანოთ.

ერთისა უფლისა, ერთისა ქრისტესა ვიცნით სასწაულნიცა და ვნებანიცა, არამედ სხუად და სხუად სახედ შემსგავსებულად ბუნებათა მათ, რომელთაგან და რომელთა შინა იყო, ვითარცა ნეტარმან კვრილე თქუა.

აწ უკუე ყოვლით კერძო შეურევნელად და განუყოფელად საიდუმლოსა მას ვქადაგებთ და მოკლითა სიტყვთა ყოველსავე განვაცხადებთ, და გურწამს ერთი სამებისაგანი უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ღმერთი ჭემმარიტი შემდგომად განკაცებისა ორითა ბუნებითა, რომელნი-იგი ერთსა მას გუამსა მისსა შინა ბრწყინვიდეს, რომლით სასწაულნიცა და ვნებანიცა ჟამთა მათ განგებულებისა მისისათა არა უცნებით, არამედ ჭემმარიტებით აჩუენნა და განყოფილება იგი ბუნებათა ერთსა მას გუამსა შინა იცნობებოდა, რაჟამს-იგი ზიარებითა მეორისადათა თითოეული ბუნებად განუყოფელად და შეურევნელად თვისსა საქმესა ინებებდა და იქმოდა.

ამით სახითა ორთა ბუნებითთა ნებითა და საქმეთა უფლისათა ვქადაგებთ საცხორებელად კაცთა შეკრებულთა.

ესე ყოველი მრავლითა კრძალულებითა და ჭემმარიტებითა გურწამს და აღვიარებთ და ვქადაგებთ და ესრეთ განვაცხადებთ, რადთა ამიერთგან ამის სარწმუნოებისა გარეშე სხუად

სარწმუნოებად ვერავინ იკადროს თქუ-
მად, ანუ აღწერად, ანუ სწავლად. უკუ-
ეთუ კულა იპოოს ვინ სხუად სახედ
შემცვალებელ ამის მართლადსაარებისა
და ასწაოს, ანუ წარმოთქუას, ანუ აღწეროს
სხუად რადმე განდრეკილი სარწმუნოებად,
შერუენებულცა არს და განკუეთილ და
აღვოცილ. უკუეთუ მდდელობად აქუნდეს,
უცხო – იყავნ პატივისა მისგან, უკუეთუ
მონაზონი ანუ ერისკაცი იყოს, წყევასა
ქუეშე იყავნ.

ესე არს სარწმუნოებად მოციქულთად,
ესე არს სარწმუნოებად მამათად, ესე არს
სარწმუნოებად მართლმადიდებელთად.
ესე სარწმუნოებად დაამტკიცენ კათოლიკე
ეკლესიასა შინა წმიდამან სამებამან,
რამეთუ მისი არს დიდებად, ძალი და
სუფევა მამისა და ძისა და წმიდისა
სულისად აწ და მარადის და უკუნითი
უკუნისამდე, ამენ.

ეფთვიმე ათონელი სანამ სრულად თარგმნიდა ამა თუ იმ ვრცელ
თხზულებას, ზოგჯერ ამჯობინებდა, ჯერ მისი გამოკრებული ვარიანტი
მოემზადებინა (საფიქრებელია, იმ მიზნით, რომ ამ თხზულების დედაარსს
დროულად გასცნობოდა ქართველი მკითხველი), სრულ თარგმანს კი
უფრო ხანგრძლივი მუშაობა ესაჭიროებოდა და მთარგმნელის ხელიდანაც
მოგვიანებით გამოდიოდა. ასე აქვს ნათარგმნი ეფთვიმეს პავლეს ეპისტოლეთა
კომენტარები, „კლემაქსი“, გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავი „მისათჳს“.
უნდა ვიფიქროთ, რომ მეექვსე მსოფლიო კრებასაც ეტაპობრივი მუშაობის კვალი
ატყვია. ამის საფუძველს გვამლევს ეფთვიმესეული თარგმანის შედარება არსენ
იყალთოელის მიერ თარგმნილ „დიდი სჯულისკანონის“ შესაბამის ტექსტთან.

არსენის თარგმანს, დედანთან მისი სრული შესაბამისობის გამო, დედნის
მაგივრობა შეუძლია გაგვიწიოს, ამიტომ ამ ორი თარგმანის შედარებით
შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად „ზუსტად“, ზედმიწევნით მისდევს
ეფთვიმე ძირითად წყაროს.

ვრცელ რედაქციაში ეფთვიმეს უფრო სრულად გადმოაქვს ტრულის კრების
პირველი კანონიდან ის ფრაგმენტი, რომელშიც გადმოცემულია წინა მსოფლიო
კრებების ისტორია. თუ მოკლე რედაქციაში მხოლოდ კრებების ჩამონათვალი
იყო, ვრცელში დეტალურადაა აღწერილი ის მწვალელობები, რომლებიც
დაიგმო აღნიშნულ კრებებზე.

ანალოგიური სიტუაცია არის მონოთელიტობასთან დაკავშირებით. თუ

მოკლე რედაქციაში მხოლოდ მწვალებლებია ჩამოთვლილი, როგორც ეს ტრულის კრების I კანონშია, ვრცელში საფუძვლიანად არის განხილული მონოთელიტობის ერესი.

მოკლე რედაქციაში არა გვაქვს „მრწამსი“, ვრცელში არის.

აღსანიშნავია, რომ მოკლე რედაქციაში აღნიშნული „ძველი ღმრთის-მეტყუელებისა და კანონნი ეკლესიისანი“ არ გულისხმობს საეკლესიო კანონმდებლობას. პირველი მიუთითებს „მრწამსს“, ხოლო მეორე – საეკლესიო კრებათა დოგმატურ დადგენილებებს.

დადგენილების გამოტანის საკითხი მოკლე რედაქციაში ისეა, როგორც ტრულის კრების პირველ კანონში, სადაც კონსტანტინეს მიერ დადგენილების დამტკიცებაზე არის საუბარი, ხოლო ვრცელში მონოთელიტობის ერესის დაგმობა და ტრულის კრების I კანონის დასკვნითი ნაწილია გადმოტანილი.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავი „ა“ ეფთვიმეს კრებულში ორი რედაქციით არის წარმოდგენილი. ისინი შედგენილია მეექვსე, 680-681 წწ-ის მსოფლიო კრების დოგმატური დადგენილებებისა და ტრულის კრების I კანონის საფუძველზე.

ამიტომ ვვარაუდობთ, რომ თარგმანი ეტაპობრივად არის შესრულებული და, შესაძლებელია, ეფთვიმეს მამის სიკვდილის შემდეგაც ითარგმნა, როგორც ამას კ. კეკელიძე ვარაუდობდა.

რატომ დასჭირდა ეფთვიმეს ყურადღების გამახვილება უწინარეს მსოფლიო კრებებზე? პასუხი აქაც ნათელია. ქართულ ენაზე თარგმნილი რომ ყოფილიყო წინა მსოფლიო კრებების დადგენილებები და აქტები, ეფთვიმე პირდაპირ გადმოიღებდა მეექვსე (ტრულის) კრების კანონებს და აღარ იქნებოდა საჭიროება მათი ამ სახით თარგმნისა. მანამდე კანონიკური მწერლობა საქართველოში არ არსებობდა. „ქართლისა ქუეყანა დიდად ნაკლულევან“ იყო წიგნთაგან და ეფთვიმეს „მცირე სჯულისკანონი“ უნდა ყოფილიყო პირველი კანონიკური კრებული ქართულ მწერლობაში. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება, რომ საეკლესიო კანონთა კრებული ქართულად ეფთვიმეს „მცირე სჯულისკანონამდე“ არსებობდა, ჩვენ მცდარად მიგვაჩნია. რაც შეეხება მერჩულის ინსტიტუტის არსებობას, აქაც პასუხს თვითონ გიორგი მერჩულე იძლევა, რომელიც გვაუწყებს გრიგოლ ხანცთელის შესახებ: „მრავალ ენათა წურთნილ იყო“¹, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩვენმა საეკლესიო მოღვაწეებმა შესანიშნავად იცოდნენ უცხო ენები, განსაკუთრებით, ბერძნული, რომელიც იყო მაშინდელი მსოფლიო ენა, კაცობრიობის ენა, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა კულტურისა და, საერთოდ, აზროვნების ისტორიისათვის.

ამდენად, ჩვენში იცნობდნენ მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობას, ოღონდაც ბერძნულ ენაზე.

იოანე ათონელიც თავის შვილს, ეფთვიმეს უბარებს, რომ „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანა ფრად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი

.....
1 გიორგი მერჩულე. ცხორება გრიგოლ ხანცთელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1963 წ. გვ. 250.

აკლიან.... ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაძღვებია შენდა. აწ იღვაწე და ისწრაფე, რადთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“.

ამიტომაც „ახალი ოქროპირი“ ქართველი ერის მწვალებლობისაგან დაცვას ისახავს მიზნად და ცდილობს ამ დარგშიც განანათლოს ერი. განუმარტოს, გაუადვილოს ტექსტი, რათა გაუცნობიერებელმა მკითხველმა ადვილად შეძლოს მისი აღქმა და არ დაიბნეს: „ყოველივე პირი და სახე სხუათა მათ პირველთა მამათა მიერ აღწერილისა რჩულისკანონსა აქა შემოკრებილ არს და კეთილად განმარტებულ“.

გარდა სტრუქტურული აგებულებისა, ყურადღებას იქცევს თარგმნის სტილი. ეფთვიმეს თარგმანში, კერძოდ, პირველ თავში უხვადაა მთარგმნელისათვის დამახასიათებელი კლება-მატებანი, აგრეთვე, მისი სტილისათვის ნიშანდობლივი სხვა თავისებურებები.

ეფთვიმე

პირველად ტმწ(318) ნიკიას შეკრებილთა წმიდათა მამათა, ურჩულოდსა არიოზის განმკუთხელთა, რომელთაცა ერთარსებად, ერთღმრთეებად და ერთბუნებად სამგუამოვნისა მის წმიდისა სამებისა წმამალად ქადაგეს და მამასა და ძისა და სულისა წმიდისა ერთითა და განუყოფელითა სარწმუნოებითა თაყუანისცემად ასწავეს ერსა მორწმუნეთასა და თანაწამებითა და თანამოღუაწებითა ღმრთისმსახურისა დიდისა კონსტანტინე მეფისადთ ყოველნი იგი მართლისა სარწმუნოებისა წინააღმდგომნი მწვალებელნი განიოტნეს.

არსენი

მერმეცა სამას ათრვამეტთა წმიდათა და ნეტართა მამათაგან, რომელნი შეკრბეს ნიკეას კოსტანტინეს ზე დიდისა, მეფისა ჩუენისა, არიოზისთვს ბოროტად მსახურისა და მის მიერ სჯულდებულისა მის წარმართულისა სხუაღმრთობისა ანუ თუ მრავალღმრთეებისა, ვითარი იგი უსაკუთრესად სათქუმელ არს, რომელთა-იგი სწორითა აღსარებითა სარწმუნოებისადათა ერთარსებად სამთავე ღმერთმთავრობისითა ბუნებისა გუამოვნებათად გამოგვიცხადეს და განგვნათლეს და არა შეუნდვეს მოდითა დაფარვად ამისი, არამედ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ერთი თაყუანისცემად ცხადად ასწავეს მორწმუნეთა და უსწოროთა ხარისხთა ღმრთეებისათა ბოროტი მადიდებლობად დაამკუეს და უჩინო-ყვეს და წინააღსაღმომელად მართლმადიდებლობისა ყრმებრივნი იგი ქჷმასა ზედა ნაშენებნი მწვალებელთანი დაარღვნეს და დასცნეს.

როგორც ვხედავთ, ეფთვიმეს და არსენის თარგმანები შინაარსით ფარავენ ერთმანეთს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ არსენი დედნის ერთგულია, ეფთვიმე კი თარგმნის თავისუფლად და უფრო მისაწვდომად. ასეა მთელი პირველი თავის მანძილზე.

ეფთვიმე

არსენი

მესამედ ეფესოს შეკრებულთა ს(200) მამათა, თევდოსი მეფისა ზე, ძისა არკატისა, რომელთა არცხვნეს ურჩულოსა ნესტორის და ერთ ქრისტედ განჯორციელებული უფალი ჩუენი ქადაგეს და წმიდაჲ იგი ქალწული მარიამ, უხრწნელი იგი და უმეტესად კურთხეული, ჭეშმარიტად ღმრთისმშობლად აღიარეს და ქადაგეს და ბილწი იგი ცუნდრუკებაჲ ბოროტისა მის ნესტორისა იოტეს და სრულიად ავოცეს, რომელი-იგი კაცად განყოფილად და ღმერთად განყოფილად ერთსა მას ქრისტესა იტყოდა და წმიდასა ღმრთისმშობელსა უვარჰყოფდა, ამისათვისცა სრულიად ავოცეს იგი წმიდათა მათ მამათა.

არამედ ქალაქსაცა შინა ეფესელთასა თევდოსის ზე არკადის ძისა, მეფისა ჩუენისა, პირველ შეკრებულთა ღმერთ-შემოსილთა ორასთა მამათა ჩუენტა მიერ დასხმულთა მოძღურებათა, ვითარცა განურღუეველთა სიმტკიცეთა კეთილ-მსახურებისათა დავბეჭდავთ ერთად ქრისტედ, ძედ ღმრთისად მქადაგებელნი უფლისანი შემდგომად განჯორციელებისაცა და უთესლოდ მშობლისამისისა, უხრწნელისა მარადის ქალწულისა საკუთრად და ჭეშმარიტად ღმრთისმშობლად აღმსარებელნი და მცბიერისა ნისტორის განყოფისა, ვითარცა საღმრთოჲსა ნაწილისაგან უცხოქმნილისა, შორს წარმდევენლნი, რომელი-იგი განთვსებულად კაცად და განთვსებულად ღმრთად ერთსა და მასვე ქრისტესა სჯულისმდებლობდა და ჰურიებრსა ბოროტმადიდებლობასა განაახლებდა.

აქაც ეფთვიმეს ნაშრომებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი შეინიშნება. როგორც ვხედავთ, სათარგმნის შინაარსს ეფთვიმე სიტყვა-სიტყვით არასოდეს გადმოსცემს. ხშირად აზრი ერთია, სიტყვიერი მასალა და გადმოცემის ფორმა - განსხვავებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ტრულის კრების I კანონის იმ ადგილს, სადაც ერეტიკოსებზეა მსჯელობა, ეფთვიმე ორი სახით გვთავაზობს:

ეფთვიმე

და მერმე ახლად შემოსული იგი წვალეზად ერთისა ნებისა და ერთისა საქმისმეტყუელთად სრულიად განაგდეს და მეტყუელნი ესევეთარისა მის წვალეზისანი: თეოფანე ფარანელი, ონორე ჰრომი, კვროზ ალექსანდრიელი, სერგიოს, პიროზ, პავლე და პეტრე კონსტანტინეპოლელი, მაკარი ანტიოქიელი და სტეფანე, მოწაფე მისი, შეაჩუენეს, რამეთუ ამათ ყოველთა იკადრეს თქუმად ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესათეს, ვითარმედ: „ერთი ნებად და ერთი ხოლო საქმე აქუნდა შემდგომად განკაცებისა“, რომელ-ესე უარის-ყოფად არს ორთა ბუნებათა. და პოლიხრონიოსცა, უგუზური იგი და ცოფი ბერი, შეაჩუენეს, რომელმან იქადა ესევეთარისა მას წვალეზასა შინა აღდგინებად მკუდრისა, ხოლო წმიდათა მათ მამათა მისცეს ფლობად აღდგინებად და, ვითარ-იგი ვერარად აღდგინა, უმეტესად განაქიქა გმობად თვისი.

ესე ზემოწერილნი მწვალეზელნი წმიდათა მათ მამათა შეაჩუენეს.

ეფთვიმე

კმა იყო მეცნიერებად მართლისა სარწმუნოვებისა წმიდად ესე ღმერთშემოსილთა მათ მამათაგან დაწესებული მართლალსა-რებად, არამედ ვინაფთგან არა დასცხრა პირველთაგან, მომპოვნებელმან მან უკეთურებისაგან ბრძოლად ნათესავსა კაცთასა, და ვითარცა-იგი პირველ თანაშემწედ მოიპოა გუელი და მის მიერ წამალი იგი გესლიანი სიკუდილისა უწდია ბუნებასა კაცთასა, ეგრეთვე აწ პოვნა ჭურნი, შემსგავსებულნი ნებისა თვისისანი, - თეოფანე ვინმე ფარანელი ებისკოპოსი და სერგიოს და პიროს და პავლე და პეტრე, რომელნი იყვნეს მღდელოთმოდლარ სამეუფოდსა ამის ქალაქისა, ამათ თანა ონორიცა, ჰრომის წინამძღვარი და კვროზ ალექსანდრიისა, მაკარი ანტიოქიელი და სტეფანე, მოწაფე მისი.

ესენი პოვნა ბოროტმან მან მტერმან აღმასრულებლად ნებისა თვისისა და ისწრაფა მათ მიერ აღდგინებად ეკლესიასა შინა საცთური ბოროტი, რამეთუ ამათ პირველთქმულთა კაცთა ბირებითა დასაბამითგან კაცისმკლველისადათა იკადრეს თქუმად ერთი ნებად და ერთი საქმე ორითა მათ ბუნებათა, ერთისა მის სამებისაგანისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა და ამით სახითა განაახლა ერსა შორის ქრისტეანეთასა წვალეზად იგი აპოლინარისი, სებეროსისი და თემისტისი,

არსენი

ხოლო რომელი-იგი მართალი და წრფელი სჯული ჭემმარტებებისა განრყუნეს და ერთი ნებად და ერთი მოქმედებად ერთისა უფლისა და ღმერთისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ზედა თქუმად ასწავეს ერთა, კეთილმსახურებისა მსჯავრითა დასაჯნა, ვიტყვთ უკუე თეოდორე ფარანელსა, კვროსს ალექსანდრიელსა, ონორის ჰრომსა, სერგიოსს, პიროსს, პავლეს, პეტრეს, - საყდრისმპყრობელ-ყოფილთა ღმრთივ-დაცვულისა ამის ქალაქისათა, მაკარის ეპისკოპოსსა ანტიოქიისასა და სტეფანეს, მოწაფესა მისსა და ცნობავნებულსა პოლიხრონიოსს, და ესრეთ განურყუნელად და შეუხებლად დაიცვა ზოგადი გუამი ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა.

ურჩულოთად მათ, რადთამცა
სრულებად იგი განკაცებისა
უფლისა ჩუენისა იესუ
ქრისტესი განაქარვა ესე-
ვითართა მით მზაკუვა-
რებითა და აჩუენა თვნიერ
ნებისა და საქმისა ყოფად
გონიერად სულიერნი იგი
ჯორცნი უფლისანი.

ეფთვიმეს ტექსტის არსენის თარგმანთან შეპირისპირებით ნათლად ვლინდება, რომ ეფთვიმეს მიერ ტექსტის გავრცობა ძალზე ფართო და მრავალმხრივ ხასიათს ატარებს.

ტექსტი გავრცობილია ხან ერთი სიტყვით, ხან მთელი ფრაზით, ხან ვრცელი მსჯელობაა ჩართული და ყველგან გავრცობის მიზანი ერთია: გააღრმავოს ბერძნული წყაროს აზრი, იგი გასაგები გახადოს ქართველი მკითხველისათვის. ტექსტის გავრცობაში თვალნათლივ იხატება მთარგმნელის პიროვნული დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ, მისი, როგორც მოაზროვნისა და მწერლის, პოზიცია მთელი რიგი სარწმუნოებრივ-საღვთისმეტყველო პრობლემებისადმი. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ტექსტის მატებას თავისებური მოტივირება აქვს, რაც მთლიანობაში ქმნის მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის განუმეორებელ სტილს.

კრებულში მეექვსე მსოფლიო კრების აღწერას მოსდევს წარწერა: „თავნი რჩულისკანონისანი“, რომელსაც მოკლე შესავალი აქვს, სადაც აღწერილია ეკლესიაში არსებული მდგომარეობა, რის გამოც საჭირო გახდა საეკლესიო კრების მოწვევა, რომელიც ტრულის კრების სახელით არის ცნობილი და მეექვსე მსოფლიო კრების გაგრძელებაა. „ხოლო ვინამთგან გარდასულთა ამათ წელთა და განწვალებასა ეკლესიისასა, განდრეკასა თანა სარწმუნოებისასა კანონნიცა ეკლესიისანი დაიკსნნეს და უგულუბელს-იქმნნეს, ამისთვს ნებითა ღმრთისაათა და ჯერჩინებითა ღმრთისმსახურისა მეფისაათა კუალად განვაახლებთ და დავამტკიცებთ წესთა და კანონთა, რომელნი დასხნეს წმიდათა მოციქულთა და საღმრთოთა მათ დიდებულთა კრებათა და ესრეთ ვიტყვთ“.

მოკლე შესავალს მოსდევს თავი მეორე, რომლის პირველი აზბაცი ტრულის კრების პირველი კანონის დასაწყისია. ამ კანონის სხვა ნაწილები, რომლებშიც საუბარი იყო უწინარეს მსოფლიო კრებებზე, როგორც აღნიშნული გვქონდა, ეფთვიმეს წინა თავში გადაუტანია. კანონი იწყება იგივე სიტყვებით, რომლითაც გრიგოლ ნაზიანზელმა 362 წელს დაიწყო თავისი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა, როდესაც დატოვა კონსტანტინეპოლის კათედრა: „დასაბამ და დასასრულ ყოვლისა საქმისა და სიტყვსა შენისა ღმერთი იყავნ“. კათედრის დატოვება განპირობებული იყო იმავე მიზეზებით, რის გამოც საჭირო გახდა კრების მოწვევა. მამები აღიარებდნენ და აცხადებდნენ, რომ აუცილებელია წმინდად და უვნებლად იქნეს დაცული ყოველგვარი სიახლისაგან რწმენა, რომელიც წმიდა მოციქულებისა და წმიდა მამათაგან გადმოეცათ.

ეფთვიმე

არსენი

წესი კეთილ არს ყოვლისავე, რომელი იწყებდეს სიტყუასა, გინა საქმესა, რადათა ღმრთისაგან იწყოს და ღმრთისა აღასრულოს, ვითარცა ღმრთისმეტყველი გრიგოლ იტყვს, ვითარმედ: „დასაბამ და დასასრულ ყოვლისა საქმისა და სიტყვსა შენისა ღმერთი იყავნ“. აწ უკუე ჩუენცა ღმრთისმსახურებასა და მართლდასარებასა სარწმუნოვებისასა წმამაღლად ვქადაგებთ, რომელსაცა ზედა ეკლესიაჲ ქრისტჳსი დაფუძნებულ არს და დღითიდღე აღორძინდების და აღმატების უფროდს ნაძუთა მათ ლიბანისათა. ამას საფუძველსა ზედა წმიდისა ქრისტეს სახარებისასა და ცხოველსმყოფელთა მათ მცნებათა მისთასა ჩუენ ყოველნი მართლმორწმუნენი მტკიცე ვართ და ესრეთ განვაჩინებთ და ვიტყვთ, რადათა ვითარცა ზემოწერილ არს შეურყვნელად დამარხვაჲ მართლისა მის სარწმუნოებისაჲ, რომელი ქადაგეს წმიდათა მოციქულთა და გუასწავეს ღმერთშემოსილთა მამათა, ეგრეთვე წესნიცა და კანონნი, მათ შორის განწესებულნი, მტკიცემცა არიან და შეურყვევლ.

წესი რჩეული, ყოვლისავე სიტყუად და საქმედ დამწყებელისაჲ, ღმრთისაგან დაწყებაჲ და ღმრთისა თანა განსუენებაჲ არს ჳმისაებრ ღმრთისმეტყველისა, ვინადაცა ჩუენ მიერ ეგერა ბრწყინვალედ ქადაგებულისა კეთილადმსახურებისა და ქრისტეს ზედა დაფუძნებულისა ეკლესიისა მარადის აღორძინებისა და წარმატებისა მოსწრაფენი ვიდრე ნაძუთა ლიბანისათა ზემთა აღმატებამდე მისისა. აწცა დასაბამსა სამდღელოთა სიტყუათასა ვიწყებთ და მადლითა ღმრთისაჲთა განვასაზღვრებთ შეუხებელად და უვნებლად დაცვასა ჩუენდა მოცემულისა სარწმუნოებისასა თვთმხილველთაგანცა და მსახურთა სიტყვსათა ღმრთივმზრახვალთა მოციქულთა.

ეფთვიმესა და არსენის ვერსიები შინაარსით ახლოს არიან ერთმანეთთან, თუმცა ეფთვიმეს თარგმანი არსენის თარგმანთან შედარებით აზრობრივად მაქსიმალურად გასაგები და მარტივია. ეფთვიმე ტექსტში ამატებს ღვთისმეტყველის სახელს. მის მიერ თარგმნილი გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვაც მისი მთარგმნელობითი მეთოდიდან გამომდინარე, გარკვეულად სხვაობს ბერძნული დედნისაგან. არსენი დედნის მაქსიმალურად ერთგულია და ციტატაც ორიგინალის კვალობაზეა (შდრ. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი: „რჩეული წესი ყოველი სიტყვისა და საქმის დამწყებისათვის ესაა დაწყება და დასრულება ღვთისადმი“¹).

.....
1 Apologetica, PG 35.408.10-13: "taxi- ajrieth pantu- arcomenw kai; logou kai; pragmato-, ej Qeou' te ajcsesqai, kai; ej- Qeon ajapauesqai". ციტატა თარგმნილია ედიშერ ჭელიძის მიერ. იხ.

ამის შემდგომ ეფთვიმეჩამოთვლის კანონებს, რომლებსაც მეექვსე (ტრულის) მსოფლიო კრება ამტკიცებს. „პირველად ოთხმეოცდახუთნი იგი კანონნი, სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა აღწერილნი, რომელნი-იგი შეიწყნარეს და დაამტკიცნეს წმიდათა და სანატრელთა მამათა ჩუენთა და საღმრთოთა დიდებულთა კრებათა, განსაკურნებლად სულთა და მათებელად ვნებათა.

ეგრეთვე დავამტკიცებთ კანონთა და განგებათა, რომელნი განაწესეს წმიდათა კრებათა პირველად ნიკიას შეკრებულთა წმიდათა მამათა და მერმე, - ანკვრას და ნეოკესარიას, მერმე, - კულად დანდრას და ანტიოქიას ასურეთისასა და ლაოდიკიას ფრიგიისასა, მერმე, - რნ(150) მათ მამათად, რომელნი შეკრბეს სამეფოსა ამას ქალაქსა და ს(200) მამათად, რომელნი ეფესოს ნეტარისა კვრილესთანა შეკრბეს და ქლ(630) წმიდათა მამათად, ქალკიდონს შეკრებულთად, აგრეთვე, რომელნი სარდიკეს და კართაგენს შეკრბეს მამანი და კულად, რომელნი-იგი კვპრიანეს თანა მთავარებისკოპოსისა აფრიკეთისასა და მოწამესა შეკრბეს და განაწესნეს კანონნი, ვითარცა ჯერ-იჩინეს მათთა მათ სოფელსა შინა განწესებად და კულად, რომელნი-იგი სამეფოსა ამას ქალაქსა შემოკრბეს ღირსნი მამანი, ნეკტარი პატრიარქისა ზე. ამათ ყოველთა კრებათა მიერ განწესებულნი კანონნი მტკიცე არიან, ეგრეთვე, - რომელ თითოეულად წმიდათა მამათა მიერ აღწერილ არიან კანონნი: პეტრე ალექსანდრიელ მთავარებისკოპოსისა და მოწამისა, დიონოსიოს მთავარებისკოპოსისა მისვე ქალაქისა, ათანასე მთავარებისკოპოსისა მისვე ალექსანდრიელ ქალაქისა, გრიგოლ ნეოკესარიელ მთავარებისკოპოსისა საკვრველთმოქმედისა, ბასილი მთავარებისკოპოსისა კესარია-კაბადუკიელისა, გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა, გრიგოლ ნოსელისა, ამფილოქე იკონიელისა, ტიმოთე ალექსანდრიელისა, კვრილე ალექსანდრიელისა და რომელ-იგი თეოფილეს ზე ალექსანდრიასვე აღიწერა და კულად გენადიოს კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა მიერ აღწერილი“.

ყველა ამ კანონის შესახებ კრება აღნიშნავს, რომ არავის აქვს უფლება შეცვალოს ისინი ან გააუქმოს, ან მათ ნაცვლად მიიღოს ჭეშმარიტებით მოვაჭრე ადამიანთა მიერ ცრუ ავტორობით შემოთავაზებული კანონები.

არსენის თარგმანში ადრე მიღებულ კანონმდებლობაზე საუბარია მეორე კანონში, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა კანონთა შორის უმნიშვნელოვანესია, ხოლო კანონიკური სამართლის მეცნიერებისათვის - უმთავრესი სხვა, 692 წლამდე გამოცემულ კანონთაგან. ამ კანონით დამტკიცებულია კანონიკური, მსოფლიო მნიშვნელობა ასობით სხვა კანონისა. ეფთვიმესაგან განსხვავებით, აქ მოხსენიებულია წმიდა მოციქულთა განწესებანი, რომელიც კრებამ არ შეიწყნარა, რადგანაც მწვალებლებმა, ეკლესიისათვის საზიანოდ, ოდესღაც მასში შეიტანეს სიყალბე და „ნათელი დაუჩრდილეს საღვთო სწავლების კეთილშუენიერ სილამაზეს“. ამიტომაც ეფთვიმე თავს არიდებს მასზე მსჯელობას, რათა გაურკვევლობაში არ ამყოფოს ქართველი მკითხველი.

„სპეკალი მართლმადიდებლობისა“, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, რედაქტორი ანა ჭუმბურიძე, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი 2007. გვ. 597.

არსენთან გამოტოვებულია პეტრე ალექსანდრიელის სახელი და, შესაბამისად, ყველა ქართულ ნუსხაში დაკლებულია.

მესამე კანონს არსენის თარგმანში წინ უძღვის სათაური: „მდდელთათჳს და მოყუასთა ეკლესიისათა“, ბერძნულად „peri; ierejwn kai; klhrikwn“. კანონები, მართლაც, „მდდლობის წეს“-ს ეხება. ეფთვიმესთან ამ ადგილას სათაური არ გვაქვს, არ გვაქვს არც ე. გიუნაშვილის და არც ალ. ხახანაშვილის გამოცემებში. ბერძნულ-სლავურ ტექსტებში, შესაბამისად, არსენისაშიც, მეორმოცე კანონს აქვს სათაური „peri; monacwn kai; monasteriwn“, ქართულად: „კანონი მონაზონთათჳს და მონასტერთა“. ეფთვიმესთან ამჯერად უკვე გვხვდება სათაური, ოღონდაც მოკლედ - „მონაზონებისათჳს“. საზოგადოდ, ბერძნულ-ქართულ-სლავურ ტექსტებს ეტყობათ კანონების შინაარსის მიხედვით დალაგების კვალი.

მესამე კანონში საუბარია სასულიერო წოდების პირთა ქორწინების შესახებ. ბერძნულ-სლავურ ტექსტში და არსენისეულ თარგმანში ყურადღება გამახვილებულია სასულიერო დასის წევრთა იმ კატეგორიაზე, რომელიც ორჯერ იყო დაქორწინებული. კანონი უკრძალავს მათ ყოველგვარ სამღვდლო მსახურებას, მხოლოდ სამღვდლო საჯდომელის პატივს და თავისი დგომის ადგილს განუკუთვნებს. ამ კანონის განწესებით, ორჯერ დაქორწინებული ან ხარჭასთან მცხოვრები, არამცთუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკვანიც ვერ გახდება და ვერ დაიკავებს ადგილს ეკლესიის იმ მსახურთა შორის, რომლებიც სასულიერო წოდების მქონე პირთა სიაში შედიან. ეს კანონი მოციქულთა მე-17 და მე-18 კანონების განმეორებაა. ვინაიდან მთელი მაშინდელი ეკლესია ახალმონათლულებისაგან შედგებოდა, ზოგი იუდეველობიდან იყო მოქცეული, ზოგი - წარმართობიდან და, მამასადამე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისინი ცხოვრობდნენ შესაბამის პირობებში იმ რელიგიური საზოგადოებისა, საიდანაც შემდგომში გამოვიდნენ, ამიტომ პირებს, რომლებიც კანონთა მიხედვით დაუშვებელი ქორწინებით იყვნენ შეუღლებულნი, ეკლესია შეიწყნარებდა, რადგან მათ ნათლისღების საღვთო საბანელი ყოველგვარი სიბილწისაგან განწმენდა. მაგრამ იმ ეპოქისათვის, როდესაც ამ კანონს გამოსცემენ, ეს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნიათ.

ეფთვიმე განსხვავებულ თარგმანს გვთავაზობს. „ესრეთ ჯერ-უჩნს ღმრთისმსახურსა მეფესა ჩუენსა და ყოველსა ამას ღვთივშემოკრებულსა კრებასა, რადთა ყოველი უწესობად, რომელი გარდასრულთა ამათ წვალებისა წელთა შემოჴდა მღვდლობისა წესსა ზედა, განემართოს და ღირსებით იქცეოდინ, რომელნი კელ-ყოფენ მსახურად უსისხლოსა მას და ყოველსა სოფლისა საჯსარსა და განმაცხოველებელსა დიდებულსა მსხვერპლსა. ამის უკუე ჯერისათჳს ესრეთ განვაწესებთ, ვინამთგან ჰრომისა ეკლესიამ მდდელთა სრულიად უქორწინებელთა განაგებს, ხოლო სამეუფოდსა ამის ქალაქსა კრებამ აჩუენა წყალობად უძღურებასა კაცობრივსა და უწესა ქორწინებად; ჩუენცა მათისაებრ ბრძანებისა უწესებთ, რადთა რომელნი მდდელობისა უღელსა შევიდოდინ, უკუეთუ ქორწინებად ენების, პირველ კერძოდაკნობისა კურთხევისა იქორწინონ წესიერთა ქორწინებითა, რადთა ყოვლადვე

თვსობად მათ შორის არა იყოს და შემდგომად ქორწინებისა მიიღონ კურთხევად კერძოდიაკონობისა და მთავარდიაკონობისა და ხუცესობისა და იყვნენ უბრალოდ მეუღლეთა თვსთა თანა, გარნა რომელსა დღესა ჟამსა წირვიდენ, მას ღამესა დაიცვენინ თავნი თვსნი სიწმიდით, ვითარცა იტყვს წმიდა პავლე მოციქული, ვითარმედ: „ნუ განეშორებით ურთიერთას, გარნათუ შეთქუმულებით ჟამ რავდენმე, რადთა მოიცალოთ ლოცვასა და კუალად ურთიერთსავე იყვნით, რადთა არა განგცადნეს თქუენ ეშმაკმან უთმინოებითა თქუენითა“ (I კორ. 7,5). ესე არა მდღელთა მიმართ თქუა მოციქულმან, არამედ ერისკაცთა ყოველთა, რავდენ უკუე უმეტესად მდღელთა თანა-აც დამარხვად. ხოლო ჟამი ლოცვისა და დღე იგი ზიარებისა თქუა, რადთა არა განგცადნესო ეშმაკმან უთმინოებითა თქუენითა. უთმინოებად მას უწესა, რომელმან დღესა მას, ოდეს ეგულებოდის ზიარებად, ვერ მოითმინოს მეუღლისაგან თვსისა, ესრეთ უკუე ჯერ-არს, რადთა დღეთა მათ ჟამისწირვისათა ეკრძალებოდინ და სხუათა დღეთა წესიერად ურთიერთას იყვნენ. ხოლო შემდგომად კურთხევისა დიაკონად, გინა ხუცად, არღარა კელ-ეწიფების ქორწინებად. უკუეთუ კულა იქორწინოს დიაკონმან, გინა ხუცესმან, მდღელობისაგან აღიკოცენ”.

ეფთვიმე თავის თარგმანში უმატებს საკმაოდ დიდ პასაჟს. რა წყაროს ეყრდნობა ეს მატება, თუ თვითონ ეფთვიმეს „თავით თვსით“ ჩაურთავს პავლე მოციქულის მონაკვეთი, რომელიც არსენისეულ თარგმანს არ გააჩნია, ძნელი სათქმელია.

გარდა აღნიშნულისა, ეფთვიმე საუბრობს იმ პირების შესახებ, რომლებმაც ქალწულების სიწმინდე აირჩიეს: „რომელთა ძალ-ედვას ქალწულებით და სიწმიდით მოქალაქეობად, ესე არს უაღრესი და უზეშთაესი, ვითარცა უფალი ბრძანებს, ვითარმედ: „არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვსნი სასუფევლისათვს ცათაჲსა (მათე. 19,12), ესე იგინი არიან, რომელთა აღზრ-ასხნეს გულისთქუმათა ჯორციელთა და აღირჩიეს სიწმიდე ქალწულებისა. და მოციქული იტყვს: „ვეტყვ უქორწინებელთა მათ, უკეთეს არს მათა, უკუეთუ ეგნენ ესრეთ, ვითარცა მე, უკუეთუ კულა ვერ დაითმენდენ“ (I კორ. 7,8-9).

როგორც ვხედავთ, ეფთვიმე სრულიად განსხვავებულ თარგმანს გვთავაზობს. მან ტრულის კრების მესამე კანონიდან მხოლოდ ის ადგილი აიღო, სადაც აღნიშნულია, რომ ორჯერ ქორწინებული ვერ მიიღებს სამღვდელო პატივს და შეუძლებელია, რომელიმე სამღვდელო დასს შეუერთდეს. სხვა ყველაფერი მეუღლესთან თანაცხოვრების, ქალწულების შესახებ ეფთვიმეს მიერაა ჩამატებული.

შემდეგი კანონი ეფთვიმეს ბასილი დიდის ეპისტოლეიდან აქვს აღებული, რომელიც გაუგზავნია ამფილოქე იკონიის ეპისკოპოსის მიმართ. ეს ეპისტოლე შესულია „დიდ სჯულისკანონში“. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია შევადართო არსენისა და ეფთვიმეს თარგმანები ერთმანეთს. არსენთან თარგმანში საკითხი მხოლოდ დიაკვნებს შეეხება, ეფთვიმესთან კი ეპისკოპოსებსა და მღვდლებზეც ვრცელდება.

ეფთვიმე

არსენი

უკუეთუ ცოდვათა ვინ უჯეროთა შთავრდომილ იყოს და არა შეეწამოს და მღდელობასა მივიდეს და შემდგომად კურთხევისა აღიაროს ცოდვად თვისი, მღდელობისაგან განეყენენ, ვითარცა წერილ არს კანონსა შინა ნიკიისა კრებისასა, რამეთუ: „უბიწოსა ეძიებს კათოლიკე ეკლესიად“ (I ტიმ. 3; 2).

შემდგომად კურთხევისა უკუეთუ ებისკოპოსი, გინა ხუცესი, ანუ დიაკონი დაეცეს სიძვითა ანუ სხვთა რამე უჯეროთა ცოდვითა, მღდელობისაგან განეყენენ, ხოლო ზიარებისაგან ნუ განეყენების, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „არა მიჰკადო ორი შურისგება ერთბამად“ (ნაუმ. 1, 9) და კუალად ამისთვისცა, ვითარცა იტყვს წმიდად ბასილი, ვითარმედ: „ერისკაცი თუ შთავარდეს ცოდვასა, განეყენების წმიდისა ზიარებისაგან ჟამსა განწესებულსა და აღასრულოს რამ ჟამი იგი სინანულისაჲ, კუალად თვისსავე წესსა მოვალს მორწმუნეთა თანა ზიარებად“. ხოლო დიაკონსა, ანუ მღდელსა, აღიჯოცოს რამ მღდელობისაგან, სამარადისო არს დაშჯად იგი და არღარა მიიქცევის მღდელობად, ამისთვის არა განეყენების ზიარებისაგან. ხოლო უკუეთუ იყოს კაცი იგი განკრძალული და პატიოსანი, პატივცემულ იყოს ერისაგან, მღდელთა თანა დაჯდებოდის ეკლესიასა შინა და სახლთა, ხოლო ჟამისწირვად, ანუ ზიარებად ერისა ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა არა ველ-ეწიფების, ვითარცა წერილ არს: „ვერ უძლოს სხუათა კურთხევისა მიცემად, რომელსა თვსთა წყლულებათა კურნებაჲ უკმდეს“. კურთხევის მიცემად ამას იტყვს, რაჟამს ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა

დიაკონმან, რომელმან შემდგომად დიაკონობისა ისიძვოს, უცხო-იქმნას უკუე დიაკონობისაგან, ხოლო უკუეთუ ადგილსა ერისკაცთასა დადგინებული არა ჯუებულ იქმნეს ზიარებისაგან, ვინამთგან ძუელი არს კანონი ესე, რომელი სამღდელოდსა ხარისხისაგან დამხოზილთათვს მხოლოდ მას ოდენ კმა-იყოფს სახესა მტანჯველობისასა შემდგომითა, ვითარ ჰგონებ, პირველითგანისა მის სჯულისაჲთა. რომელი იტყვს, ვითარმედ: „არა დაჰსაჯო ორითა ერთბამად“ (ნაუმ 1, 9) და კუალად სხვსაცა მიზეზისათვს, რამეთუ ერისკაცთა დასისაგანნი, განიკადნენ რამ ადგილისაგან უცთომელთა მორწმუნეთაჲსა, შემდგომად შენანებისა კუალად შეწყნარებულ იქმნებიან ადგილსა მას, რომლისაგანცა განცვევს. ხოლო დიაკონსა ერთგზის მიეკადების პატიჟი განკუეთისაჲ და ამისთვის, ვითარცა არღარა კუალადგებადსა მასვე ხარისხსა დიაკონობისასა, მხოლოდ ერთი ოდენ შურისგებაჲ განუჩინეს. და ესენი უკუე წესითგან, ხოლო ყოვლითურთ და უქვეშმარტესი კურნებაჲ სრულიადი განშორებაჲ არს ცოდვისაჲ, რამთა, რომელმანი იგი გემოვნებისათვს ცოდვისა უგულუბელს-ყო მადლი შემუსრვისა მიერ ჯორცთაჲსა და მოღუაწებითისა აღკრძალვისა მათისა და გემოთაგან განშორებისა, რომელთაგანცა დაცემულ იქმნა, ყოვლითურთ სრული მომცეს ჩუენ განკურნებისა თვისისა გამო-საჩინებელი, ვინამცა ორისავე ამის მეცნიერებაჲ გვკმს ჩუენ: პირველისაჲ მისცა, რომელი-იგი ჩუეულებისაჲ არს, და მეორისაჲ ამისცა, რომელი-ესე უცთომელისა წესიერებისაჲ არს,

განუყოფდეს მორწმუნეთა ზიარებითა მით საიდუმლოდსადათა, კმა-უკუე-იყავნ მისდა პატივცემულობად ერისაგან და ევედრებოდენ უფალსა მოტევებად ცოდვათა მისთა.

ამას განაწესებენ წმიდანი კრებანი და დიდი იგი მდდელთმოდლუარი ბასილი. და ჩუენცა მათსა მას განგებასა დავამტკიცებთ და შეურყენელად გუაქუს.

უკუეთუ კულა იჰვ ესევითარისა რადმე ცოდვისა იქმნას მდდელსა ზედა და ცხადად ვერ ემხილოს და მან უარყოს და არა აღიაროს, მან თვთ მისცეს პასუხი უფალსა და თვსითა ბრალითა იყოს.

ხოლო შედგომად მოცემულისა წესისად მათთვს, რომელთა არა მიითუალონ ჭემმარიტი იგი სახე ნამდვლვე ჭემმარიტისა კურნებისად.

ეფთვიმეს ამ კანონში, გარდა ბასილი დიდის კანონისა, შეუტანია, აგრეთვე, ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მეცხრე კანონი.

ეფთვიმე უთითებს იმ წყაროებს, საიდანაც არის აღებული ამა თუ იმ კონტექსტში გაცხადებული აზრი. წყაროდ მთარგმნელი ასახელებს წმ. წერილს, წმ. მამათა ეპისტოლეებსა და ქადაგებებს, საეკლესიო კრებებს.

ბიბლიურ ციტატებს განსხვავებულად თარგმნიან ეფთვიმე და არსენი: „არა მიჰვადო ორი შურისგებად ერთბამად“ და „არა დაჰსაჯო ორითა ერთბამად“.

მეხუთე კანონი უდრის ტრულის კრების მეოთხე კანონს. „დედაკაცსა მოწესესა ენკრატისსა, უკუეთუ შეერთოს მდდლობისა პატივსა შინა მყოფი, მესყულად აღიჯოცენ; და თუ უკეთუ ერისკაცმან ქმნას ესე, ზიარებისაგან განეყენენ, რაოდენჟამ წინამძღუარმან ეკლესიისამან განაწესოს, ხოლო მოწესე იგი თვსსავე ადგილსა მიიქცეს სინანულად“.

არსენი: „უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსი, ანუ ხუცესი, ანუ დიაკონი, ანუ კერძოდიაკონი, ანუ წიგნისმკითხველი, ანუ მგალობელი, ანუ მეკარეღმრთისადა შეწირულსა დედაკაცსა შეეყოს, განიკვეთენ, ვითარცა განმრხწენლნი სძლისა ქრისტესისა, ხოლო ერისკაცი უზიარებელ იქმენინ“.

ეფთვიმეს პირდაპირ გადმოაქვს ბერძნული სიტყვა: „დედაკაცსა მოწესესა ენკრატისსა“, ხოლო არსენი თარგმნის: „ღმრთისადა შეწირულსა დედაკაცსა“. ეფთვიმე სასულიერო დასს მოკლედ მოიხსენიებს „მდდლობისა პატივსა შინა მყოფი“, არსენი კი მათ ჩამონათვალს გვთავაზობს: „უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსი, ანუ ხუცესი, ანუ დიაკონი, ანუ კერძოდიაკონი, ანუ წიგნისმკითხველი, ანუ მგალობელი, ანუ მეკარე...“. ეფთვიმესთან ზიარებიდან ერისკაცს ეკლესიის წინამძღვარი განაყენებს. არსენთან არ არის აღნიშნული, თუ ვის ევალება ეს.

მეექვსე კანონი უკრძალავს სასულიერო პირებს თავისთან საცხოვრებლად სხვა დედაკაცის ან მხევლის მიყვანას. ეფთვიმე ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებიც დასაშვებია, რომ ჰყავდეთ: „თვნიერ დედისა და დისა და ჰანისა“.

როგორც წინა კანონში, იგი აქაც არ თარგმნის სიტყვას. ბერძნული „ჰანის“-ს შესატყვისად ქართულში გვაქვს დეიდა და მამიდა. საერთოდ, ეფთვიმესთან სახეზეა ტექსტის გავრცობის ისეთი შემთხვევები, როცა დედნის ამა თუ იმ ფრაზას ან სიტყვას უმატებს განმარტებითი ხასიათის ჩანართებს. ასეა ამ კანონშიც. არსენის თარგმანში არ არის დაკონკრეტებული, თუ ვისი მიყვანის უფლება აქვთ სამღვდლო პირებს, რათა ექვისაგან დაიცვან თავი. ეფთვიმე მიუთითებს იმ მსოფლიო კრების კანონს, საიდანაც განავრცო აღნიშნული კანონი.

იგივე წესი საჭურისებმაც უნდა შეასრულონ, რითაც თავს დაიცავენ წინასწარი განკითხვისაგან. კანონში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ერისკაცისათვის სასჯელი ეფთვიმესთან მხილებაა „მღდელმოდურისაგან, რადაა წესიერად იქცეოდინ“, ხოლო არსენთან, - უზიარებლობა.

მეშვიდე კანონში საუბარია იმ პირთა შესახებ, რომლებსაც სურთ სამღვდლო ხარისხის მიღება. თუ მათ ქორწინების სურვილი აქვთ, უნდა იქორწინონ, სანამ წიგნისმკითხველებად ან მგალობლებად არიან. ეს კანონი იმეორებს მოციქულთა 26-ე კანონს. თარგმანებიც თითქმის იდენტურია. იმ ადგილს კანონში, სადაც ნათქვამია, რომ ქორწინების უფლება არა აქვს იპოდიაკონს, დიაკონს ან მღვდელს მასზე ხელდასხმის შესრულების შემდეგ (met avt hn ep jaut w prosecomenhn ceirotonian), ეფთვიმე თარგმნის ასე: „რადაა არა კელ-ეწიფებოდის კერძოდიაკონსა, ანუ დიაკონსა, ანუ ხუცესსა, ვინაფთგან კურთხევად მღდლობისად მიიღოს, ქორწინებისა წესსა შესლვად“. დედნის „ceirotonian“ ეფთვიმეს გადმოაქვს როგორც „კურთხევად“. არსენთან გვაქვს „კელთდასხმისა“. იპოდიაკონები ანუ კერძოდიაკონები არ განეკუთვნებიან იმ კატეგორიას, რომლებიც დგინდებიან ქიროტონიით. მათი დადგენა ხდება ქიროტესიით ანუ ხელდადებით, როგორც ხდება ავადმყოფებზე და ყველანაირ ნივთზე, რომელიც იწმიდება და იკურთხება. აქედან გამომდინარე, ეფთვიმეს თარგმანი უფრო მართებულია, ვიდრე არსენისა, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ხელდასხმა შეიძლება აღნიშნავდეს უბრალო კურთხევას.

მერვე კანონი ეხება დიაკვნებს, რომლებიც საეკლესიო მოხელეებად მსახურობდნენ ეპისკოპოსებთან დიდ ქალაქებში. ის პირები, ვინც ამ მსახურებით იყვნენ დაკავებულნი, დიდი პატივით სარგებლობდნენ. მათ თავიანთი თავი მღვდლებზე აღმატებულად მიაჩნდათ და თავს უფლებას აძლევდნენ, მათზე უპირატესი დასაჯდომელი დაეკავებინათ; ამით ისინი არღვევდნენ იერარქიულ წესს ეკლესიაში, ამიტომ დაიგმო მსგავსი ქმედებანი ამ კანონით და კრებამ განმარტა, რომ სასულიერო იერარქიის ხარისხს ეკლესიაში გაცილებით აღმატებული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მათ მსახურებას, ვინც დაკავებულია ადმინისტრაციული და ეკლესიის საგარეო საქმეებით.

ამ კანონის თარგმანი, ისევე როგორც მთლიანად სჯულისკანონის ტექსტი, ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით ხასიათდება. კლება გვაქვს, როდესაც ეფთვიმე იესოს იგავს სრულად არ თარგმნის, მატებაა, როცა ჩამოთვლის საპარტიარქო კათედრებს.

ეფთვიმე

არსენი

გუუუწყა, ვითარმედ რომელთამე ეკლესიათა შინა დიაკონთა მიიღიან პატივი რამე საეკლესიოდ და მიზეზთა მით მის პატივისადათ დასხდებიან ზემოდთ ხუცესთასა. ამის უკუე ჯერისათვს ესრეთ განვაწესებთ, რაათა დიაკონსა რააცა პატივი საეკლესიოდ აქუნდეს, არა კელ-ეწიფებოდის ზემოდთ ხუცესთასა დაჯდომად, თვნიერ ამისა, ოდეს კრებამ სადმე დიდი იქმნას და მოივლინოს დიაკონი ნაცვლად პატრიარქისა, გინათუ ჰრომისა, ალექსანდრიისა, ანუ თუ იერუსალჴმისა, ანუ ანტიოქიისა, ანუ სხვსა ვისმე მდდელთმოდღუარისა. მაშინ ადგილსა მის მდდელთმოდღუარისასა დაჯდეს, რომელმან თვსად ნაცვლად მოავლინა იგი, ხოლო თვნიერ ამის მიზეზისა, უკუეთუ თვსითა თავვედობითა და ამპარტავნებითა ჰმძლავრობდეს დიაკონი ზემოდთ ხუცისა ჯდომად, ესევეთარი - იგი თვსისა პატივისაგან დაემჭუას დაუკანადაცნელყოველთასა იქმნას ეკლესიასა შინა თვსსა, რამეთუ არა ისმინა მცნებად უფლისად, რომელმან თქუა, რაათა არავინ ირჩევდეს ზეჯდომასა, რამეთუ: „ყოველმან, რომელმან აღიმადლოს თავი თვსი, დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვსი, ამაღლდეს“. ხოლო უკუეთუ სოფლიოთა ამათ პატივთათვს ზუაობდეს ვინ, ცუდად ზუაობს, რამეთუ სულიერნი პატივნი ჯორციელთასა უპატიოსნეს და უდიდებულეს არიან, ეგრეთვე სხუანი ყოველნი ხარისხნი სამდდელოთა პატივთანი; უმდაბლესი უმაღლესისა ზედადთ ყოფად ნუ ეპიებნ,

ვინადათგან ვისწავეთ რომელთამე ეკლესიათა შინა დიაკონთათვს, რომელთა ოფიკად სახელდებულნი იგი აქუნდეს პატივნი საეკლესიონი, ამიერ თავვედობათა რათმე და თვთსჯულობითა მჭუმეველობად და პირველ ხუცესთასა მსხდომარეობად მათი, განვასაზღვრებთ, რაათა დიაკონი დადათუ პატივსა რასმე, ესე იგი არს საეკლესიოსა რომელსამე ოფიკსა შინა, იყოს, ეგრევეთარი იგი არა დაჯდებოდის უწინარეს ხუცისა, გარნა თუ პირსა თვსისა პატრიარქისა ანუ მიტროპოლიტისასა მქონებელი სხუასა ქალაქსა მივიდეს მიზეზისა რადასათვსმე, რამეთუ მაშინ, ვითარცა ადგილისა მისისა აღმავსებელი, პატივ-იცემების. ხოლო უკუეთუ ვინმე მძლავრობითისა სილაღისა ჯუმევეთა იკადროს ქმნად ესევეთარისა რადასამე, ეგევეთარი იგი თვსისა ხარისხისაგან ქუე შთამოყუანებითა უუკუანადაცნელეს ყოველთადასა იქმენინ პატივსა მას შინა, რომელსაცა დაწესებულ იყო ეკლესიასა შინა თვსსა, ვინადათგან უფალი გუასწავებს ჩუენ, ვითარმედ: „ნუ გიხარინ პირველთა საინაქეთა ზედა“, წმიდასა სახარებასა შინა ლუკადსსა, ვითარცა თვთ მის უფლისა ჩუენისა და ღმრთისა მიერ წარმოითქუა მოძღურებად, რამეთუ იტყოდა წოდებულთა მიმართ იგავსა, რომელსა მოაქუნდა ვითამე მხილებად პირველთა მეინაქეთად, რამეთუ ჯმოზდა მათდა მიმართ: „რაჴამს მიგხადოს ვინმე ქორწილსა, ნუ დაჯდები პირველსა საინაქესა, ნუუკუე უპატიოსნესი ვინმე შენსა იყოს წოდებული მის მიერ და მოვიდეს, რომელმან-იგი შენ და მას გხადა და გრქუას: „ადგილ-

არამედ თვითოეული თვისა წესსა და საზომსა დასჯერდებოდენ.

ეც ამას“, მაშინ იწყო სირცხვლით უკუანაბსკნელსა ადგილსა დაპყრობად. არამედ რაჟამს გხადონ, დაუჯედ უკუანაბსკნელსა ადგილსა, რადთა რაჟამს მოვიდეს, რომელმან გხადა, და გრქუას შენ: „მეგობარო, აღმოვედ ზემორე“, მაშინ იყოს შენდა დიდებამ წინაშე ყოველთა თანამეინაჯეთა შენთა, რამეთუ ყოველმან, რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს და რომელმან აღიმადლოს, დამდაბლდეს“ (ლკ. 14,8-12). და ესევე დაიცვებოდედ სხუათაცა სამღდელოთა დასთა ზედა, ვინამთგან სოფლიოთა პატივთასა უვადრეს არიან სულიერნი.

ამ კანონში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ეფთვიმეს მცირე შემოკლებათა ხარჯზე ისეთი ცვლილებები შეაქვს ტექსტში, რომლებიც მხოლოდ ფორმას, აგებულებას ეხება და აზრობრივ სხვაობას არ ატარებს. „გუეუწყა, ვითარმედ რომელთამე ეკლესიათა შინა დიაკონთა მიიღიან პატივი რამე საეკლესიოდ და მიზეზთა მით მის პატივისათა დასხდებიან ზემოდთ ხუცესთასა“. ეს წინადადება ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ტექსტის შემოკლებისა. მთარგმნელი ტოვებს რამდენიმე ისეთ სიტყვას, ურომლისოდაც აზრი ნათელია.

არსენი დედნის შესაბამისად გვთავაზობს: „ვინამთგან ვისწავეთ რომელთამე ეკლესიათა შინა დიაკონთათვს, რომელთა ოფიკად სახელდებულნი იგი აქუნდეს პატივნი საეკლესიონი, ამიერ თავკედლობათა რათმე და თვთსჯულობითა მკუმეველობად და პირველ ხუცესთასა მსხდომარეობად მათი, განვასაზღვრებთ, რადთა დიაკონი დაღათუ პატივსა რასმე, ესე იგი არს, საეკლესიოსა რომელსამე ოფიკსა შინა იყოს, ეგრევითარი იგი არა დაჯდებოდის უწინარეს ხუცისა“.

როგორც ვხედავთ, არსენის თარგმანი უფრო რთულია. თუ წინა კანონებში ეფთვიმე არ თარგმნიდა ზოგიერთ ბერძნულ სიტყვას, ამ კანონში არსენს გადმოაქვს უთარგმნელად სიტყვა „offikia“ (ოფიკად, ოფიკსა შინა - “offikiw“), რაც თანამდებობად, საეკლესიო ჩინოვნიკებად (Of fikiat oi) ითარგმნება.

მეცხრე კანონი საეკლესიო კრებების მოწვევის საკითხებს ეხება. თარგმანებიც თითქმის არ განირჩევიან ერთმანეთისაგან.

მეათე კანონის თანახმად, სამღდელო დასის წევრებს არა აქვთ უფლება იქონიონ სავაჭრო დუქანი. მათ დუქანში სტუმრობაც კი ეკრძალებათ. ეფთვიმე ორიგინალურად თარგმნის კანონს: „ხუცესსა ანუ დიაკონსა, ანუ სხუასა მღდელობისა პატივითა პატივცემულსა, არა ჳელ-ეწიფების ღვნის

საფარდულისა სახლისა მოგებად, რომელსა ეწოდების კაპილიონ, რამეთუ შესლვადცა ესევეთარსა ქულბაგსა არა ჳელ-ეწიფების მდდელთა, ვითარ უკუე მოიგოს ესევეთარი სავაჭროდ? და ჳელ-ყოფად საქმესა უწესოსა, უკუეთუ კულა ესევეთარსა საქმესა შეუდგეს, ანუ დასცხერინ, ანუ განიკუეთენ მდდელობისაგან“.

არსენი ასე თარგმნის ამ კანონს: „არა ჳერ-არს, რადთა აქუნდის მოყუასსა ეკლესიისასა საკაპილიონოდ ქულბაგი, რამეთუ უკუეთუ არცათუ შესლვად კაპილიონად ბრძანებულ არს ეგევეთარისა მისდა, რადდენ უფროდს უწესო არს მისთვს სხუათა მსახურ-ყოფად მას შინა და რომელნი-იგი შეუტყუებელ არიან მისდა, ჳელ-ყოფად მათი, ხოლო უკუეთუ ვინმე მოქმედებდეს ესევეთართა, ანუ დასცხერინ, ანუ განიკუეთენ“.

ეფთვიმე ბერძნულ კაპილიონს (kaphl eio) ღვინის ფარდულად თარგმნის, არსენს პირდაპირ გადმოაქვს. გარდა ამისა, ეფთვიმე თხრობით წინადადებას კითხვითად თარგმნის.

მეთერთმეტე კანონი კრძალავს მევახშეობას სასულიერო პირებში. ეფთვიმეს თარგმანში მხოლოდ უმნიშვნელო მატებასთან გვაქვს საქმე, - „ესევეთარისა ხუეჭისაგან“ არის ჩამატებული.

მეთორმეტე კანონის თარგმანი დედნის ზუსტი ასახვით გამოირჩევა. კანონში საუბარია იმის შესახებ, რომ იკრძალება ყოველგვარი ურთიერთობა იუდეველებთან.

მეცამეტე კანონით VI მსოფლიო კრების მამები ეპისკოპოსებს უკანონებენ უქორწინებლობას. ამით მათ დააფიქსირეს ეკლესიის ცხოვრებაში უკვე დამკვიდრებული ჩვეულება. ამ კანონის თარგმანები შინაარსით სრულად ფარავენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ ეფთვიმეს თარგმანი დედნისაგან არ განირჩევა, გარდა ზოგიერთი მცირედი გამონაკლისისა, რაც დამახასიათებელია მისი სტილისათვის.

ეფთვიმე

არსენი

ესეცა მოვიდა სასმენელთა ჩუენთა, ვითარმედ ქუეყანასა აფრიკეთისასა და მათ კერძოთა ებისკოპოსნი, შემდგომად ებისკოპოსად დადგენისა, არა იჯმნიან თვსთა მეულლეთა თანა-ყოფად და ამით ჳერითა დიდად დასაბრკოლებლად ერისა იქმნებიან. ვინადთგან უკუე დიდად მოსწრაფე ვართ, რადთა ყოველივე აღსაშენებლად და სარგებლად სულიერთა სამწყსოთა იქმნებოდის, ამისთვს განვაწესებთ, რადთა ამიერთგან ესე საქმე არღარა იქმნას, დადაცათუ

და ესეცა მოიწია სასმენელთა ჩუენთა, ვითარმედ აფრიკეთს და ლიბიას და სხუათა ადგილთა შინა მუნ მყოფნი ღმრთისმოყუარენი ებისკოპოსნი თანამკვდრ-ყოფისაგან თვსთა მეულლეთადსა არცადა შემდგომად მათ ზედა მოსრულსა მის ჳელთდასხმისა იჯმნიან, ვითარცა საბრჯისა და შესაბრკოლებელისა დამრწყუმელნი სხუათანი. ამისთვს, ვინადთგან ფრიადი მოსწრაფებად გუაქუნდა ჩუენ, რადთა ყოველივე სარგებლად ჳელმწიფებასა ჩუენსა ქუეშე მყოფისა სამწყსოდას

პირველთა მათ ჟამთა იყო, არამედ აწ მადლითა ქრისტესითა უაღრესისა საზომისა მიმართ წარმართებულ არს ეკლესიად და ერი მორწმუნეთად და არა ჯერ-არს მღვდელთმოდღურობისა წესსა შინა ბიწისა დატეობად. ამისთჳს განვაწესებთ, რადთა არა კელ-ეწიფებოდის ებისკოპოსთა მეუ-ღლისა თანა-ყოფად, ვინამთგან ებისკოპოსობისა კურთხევაჲ მიიღონ, ვითარცა იტყვს წმიდაჲ მოციქული პავლე, ვითარმედ: „დაუბრკოლებელ იყვნით ჰურიათა და წარმართთა და ეკლესიათა ღმრთისათა, ვითარცა მე ყოვლითავე ყოველთა სათნო ვარ, რამეთუ არა ვემიებ თავისა ჩემისა უმჯობესსა, არამედ მრავალთასა, რადთა ცხოვნდენ. მობაძვ ჩემდა იყვნით, ვითარცა მე - ქრისტესა“ (I კორ. 10,31-11,1). ხოლო უკეთუ ვინმე შეურაცხ-ყოს წესი ესე და ენებოს მეუღლისა თჳსისა თანა-ყოფად, ესევეთარი-იგი ებისკოპოსობისაგან აღიკოცენ.

იქმნებოდის, განვაჩინეთ, რადთა ამიერიტგან არღარა იქმნეს ესევეთარი. ხოლო ამას ვიტყვთ არა დასაჯსნელად და დასარღუეველად სამოციქულოთა სჯულისდებათა, არამედ ვითარცა მაცხოვარებასა და უმჯობესისა მიმართ წარმატებასა ერისასა წინაგანმგებელნი და არა თავსმდებელნი, რადთა იპოებოდის რამე ბიწი სამღვდელოსა შინა დაწყნარებასა, რამეთუ იტყვს საღმრთოდ მოციქული, ვითარმედ: „ყოველსავე სადიდებლად ღმრთისა იქმოდეთ და დაუბრკოლებელ იყვნით ჰურიათა მიმართ და წარმართთა და ეკლესიათა ღმრთისადათა, ვითარცა მე ყოველთა ყოველსა შინა სათნო-ვეყოფი დაარა ვემიებ თავისა თჳსსა უმჯობესსა“, არამედ მრავალთასა, რადთა ცხოვნდენ. მობაძვ ჩემდა იყვნით, ვითარცა მე - ქრისტესა“ (I კორ. 10,31-11,1). ხოლო უკეთუ ვინმე განლაღნეს ქმნად ესევეთარისა, განიკუეთენ.

ეფთვიმესთან გვაქვს „ვითარმედ ქუეყანასა აფრიკეთისასა და მათ კერძოთა“; არსენთან - „ვითარმედ აფრიკეთს და ლიბიას და სხუათა ადგილთა“.

ეფთვიმე - „დასაბრკოლებლად ერისა იქმნებიან“; არსენი - „შესაბრკო-ლებელისა დამრწყუმელნი სხუათანი.“

ეფთვიმე - „პირველთა მათ ჟამთა იყო“; არსენი - „არა დასაჯსნელად და დასარღუეველად სამოციქულოთა სჯულისდებათა.“

ეფთვიმე - „წმიდაჲ მოციქული პავლე“; არსენი - „საღმრთოდ მოციქული.“

ეფთვიმე - „შეურაცხ-ყოს წესი ესე“; არსენი - „განლაღნეს.“

ეფთვიმე - „აღიკოცენ“; არსენი - „განიკუეთენ.“

როგორც ვხედავთ, თარგმანები ერთსა და იმავე აზრს გადმოსცემენ სინონიმური ან ახლოს მდგომი მნიშვნელობის სიტყვებით.

მეთოთხმეტე კანონი მღვდელმსახურთა ქორწინების შესახებ ძველ დროში გამოცემულ კანონიკურ განწესებას ამტკიცებს: პირველი კანონიერი ქორწინება არ უშლის ხელს სამღვდლო ხარისხის მიღებას; მეუღლებულ პირს, რომელსაც სურს სამღვდლო ხარისხი მიიღოს, არ მოეთხოვება მეუღლესთან გაყრა არც ხელდასხმამდე და არც მის შემდეგ; მღვდელმსახურებიდან განკანონებას ექვემდებარება, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი განიკვეთება ხარისხიდან ყოველი, ვინც კეთილკრძალულების საბაბით თავისგან

განიშორებს კანონიერ მეუღლეს; ზუსტად ასევე ექვემდებარება განკვეთას ის, ვინც სასულიერო პირს აიძულებს გაეყაროს თავის კანონიერ ცოლს.

ეს კანონი მიიღეს მღვდლების, დიაკვნებისა და იპოდიაკვნებისათვის. კანონის გამოცემის მიზეზი, როგორც ეს თვით კანონშია ნათქვამი, იყო ის, რომ კრების მამებმა შეიტყვეს რომის ეკლესიაში შემოდებული წესის შესახებ, რომლის თანახმად, სამღვდლო, სადიაკონო და საიპოდიაკონო კანდიდატების მხრიდან ხელდასხმამდე აუცილებელი იყო აღთქმის დადება მეუღლეებთან ცოლქმრული ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ და, მამასადაამე, უქორწინებლობის ვალდებულების აღება.

ამ კანონის ეფთვიმესეულ თარგმანში არაფერია ნათქვამი კანონის გამოცემის მიზეზზე, როგორც ეს არსენისეულ თარგმანშია. ეფთვიმემ საჭიროდ არ ჩათვალა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება, რადგან თარგმანი განკუთვნილი იყო ქართველი მკითხველისათვის და მისთვის მხოლოდ წესის ცოდნა იყო აუცილებელი. სხვა დანარჩენ საკითხებში თარგმანებს შორის სრული თანხვედრა გვაქვს, გარდა ერთი ეპიზოდისა, სადაც ეფთვიმეს სამი ციტატის ნაცვლად მოჰყავს მხოლოდ ორი:

ეფთვიმე – „რომელნი-იგი ღმერთმან შეაერთნა, კაციმცა ნუ განჰყოფს“ (მთ. 19,6), და წმიდამან მოციქულმან თქუა: „პატიოსან არს ქორწილი ყოვლითავე და საწოლი შეუგინებელ“ (ებრ. 13,4).

არსენი – „რომელი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ“ (მთ. 19,6), და მოციქული ასწავებს, ვითარმედ: „ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ“ (ებრ. 13,4), „და შე-თუ-კრულ ხარ მეუღლისადა, ნუ ეძიებ განკსნასა“ (I კორ 7,27).

მეთხოთმეტე კანონი საუბრობს, თუ რა ასაკის უნდა იყვნენ გამოსარჩევი პირები იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მათი დადგინება ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე. ეფთვიმემ ტრულის კრების მე-14 და მე-15 კანონები გააერთიანა, რადგანაც ორივე ეს კანონი ერთი და იგივე საკითხს ეხება და ერთ კანონად თარგმნა. ამით მან ის ცდომილება აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეული იყო ტრულის კრების კანონებში ბასილი დიდის კანონის ჩამატებით. მაგრამ აქვე, მომდევნო კანონის თარგმნისას, ეფთვიმე დედნისეული მეთექვსმეტე კანონის ნაცვლად გვთავაზობს მოციქულთა, მსოფლიო კრებათა კანონებსა და სხვა წმიდა მამათა კანონიკური ხასიათის ეპისტოლეების საფუძველზე შექმნილ კანონს, რომელიც მას შეუდგენია ქართული ქრისტიანული ეკლესიის იმდროინდელი მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კანონი შეეხება მარხვის საკითხებს: „ყოველთა მორწმუნეთა თანა-აც წმიდათა მათ მარხვათა განგებისაებრ მოციქულთა და მამათადასა მარხვად და კრძალულებით და სიწმიდით აღსრულებად დღეთა მათ მარხვისათა, რაჟთა ღირსებით მიიწიოს კაცად-კაცადი დიდებულსა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ვნებასა და წმიდასა აღდგომასა, ვითარცა განწესებულ არს წმიდათა მოციქულთაგან და ღმერთმემოსილთა მამათაგან. ხოლო ესეცა უწყებულ იყავნ, ვითარმედ არა ჯერ-არს რვათა შუდელთა მარხვად დიდთა მათ მარხვათა, ვითარ-იგი იქმან არიანოზნი, რომელნი-იგი გარდაჰკდებიან უფლისა მიერ განწესებულსა და

მოციქულთა მიერ ქადაგებულსა ორმოცთა დღეთა რიცხუსა შემატებითა სხვსა შვდელისადათა, რამეთუ მსგეფსსა მას ყველიერისასა მარხვათა თანა შეჰრაცხვენ, რომელ-ესე უწესო არს და გარეშე განგებისა მოციქულთა და მამასადათა. და არცა სხვსა მის შვდელისადა ჯერ-არს მარხვად, რომელსა არაჯგორ ეწოდების, რომელსა იმარხვენ იაკობიკნი მწვალებელნი, რამეთუ წმიდათა მოციქულთა ბრძანებითა უფლისადათა ესრეთ განაწესეს, რადათა ორმოც დღე იყოს წესი მარხვათადა და აღესრულების რიცხვ იგი ორმოცთა დღეთადა პარასკევსა ბზობისასა.

ხოლო სხუად იგი შვდელი, რომელ არს ვნებისადა, არა მარხვათათვს განწესებულ არს, არცა მათ თანა აღირიცხვის, არამედ ვნებისათვს უფლისა და წმიდისა აღვსებისათვს ვიმარხვით. და აღესრულებიან ორმოცითა მით დღითა და შვიდეულითა მით ვნების კვრიაკისადათა შვდნი შვდელნი. ხოლო შვდელსა მას ყველიერისასა, დადაცათუ კორცის ჭამად აკრებვის, რამეთუ განმზადებად არს მარხვათა შესღვისადა და რეცა წინამსრბოლი ხოლო მარხვათა თანა შერაცხვად არა ჯერ-არს. არცა არაჯგორთა მარხვად წეს-არს, ვითარცა წერილ არს რჩულსა შინა მოსესა: „დაიცევ სიტყუად, რომელსა გამცნებ შენ. არა შესძინო მას ზედა, არცა დააკლო მისგან“. და წმიდა იოვანე ნათლისმცემელი ესრეთ ქადაგებს, ვითარმედ: „ნურას უმეტეს განწესებულისა თქუენისა იქმთ“ და წმიდადა მოციქული პავლე იტყვს: „უკუეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ, მისა გარეშე, რომელი ჩუენ გახარებთ თქუენ, შეჩუენებულ იყავნ“.

და ჭეშმარიტად სიტყვსა მისებრ წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისა არა ჯერ-არს უმეტეს განწესებულისა ქმნად, რამეთუ ესრეთ შეემთხვა პირველქმნულსა მას ადამს, ჰრქუა მას ღმერთმან: „ესე ქმენ! ამას ნუ იქმ!“ მან უმეტეს განწესებულისა მისისა იწყო მიებადა და ბრძანებისა მას ღმრთისასა ურჩ-ექმნა; ამისთვს, რომელიცა-იგი აქუნდა, წარწყმიდა და სამოთხით ექსორია იქმნა. და კუალად არიან ვიეთნიმე, რომელნი დღეთა მათ მარხვისათა შაბათ-კვრიაკეთა მწუხრამდის იმარხვენ და ესეცა უწესოვე არს, რამეთუ მარკიანელნი და მესალიანელნი მწვალებელნი შაბათსა და კვრიაკესა სხუათავე დღეთა თანა შეჰრაცხვენ. გარნა არა წეს არს შაბათსა ანუ კვრიაკესა მარხვად, თვნიერ ხოლო დიდისა შაბათისა, რამეთუ შაბათი იკურთხა, რამეთუ მაშინ განისუენა ღმერთმან საქმეთა მისთაგან, ხოლო კვრიაკე წმიდა იქმნა აღდგომისათვს უფლისა. და არიან დღენი ესე ჯსნილი. ხოლო არა ჯერ-არს ქმნად შრომისადა ბრძანებულსა ზედა, ვითარცა დავით იტყვს, არამედ ვითარცა განწესებულ არს: ჯერ-არს შაბათისა და კვრიაკისა ჟამს მას სამხრისასა ჯსნად პირისა ჭამადითა სამარხვოდთა, რამეთუ არათუ განიყოფვიან რიცხვსაგან ორმოცთა დღეთასა პირისა ჯსნისათვს, ხოლო ხუთთა მათ დღეთა იმარხვიდენ, ვითარცა ვის ძალ-ედვას და გულსმოდგინებადა აწუევდეს. აწ უკუე კანონსა მას დავამტკიცებთ, რომელი იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ ვინ იმარხვიდეს კვრიაკესა, ანუ შაბათსა, თვნიერ ხოლო ერთისა მის შაბათისა, უკუეთუ მღდელი იყოს, აღიკოცენ, უკუეთუ ერისკაცი იყოს, უზიარებლობადა მიეცინ“ (მოც. კან. 64).

რამეთუ გუასმიეს, თუ ჰრომისა ქუეყანასა მარხვათა შაბათსა იმარხვენ,

არა კურიაკესა. ვამცნებთ უკუე მათცა, რადთა არა იქმოდინ ამას. ამისთჳს ვაუწყოთ პაპას ჰრომისასა, რადთა განაწესოს არღარა ქმნად ერისა მის მარხვაჲ შაბათისად”.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ეფთვიმე ამ კანონის შედგენისას. აღნიშნულ კანონში ჩვენი ყურადღება მიიპყრო კანონის პირველმა ნაწილმა, სადაც წერია, რომ ყოველი მორწმუნე ვალდებულია მარხვას იცავდეს მოციქულთა და მამათა განგებისამებრ, „რადთა ღირსებით მიიწიოს კაცად-კაცადი დიდებულსა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ვნებასა და წმიდასა აღდგომასა, ვითარცა განწესებულ არს წმიდათა მოციქულთაგან და ღმერთშემოსილთა მამათაგან”. როგორც ჩანს, ეფთვიმე სიტყვებში „განწესებულ არს წმიდათა მოციქულთაგან” გულისხმობს არა ზოგადად, მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა განწესებებს, რომლებიც კანონებისა და წესების შემოღებას აღნიშნავს და მეექვსე მსოფლიო კრების ეფთვიმეს თარგმანში ბერძნული დედნის „orizw“-ს და „diagoreuw“-ს უდრის (შდრ. მე-8, 27-ე და 41-ე კანონები) და რომლებსაც არსენი თარგმნის როგორც „განვასაზღვრებთ”, არამედ კლიმენტი რომაელის მიერ დაწერილ ნაშრომს „მოციქულთა განწესებანი” (Diatagai; twn apostolwn-Constitutiones apostolorum). ეს ძეგლი იმდენად მნიშვნელოვანი და იმდენად გამორჩეული იყო, რომ თავის დროზე იგი შედიოდა ახალი აღთქმის კანონში. შემდეგ მოხდა მისი ტექსტობრივი გაუკუღმართება გვიანდელ გადამწერთაგან სხვადასხვა მინარევების დართვის შედეგად და რადგანაც ამ ღირსეულს უღირსი ნაწილი შეერია, გამოყოფა იმისა, რა არის შენარევი და დანამატი და რა არის თავდაპირველი და წმიდა, ჩვეულებრივი მკითხველისათვის შეუძლებელი იყო, ამიტომ მთლიანად ამ ძეგლის მასობრივი მოხმარება აიკრძალა ეკლესიისაგან და ტრულის მსოფლიო კრებაზე სპეციალური განჩინება იქნა მიღებული. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ამ კრების შემდეგაც იყენებენ ამ წიგნს. ჯერ თვით VII ს-შიც წმ. მაქსიმე აღმსარებელი, წმ. გერმანე პატრიარქი, გიორგი კედრენე, გიორგი ამარტოლი და მერეც - სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი და სხვები არაერთხელ იმორწმუნებენ ჩვენთვის საინტერესო ძეგლს. ასე რომ, ვისაც გარჩევის უნარი და მადლმოსილება ჰქონდა და შესწევდა ძალა გამოეყო თავდაპირველი და კლიმენტისეული იმისაგან, რაც მას დაემატა და შეერია, მათთვის ეს წიგნი კვლავ ნარჩუნდებოდა წმიდა წიგნად და ეს რომ ასე არ ყოფილიყო და საერთოდ გაქვევებინათ იგი ეკლესიიდან, მაშინ ის ჩვენამდე არ შემოინახებოდა.

162

„მოციქულთა განწესებანი” დაწერილია რვა წიგნად და სხვადასხვა საკითხს ეხება. ისინი ასეა დასათაურებული: 1. საყოველთაო სწავლება ერისკაცთათვის (Kaqol ikh; didaskalia periv aikwn); 2. ეპისკოპოსების, ხუცესებისა და დიაკვნების შესახებ (Perivepiskopwn, presbuterwn kai; diakonwn); 3. ქვრივთა შესახებ (Periv chrwn); 4. ობოლთათვის (Periv ofranwn); 5. მოწამეთათვის (Periv marturwn); 6. განყოფათა შესახებ (Periv scismatwn); 7. მოღვაწეობის, ექპარისტიისა და ქრისტესმიერი ზიარების შესახებ (Periv politeia~ kai; eucaristia~ kai; th~ kata vcriston muhsaw~); 8. წყალობათა, ხელდასხმისა და საეკლესიო კანონთა შესახებ (Periv carismatwn kai; ceirotonian kai; ekklesiastikwn);

„მოციქულთა განწესებანი“-ს უდიდესი ნაწილი (კერძოდ, ექვსი წიგნი) ეფუძნება ჩვენამდე ძირითადად სირიულ ენაზე შემონახულ ვრცელ საეკლესიო რჯულდებას, სათაურით: „მოდვრება, ანუ საყოველთაო სწავლება მაცხოვრის თორმეტი მოციქულისა და წმიდა მოწაფისა,“ რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, წოდებულია როგორც მოციქულთა მოძღვრება ანუ „დიდასკალია“ (Didaskalia-მოდვრება). მეშვიდე წიგნის ძირითად ნაწილს საფუძვლად უდევს დღეისათვის უკვე კარგად ცნობილი ძეგლი „დიდაქე“, ხოლო მერვე წიგნი წყაროდ იყენებს იპოლიტე რომაელის (+ 237) უმნიშვნელოვანეს თხზულებას სათაურით „სამოციქულო გადმოცემა“ (ἡ ἀποστολικὴ παράδοσις). საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ მერვე წიგნის და, საზოგადოდ, „განწესებათა“ ბოლო ნაწილად წარმოდგენილია ის ძეგლი, რომელიც „მოციქულთა კანონებად“ იწოდება და დიდ სჯულისკანონშია შეტანილი. ეს ძეგლი ადრე, ცხადია, დამოუკიდებლად უნდა არსებულებოდა, რადგანაც იგი თვით იხსენიებს „მოციქულთა განწესებანს“. 85-ე კანონში, სადაც ჩამოთვლილია ახალი აღთქმის კანონიკური ძეგლები, ერთადერთი სწორედ ეს შრომაა, რომელსაც მცირე კომენტარი და შეფასება ერთვის: „განწესებანი თქვენ, ეპისკოპოსთანი, ჩემ, კლიმენტოსს მიერ რვათა წიგნთა შინა აღწერილნი, რომელთაჲ არა ჯერ-არს ყოველთა შორის საანჯმნო-ყოფად მათ შორის მყოფთათვის საიდუმლოთა“. ე.ი. ამ ძეგლის ყველასათვის წაკითხვა არაა რეკომენდებული მასში არსებული საიდუმლოებების გამო (dia ta; autai; mustika). აქ, თავისთავად ცხადია, არანაირად არ იგულისხმება საიდუმლონი იმ გაგებით, რომ თითქოს რაღაც ეზოთერულობაა, დაფარულობაა, რაღაც ელიტარული ხაზია, რჩეულთა ტრადიციია. საეკლესიო მოძღვრება გამორიცხავს ეზოთერიზმს. ეკლესიაში ერთადერთი საიდუმლოებებია განკუთვნილება მხოლოდ შვიდ წმიდა საიდუმლოს, რომლებიც ეკლესიის საფუძველს და არსს შეადგენენ. აი, ეს შვიდი წმიდა საიდუმლოებითი ქმედება საიდუმლოა არა იმის გამო, რომ მხოლოდ ზოგიერთისთვისაა განკუთვნილი, არამედ შესაძლებლობითად ესენი ყველა ადამიანისთვისაა და ეკლესიური მოღვაწეობის მიზანდასახულობა არის ის, რომ ისინი შემოიყვანოს ამ საიდუმლოთა წიაღში. საიდუმლოებები კი მხოლოდ იმიტომ ეწოდებათ, რომ ამ წესთა მოქმედების ძალა ადამიანისაგან მიუწვდომელია.

„მოციქულთა განწესებანი“ თავდაპირველად მასობრივი მოხმარებისათვის არ იყო განკუთვნილი მასში აღწერილი სიწმინდის გამო, ხოლო მეექვსე საუკუნისათვის კვლავაც არ იყო გამართლებული მისი მოხმარება უკვე სხვა მიზეზით, - ის გადამწერთაგან და ყალბისმქმნელთაგან მრავალგვარ უკეთურ მინარევს და არამართლმადიდებლური წყაროდან დანამატს შეიცავდა.

რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეფთვიმე მეთექვსმეტე კანონის შედგენისას აღნიშნულ წყაროს იყენებს? ეფთვიმეს შეკითხვებზე აპოკრიფულ წიგნებთან დაკავშირებით, თუ რომელში არის ნამდვილი, პირველადი და სწორი თხრობანიო, პასუხობდა: „თვით საქმისგან მისა საცნაურ იყოსო“. ამდენად, ეფთვიმეს, როგორც ზემორე ჩამოთვლილ წმიდა მამებს, შეეძლო განერჩია წმინდა, თავდაპირველი ნაწილი იმისაგან, რაც მას შეერია.

ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი წმ. იოანე დამასკელი († 750) თავის ქადაგებაში - „წმიდა მარხვათა შესახებ“ შენიშნავს: „როდესაც ამოვიკითხეთ წმიდა მოციქულთა განწესებანი, ეს განჩინება ვნახეთ: საჭიროა ვიმარხოთ წმიდა ორმოცეული (Tessarakh)“.

ეფთვიმეს ეს კანონიც იუწყება, რომ არ შეიძლება დიდმარხვაში რვაკვირიანი მარხვის დაცვა, როგორც ამას არიანელები აკეთებენ, რომლებიც უფლის მიერ განწესებულ და მოციქულთა მიერ ქადაგებულ 40 დღეს კიდევ ერთ შვიდეულს უმატებენ, რადგან ყველიერის კვირასაც მარხვის კვირად თვლიან, რაც უწესობაა და ეწინააღმდეგება მოციქულთა და მამათა განგებას.

არც არაჯგორის კვირა ითვლება მარხვად, როდესაც იაკობიტი მწვალებლები მარხულობენ, რადგან წმიდა მოციქულებმა, უფლის ბრძანებით, განაწესეს, რომ 40 დღე იყოს მარხვა. 40 დღე მთავრდება ბზობის პარასკევ დღეს. მას მოჰყვება ვნების კვირა, როდესაც უფლის ვნების გამო ვმარხულობთ.

და იმ ორმოცი დღითა და ვნების შვიდეულით სრულდება შვიდი კვირა, დიდმარხვა.

ყველიერის კვირაში ხდება ხორცის აღება, რადგან ვეშაადებით მარხვაში შესასვლელად, მაგრამ ეს კვირა მარხვის კვირებში არ ითვლება.

გარდა ამისა, როდესაც კანონში საუბარია მარკიანელი და მესელიანელი მწვალებლების შესახებ, რომლებიც დიდმარხვის პერიოდში შაბათ-კვირასაც მარხულობდნენ მწუხრამდე, ეს ეპიზოდის მოციქულთა განწესებებიდან არის აღებული. მეხუთე წიგნის მეოცე მუხლს და მეშვიდე წიგნის ოცდამესამე მუხლს სწორედ ეს ცრუსწავლება აქვთ მხედველობაში, რის გამოც მარხვას შაბათობითა და კვირაობით არა მხოლოდ განიკითხავენ, არამედ ხაზგასმით უწოდებენ მას ცოდვას. ზუსტად ასევე გვასწავლიან ეკლესიის მამები და მოძღვრები. მოციქულთა 64-ე კანონი, რომელიც ასევე შეაქვს ეფთვიმეს ამ კანონში, ამტკიცებს მართლმადიდებლურ სწავლებას შაბათსა და კვირას მარხვის აკრძალვის თაობაზე და აძლევს რა ამ სწავლებას საეკლესიო სამართლის სახეს, მის დარღვევაში მხილებულ სასულიერო პირს ხარისხის აყრით ემუქრება, ერისკაცს კი - წმიდა ზიარებისგან განყენებით. როგორც ამ კანონის, ასევე მოციქულთა განწესებების თანახმად (II, 59; VIII, 83), გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დიდი შაბათი, რადგან როგორც ბალსამონი ამ კანონის განმარტებაში აღნიშნავს, ამ დღეს უფლის სხეული საფლავში მკვდარი იწვა და მან ამ დღეს მოგვცა მარხვის მცნება (შდრ. მარკ. 2,20; ლუკა. 5,35).

ეფთვიმეს ამ კანონში შეაქვს აგრეთვე ტრულის კრების 55-ე კანონი, რომელიც რომის ეკლესიას მოუწოდებს, რომ დიდმარხვაში აკრძალოს თავის ეკლესიაში შაბათის მარხვა. აუცილებელია განვმარტოთ, რომ საუბარია მშრალ მარხვაზე (მშრალი საკვების მიღებაზე), როცა აკრძალულია მთელი დღე, საღამომდე, ჭამა. ამ დღეებში მხოლოდ მშრალი კვებაა აკრძალული და ნებადართულია ნაკლებ მკაცრი მარხვა, ვიდრე მარხვის შვიდეულის დანარჩენ დღეებში.

მეჩვიდმეტე კანონად ეფთვიმეს ტრულის კრების 56-ე კანონი გადმოაქვს. კანონი შეეხება სომხებს, რომლებსაც თავიანთი განსაკუთრებული აზრი ჰქონდათ რძის ნაწარმზე და თვლიდნენ, რომ თევზი უფრო ცხოველური

საკვებია, ვიდრე რძის ნაწარმი, რამეთუ თევზი ნამდვილი ცხოველია, ხოლო რძის ნაწარმი არსობრივად მხოლოდ ცხოველთა საკვების წვენია და, ამის საფუძველზე, თავს უფლებას აძლევდნენ დიდმარხვის შაბათსა და კვირას საკვებად ყველი და კვერცხი მიეღოთ, ხოლო თევზისაგან ამ დღეებში თავს იკავებდნენ. ამ ბოროტმოხმარების წინააღმდეგ აღდგნენ ამ კანონის მიღებით ტრულის კრების მამები, თანაც ამ განწესების შეუსრულებლობისათვის საეკლესიო კრებულის წევრები განკვეთას დაუქვემდებარეს, ერისკაცები კი - ზიარებიდან განკანონებას.

ეფთვიმეს თარგმანი ამ კანონისა უფრო ვრცელია, ვიდრე არსენისეული. საქმე ის გახლავთ, რომ მთარგმნელი ავრცობს დედნის იმ ადგილებს, სადაც მწვალებელთა კრიტიკაა მოცემული. იგი საკუთარი პოზიციის გამომხატველი ჩანართით ცდილობს, მკითხველი სამეუფო გზით ატაროს და აარიდოს მწვალებლობის მიხრებლს. „ესე უკუე უჯერო არს და სრულიად უწესოა, რამეთუ ეშმაკი რომელთამე მარჯულ აცთუნებს და რომელთამე მარცხენით წარსტყუნავს. ხოლო ჩუენ სამეუფოსა გზასა სლვაჲ თანა-გუაჲ და ვითარცა ზემო ვთქუთ, თუ არა წეს არს შაბათსა და კვირაჲსა მარხვაჲ, არამედ ჯერ-არს ჟამსა სამხრისასა პირის ჳსნაჲ ჳამადითა სამარხვოჲთა, ეგრეთვე აწ მარცხენითისა ამის ცდომისაგან განვკარძალებთ ყოველთა ქრისტიანეთა და ვამცნებთ“, რომ ღვთის ეკლესია ყველგან ერთ წესზე უნდა იყოს და წმიდა მარხვას წესიერად იცავდნენ და ეკრძალებოდნენ როგორც ხორცის ჳამას, ასევე ყოველგვარი წველისა (რძის ნაწარმი), - ყველისა, რძისა და კვერცხისა, რაც ნაყოფია ცხვართა, ძროხათა და ფრინველთა, რადგან წმიდა მარხვაში წესი არაა მათი გემოს ხილვა.

როგორც ვხედავთ, დიდმარხვაში რომის ეკლესიის მკაცრ მარხვას შაბათობით და სომხების ლიბერალურ დამოკიდებულებას შაბათის მარხვისადმი, მსოფლიო კრებები მწვალებლობად მიიჩნევს და ამ წესის მიმდევრების განკვეთასა და ერისკაცთა უზიარებლობას ადგენს.

ეფთვიმე კიდევ უფრო გამოწვლილვით განიხილავს სომხურ ეკლესიაში გავრცელებულ მავნე ჩვევებს და მიიჩნევს, რომ როდესაც აიგივებენ წველას (რძის ნაწარმი), თევზსა და ღვინოს, - ეს არის სრული სიცოფე და უგუნურება და ეშმაკისაგან ძლევა. ყოველი უწესო და განდრეკილი მოძღვრება ეშმაკის მიერ არის დამკვიდრებული და ვინც ამას სჩადის, განყოფილნი არიან კათოლიკე ეკლესიისაგან. წმიდა მარხვის დროს რძის ნაწარმის ჳამა არც შაბათ-კვირას, არც სხვა დღეებში არ შეიძლება. უძლურების ან სხვა მიზეზების გამო შეიძლება მხოლოდ თევზის, ზეთის და ღვინის მიღება და აქვე უთითებს: ხარების დღესასწაული თუ დიდმარხვაში მოხვდეს, ხსნილია თევზით, ზეთით და ღვინით.

ეფთვიმე მეჩვიდმეტე კანონს ხარების დღესასწაულზე მსჯელობით ამთავრებს. იგი თვლის, რომ დღესასწაულების საკითხი აქტუალურია ქართველი მკითხველისათვის და შემდეგ კანონად ამ საკითხს განიხილავს. ეს კანონი არ შედის ტრულის კრების კანონებში. როგორც ჩანს, ეფთვიმეს ის მოციქულთა განწესებების მიხედვით უნდა შეედგინა, რადგან ამ კანონის

ზოგიერთი ადგილი პარალელს პოულობს „დიდი სჯულისკანონის“ სტატიებს შორის, კერძოდ, „განწესებანი წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლესნი“-ში. დასახელებული სტატია, ე. გაბიძაშვილის აზრით, არსენ იყალთოელს არ უთარგმნია და ხელნაწერებში მოგვიანებით გაჩნდა. იგი „მოციქულთა განწესებების“ VIII წიგნის შემადგენელი ნაწილია. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეფთვიმესესკანონი „მოციქულთა განწესებების“ მიხედვით შეუდგენია. „წმიდათა მოციქულთა მიერ დადებულსა მას წესსა ჩუენცა დავამტკიცებთ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „გამცნებთ თქუენ, მორწმუნენო ერნო ქრისტესნო, რაათა დაიმარხნეთ მცნებანი უფლისანი და დღესასწაულობდეთ დღესასწაულთა ცხორებისა ჩუენისათა: პირველად - შობასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, ოდეს-იგი იშვა ჯორციელად წმიდისა ქალწულისა მარიამისგან, რომელი განვაწესეთ დღესასწაულობად თუესა დეკემბერსა კე (25). ამისა შემდგომად დღესასწაულობდით დღესა მას ნათლისღებისა უფლისა, თუესა იანვარსა ვ (6), ოდეს-იგი ნათელიო იორდანესა მდინარესა იოვანესაგან ნათლისმცემელისა და მოვიდა მის ზედა სული წმიდაა სახედ ტრედისა და მამამან ზეგარდმო წამა ძედ საყუარელად.

ხოლო შემდგომად ამის დღესასწაულისა, წარკდენ რაჲ დღენი რავდენნიმე და მოეახლოს ჟამი ქრისტეს ვნებისა და აღდგომისაჲ, უწინარეს შვდისა შვდეულისა განგვწესებიეს მარხვაჲ ორმეოც დღე, რომელი-იგი მიიღებს დაწყებასა დღესა ორშაბათსა და აღესრულების დღესა პარასკევსა. ესე ვითარნი-იგი ორმეოცნი დღენი იმარხნეთ რაჲ, მოღუაწებით და ლმობიერთა ლოცვითა ადასრულებთ კვრიაკე ბზობისაჲ და შეწირეთ უფალსა გალობად, ვითარცა ყრმათა მათ უმანკოთა მიეგებვოდეს რაჲ და იტყოდეს: „ოსანა მალალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა“ (იოვანე 12,13). და მეყსეულად იწყეთ მარხვაჲ შვდეულსა მას ქრისტეს ვნებისასა და იმარხენით დღენი იგი წარწყმედულთა მათთჳს ჰურიათა, რამეთუ ესრეთ გუამცნო უფალმან, რაათა ვიმარხნეთ ექუსნი იგი დღენი ურჩულოებისა მისთჳს ჰურიათაჲსა და ვიგლოვდეთ წარწყმედისათჳს მათისა, რამეთუ თავადიგა უფალი ცრემლოოდა მათთჳს, რამეთუ დღესასწაულსა მას მათსა შეიპყრეს უფალი და მისცეს სიკუდილად და უცხოთესლმან მან მსაჯულმან დაიბანნა ჳელნი თჳსნი წინაშე ერისა მის და თქუა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მართლისა ამის, თქუენ იხილეთ“. ხოლო ჰურიათა ჳმა-ყვეს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა და არა გვვის მეფე, გარნა კეისარი“. ამისთჳს ჯერ-არს გლოვაჲ წარწყმედისა მათისაჲ, ნუუკუე მოიქცენ და შეინანონ, ამისთჳს დღეთა მათ ვნებისათა განგვწესებიეს მარხვაჲ ექუსი დღე - ორშაბათითგან ვიდრე შაბათამდე - და მასვე ხუთშაბათსა ადასრულებთ ჳსენებაჲ სერობისაჲ მის, რომელ ადასრულა უფალმან მოწაფეთა თჳსთა თანა და მისცა მათ აღსრულებაჲ საიდუმლოთაჲ და მერმე მოირტყა არდაგი და დაჰბანნა ფერჳნი მათნი. ამის შემდგომად განვიდა მათ თანა ლოცვად მტილსა მას, სადა-იგი მოვიდა იუდა ჰურიათა თანა და შეიპყრეს იგი და წარუდგინეს წინაშე მღდელთმოდღუარისა მის

ულირსისა და მიერ წარიყვანეს და მისცეს პონტოელსა პილატეს და დასაჯეს სიკუდილად უბრალოდ იგი. ამათ დღეთა იკმარებდით პურსა და წყალსა და მხალსა, რამეთუ დღენი არიან გლომსა და არა დღესასწაულობისანი. და შაბათიცა იგი იმარხეთ. არა თუ სხვსა შაბათისაჲ ჯერ-არს მარხვად, არამედ მის ოდენ შაბათისაჲ, რამეთუ დამზადებელი ყოველთაჲ საფლავსა შინა იყო. ამისთვის პარასკევსა მას და შაბათსა იმარხეთ ჯუარცუმისათვის უფლისა და დაფლვისა. რომელი შემძლებელ იყოს, ორსავე მას დღესა ნურას ჭამს, ვიდრე შუალამემდე შაბათისა, ხოლო რომელსა ესე ვერ შეეძლოს, პარასკევსა მწუხრი მიიღოს საზრდელი პური და წყალი და შაბათი კუალად იმარხოს შუალამემდე, რამეთუ უფალმან ესრეთ ბრძანა: „ოდეს ამალდე მათგან სიძე იგი, მაშინ იმარხონ“ (მარკ. 2.20). ამათ უკუე დღეთა ამალდა ჩუენგან და ჯუარსა შეემსჭუალა და საფლავსა დაიდვა. ამისათვის გამცნებთ თქუენ მარხვასა, ვითარცა ჩუენ ვიმარხეთ დღეთა მათ.

ხოლო მწუხრი შაბათისა, განთიად ერთშაბათისა მის, რომელ არს კვრიაკე, მწუხრითგან შუალამემდის იღვებდით და ილოცევდით და აღდგომასა მას უფლისასა შეწირეთ მსხუერპლი იგი უსისხლოდ, ვითარცა თავადმან ბრძანა, ვითარმედ: „ამას იქმოდეთ მოსაჯენებელად ჩემდა“ (ლუკა 22;19). და ეზიარნეთ რად ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, განიკენით მარხვად და განთიად წმიდისა მას კვრიაკესა იხარებდით, რამეთუ წინდი იგი დასაბამი აღდგომისა ჩუენისაჲ, იესუ ქრისტე აღდგა მკუდრეთით, და მესამესა ჟამსა დღისისა აღასრულეთ წმიდაჲ ჟამისწირვად და ეზიარნით საადუმლოთა ქრისტესთა და იხარებდით სიხარულითა წესიერითა და იყავნ ესე თქუენდა შჯულად სამარადისოდ, ვიდრემდის მოვიდეს უფალი მეორითა მით დიდებულითა მოსლვითა მისითა.

ხოლო აღასრულოთ რად დღე იგი აღდგომისაჲ, რომელ არს აღვსებაჲ, პირველით დღითგან კვრიაკით აღრაცხეთ დღე ორმეოცი და აღასრულეთ დღესასწაული ამალღებისა უფლისაჲ.

და შემდგომად ათისა დღისა, რომელ არს დღითგან აღდგომისაჲთ დღე მეერგასისე, იყავნ თქუენდა დღესასწაული დიდი, რამეთუ მას დღესა სამ ჟამ ოდენ მოავლინა ჩუენ ზედა უფალმან ნიჭი სულისა წმიდისაჲ.

ხოლო შემდგომად დღისა მის, რომელ არს მარტულიაჲ, დღესასწაულობდით შჯდეულსა მას და მერმე კუალად იმარხეთ, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს სიხარული ნიჭთა ზედა ღმრთისათა და კუალად მარხვად შემდგომად განსუენებისა, რამეთუ ყოველნი წმიდანნი და წინასწარმეტყუელნი იმარხვიდეს, ვითარცა მოსესთვს წერილ არს და ელიაჲსთვს და დანიელისთვს, ხოლო შემდგომად მარხვისა მის ყოველთა ოთხშაბათ-პარასკევთა გამცნებთ თქუენ მარხვად ძალისაებრ კაცად-კაცადისა და ნამეტნავსა მას მარხვასა თქუენისასა მისცემდით გლახაკთა. ხოლო ყოველსა შაბათსა, გარეშე ერთისა მის, და ყოველსა კვრიაკესა შეკრებოდეთ ლოცვად და ჟამისწირვად და იხარებდით სიხარულითა სულიერითა, რამეთუ ბრალსა ქუეშე არს, რომელმან კვრიაკე იმარხოს, ანუ მარტულიაჲ, ანუ სხუანი იგი საუფლონი დღესასწაულნი, რამეთუ არა ჯერ-არს ესე ვითართა მათ დღესასწაულთა გლოაჲ, არამედ

სიხარული და მადლობად ღმრთისად.

ხოლო მარხვად თქუენი ნუმცა არს ორგულთა მათ თანა მწვალებელთა, რომელნი იმარხვენ ორშაბათსა და ხუთშაბათსა და შაბათსა.

ხოლო თქუენ, მორწმუნენო, ხუთთა მათ დღეთა შვდელისათა კელ-გეწიფების მარხვად და უმეტესად ოთხშაბათსა და პარასკევსა, რამეთუ ოთხშაბათსა უფლისათვს ბოროტი იგი განზრახვად იქმნა ჰურიათად და პარასკევსა ჯუარს ეცუა უფალი. ამისათვს განწესებულ არს ორთა მათ დღეთა მარხვად.

ხოლო შაბათსა ნუ იმარხავთ, რამეთუ დღე არს დაბადებისა ჰსენებისა და კვრიაკესა ყოველსა დღესასწაულობდით, რამეთუ დღე არს ქრისტეს აღდგომისა. ერთსა ხოლო შაბათსა ჯერ-არს მარხვად დაფლვისა მის უფლისა, ვითარცა ზემოწერილ არს, რამეთუ მოსეცა ესრეთ განუწესა ერსა მას ისრაჴლისასა ბრძანებითა უფლისა მათა სამგზის დღესასწაულობად წელიწადსა შინა: დღესასწაულსა მას უცომოებისასა, ათოთხმეტითგან პირველსა თვსა ვიდრე შვდ დღემდე, უცომოდსა და ველისყრდელისა ჰამად და მიერითგან აღრიცხვად ერგასის დღე და დღესასწაულობად; და კუალად იე(15) მეშვდისა თვსასა აღსრულებად დღესასწაულსა კარვობისასა. ამისთვს აღსრულებიან ჩუენ მიერცა ქრისტიანეთა სამნი მარხვანი წელიწადსა შინა, რომელთა მოასწავებდეს დღესასწაულნი იგი. და უმეტეს სამთა მათ მარხვათა საეკლესიოდ არა ჯერ-არს მარხვისა ქადაგებად, კაცად-კაცადი ხუთთა მათ დღეთა შვდელისათა და უმეტესად ოთხშაბათ-პარასკევსა, ვითარცა ძალ-ედვას, იმარხევდინ, ვითარცა წერილ არს კუალად განგებასა შინა მოციქულთასა, ვითარმედ: „ჩუენ, პეტრე და პავლე, გამცნებთ თქუენ: მონანი, გინა აზნაურნი შურებოდინ სხუათა მათ დღეთა, ხოლო შაბათსა და კვრიაკესა მოვიდოდენ ეკლესიად, რა მათა ისმენდნენ სწავლასა ღმრთისმსახურებისასა“¹.

შვდელულსა მას ვნებისასა და შემდგომად აღდგომისა შვდელულსა ახალ კვრიაკისასა უქმობად არს, რამეთუ ერთი იგი შვდელი ვნებისა არს და მეორე - აღდგომისა². დღესასწაულსა ამაღლებისასა უქმობად არს, რამეთუ მაშინ იქმნა აღსრულებად ქრისტეს განგებულებისა³.

მარტულიად უქმობად არს, რამეთუ მაშინ მოვიდა სული წმიდა⁴.

ქრისტესშობად უქმობად არს, რამეთუ მაშინ იშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ქალწულისაგან .

168

განცხადებად უქმობად არს, რამეთუ მაშინ ნათელ-ილო უფალმან და მამამან წამა მედ საყუარელად და სული წმიდად მოვიდა მის ზედა სახედ ტრედისა⁵.

ესე დღესასწაულნი: ქრისტეშობად და განცხადებად და ბზობად, ჯუარცჳმად და აღდგომად, ამაღლებად და მარტულიად არიან წმიდათა მოციქულთა მიერ განწესებულ, ხოლო სხუანი იგი დღესასწაულნი: მიგებებად, ფერისცვალებად,

.....
 1 დიდი სჯულისკანონი 1975:228
 2 იქვე.
 3 იქვე.
 4 იქვე.
 5 იქვე, გვ. 229.

ამაღლებად ჯუარისად, რომელ არს ჯუართა აპყრობად, ხარებად ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მიცვალებად მისი და ღმრთისმშობელის შობად და ტაძრად მოყვანებად და ენკენიად, - ესე ყოველნი წმიდათა კრებათაგან დაწესებულ არიან. და ეგრეთვე ჯერ-არს დღესასწაულობად და უქმობად, ვითარცა ზემოწერილ არს მოციქულთა განგებითა. ეგრეთვე წმიდათა მოციქულთა საკსენებელსა განწესებულ არს დღესასწაულობად. ესე ყოველი აღვწერეთ განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთა და მამათაჲსა, რადთა უწყოდინ ყოველთა, თუ ვითარ არს წესი მარხვისაჲ, ანუ ოდეს არა ჯერ-არს მარხვაჲ.

ხოლო სხუათა ყოველთა დღეთა მარხვაჲ წესიერი კეთილ არს და შუენიერ და ნაყროვანებაჲ და მთრვალობად ბოროტ არს და სავნებელ, რამეთუ მარხვაჲ სამოთხესვე შინა განიწესა. პირველი მცნებაჲ ესე მიიღო ღმრთისაგან ადამ: არა ჭამად ხისა მისგან ცნობადისა, რომელ-ესე მცნებაჲ იყო მარხვისაჲ. უკუეთუმცა მაშინ ადამს და ევას ემარხა, არამცა საკმარ იყო აწ ჩუენდა მარხვაჲ. ვინაჲთგან მათ არა იმარხეს, გამოვვარდით სამოთხით და საკმარ-იქმნა მიერიტგან მარხვაჲ, ამისათჳს მოვიდა უფალი სოფლად და იმარხა ორმოც დღე, რადთა წამალი ცხორებისა გუასწავოს. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ჯერ-არს მარხვაჲ წესიერი სათნოდ უფლისაჲ, ესე იგი არს უცხო-ყოფად თავთა ჩუენთად ყოველთაგან ბოროტთა და ყოვლისაგან ნაყროვანებისა და მთრვალობისა, რადთა სთნდეს უფალსა ცხორებაჲ ჩუენი და ღირს-გუყვენეს სასუფეველისა მისისა“.

მეთვრამეტე კანონით ეფთვიმემ ერთგვარი ეორტაოლოგიური კალენდარი შეუდგინა ქართულ ეკლესიას.

მეცხრამეტე კანონი ეფთვიმეს ტრულის კრების კანონებიდან აქვს აღებული. ამ კანონით ის უბრუნდება ძირითად თანმიმდევრულ ხაზს კანონებისას, რა სახითაც ისინი წარმოდგენილნი არიან ბერძნულ დედანსა და არსენისეულ თარგმანში. მეცხრამეტე კანონი უდრის დიდი სჯულისკანონის შესაბამისი ტექსტის მეჩვიდმეტე კანონს, რაც გამოწვეულია ეფთვიმეს მიერ ზემორე კანონების ჩამატებით ტრულის კრების კანონების ძირითად ტექსტში. კანონში საუბარია იმის შესახებ, რომ საეკლესიო დასის წევრებს თავიანთი ეპისკოპოსის ნებართვის (განსატევებელი სიგელის) გარეშე არ ჰქონდათ უფლება ეპარქიის დატოვებისა და სხვაგან გადასვლისა.

თარგმანები არ განირჩევიან ერთმანეთისაგან, გარდა უკანასკნელი წინადადებისა, რომელსაც ეფთვიმე უმატებს, მისი ფუნქციიდან და სტილიდან გამომდინარე, რომ თუ ვინმე გადაწყვეტს მონაზვნად წასვლას, მაშინ ეპისკოპოსმა ლოცვითა და კურთხევით უნდა გააგზავნოს იგი და არ დაუშალოს კეთილი გზით სვლა.

მე-20, 21-ე, 22-ე კანონების თარგმანები დედნის ზუსტი ასახვით გამოირჩევა. თარგმნის დროს გამოყენებულია სინონიმური ან ერთმანეთთან მნიშვნელობით ახლოს მდგომი სიტყვები: „ზედადასხმად წარმართთად“ - „ბარბაროზთა ზედამარბეველობისაჲთა“. „აჩუენებდენ თჳსსა გულისკმის-ყოფასა“ - „აჩუენებდინ კეთილგამოცდილებასა თჳსსა“.

23-ე კანონი ეფთვიმესთან და არსენთან შინაარსით იგივეა, მაგრამ ათონელი მწიგნობარი მას განსხვავებულად თარგმნის. ის აზრი, რაც ჩადებულია ამ კანონში, მისთვის სრულიად გასაგებია. მან ტექსტი უფრო მარტივად და ქართველი მკითხველისთვის გასაგებად თარგმნა.

24-ე კანონი გვაუწყებს, რომ თუ ვინმე მღვდელმომღვარმა ქრთამითა და საჩუქრის მიიღებით აკურთხოს ეპისკოპოსი, ან ხუცესი, ან დიაკვანი, ან სხვა ვინმე სამღვდელო პირი და სავაჭროდ აქციოს უსყიდელი მადლი და სათნოებისათვის კი არ მიიღოს სამღვდელოებაში, არამედ ქრთამისა და საფასისათვის, ასეთი ქმედებისათვის უნდა განიკვეთოს არა მხოლოდ ის პირი, ვინც ამ გზით მიადღია რაიმე იერარქიულ ხარისხს, არამედ ისიც, ვინც იგი დაადგინა. ეს კანონი არსენის თარგმანში რიგით ოცდამეორეა. ეფთვიმეს თარგმანი არსენის თარგმანთან შედარებით საგრძნობლად ვრცელია. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ეფთვიმე ხშირად კანონების ერთგვარ ვრცელ განმარტებებს გვთავაზობს. ამ შემთხვევაშიც „მეცამეტე მოციქული“ კანონს ჯერ მოციქულთა 29-ე კანონით განავრცობს, შემდეგ კი სრულად გვთავაზობს წმ. ბასილი დიდის ეპისტოლეს, რომელიც მისწერა თავის ეპისკოპოსებს, „რადთა არა ჳელთა დაახმიდენ საჯმრითა ...“. აღნიშნული ტექსტები შესულია დიდ სჯულისკანონში, ამდენად, შესაძლებელია მათი შედარება ეფთვიმეს ტექსტთან.

ეფთვიმე „მომატყუებელ უწესობას“ უწოდებს ქრთამის მიცემას და ვინც ამგვარ საქმეში იშუამდგომლებს, მათ მიმართაც სასჯელს აწესებს: თუ სამღვდელონი იქნებიან, სამღვდელოებისაგან აღიხოცნენ, ხოლო თუ ერისკაცნი ან მონაზვნები, - ეკლესიიდან განიდევნენ ისე, როგორც მსოფლიო კრებებმა მძიმე კანონი დაუდგინეს ამ საქმის მოქმედთ. წმ. მოციქულთა სჯულისკანონში წერია: „უკუეთუ ვინმე ებისკოპოსობისა პატივი საფასითა მიიღოს, ანუ ხუცესობად, ანუ დიაკონობისად, აღიკოცნენ მღვდლობისაგან საფასით კურთხეული იგი და მაკურთხეველიცა მისი და განიკუეთენ სრულიად ზიარებისაგან, ვითარცა სჯმონ მოგვ განიკუეთა ჩემ მიერ, პეტრეს მოციქულისა“ (მოც. კან. 29. შდრ. საქმე მოც. 8. 2-20).

ეფთვიმესთან გვაქვს: „ვითარცა სჯმონ მოგვ განიკუეთა ჩემ მიერ, პეტრეს მოციქულისა“, ხოლო არსენთან „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტში სხვაგვარად არის: „ვითარცა სიმონ მოგვ, ჩემ, პეტრესგან“ (up j emouPetrou). ასევე იკითხება ათენის სინტაგმაში და სხვა ბერძნულ კანონიკურ კრებულებშიც. ბევრეჯი მიიჩნევს, რომ ზოგიერთ ძველ ბერძნულ კრებულში იყო: tw/ Simwn magw- upo tou Petrou, რომელიც დიონისე მცირემ შემდეგნაირად გადათარგმნა: sicut Simon magus a Petro (როგორც სიმონ მოგვი პეტრეს მიერ). ვარაუდობენ, რომ თავიდან უნდა ყოფილიყო upo tou Petrou, ამას ადასტურებს ეფთვიმეს თარგმანიც, მაგრამ ვიღაც დაუდგენელი პირის მიერ შეცვლილი იქნა ისე, როგორც ძირითად კანონიკურ კოდექსში არის.

ეფთვიმე ამ კანონის შეფასებასაც იძლევა: „ჰხედავთ-ა, რაბამი არს ესე ცოდვაჲ, რამეთუ სხუათა ცოდვათათჳს არასადა წერილ არს ესე ცოდვაჲ მღვდელობისაგან და განყენებაჲ ზიარებისაგან, ხოლო ამის ბრალისათჳს

ორივე განაწესეს წმიდათა მოციქულთა - აკოცა მდღეობისაგან და უზიარებლობაჲ?”

ამის შემდგომ, როგორც აღვნიშნეთ, ეფთვიმეს სრულად შეაქვს კანონში წმ. ბასილი დიდის ეპისტოლე, რომლის თარგმანი დედნის ზუსტი ასახვით გამოირჩევა: „წაიკითხეთ ეპისტოლე, რომელიც მისწერა წმიდა მამა ბასილი კესარიელმა თავის ეპისკოპოსებს და რომელშიც მძიმე ცოდვად თვლის ამ საქმეს”.

როდესაც ეფთვიმესა და არსენის თარგმანები სავსებით მისდევს ერთმანეთს, მამინ უფრო აშკარა ხდება მათ შორის სტილისტური განსხვავებანი.

ეფთვიმე

საქმე ესე, რომლისათვის მოგიწერ, რომელ ყოვლადვე ითქუაცა და საექჳ იქმნა, დიდითა მწუხარებითა აღავსო სული ჩემი და დაუჯერებლად შევჰრაცხე. აწ უკუე ამის პირისათვის დაწერილი ესე წიგნი, რომელსა შეუცნობიეს თავსა თვისსა ესევეთარი საქმჳ, შეიწყნარენ საკურნებელად, ხოლო რომელსა არა შეუცნობიეს, შეიწყნარენ განსაკრძალველად. ხოლო უკუეთუ ვინ უწესოდ იყოს, მიიღენ ესე დამოწმებაჲ, არამედ ვევედრები ღმერთსა, რადთა არავინ თქუენგან იპოოს ესრეთ უწესო.

ეფთვიმე აზრებს უფრო მარტივად და გასაგებად აყალიბებს, ვიდრე არსენი, რომელსაც აქვს მიდრეკილება მიმღეობური კონსტრუქციებისადმი, რაც დედნის სიტყვასიტყვითი გადმოღების შედეგია.

ეფთვიმე: „აწ უკუე ამის პირისათვის დაწერილი ესე წიგნი, რომელსა შეუცნობიეს თავსა თვისსა ესევეთარი საქმჳ, შეიწყნარენ საკურნებელად”.

არსენი: „აწ უკუე მის ძლით ესე წიგნი შემაცნობელმან რასმე თავისა თვისსამან მიითუალნენ, ვითარცა საკურნებელი”.

ეფთვიმე: „ხოლო უკუეთუ ვინ უწესოდ იყოს, მიიღენ ესე დამოწმებაჲ, არამედ ვევედრები ღმერთსა, რადთა არავინ თქუენგან იპოოს ესრეთ უწესო”.

არსენი: „ხოლო ვნებულმან ამით ვნებითა, რომლისასა ვილოცავ არა პოვნასა თქუენ შორის, - ვითარცა საწამებელი”.

ერთი და იგივე აზრი ეფთვიმესთან უმეტესწილად უფრო ნათლად, მისაწვდომადაა გადმოცემული, ვიდრე არსენტან.

არსენი

უჯეროებაჲ საქმისაჲ ამის, რომლისათვის აწ მოვსწერ თქუენდა, რად საექჳულ იქმნა რადთურთით და ითქუა, რომელმან ტკივილითა აღავსო სული ჩემი, გარნა ეგრეთცა აღმიჩნდა მე ურწმუნოდ. აწ უკუე მის ძლით ესე წიგნი შემაცნობელმან რასმე თავისა თვისსამან მიითუალნენ ვითარცა საკურნებელი, ხოლო არარამს შემაცნობელმან - ვითარცა წინაგანსაკრძალველი, ხოლო ვნებულმან ამით ვნებითა, რომლისასა ვილოცავ არა პოვნასა თქუენ შორის, - ვითარცა საწამებელი.

ევთვიმე

არსენი

თუ თქვენგანნი ვინმე ებისკოპოსნი, აკურთხევენ რად მღვდელთა, მიიღებენ მათგან საფასესა და არა ქრთამ ანუ საფასედ სახელ-სდებენ, არამედ რეცა პატიოსანსა რასმე სახელსა უწესენ ევლოგიად და ესე უძრესი არს, რამეთუ უკუეთუ ვინმე ბოროტსა სახითა კეთილისადათა იქმოდის, ორკეცისა ტანჯვისა ღირს არს, რამეთუ იქმს ბოროტსა და სახესა მას, გინა სახელსა კეთილისასა იკმარებს შემწედ თვისისა ცოდვისა.

ესევითარი უკუე საქმე, უკუეთუ ვის უქმნიეს, ნულარამცა ქმნილ არს, არამედ აკრებულმცა არს სრულიად. უკუეთუ არა აკრებს, სამართალ არს თქმად მისა მიმართ, რომელი საფასესა მას მიიღებდეს, რად-იგი ჰრქუა პეტრე მოციქულმან სვმონს, რომელსა-იგი ენება საფასითა მოსყიდად მადლისა მის სულისა წმიდისა, ვითარმედ: „ვეცხლი შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა, რამეთუ ნიჰსა მას ღმრთისასა ჰგონებ საფასითა მოპოვნებად“ (საქმე 8.20). რამეთუ უსუბუქეს იყო უსწავლელისა მის უმეტრებით თხოვად საფასით მადლისა მის, ვიდრეა აწ რომელნი მეცნიერებით ჰყიდდენ ნიჰსა ღმრთისასა, რამეთუ ნიჰი იგი, რომელი შენ, ჰ კაცო უგუნურო, უსასყიდლოდ მიიღე, უკუეთუ სასყიდლად მიჰყიდე, გამოეკუები მადლისა მისგან, ვითარმცა ეშმაკისადმცა მისყიდულ იყავ, რამეთუ ვეცხლის საფარდულ-ჰყოფ ეკლესიასა, სადა-იგი რწმუნებულ არს ჩუენდა ჯორცი და სისხლი ქრისტესი. ესევითარი უკუე საქმე ბოროტ არს და უჯერო. ხოლო ესევითარისა საქმისა მოქმედთაგან ესეცა ხელოვნებად მოპოვნებული, ჰგონებენ თუ, არა

ვითარმედ თქვენგანნი რომე-ლნიმე მიიღებენ საჯმარსა კელთ-დასხმადთაგან, ხოლო დაჰვარავენ მას სახელითა კეთილად მსახურებისადათა, რომელ-ესე უძრეს არს, რამეთუ უკუეთუ ვინმე ბოროტსა სახითა კეთილისადათა იქმოდის, ორკეცისა ტანჯვისა ღირს არს ამისათვს, რამეთუ იქმს არა კეთილსა მას და სრულ-ჰყოფს ცოდვასა, რეცა ვითარცა შემწესა კეთილისასა. ესე უკუე ესრეთ სადმე ქმნილ არს, ამიერთგან ნულარამცა იქმნების, არამედ განემართენით, ვინადათგან საჭირო არს თქუმად მიმღებელისა მიმართ ვეცხლისა მის, რად-იგი ითქუა მოციქულთა მიერ მისდა მიმართ, რომელსა ენება, რადთა სულისა წმიდისაგან მყოფელობად მოიყიდოს ვეცხლითა, ვითარმედ: „ვეცხლი შენი შენ თანა იყავნ წარსაწყმედელად“. რამეთუ უსუბუქეს არს ბრალი მისი, რომელსა გამოუცდებლობისათვს თვისისა ენებოს მოსყიდად მადლისა მის, ვიდრე რომელი ჰყიდდეს ნიჰსა ღმრთისასა, რამეთუ სავაჰრო გიქმნიეს ნიჰი იგი, რომელი მიიღე შენცა, უკუეთუ განჰყიდი მას, ვითარცა მისყიდული სატანადასა და მოძრცვთა შენგან მის მადლისადათა და რამეთუ მოფარდულობასა შემოიღებ სულიერთა საქმეთა ზედა და ეკლესიასა შინა ღმრთისასა, სადა-იგი რწმუნებულ არს განსაყოფელად ჯორცი და სისხლი ქრისტესი, ამათი ესრეთ ქმნად არა ჯერ-არს. ხოლო რომელი-იგი მოპოვნებულ არს მათ მიერ, მისიგა მიღირს თქუმად, ჰგონებენ, ვითარმედ არა ცოდვა არს არა კელისკელ მიღებად, არამედ შემდგომად კელთდასხმისა

არს ცოდვად, უკუეთუ ჟამსა მას მიღებად, გარნა უეჭუელად მიღებად კურთხევისასა არა მიიღონ საფასე არს, ოდეს გინდა მიღებად იგი, არამედ შემდგომად კურთხევისა მიეცეს; არამედ ესე ერთი არს, გინათუ პირველ მიიღოს, გინათუ – შემდგომად, ქრთამი ეწოდების, რომელი მის პირისა და მის საქმისათჳს მიეცეს.

როგორც ვხედავთ, ეფთვიმეს თარგმანი უფრო ვრცელია და გასაგები. ამას მთარგმნელი სინტაქსურთან ერთად ლექსიკური საშუალებებითაც ახერხებს. აზრის ნათელსაყოფად იგი ხან უმატებს სიტყვას ან ფრაზას, რაც დედნის ტექსტში არ დასტურდება, ხანაც აკლებს, ზოგჯერ კი სიტყვასიტყვით გადმოაქვს. ასეთი მაგალითები მოტანილ ფრაგმენტში უხვადაა. ეფთვიმე სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებთან ერთად იყენებს ანტონიმებსაც. მაგ: დედნის „რამეთუ იქმს არა კეთილსა მას“ მას გადმოაქვს ასე: „რამეთუ იქმს ზოროტსა და სახესა მას“. ეს ეპისტოლე ეფთვიმეს მთარგმნელობითი სტილის უამრავ თავისებურებას ავლენს.

25-ე, 26-ე, და 27-ე კანონები ეფთვიმეს ზუსტად ისევე გადმოუტანია, როგორც დედანშია. არსენთან ეს კანონები 23-ე, 24-ე და 25-ე რიგს იკავებენ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო 27-ე კანონის ერთობ ორიგინალურმა თარგმანმა, სადაც მთარგმნელი „მოცილეს, მოდავეს“ თარგმნის, როგორც „მჭრტინავთა მათ“.

ეფთვიმეს 28-ე კანონი უდრის არსენის 27-ეს. მას გამოუტოვებია დედნისეული 26-ე, რადგან მასში საუბარი შეეხება მღვდლების ქორწინებას, რის შესახებაც უკვე ჰქონდა მსჯელობა ზემორე კანონებში. ამით ეფთვიმე ერთამდე ამცირებს ნუმერაციულ ცდომილებას კანონთა შორის. კანონი შეეხება სასულიერო პირთა ჩაცმულობას. ისინი ისე უნდა იმოსებოდნენ, როგორც წესი და რიგია. თარგმანებიც არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

29-ე კანონი საუბრობს იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ეკლესიაში ჩვეულებად ჰქონდათ ახალყურძნობისას ყურძნის მიტანა შესაწირად, რომელსაც მღვდლები ურევდნენ წმიდა ბარძიმში და ასე აზიარებდნენ მორწმუნეებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. მორწმუნე ერს ცოდვათა მისატყვევლად და საუკუნო ცხოვრებისათვის უნდა მიეცემოდეს მხოლოდ საიდუმლო მსხვერპლი; ახალი ყურძენი და მარცვლეული უნდა მიიღონ და აკურთხონ საკურთხეველის გარეთ და მისცენ ხალხს ღმრთის სადიდებლად.

ეფთვიმეს თარგმანი ოდნავ დიდია არსენისეულთან შედარებით. მას ჩამატებული აქვს მოციქულთა მე-3 კანონი, რომელშიც აღწერილია, თუ რა შეიძლება შეიწიროს ეკლესიაში. „ეპისკოპოსმა ან ხუცესმა, თუ უფლის ბრძანებულის გარდა სხვა რამ შესწიროს, ან ღვინის ნეცვლად თაფლუჭი გაკეთებული, ან ფრინველი, ან ცხოველი, ან მარცვლეული, სამღვდელოებისაგან აღიხოცოს, რადგან წმიდა ტრაპეზის საკურთხეველზე სხვა არაფერი დაეგება, გარდა შესაწირავი პურისა, წყლით განზავებული ღვინისა და ზეთიც მიეცემა

სანთებლად და საკმეველი - კმევად წმიდა საიდუმლოს აღსრულების დროს”.

30-ე და 31-ე კანონები დედნის იდენტურია, როგორც შინაარსით, ასევე რიგითობის მიხედვით, რადგან ეფთვიმეს გამოტოვებული აქვს ტრულის კრების 29-ე კანონი.

32-ე კანონი გვაუწყებს სომხური ეკლესიის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ სომხეთში წყლით განუზავებელ ღვინოს სწირავდნენ ჟამისწირვაზე. სომხებმა, ეკლესიურ ცხოვრებაში თავიანთი ნაირგვარი განსაკუთრებულობით, ტრულის კრების მამებს რამდენიმე კანონის მიღების მიზეზი მისცეს (ამ კანონის გარდა, კიდეც 33-ე, 56-ე, 99-ე). 56-ე კანონზე ზემოთ გვქონდა საუბარი, როდესაც ეფთვიმემ იგი მე-17 კანონად გადმოიტანა.

სომხებმა ქრისტიანობა III საუკუნეში მიიღეს, რაც გრიგოლის ქადაგების დამსახურებაა, რომელსაც შემდგომში „განმანათლებელი“ უწოდეს. კესარიის ეპისკოპოსმა ლეონტიმ იგი 302 წელს სომხეთის პირველ მიტროპოლიტად დაადგინა. თავიდან სომხები ერთგულმართლმადიდებლებად გვევლინებოდნენ და ასეთებად დარჩნენ VI საუკუნემდე, სანამ მათთან მონოფიზიტობამ არ იჩინა თავი. მათ ნელ-ნელა დაიწყეს მართლმადიდებლური რწმენიდან განდგომა და თავიანთი განსაკუთრებული საეკლესიო წეს-ჩვეულებების შემოღება, ვიდრე საბოლოოდ, ქ. დვინში 506 წელს, აბრაამის კათალიკოსობის დროს, საჯარო ვითარებაში არ უარყვეს IV მსოფლიო კრების განწესებანი (მონოფიზიტობის შესახებ); სამწმიდაში დამატება შეიტანეს: „ჯვარს ეცვი ჩვენთვის“ და ანათემას გადასცეს ივერიის (საქართველოს) პატრიარქი კირიონი და, ამდენად, გამოეყვნენ მართლმადიდებელ ეკლესიას. არაერთი მცდელობა ყოფილა სომეხთა შემოერთებისა მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მაგრამ ყველა ეს მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. სომხები არა მხოლოდ დარჩნენ თავიანთ, 506 წლის დადგენილებათა ერთგულნი, არამედ კიდეც სხვა სიახლეების შემოტანა დაიწყეს საკუთარი აღმსარებლობის მქონე თემში. მათ წინააღმდეგ, ჩვეულებრივ, შემდეგ ბრალდებებს წარადგინენ: 1. ისინი მონოფიზიტობას აღმსარებლობენ და არ აღიარებენ ბოლო ოთხ მსოფლიო კრებას; 2. მისდევენ ავტარტოდოკეტების სწავლებას ან, სხვაგვარად - ფანტაზიელების, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქრისტეს მხოლოდ მოჩვენებითი სხეული ჰქონდა, რომელიც ამის გამო არ შეიძლებოდა ხრწნადობას დაქვემდებარებოდა; 3. სამწმიდასთან დამატების შეტანით იზიარებენ თეოპასქიტების ანუ საბელიოსიანელების სწავლებას; 4. არ ხმარობენ წყალს ღვინოსთან წმიდა ზიარებაში; 5. არ აღიარებენ მართლმადიდებელი ეკლესიის ბევრ დღესასწაულს; 6. წმიდა წერილის მრავალ ადგილს უარყოფენ; 7. უარყოფენ ზეთისცხებას ნათლისღებისას; 8. არ ამზადებენ სწავლების შესაბამისად წმიდა მირონს და სხვა.

VII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც ტრულის სხდომები იმართებოდა, სომხები კონსტანტინოპოლის ეკლესიისათვის დიდ საზრუნავს წარმოადგენდნენ, რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული და სისტემურად ჩამოყალიბებული ყველა ის არამართლმადიდებლური მხარე მათი სწავლებისა, რაც მათ შემდგომში განავითარეს, მართლმადიდებლები მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ დაებრუნებინათ ისინი ეკლესიის წიაღში.

ტრულის კრება მათ დარწმუნებას შეეცადა და ამიტომაც თავის რამდენიმე კანონში შეეხო მათ სწავლებას.

ეფთვიმეს კანონიდან ამოულია ის ნაწილი, სადაც საუბარი შეეხება იოანე ოქროპირის სწავლებას, მიმართულს ჰიდროპარასტატების მწვალებლობის წინააღმდეგ, რომლებიც უსისხლო მსხვერპლშეწირვის დროს ღვინის ნაცვლად წყალს იყენებდნენ და ჟამისწირვას მხოლოდ წყლით ასრულებდნენ. ამ სწავლების საფუძველზე სომხებს ეგონათ, რომ იოანე ოქროპირი წმინდა მსხვერპლში [ღვინოში] წყლის შერევის წინააღმდეგი იყო. ტრულის კრებამ ახსნა წმინდა მამის სიტყვების აზრი, რათა სომეხნი აღარ ყოფილიყვნენ გაუგებრობაში. ეფთვიმე ამ მსჯელობას ტოვებს, ალბათ, იმიტომ, რომ „ჩჩვლი“ ქართველი მკითხველისათვის ის შეიძლება გაუგებარი ყოფილიყო.

33-ე კანონი, ისევე როგორც ამ კრების რამდენიმე სხვა კანონი, მიმართულია იმ მწვალებლობების წინააღმდეგ, რომლებიც გავრცელებული იყო სომხეთში. ამ კანონს ტრულის კრების კანონებში 81-ე ადგილი უკავია. ეფთვიმეს უცდია თანმიმდევრობით დაელაგებინა ის კანონები, რომლებიც სომხებს შეეხებოდა. ამ კანონის მიღების მიზნით გახდა ის, რომ სომხები „წმიდაო ღმერთოს“ გალობას უმატებდნენ სიტყვებს: „რომელიც ჯვარს ეცვი ჩვენთვის“, რომელსაც მათ ენაზე „ხაჩეცარი“ ეწოდება.

ლიტურგიის წესში „სამწმიდის გალობა“ შეტანილია V საუკუნეში, კონსტანტინოპოლის პატრიარქ პროკლეს (434-447) დროს. მის წარმოშობას უკავშირებენ ერთ სასწაულებრივ შემთხვევას, რომელსაც კონსტანტინოპოლში ჰქონდა ადგილი. იმპერატორ თეოდორე უმცროსის ზეობის ხანაში, 446 წელს, მოხდა დიდი მიწისძვრა, რომელიც ხანმოკლე შესვენებებით გრძელდებოდა ოთხი თვის განმავლობაში. ამ დროის მანძილზე კონსტანტინოპოლში ბევრი შენობა დაინგრა და დედაქალაქის მცხოვრებლები იძულებულნი შეიქნენ ხსნა ქალაქის შემოგარენში ეძებნათ. ღვთის ღმობიერსაყოფად ჩატარდა ღვთისმსახურებანი და ჯვაროსნული სვლები. ერთ-ერთი ასეთი სვლისას, მოულოდნელად და სასწაულებრივად, ჰაერში ატაცებულ იქნა ბავშვი, რომელმაც ანგელოზთა გალობა გაიგონა: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ“. როცა იგი მიწაზე დაეშვა და ამ სასწაულზე იქ დამსწრეთ მოუთხრო, მაშინვე ყველამ პატრიარქთან ერთად გალობა დაიწყო და მიწისძვრა შეწყდა. არის სხვა ვერსიაც, რომელიც „სამწმიდას“ წარმოშობას უფრო ადრეულ ხანას უკავშირებს, ყოველ შემთხვევაში, ისტორიულად დამტკიცებულია, რომ IV მსოფლიო კრებაზე, დიოსკორეს დამხობის შემდეგ შეკრებილმა მამებმა „სამწმიდა“ იგალობეს და მას შემდეგ ეს გალობა წმიდად არის დამკვიდრებული მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამასვე აღნიშნავს ეფთვიმე ამ კანონში: „და წმიდათა მათ ექუსას ოცდაათთა მამათა, რომელნი შეკრბეს ქალკიდონს, სულისა მიერ წმიდისა განათლებულთა, ესრეთ ჳმა-ყვეს, ვითარცა ერთითა პირითა სამგზის „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგვიწყალებ ჩვენ.“ უნდა ითქვას, რომ ეფთვიმეს კანონი ვრცელია დედანთან შედარებით. ტრულის კანონში არარის საუბარი, თუ რომელი კრების მიერ დაიგმო ზემორე აღნიშნული მწვალებლობა, იქ წერია: „რომელი-

ესე ძუელ-სადმე წმიდათა მამათა მიერ, ვითარცა უცხო კეთილმსახურებისა სჯულთაჲ, განგდებულ იქმნა ეგევითარისა მის გალობისაგან უსჯულოდსა მის მწვალებელისა თანა, რომელმან უშუერებაჲ ეგევითარისა მის ჳმისად მოიპოვა საცთურად უმარტივესთა”, მაშინ როდესაც ამ საკითხზე საუბრობს ეფთვიმე: „რომელ-ესე წმიდათა მათ მამათა მიერ ქალკიდონს შეკრებულთა მომპოვნებელისა მის და გამომეტყუელისა თანა განიდევნა საღმრთოდსა მის გალობისაგან, რამეთუ უცხო იყო წესისაგან ღმრთისმსახურებისა და შეაჩვენა ესევეითარისა მის სიტყვსა მეტყუელი პეტროზ მკაწრველი, მწვალებელი, რამეთუ მეოთხე პირი შემოიღო და თვსაგან განყო ძე ღმრთისაჲ, რომელი-იგი არს გუამოვანი ძალი მამისაჲ, და თვსაგან ჯუარცმული იგი თქუა, ვითარმცა სხუად იყო ძლიერი იგი და სხუად იყო ჯვარცმული. ანუ თუ ვნებულად შეჳრაცხა ბოროტმან მან წმიდა სამებაჲ და ჯუარცმულად თქუა მისა თანა მამად და სული წმიდაჲ.” და იქვე მცირე განმარტებასაც გვთავაზობს: „მეჩუენებულ იყავნ ესევეითარი იგი გმოზად და მეტყუელი იგი მისი, რამეთუ ესე საცნაურ არს, ვითარმედ „წმიდაო ღმერთო” არა მისა მიმართ ოდენ თქმულ არს, არამედ წმიდისა სამებისა მიმართ, ვითარცა წამებს ღმერთშემოსილი და წმიდაჲ ათანასე და ნეტარი ბასილი და ღმრთისმეტყუელი გრიგოლ და ყოველნივე წმიდანი მამანი წამებენ, ვითარმედ სამწმიდა არსობითა სამგუამოვნებასა ღმრთეებისასა გუაუწყებენ წმიდანი იგი სერაბინნი და ერთითა მით უფლებითა ერთისა მის წმიდისა სამებისა არსებასა და მეუფებასა გამოსახავენ. ეგრეთვე სახედ არს გალობად ესე „წმიდაო ღმერთოდსა” წმიდისა მის და სამგუამოვნისა სამებისა მიმართ. იტყვს უკუე გრიგოლ ღმრთისმეტყუელი, ვითარმედ: „ერთ არს წმიდაჲ იგი წმიდათაჲ, რომელსა სერაბინნი დაეფარვიან და შიშით ადიდებენ სამწმიდა არსობითა, რომელი-იგი ერთად შეკრებების უფლებად და ღმრთეებად. და პირველითგანვე წმიდათა მოციქულთა მიერ და წმიდათა მამათა ესე გალობად წმიდისა სამებისაჲ ესრეთ განწესებულ არს.”

აღნიშნულ კანონში ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ „ხაჩეცარი”, ეფთვიმეს აზრით, დაიგმო ქალკედონის 451 წლის მსოფლიო კრებაზე. სინამდვილეში ეს ერესი ჩამოყალიბდა V ს-ის მეორე ნახევარში, ქალკედონის კრების შემდეგ, როცა მონოფიზიტობასაზეიმოდ იქნა დაგმობილი. ამ ერესის მიმდევრების მიზანი იყო, რომ როგორმე შეწინააღმდეგებოდნენ მართლმადიდებლურ სწავლებას და დაემკვიდრებინათ მონოფიზიტური სწავლება წმიდა სამების მეორე პირის შესახებ. ეფთვიმე სწორად მიუთითებს, რომ ერესიერარქი გახლდათ V ს-ის ცნობილი მონოფიზიტი პეტრე კნაფე (სხვაგვარად - ფულონი), იგივე პეტროზ მკაწრველი. „კნაფე იყო კონსტანტინოპოლიელი მონაზონი, მონოფიზიტობის მკაცრი მიმდევარი. ამისათვის იგი კონსტანტინოპოლიდან გააძევეს. მან მოიპოვა მეფის სიძის, ზენონის კეთილგანწყობა და მასთან ერთად ანტიოქიაში გაემგზავრა, სადაც დაუკავშირდა ზოგიერთ აპოლინარისტს და ჩამოაყალიბა ძლიერი პარტია ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქის, მარტიროსის წინააღმდეგ, რომელიც საბოლოოდ აიძულა კიდევ დაეტოვებინა კათედრა, ხოლო მისი ადგილი თვითონ დაისაკუთრა. გახდა რა პატრიარქი, კნაფემ, ანტიოქიის

ეკლესიაში მონოფიზიტობის დამკვიდრების მიზნით, ბრძანა „სამწმიდისათვის“ მიემატებინათ სიტყვები: „რომელიც ჯვარს ეცვი ჩუენთვის“ და ამ მიმატებით ეგალობათ. მართლმადიდებლური რედაქციით, „სამწმიდა“ ეხება წმიდა სამების ყველა სამ პირს, ხოლო კნაფე ამ დამატებით ცდილობდა „სამწმიდა“ მხოლოდ წმიდა სამების მეორე პირისადმი მიემართა, მე-ღმერთისადმი და ამით უნდოდა გაემაგრებინა მონოფიზიტური სწავლება, რომლის თანახმადაც ქრისტეში მხოლოდ ერთი ბუნება იყო – ღმრთეებრივი, რომელსაც როგორღაც შეერწყა ადამიანის ბუნება და, ამდენად, ღმრთეება იესუ ქრისტეში ვნებასაც იღებდა და ყველა სხვა ადამიანურ ქმედებასაც სჩადიოდა, სხეული კი ქრისტეში იყო რაღაც მოჩვენებითი მოვლენა. სამწმიდისათვის აღნიშნული სიტყვების მიმატებით გამოიხატება სწორედ მონოფიზიტური აზრი, რომ ქრისტეში ჯვარცმული და ვნებული იყო ღმრთეება და არა ადამიანობა. ამ სწავლებით არა მხოლოდ ირყენებოდა IV მსოფლიო კრების დოგმატი, არამედ ხდებოდა II და III საუკუნეების ერესების აღდგენა (პატრიპასიანური, ნოითიანური და საბელიანური). კნაფეს სწავლება უკვე 471 წელს იქნა დაგმობილი ანტიოქიის ერთ-ერთ კრებაზე, თვით კნაფე კი – განკვეთილი და გაძევებული. ეს მსჯავრი შემდგომ, 485 წელს, რომის ერთ-ერთ კრებაზეც დამტკიცდა¹.

ანტიოქიის კათედრიდან ჩამოგდების შემდეგ პეტრე (ფულონი, ანუ კნაფე, ანუ მკაწრველი) მისულა სომხეთში - „აღავსო ბოროტითა წვალებითა და შეაცდუნა ერი იგი უსწავლელი“². მას ქართლშიც მოუწოდებია თავისი სწავლების გავრცელება, შემოსულა ქართლში, სადაც დახვედრია ქართლის მთავარეპისკოპოსი მიქაელი, რომელმაც „ქვითა განტვინა იგი“³. პეტრე მკაწრველი ქართლში ჩაუქოლავთ: „ნეტარმან მიქაილ და კრებულმან მისმან საღმრთომან უკეთური იგი დაქოლეს“⁴. ასეა აღწერილი ეს ამბავი ჩვენს ისტორიულ წყაროებში: „მოვიდა ზვავი იგი კანგარასა და მოუწოდა ნეტარს მიქელს, კათალიკოზსა ქართლისასა, რათა ანუ სჯულსა მისსა ეზიარნენ, ანუ ურჩ ექმნას, საყდრისაგან განიყვანონ. ხოლო შეჭურა მიქელ სულმან წმიდამან... წამოვიდა მცხეთით მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მღუდელთა თანა და ერისა მორწმუნისასა და მოიწივნეს ქუეყანასა კანგარისასა... მივიდა მიქელ კათალიკოზი და თაყუანი-სცა წინაშე საყდარსა მის პეტროს მკაწრველისასა... შთამოზიდნა ძლიერად და შთამოითრია, ქუეყანად დააკუეთა და დასცა ქვითა მით, რომელ აქუნდა ქუდსა შინა მისსა და განტვინა... მაშინ ყოველთა მის თანა მყოფთა ეპისკოპოსთა და მოყუასთა მისთა დაკრიბეს მის ზედა ქვა და შეერაცხა მათ სიმართლედ კაცის კლვა იგი“⁵.

საქართველოში განსაკუთრებული სიძულვილით სძულდათ პეტროზ მკაწრველი, ვითარცა წვალების ფუძემდებელი და წარმწყმედელი მსოფლიო

.....

1 Никодим 1897: 533.

2 „სიტყვისგება ბერისა ეფთიმე გრძლისა სოსთენის მიმართ, სომხეთ მოძღვრისა“, საქართველოს სამოთხე, გამოცემული გობრონ(მიქაელ) საბინინის მიერ, 1882 წ., გვ. 620.

3 იქვე, გვ 620.

4 იქვე, გვ 621.

5 „უწყება პეტროს მკაწრველისათვის და ალაჯორისათვის და ალაჯორთა მარხვისა“, საქართველოს სამოთხე 1882: 632.

ქრისტიანთა ერთი ნაწილისა. მართლმადიდებლობის მედგარ დამცველთ საამაყოდ მიაჩნდათ, რომ პეტრე საქართველოში ჩაქოლეს სარწმუნოებისათვის მოშურნე ქართველებმა. თაობებს სარწმუნოებრივი მოშურნეობის თვალხილულ ძეგლად მიაჩნდათ ის ადგილი ქვემო ქართლში, სადაც აღმართული იყო ქვების გროვა, რომლის ძირშიც პეტრე მკაწრველის ჩაქოლილი გვამი ეგდო.

ამ კანონით ტრულის კრების მამები ამტკიცებენ ყველა დებულებას, რაც კი მანამდე იყო დაწესებული „სამწმიდას გალობის“ შესახებ.

34-ე კანონი შეეხება სომხურ ეკლესიაში დამკვიდრებულ ორ კანონსაწინააღმდეგო ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც მღვდლებად განაწესებდნენ მხოლოდ საეკლესიო პირების შთამომავლებს და ნათესავებს, რაც ებრაული წესია. აგრეთვე, წიგნისმკითხველებად და მგალობლებად იღებდნენ იმ პირებს, რომლებსაც ქიროტესია არ ჰქონდათ მიღებული, რადგან მიაჩნდათ, რომ მღვდელმსახურთა შვილებს ეს არ სჭირდებოდათ.

35-ე კანონი იგივეა, რაც ტრულის კრების 35-ე კანონი. ტრულის 34-ე კანონი ეფთვიმეს არ უთარგმნია.

36-ე კანონი ეპისკოპოსებს უკრძალავს, რომ არ მიანიჭონ ეპისკოპოსობის პატივი თავიანთ ძმას, ძეს, ძმისწულს, ან სხვა მახლობელს, რადგან წესი არაა ეკლესია ნათესავთა სამემკვიდრეოდ იქცეს. მხოლოდ ღირსეულს აქვს უფლება იყოს ეპისკოპოსი. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ნათესავია თუ არა. ეს კანონი არ შედის ტრულის კანონებში.

37-ე კანონი ტრულის კრების 36-ე კანონია, რომელიც კონსტანტინოპოლის საყდარს რომის საყდრის თანასწორ პატივს ანიჭებს. ეს კანონი კონსტანტინოპოლის 381 წ-ის და ქალკიდონის 451 წ-ის მსოფლიო კრებებზე დამტკიცებული კანონის განმეორებაა. შესაბამისად, თარგმანებიც იდენტურია.

38-ე კანონი უდრის ტრულის კრების 37-ეს. თარგმანი ზუსტად ასახავს დედანს.

39-ე კანონს წინ უძღვის სათაური: „მონაზონებისათვის“. სათაურების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. კანონი 3. გვ.44). ეს კანონი ტრულის კრების მე-40 კანონია. რადგან ეს კანონი და ამის შემდგომი კანონები მონაზვნებისთვისაა განკუთვნილი, ეფთვიმეს თარგმანი დედნის ზუსტი ასახვით გამოირჩევა. კანონი მონაზვნად აღკვეცის მსურველებს უდგენს, რომ ისინი არ იყვნენ ათ წელზე ნაკლები ასაკის. მოიხსენიებენ რა ბასილი დიდის განწესებას (კანონი 18) ამ საკითხთან დაკავშირებით, ეკლესიის მამები აღნიშნავენ, რომ მათ ასე იმიტომ დაადგინეს, რომ ეკლესია, ღვთის მადლით, გაცილებით ძლიერი და მეტად წარმატებული გახდა.

მე-40 [არსენთან 41-ე] კანონი შეეხება მონაზვნის წესზე მომავლებს, ვისაც უკაროში დაყუდება ნებას და განმარტოებაში საკუთარი თავის შეცნობა. ეფთვიმეს თარგმანი დედნის იდენტურია, მხოლოდ ერთ ადგილას გვაქვს განსხვავებული წაკითხვა: „უკუეთუ კულა თჯნიერ მისისა თჯსისა ესევითარისა განგებისა და მიზეზისა ჳელ-ყოს სადაყუდებულოდსა მისგან თჯსითა ნებითა გამოსვლად, ესევითარი იგი უნებლიეთ მუნვე შეიყენენ და მარხვითა და

ლოცვით უწესობად მისი განკურნონ და ასწაონ სიტყუად იგი უფლისად, ვითარმედ: „არავინ დადვას ხელი ერქუანსა და მართლუკუნ ხედავნ და წარემართის სასუფეველსა ცათასა” (ლუკა. 9,62).

არსენთან გვაქვს ასე: „ხოლო რომელთა თვნიერ აწ თქმულთა ამათ მიზეხთასა ჯელ-ყონ დატევებად სადაყუდებულოთა მათ საყოფელთა თვსთად, პირველად უკუე სადაყუდებულოდვე მათდა უნებლიეთ კუალად ეგნენ იგინი, ამისა შემდგომად მარხვითა და სხვითა მჯრისხილვითა განიკურნოს დაუწყნარებლობად იგი მათი წერილისა მისებრ, ვითარმედ: „არავინ დასდვის ჯელი ერქუანსა და ჰხედვინ იგი მართლუკუნ და წარემართის იგი სასუფეველსა ცათასა” (ლუკა. 9,62).

41-ე [42] კანონში საუბარია ცრუმეუდაბნოების შესახებ, რომლებიც დადიან ქალაქში, შეურაცხყოფენ მონაზვნის აღთქმას და ერისკაცებში ირევიან. მათ კანონი უდგენს, რომ შევიდნენ მონასტერში და, თუ არ მოისურვებენ ამას, იძულებით უდაბნოში იქნენ დამკვიდრებულნი. თარგმანები სრულად ემთხვევა ერთმანეთს.

42-ე [43] კანონი, ეყრდნობა რა მაცხოვრის სიტყვებს: „რომელი მოვიდა ჩემდა, არა განვაგდო გარე” (იოანე 6,37), ადგენს: ყველა კაცს შეუძლია დატოვოს ამო საწუთრო, აღიკვეცოს მონაზვნად და დამკვიდრდეს მონასტერში, მიუხედავად ადრე ჩადენილი ნებისმიერი შეცოდებისა. ეფთვიმეს თარგმანი შედარებით ვრცელია, ვიდრე არსენის. მას წინამდებარე კანონში შეუტანია მე-4 მსოფლიო კრების მე-4 კანონის ფრაგმენტი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ მონა არ უნდა იქნეს მონასტერში მიღებული თავისი ბატონის ნებართვის გარეშე. ამ საკითხს ეხება, აგრეთვე, მოციქულთა 82-ე კანონი.

43-ე [44] კანონი იმეორებს ადრე დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც წმიდა მამებმა (ქალკედონის მე-4 მსოფლიო კრების მე-16 კანონი) და ნეტარმა ბასილიმ (მეორე ეპისტოლე კანონთა შესახებ ამფილოქე იკონიელისადმი, კანონები 58, 59) განაწესეს. მონაზონი თუ სიძვით დაეცეს და მხოლოდ მონაზონობის კურთხევა ჰქონდეს, სიძვის კანონი (7 წელი უზიარებლობა) ადასრულოს, ხოლო თუ სქემოსან მონაზონს შეემთხვეს სიძვით დაცემა, მრუშების კანონის (15 წელი უზიარებლობა) თანამდებია.

ეფთვიმეს არა მხოლოდ უთარგმნია აღნიშნული კანონი, არამედ მის განმარტებასაც გვთავაზობს. რის გამოც მის მიერ თარგმნილი კანონი უფრო ვრცელია არსენის თარგმანთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ასეთ მკაცრ განჩინებას გამოსცემს, სულიერ მოძღვარს, რომელიც შეცოდებულის აღსარებას შეიწყნარებს, უფლება აქვს კანონი შეამოკლოს და გააგრძელოს იმის მიხედვით, თუ როგორ ინანიებს შემცოდებელი.

ამ კანონში მთარგმნელი, აგრეთვე, საუბრობს იმ მონაზვნების შესახებ, რომლებმაც მონაზონების აღთქმა უარყვეს და ამ სოფლის ამბოხსა და ცოდვებს დაუბრუნდნენ, მაგრამ შემდგომ კვლავ სინანულით იმავე მონაზონობის წესზე მოვიდნენ და იგივე სახე მონაზონებისა შეიმოსეს. მათ აღსარებით, ცრემლითა და მოღვაწეობით უნდა მოინანიონ თავიანთი ცოდვები და პირველი

ადექმის უარყოფა და ასე მიიღონ წყალობა სახიერისა და მრავალმოწყალე ღმერთისაგან, რომელსაც არა სურს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ – მოქცევა და სინანული.

44-ე [46] კანონით მონასტრიდან თვითნებურად არც ერთი მონაზონი არ უნდა გამოვიდეს. ეს დადგენილი იყო მონასტრული ცხოვრების დასაბამიდანვე. თარგმანები შინაარსით სრულად იდენტურია. გამოყენებულია სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები: „ენკრატისობისა წესი” – „მოღვაწებრივი ცხოვრება”, „წინამძღვრისა და სულიერისა მის დედისადათა” – „ვანისდედისადათა”, „გარეშე მონასტრისა” – „მონასტრისაგან კიდე დაყოფა”.

45-ე [47] კანონის მიზანია მონასტრების ყოველგვარი ეჭვისაგან დაცვა. ამიტომ მამათა მონასტერში დედაკაცებს ეკრძალებათ ღამის გათევა და დედათა მონასტერში კი – მამაკაცებს, რათა „წესიერად და სათნოდ უფლისა განაგებდეს კაცად-კაცადი ცხოვრებასსა თვისსა” (I კორინ. 7, 35). (თარგმანები მსგავსია).

46-ე [49] კანონი ქალკედონის მე-4 მსოფლიო კრების 24-ე კანონის განმეორებაა. ეპისკოპოსის ნებით, ერთხელ ნაკურთხი მონასტერი სამუდამოდ მონასტრად უნდა დარჩეს; მისი კუთვნილი ქონება დაცული იქნეს და მომავალში არასდროს გადაკეთდეს ერისკაცთა საცხოვრებლად (თარგმანები მსგავსია).

47-ე [50, 51] კანონი იმეორებს მოციქულთა 42-ე და 43-ე კანონების განწესებებს, რომლებიც კრძალავენ ერისკაცთათვის და, მით უმეტეს, საეკლესიო მსახურთათვის, აზარტულ თამაშებს და ლოთობას. ეფთვიმეს თარგმანი ვრცელია, რადგან მან ტრულის კრების ორი კანონი გააერთიანა და მათ განმარტებასაც გვთავაზობს. მისი თარგმანი უფრო თავისუფალია.

ეფთვიმე

არსენი

ყოვლითურთ უკუე უჯერო არიან და უწესო ქრისტიანეთათვს სიმღერანი და სახიობანი და ესევითართა მათ კმათა საემმაკოთა სმენანი ბარბითებისა და ორძლებისა, ებანთა და სტვრთა და წინწილათა და მროკვალთა და მომღერალთა ხედვანი. ესე ყოველთა ქრისტიანეთათვს უჯერო არიან, რამეთუ საქმენი არიან საწარმართონი. ხოლო მდდელთათვს და მოწესეთა და მონაზონთა სრულიად განჩინებით დაყენებულ არს ესევითართა საქმეთა სმენად, ანუ ხედვად და არცა ნადირობად ჯელ-ეწიფების მდდელთა და მოწესეთა.

ყოვლითურთ განჰყრის უფრომსად წმიდად და მსოფლიოდ კრებად სახიობად და მზუელაობად, ხუმრობად სახელდებულთა მათდა სახილველთა მათთა, ამათ თანა ხილვასაცა ნადირობათასა და როკვასა მგოსანთასა.

ამკარად იგრძნობა მთარგმნელის მიზანი, განმარტოს, სრულად გამოაჩინოს ის მნიშვნელობა, ის აზრი, რაც აქვს დედნის სათანადო ადგილს.

48-ე [53] კანონი კრძალავს ნათლის მიერ ნათლულის დაქვრივებული დედის ცოლად შერთვას, რადგან სულიერი ნათესაობა ხორციელ ნათესაობაზე უმეტესია. თარგმანი დედანთან სრულ შესაბამისობაშია.

49-ე [54] კანონი ბასილი დიდის 86-ე კანონს განავრცობს და ჩამოთვლის აკრძალულ ქორწინებებს, ვინაიდან წმიდა წერილი ამბობს: „ყოველსა თვისსა ხორცთა შენთასა არა შეხვიდე გამოცხადებად სარცხვინელისა“ (ლევიტ. 18,6). თარგმანები მსგავსია.

50-ე [58] კანონით ერისკაცს ეკრძალება საკუთარი ხელით წმიდა ზიარების მიღება. ხოლო რომელიც ამას ჩაიდენს, ერთი შვიდეული უზიარებელი იყოს, „რათა ისწაოს არა უფრომს ბრძნობად უმეტეს წესისა მის“ (რომ. 12,3). ეფთვიმე მხოლოდ ციტატას ამატებს წმიდა წერილიდან.

51-ე [60] კანონი იმოწმებს პავლე მოციქულის სიტყვებს: „რომელი შეეყოს უფალსა, ერთსულ არს“ (I კორინ. 6,17) და აღნიშნავს, რომ ვინც მიაკუთვნებს თავის თავს წინააღმდეგობს, ე. ი. ეშმაკს, ცხადია, მასთან ერთობასა იქმს. ამ კანონს მხედველობაში ჰყავს მატყუარები, რომლებიც ეშმაკით შეპყრობილებად აჩვენებდნენ თავს, ქალაქში დაეხეტებოდნენ და უწესრიგობას იწვევდნენ. „ასეთ ადამიანებს გულუბრყვილო მოქალაქეები ხელგაშლილი ხვდებოდნენ, რადგან წმიდა ადამიანებად მიაჩნდათ ისინი“ - წერს ბალსამონი კანონის განმარტებაში. ეს კანონი გმობს „ეშმაკეულების“ ამგვარ ქმედებებს და საჭიროდ მიიჩნევს მათ განკანონებას. თარგმანები იდენტურია.

52-ე [59] კანონი კრძალავს ნათლობებს სახლებში აგებულ ეკვდერებში. ვისაც ნათლობა სურს, უნდა მიბრძანდეს ეკლესიაში, რადგან წმიდა მამათა მიერ ასეთი წესია დადებული (ამ კანონის თარგმანებიც ერთმანეთის მსგავსია).

53-ე [61] კანონი გმობს გრძნეულებას, მკითხაობას, მათ მსგავს სხვა საქმიანობას, როგორც სატანისტურ საქმეს. თარგმანები შინაარსით სრულიად ფარავენ ერთმანეთს. ეფთვიმეს თარგმანი აქაც თავისუფალია. გვაქვს მცირე მატება.

ეფთვიმე

არსენი

რომელი მისანთა და გრძნეულთა მიმართ მივიდნენ, ანუ რომელთა-იგი ლეგიონ და ასისთავ ეწოდების, და მათგან ეძიებდნენ ცნობად საქმეთა, რომელთა ენების უწყებად და მათა მიმართ დადვან სასოებად თვისი, ექვს წელ უზიარებელ იყვნენ.

რომელნი ბედსა უთხრობდენ და შობისა დღეთა იზმნიდენ და ესევი-თართა საწარმართოთა საცთურთა

რომელი-იგი მიანდვნენ თავნი თვისნი მისანთა ანუ ასისთავად წოდებულთა მათ და სხუათა ეგევითართა, ვითარმცა მათგან ენება სწავლად, რადცა რამე გამოეცხადოს მათ, თანამდებ იქმნენ იგინი მამათა მიერ მათთვის განწესებულთა მათებრ საზღვართა, - ექუს წელ უზიარებლობითა განკანონებასა. და ამითვე კანონითა ჯერ-არს განკანონებად მათი, რომელთა

შემოიღებენ ქრისტიანეთა შორის და რომელი-იგი ღრუბელთა მათებელ ეწოდების და რომელნი შეკლოცვენ და ქერთა მყრელნი და ბეჭისა მხედველნი და ყოველნი ესევეითარნი საცთურნი საეშმაკონი არიან და ესევეითართა საქმეთა მოქმედნი კანონსა შევიდენ უზიარებლობისასა.

დათვ მოეხას, ანუ ეგევიტარი რამე ცხოველი სამღერლად და სავნებლად უმარტივესთა და რომელნი ბედსა და სუესა და შობისა დღესა და ეგევიტართა რათმე სიტყუათა საცდურად ერისა წარჰრევედენ და რომელნი-იგი ღრუბელთმდევენელად იწოდებიან და მსახრვალთა და შემლოცავთა და საცოთმოქმედთა და გრძნეულთა.

როგორც ვხედავთ, ეფთვიმეს ამ კანონში ჩამატებული აქვს სახარებისეული სახელი ეშმაკისა - ლეგიონ (ლუკა 8,30) და ამ სახელით მოიხსენიებს მისნებსა და გრძნეულებს. ყოველნაირი ცოდვისმიერი ვნება, რომელიც ადამიანის სულს ეუფლება და მას სულიერი სიკვდილისა და ეშმაკის ტყვედ შექმნის, სამართლიანად შეიძლება ლეგიონად იწოდოს. ეფთვიმეს სახელები შემდეგ კანონშიც შემოაქვს. მას ტრულის კრების ორი კანონი - 62-ე და 65-ე - გაუერთიანებია და 54-ე [62; 65] კანონად გვთავაზობს. ეს კანონი ამავე კრების 24-ე კანონის დამატება და მასში წარმართული დღესასწაულები განიკითხება. კანონს ცხადად ემჩნევა, რომ ქართველ მთარგმნელს თავისი საკუთარი ცნობები და სიტყვა-აზრებიც ჩაურთავს. „კალანდობანი და რომელ ვრომალ ეწოდების და რომელ-იგი თვს თავსა მარტისასა იზმნიან და სხუათაცა თვს თავთა[62], რომელ წინაშე სახლთა თვსთა ვიეთნიმე ცეცხლსა აღიგზნებენ და გარდაახლდებიან წესისაებრ წარმართთადასა, ესევეითარი ყოველი მოისპენ ქალაქისა ამისგან და ყოველთაგან მორწმუნეთა. ხოლო რომელთა არა მოიწყვდონ, უკუეთუ მდღელნი იყვნენ, აღიკოცენ, უკუეთუ ერისკაცნი იყვნენ, განკანონნენ, რამეთუ წერილ არს წიგნსა მეფეთასა: „და უშენა მანასე ბომონი მხედრობასა ცისასა, გარე-შეჰკადნა შვილნი თვსნი ცეცხლსა და იზმნიდა და მისნობდა და ყვნა ულუკნი და მცნობელნი და ყო ბოროტი წინაშე უფლისა და განარისხა იგი“[65]. *ჰხედავ-ა, ვითარ ბოროტ არიან საქმენი ესე? და კუალად სახელისდებანი იგი საწარმართოთა კერპთანი, რომელნი მათ ღმერთად შეერაცხნეს - რომელნიმე მამათა და რომელნიმე დედათა - სრულიად მოისპენ: დიოს, ანუ აპოლონს, ანუ არტემს, ანუ ბოჩი, ანუ გაცი, ანუ ბადაგეონ და არმაზ, ანუ რომელ-იგი წნეხასა ყურძნისასა ბილწისა მის დიონისეს სახელსა იტყვან და სიცილსა აღაზრზენენ*[65], ესე ყოველი საეშმაკოა არს და მოისპენ ქრისტიანეთაგან. ხოლო რომელმან არა ისმინოს კანონი ესე, არამედ საცთურსა მას ზედა ეგოს, მდღელი თუ იყოს, აღიკოცენ, ერისკაცი თუ იყოს, უზიარებელ იქმნას. ეგრეთვე განქიქებულად როკვანი დედათანი ნულარამცა იქმნებიან[62] და რომელნი-იგი დათუთა მემღერნი ვლენ სავნებელად მრავალთა, ესე ყოველი საუცრებად მოისპენ და კრძალვლად და შიშითა ღმრთისადათა მოქალაქობდინ ერი ქრისტიანეთად.”

ამკარად ჩანს, რომ, სადაც საწარმართოთა კერპთა და ჩვეულებათა შესახებ არის საუბარი, ეფთვიმეს ჩამატებულია.

ამის შემდგომი კანონები: 55-ე[66], 56-ე[67], 57-ე[68], 58-ე[69], 59-ე[70], მე-60[72], 61-ე[73], 63-ე[75], 64-ე[76], 65-ე[77], 66-ე[78], 67-ე[79] დედანს ზუსტად ასახავენ, მხოლოდ ერთგან, 62-ე კანონში გვაქვს მატება: „არა ჯერ-არს ეკლესიათა შინა კათოლიკეთა პურის ჭამად და ტაბლათა დაგებად, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „არა არს ეკლესიად ღმრთისად პურის საჭმელად“ (I კორინ. 11,22). ნუუკუე სახლები არა გიდგს ჭამად და სუმად, ანუ ეკლესიათა ღმრთისათა შეურაცხ-ჰყოფთ? ეკლესიასა შინა ევლოგიად იგი სეფისკუერისად თუ მიიღონ და სარღუნელი, გინა თესლი შესუენებულთა საკსენებლად, ხოლო ტაბლისა დაგებად და საჭმელთა განმზადებამ სახლთა შინა იქმნებოდენ და არა ეკლესიათა, თჳნიერ უკუეთუ მგზავრი იპოოს ეკუტერსა სადა გზისასა და სხუად სადგური არა აქუნდეს, მუნ სავანე-ყოს უღონობისათჳს. ხოლო რომელნი სახლთა უფალნი იყვენენ, სახლთა თჳსთა იზრუნონ ტაბლისა დაგებად, და ეკლესიასა აქუნდინ განწესებული იგი პატივი, რამეთუ ტაძარ ღმრთისა წოდებულ არს და სახლ სალოცველ“.

არსენისეულ თარგმანში ეს კანონი ასეთი სახითაა: „ვითარმედ არა ჯერ-არს საუფლოთა შინა სახლთა ანუ ეკლესიათა შინა ქმნად აღაპთამ¹ და შინაგან ტაძრისა ჭამად და ტაბლათა დაგებად. ხოლო ამისისა ქმნისა მკადრებელნი ანუ დასცხრნენ ამათ საქმეთაგან, ანუ უზიარებელ იქმნენ.“

ამ კანონშიც ეფთვიმე მცირე განმარტებებს იძლევა.

68-ე კანონი შეეხება სომხეთის ეკლესიაში გავრცელებულ კიდევ ერთ ურჯულოებას, სადაც წმიდათა და პატიოსანთა ხატთა გამოსახვას არ შეიწყნარებდნენ და თაყვანს არ სცემდნენ იესო ქრისტეს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და, ასევე, სხვა მთავარანგელოზთა, მოციქულთა, მოწამეთა და წმიდანების ხატებს. ამ მწვალეზობის გამავრცელებლი იყო პეტროზ მკაწრველი, რომელმაც „ხაჩეცარი“ შემოიღო და, აგრეთვე, ეს ბოროტი წვალეზაც დათესა მათ შორის. ეს კანონი ანალოგს ვერ პოულობს ტრულის კრების კანონებს შორის. იგი ეფთვიმეს შეუდგენია წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემად უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისად“-ის გამოყენებით. მას ამ კანონში შეუტანია „გარდამოცემის“ IV წიგნის მე-16 თავი: „ხატათჳს“. დღეისათვის უკვე არსებობს ამ ძეგლის აკადემიური გამოცემა და ჩვენთვის შესაძლებელია ეფთვიმეს თარგმანის შედარება როგორც არსენის, ასევე ეფრემ მცირეს თარგმანებთან.

ეფთვიმესეული თარგმანი უფრო ვრცელია, ვიდრე არსენის. ეფთვიმესთან და ეფრემთან გვხვდება ისეთი წინადადება, რომელიც ბერძნული დედნის გამოცემაში (ავტორი ბონიფაციუს კოტერი) არ იკითხება, სამაგიეროდ, ერთ ბერძნულ ხელნაწერში - Reg. 2988 - ვკითხულობთ: Λοικάν τὸν ἀπίστῃ-λιν καὶ κεναι τὸν Κύριον καὶ τὴν πύλιν.... და ა. შ. (PG 94,col. 1173). „გაგვიგია, რომ მოციქულმა და მახარებელმა ლუკამ დახატა უფალი და მისი დედა, რომელთა ხატებიც, როგორც ამბობენ, აქვს რომაელთა ქალაქს და რომლებიც იერუსალიმშია კრძალვით დასვენებული, რადგან იოსებ იუდეველიც,

.....

¹ აღაპი - გარდაცვლილის სულის მოსახსენებელი სუფრა, ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.

ზოგიერთების თქმით, გვაუწყებს, რომ იმ გამოსახულების შესაბამისად, რაც იერუსალიმში აქვთ და რასაც რომაულსაც უწოდებენ, შემდეგი სახით იხილვებოდა უფალი: წარბშეყრილი, თვალმშვენიერი, გრძელი პირისახის, დახრილი და კეთილანაზი, - ცხადია მაშინ, როდესაც იგი, ადამიანად ჩენილი, ადამიანებთან იმყოფებოდა”¹. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს ხელნაწერი ვერ ჩაითვლება ეფრემის თარგმანის უშუალო წყაროდ, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ „ზედმეტი“ წინადადება ეფრემის თარგმანში ბერძნული დედნიდან მოდის². აღნიშნულიდან ჩანს, რომ ეფთვიმესა და ეფრემს მსგავსი წყაროებით უსარგებლიათ.

ეფთვიმეს თარგმანი უფრო ვრცელია ეფრემის და არსენის თარგმანებთან შედარებით. მას „გარდამოცემის“ გარდა უსარგებლია სხვა წყაროებითაც, კერძოდ, „ბასილი დიდის ეპისტოლე, მიწერილი ნეტარი ამფილოქეს მიმართ სულისა წმიდისათჳს“ და ტრულის კრების 82-ე კანონით, რომელიც კრძალავს მაცხოვრის კრავის სახით გამოსახვას.

ეფთვიმე	ეფრემი	არსენი
რამეთუ წმიდაჲ და ღმერთშემოსილი ბასილი ესრეთ იტყჳს, ვითარმედ: „პატივი ხატისაჲ პირმშოდსა მის სახისა მიმართ მიიწევს“. ხოლო პირმშოდსა სახცჳ იგი არს, რომელსაცა სახელსა ზედა გამოსახულ იყოს ხატი იგი გინათუ ქრისტესი, გინათუ წმიდისა ღმრთისმშობელისა, გინათუ სხუათა წმიდათა.	რამეთუ ვითარცა იტყჳს ღმერთშემოსილი და ყოვლად განსაკჳრველი ბასილი: „პატივი ხატისაჲ პირმშოდსა მის სახისა აღვალს“, რამეთუ პირმშოდსა ხე არს, რომლისა სახედ გამოსახტულ იყოს ხატი იგი.	რამეთუ ვითარცა იტყჳს ღმერთშემოსილი და საღმრთოთა შინა ფრიადი ბასილი: „პატივი ხატისაჲ პირველისა სახისა აღვალს“. ხოლო პირველი სახე არს გამოსახტული, რომლისაგან იქმნების გარდმონადები იგი.

გარდა ამისა, კანონში უხვადაა თვით ეფთვიმეს მიერ ჩამატებული განმარტებითი სახის ფრაზები. „აწ უკუე, ვითარცა პატივი ხატისაჲ პირმშოდსა მის სახისა მიმართ მიიწევს, ეგრეთვე შეურაცხებაჲ ხატისაჲ პირმშოდსა მის სახისა შეურაცხებაჲ არს. და ჭემმარიტად ყოველნი შეურაცხმყოფელნი ხატთან ი უარისმყოფელთა თანა ქრისტესთა შერაცხილ არიან“.

1 წმ. იოანე დამასკელი. „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. მართლმადიდებელ მამათა შრომები, თბილისი, 2000. გვ 444.

2 წმ. იოანე დამასკელი. „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“. ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მათა რაფაჲამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფაჲამ. თბილისი, 2000 გვ. 266.

ეფთვიმე	ეფრემი	არსენი
<p>თქუან-ლა უკუე უგუ- ნურთა მათ და ცოფთა, რასათვს თაყუანის-სცემ- და ერი იგი ისრაჴლისად მოსეს ზე კარავსა მას საწა- მებელსა, რომელი ხატად და სახედ ზეცისათა მათ ქმნილ იყო (გამოს. 33,10), ვითარცა რქუა ღმერთმან მოსეს, ვითარმედ: „იხილე, რათა ჰქმნე ყოველივე მსგავსად ხატისა მის, რომელი გეჩუენა შენ მთასა ზედა”(გამოს. 25,40; ებრ. 8,5) და ქერობინი იგი დიდებოსად, რომელი აგრი- ლობდა სალხინებელსა მას, არა კაცთა ნაქმარი იყო-ა (გამოს.25,18) და დიდი იგი ტამარი იერუსალჴმისად არა ჳელითა კაცთადათა ქმნილი იყო-ა? (III მეფეთა 6,1) და ყოველი იგი თა- ყუანის-იცემებოდა ერისა მისგან.</p>	<p>ანუ რადასა მიზეზისათვს თაყუანის-სცემდეს გარემო კარავსა მას მოსეს მიერ გამოყვანებული იგი ერნი, ანუ არა ამისათვს, რამეთუ სახე აქუნდა ზეცისათად მათ და უფროდსდა ყო- ვლისა აგებულებისად? (გამოს. 33,10) ვითარ-იგი ჰრქუა ღმერთმან მოსეს, ვითარმედ: „იხილე და ქმენ ყოველივე სახისა მისებრ, რომელი გეჩუენა შენ მთასა ზედა” (გამოს. 25,40; ებრ. 8,5) და კულადა, ქერობინი იგი, მაგრილობელი სა- ლხინებელისად, ანუ არა ჳელითა კაცთადათა ქმნილ იყო-ა? (გამოს. 25,18) რად-მე უკუე სთქუა სახელოვნისა მისთვს ტა- მრისა იერუსალიმისა, ანუ არა ჳელითაქმულ და ჳელოვნებითა კაცთადათა შემზადებულ იყო-ა? (III მეფეთა 6,1).</p>	<p>რადსათვს უკუე მოსეანი იგი ერი გარემოდს კარვისა თაყუანის-სცემდა, რომე- ლსა ხატი და სახე მოაქუნდა ზეცისათად მათ, უფროდსდა ყოვლისა აგებულებისად? (გამოს. 33,10) ჰრქუა უკუე ღმერთმან მოსეს: „იხილე, ქმნენ ყოველნი სახისაებრ ჩუენებულისა შენდა მთასა ზედა” (გამოს. 25,40; ებრ. 8,5). ხოლო ქერობინი, მა- გრილობელი სალხინე- ბლისად, არა ჳელითა კა- ცთადათა ქმნული იყო-ა? (გამოს. 25,18) ანუ რად იე- რუსალიმის სახელგან- თქმული იგი ტამარი არა ჳელითაქმული და ჳელო- ვნებითა კაცთადათა შემზა- დებულ იყო-ა? (III მეფეთა 6,1).</p>

ეფთვიმეს თარგმანისათვის ნიშანდობლივია მწვალებელთა მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატველი ჩანართის დამატება. „უგუნურთა მათ და ცოფთა”. მსგავსი მაგალითია თარგმანში ოდნავ ქვემოთ: „ჴ, უგუნურნო მწვალებელნო, ჳრცხუენოდენო ყოველთა.”

ეს კანონი გამოირჩევა ეფთვიმეს თარგმნის სტილისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. დამოწმებული ბიბლიური ციტატები საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ეკიდება ეფთვიმე მთაწმიდელი წმიდა წერილის ტექსტს: მას არავითარი ცვლილება არ შეაქვს ამა თუ იმ ადგილის ციტირებაში. იგი ზუსტად იმეორებს ბიბლიის უკვე არსებულ თარგმანს.

69-ე [83] კანონში გვაქვს უმნიშვნელო მატება. კანონში საუბარია იმის შესახებ, რომ მიცვალბულთ (გვამს) არ უნდა მიეცეთ წმიდა ჴიარება. ჴოგიერთს ეს კანონი ისე ესმოდა, რომ ვინც სიკვდილის პირას იყო მისული, მათთვის არ შეიძლებოდა ჴიარების მიღება. ეფთვიმე განმარტავს ამ კანონს,

რათა ქართველი მკითხველი არ იყოს გაურკვეველობაში. ამ სოფლიდან გასვლის ჟამს ყოველი მორწმუნე უნდა ეზიაროს უხრწნელ საიდუმლოს - ქრისტეს პატიოსან ხორცსა და სისხლს, რომ კეთილი საგზალი თანა ჰქონდეს შორეული მგზავრობისათვის, თუნდაც უზიარებლობის კანონით იყოს დასჯილი. ხოლო თუ არ მოკვდა და გამოჯანმრთელდა, კვლავ უზიარებლობის კანონის ქვეშ იყოს.

70-ე[84], 71-ე[85], 72-ე[86], 73-ე[87], 74-ე[88]. 75-ე[89], 76-ე[90], 77-ე[91], 78-ე[92], 81-ე[96] კანონების ეფთვიმესეული თარგმანები გამოირჩევიან დედნის ზუსტი ასახვით.

79-ე [93] კანონში არის კლება. ეფთვიმეს ამ კანონიდან ამოუღია საკითხი, რომელიც ეხება ცოლის მიერ მიტოვებულ მამაკაცს.

მე-80 [95] კანონი აწესებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მართლმადიდებელ ეკლესიაში სხვადასხვა მწვალებელთა მიღება. ეფთვიმესეული თარგმანი განსხვავდება არსენის თარგმანისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სჯულისკანონის ტექსტიც ხარვეზიანია და სხვაობს ბერძნული ორიგინალისგან. ეფთვიმეს ისეთი მწვალებლები, როგორებიც არიან ნესტორიანელნი, მარკიანელნი, ვალენტიანელნი, რომლებსაც დიდი სჯულისკანონის მიხედვით მართებთ ხელწერილის დაწერა და შეჩვენება ყოველგვარი წვალებისა და ასე მიიღებიან ეკლესიაში (სინამდვილეში კი ეკლესია მათ შეიწყნარებს როგორც წარმართებს და მათ მართებთ ჯერ კათაკმევლობის ეტაპის გავლა და მხოლოდ შემდეგ ხდება მათზე ნათლობის შესრულება), იმ კატეგორიაში შეჰყავს, რომლებიც იღებენ არა ხელმეორე ნათლობას, არამედ – მხოლოდ მირონცხებას. იქვე არიან იაკობიტი სომხებიც, რომელთა შესახებ დიდ სჯულისკანონში არ არის საუბარი, ხოლო მანიქეველები პავლიანუკებისა და ევნომიანელების გვერდით სამართლიანად მოაქცია.

ეფთვიმე გვთავაზობს წესს, თუ როგორ ხდება მწვალებლების გაქრისტიანება. აღსანიშნავია, რომ ეფთვიმეს ეს კანონი განსაკუთრებული ღირებულების დიდმნიშვნელოვანი რჯულებითი დოკუმენტია.

82-ე კანონი ტრულის 99-ე კანონს უდრის. იგი მიმართულია სომხურ ეკლესიაში არსებულ ჩვეულებათა წინააღმდეგ. ეფთვიმე ამ კანონსაც განმარტავს: საკლავის დაკვლის დროს ლოცვის წარმოთქმის წესი არ არსებობს. იგი ეკლესიის საზღვრის გარეთ უნდა დაიკლას და ხორცი, გინდ უმი და გინდ მოხარშული, გლახაკებს უნდა გაუყონ; თუ მღვდელსაც უნაწილებენ, სახლში გაუგზავნონ. ეკლესიაში ზეთის, საკმეველის, სანთლის, საფისკვერის, ზედაშისა და ხორბლის მიტანა შეიძლება მხოლოდ.

ვინც ამ წესს დაარღვევს, უზიარებლობით დაისაჯოს.

83-ე კანონი შეეხება სასულიერო პირებს. ეს კანონი ეფთვიმეს შეუდგენია იმ კანონდარღვევის წინააღმდეგ, რომელიც გავრცელებული იყო სომხეთის ეკლესიაში. მღვდლები წირავდნენ ეკლესიაში არა საგანგებო შესამოსლით, არამედ თავიანთი ყოველდღიური ტანსაცმლით და ეს დიდი მწვალებლობა იყო. თუ ვინმე მართლმადიდებელი მღვდელი ან დიაკონი გაზედავდა შესამოსლის გარეშე ჟამისწირვის შესრულებას, განკანონდებოდა და დაეყენებოდა

ჟამისწირვისაგან.

ეპისკოპოსს ჯერ უნდა ენახა მღვდლის შესამოსელი და შემდეგ უნდა ეკურთხებინა, რადგან ამქვეყნიური მბრძანებელნი ჯერ საჭურველს ნახავენ და ისე განაწესებენ მხედრად.

საერთოდ, მღვდელ-დიაკვნებს ეკრძალებათ ზედმეტი ღვინის დალევა, განსაკუთრებით - ჟამისწირვის შემდეგ.

ამის შემდგომი კანონები, 84-ე დან მე-100-ის ჩათვლით, ეფთვიმეს აულია ბასილი დიდის მესამე კანონიკური ეპისტოლედან, რომელიც მან გაუგზავნა ამფილოქე იკონიელ ეპისკოპოსს. ეს კანონები დედნის ზუსტი ასახვით გამოირჩევა. მას კრებულში შემოუტანია ბასილის 56-ე, 57-ე, მე-8, 58-ე, 59-ე, მე-60, 61-ე, 62-ე, 63-ე, 64-ე, 65-ე, 66-ე, 67-ე, 73-ე, 74-ე, 81-ე და 84-ე კანონები.

დასკვნა

ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილ თხზულებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „მცირე სჯულისკანონი.“ მისი ეს შრომა ქართული კანონიკური მწერლობის სათავეა. ეს კანონიკური კრებული თავისი შედგენილობით სრულიად ორიგინალური და ერთადერთია ქრისტიანული ეკლესიის სამართლის ისტორიაში. მისი მსგავსი შედგენილობის კრებული არ იცის არც ბიზანტიის და ქრისტიანული აღმოსავლეთის, არც სხვა ქვეყნების საეკლესიო სამართლის ისტორიამ.

„მცირე რჩულისკანონი“, ანუ როგორც მას შემდეგ ეწოდა - „მცირე სჯულისკანონი“, ეფთვიმე მთაწმიდელს შეუდგენია ბერძნული კანონიკური მწერლობის სხვადასხვა წყაროების მიხედვით. კანონიკური კრებულის პირველი ნაწილია „წესი და განგება და რჩულისკანონი მეექვსისა კრებისა“, რომელიც წარმოადგენს ტრულის 691 წ-ის კრების კანონების სახეცვლილ კრებულს. სტატიები, რომლებითაც შედგენილია ეს კრებული, სხვადასხვა პერიოდისაა და სხვადასხვა კანონიკური კრებულებიდანაა შერჩეული ქართული ეკლესიის პრაქტიკულ საჭიროებათა შესაბამისად: 1. მეექვსე, 680-681 წწ-ის, მსოფლიო კრების დოგმატური დადგენილებები. 2. „ტრულის“ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები. 3. წმ. ბასილი კესარია-კაპადუკიის ეპისკოპოსის პირველი ეპისტოლე კანონთა შესახებ ამფილოქე იკონიის ეპისკოპოსის მიმართ. 4. წმ. ბასილი კესარია-კაპადუკიის ეპისკოპოსის მეორე ეპისტოლე კანონთა შესახებ ამფილოქე იკონიის ეპისკოპოსის მიმართ. 5. წმ. ბასილი კესარია-კაპადუკიის ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლე კანონთა შესახებ ამფილოქე იკონიის ეპისკოპოსის მიმართ. 6. ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მეცხრე კანონი. 7. წმ. კლიმენტი რომაელის მიერ დაწერილი ნაშრომი „მოციქულთა განწესებანი“ (Diatagai twn apostolwn-Constitutiones apostolorum). 8. წმ. ბასილი დიდის ეპისტოლე მისი ქვეშევრდომი ეპისკოპოსებისადმი, რათა არ ჩაატარონ ხელდასხმა ფულით. 9. წმ. მოციქულთა კანონები. 10. ქალკედონის მე-4 მსოფლიო კრების კანონები. 11. წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემად უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისად“-ს IV წიგნის მე-16 თავი „ხატთათჳს“. 12. წმ. ბასილი დიდის ნეტარი ამფილოქე იკონიის ეპისკოპოსისადმი მიწერილი წიგნის ოცდამეშვიდე თავიდან სულიწმიდის შესახებ.

ეს სტატიები ეფთვიმეს უთარგმნია ქართულად, რედაქციულად დაუმუშავებია და შიგ ქართული მასალი შეუტანია.

კრებულის სახელწოდება - „მცირე რჩულისკანონი“ თვით - ეფთვიმე მთაწმიდელს ეკუთვნის.

არსენის თარგმანთან შედარებით გაირკვა, რომ ათონელი წმიდა მამა ტრულის კრების კანონებს თანმიმდევრულად კი არ მიყვება, არამედ მათ თავისი შეხედულებისამებრ აჯგუფებს. კანონები, რომლებიც სომხეთის

ეკლესიაში გავრცელებულ მწვალებლობებს შეეხებოდა, ეფთვიმეს უცდია ერთად დაელაგებინა.

ეფთვიმესეული კანონიკური კრებული თითქმის სრულად ასახავს ეფთვიმეს მთარგმნელობითი სტილისა და მეთოდისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ეფთვიმესა და არსენის თარგმანების პარალელური კონტექსტების შეპირისპირებით ნათლად ვლინდება, რომ ეფთვიმეს მიერ ტექსტის გავრცობა ძალზე ფართო და მრავალმხრივ ხასიათს ატარებს. მატებასთან ერთად გვაქვს კლებაც, ხშირად კი კანონები დედნის ზუსტ ასახვას წარმოადგენენ.

ეფთვიმე უთითებს იმ წყაროებს, საიდანაც არის აღებული ამა თუ იმ კონტექსტში გაცხადებული აზრი.

ეფთვიმეს თარგმანი აზრობრივად გასაგები და მარტივია. თარგმანების შინაარსს იგი სიტყვასიტყვით არასოდეს გადმოსცემს. ხშირად აზრი ერთია, სიტყვიერი მასალა და გადმოცემის ფორმა - სხვადასხვა. კრებულში გამოყენებულია სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები. მისი თარგმანისათვის ნიშანდობლივია მწვალებელთა მიმართ ერთგვარი ირონია და საკუთარი პოზიციის გამომხატველი ჩანართის დამატება. ეფთვიმე ამ ჩანართით ცდილობს, მკითხველი სამეუფო გზით ატაროს და აარიდოს მწვალებლობის მთხრებლს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ დედანთან შედარებით ეფთვიმეს ტექსტი კანონების ერთგვარ ვრცელ განმარტებებსაც შეიცავს. ზოგან არსებითი ხასიათის მსჯელობაა კანონში მოკლედ ჩამოყალიბებული საკითხის შესახებ.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ „წესი და განგებაჲ და რჩულისკანონი მეექუსისა კრებისა“ უბრალო და უშუალო თარგმანი კი არ არის, არამედ ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ გადაკეთებული და განმარტებებით შემკული რედაქციაა, რომელიც თავიდანვე განსაზღვრული იყო ქართული ეკლესიის სახელმძღვანელოდ და უდიდესი მნიშვნელობის რჯულდებითი დოკუმენტია.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

1. ბრეგაძე თ., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1988.
2. ბუმისი ი. პანაიოტის კანონიკური სამართალი, მთარგმნელი: ირინე გარაყანიძე 2007.
3. გიორგი მერჩულე, შრომად და მოლუაწებად ღირსად ცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისად, ხანცთისა და შატბერდის აღმაშენებლისად, და მის თანა კსენებად მრავალთა მამათა ნეტართად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963.
4. გიორგი მერჩულე, ცხოვრებად გრიგოლ ხანცთელისად. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (V-X სს), წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1964 წ.
5. გიორგი მთაწმინდელი, „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისად“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XIV სს.), წიგნი II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ, და ც. ქურციკიძემ, ილ. აბულაძის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1967 წ.
6. გიორგი მთაწმინდელი, „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისად“, საქართველოს სამოთხე - სრული აღწერად ღვაწლთა ვნებათა საქართველოს წმიდათა, შემკრებელი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატის, ივერიელი გობრონ (მიხაილ) პავლეს მის საბინინის მიერ. პეტერბურგი, ჩყპბ (1882) წელსა.
7. გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წიგნი II. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ, და ც. ქურციკიძემ, ილ. აბულაძის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1967 წ.

8. გიუნაშვილი ე., „მცირე სჯულისკანონი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1972 წ.
9. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Jer-43, შეადგინა თ. ბრეგამემ, თბ., 1988.
10. წმ. გრიგოლ ნოსელი, „დაბადებისათვის კაცისა“, გამოსაცემად მოამზადეს ე. კოჭლამაზაშვილმა, ქ. ბეზარაშვილმა, ნ. დობორჯგინიძემ, თ. დოლიძემ, გ. თევზაძემ, თ. მესხმა, ნ. მახარაძემ, თ. ოთხმეზურმა, ზ. სხირტლაძემ, ა. შმიდტმა, ნ. ჭიჭინაძემ, ბ. უტიემ, ა. პლონტკე-ლდუნიგმა, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, II, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „გამომცემლობა ახალი საქართველო“. თბილისი, 2009.
11. „დიდი სჯულისკანონი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975.
12. წმ. იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. „მართლმადიდებელ მამათა შრომები“, თბილისი, 2000.
13. წმ. იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ. თბილისი, 2000.
14. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.
15. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა. ტ I, თბილისი, 1960.
16. „მცირე სჯულისკანონი“ (შეცოდებულთა კანონები), ბერძნულიდან თარგმნა, ძველქართულ, სლავურ და ლათინურ ტექსტებს შეუჯერა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2003.
17. პავლეს ეპისტოლეთა განმარტება თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბ; 2003.
18. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერი N 92 C1 (G 103, a; C 38).

19. საღვთისმეტყველო კრებული, 1987, N 1.
20. „სიტყვისგება ბერისა ეფთვიმე გრძლისა სოსთენის მიმართ, სომეხთ მოძღვრისა“, საქართველოს სამოთხე, გამოცემული გობრონ (მიქაელ) საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882 წ.
21. „სპეკალი მართლმადიდებლობისა“, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, სქოლიოები და კომენტარები დაურთო ე. ჭელიძემ, რედაქტორი ანა ჭუმბურიძე, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი 2007.
22. „უწყება პეტროს მკაწრველისათვის და ალაჯორისათვის და ალაჯორთა მარხვისა“, საქართველოს სამოთხე, გამოცემული გობრონ (მიქაელ) საბინინის მიერ, 1882 წ.
23. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის ხელნაწერები A 24 და A 96. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით. საქ. სსრ მეცნ. აკად., კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინს-ტი, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 2004.
24. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის ხელნაწერი A 558, ტ. II, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, ელ. მეტრეველმა, მ. ქავთარიამ, ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით. საქ. სსრ მეცნ. აკად.-ის, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინს-ტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
25. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჟიძემ, გ. კიკნაძემ, და ც. ქურციკიძემ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1967.
26. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტომი VI, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982.
27. ჯაფარიძე ანანია, მიტროპოლიტი. საქართველოს საეკლესიო კრებები. თბილისი, 2003, წიგნი I.
28. В. Н. Бенешевич, Канонический сборник XIV титулов. Санкт-Петербург, 1905.
29. Н. А. Заозерский А. С. Хаханов, Номоканон Иоанна Постника в его редакциях: Грузинской, Греческой и Славянской, М., 1902, стр 94.
30. Никодим, Правословное церковное право, СПб, 1897.

31. Тальберг, Николай Дмитриевич, История христианской Церкви (М., 1991, 2-е изд. М. Св.-Тихоновский богословский ин-т, 2000).
32. А. С. Хаханов, Правила VI всел. Собора, Древности восточные, т, II Вып. 3. Москва., 1903.
33. В. Цыпин. Церковное Право, М., 1994.
34. Apologetica, Gregory of Nazianzus, Migne, Patrologia Graeca, 35, Parisiis, 1885.
35. F.A. Biener, Geschichte der Novellen Justinins, Berlin, 1824.
36. Hans-Georg Beck, Kirche und theologische im Literatur Byzantinischen Reich, München, 1959.
37. Juris ecclesiastici graecorum historia et monumenta.. curante J. B. Pitra. II Romee 1868,
38. Morino, Commentarius historicus de disciplina in administratione sacramenti peonitentia, Parisiis, 1651.
39. G. Voellus et Justellus, Bibliotheca Juris canonici, II, Paris, 1661.
40. Pitra, Spicilegium Solesmense, T, IV 1858.
41. Zacharia von Lingenthal, Die griechischen Nomokanones, СПб, 1877.
42. G. Raillh-M. Potlh; Sunt agma twñ Qeiwn kaivièrwñ kanonon, tom. A., Ἰαϥhnisi 1852.
43. Iwanh~ olCrusost omou, Peri;met anoiã~, Omilia H 1, PG. 49, col. 337A.



ԳՁ. ՈՄՆԵՆ ԼԺՐՈՅՈՐԻ

თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისად,
ეპიკოპოსისად, სინანულისათჳს და ქალწულეზისათჳს
და მოთმინეზისათჳს

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა წაუმძღვარა
და კრიტიკული აპარატი დაურთო ილუმენმა ლუკიანე ბუდალაშვილმა,
ბერძნულ წყაროს შეუდარა მონაზონმა ექვთიმე კრუპიციკიმ

სელმძღვანელები:

თეოლოგიის დოქტორი
დეკანოზი **მაქსიმე ჭანტურია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მაია რაფავა

რეცენზენტი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნინო მელიქიშვილი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული წმ. იოანე ოქროპირის ეგზეგეტიკურ-მორალისტური ხასიათის ჰომილია – „სინანულისათჳს, ქალწულებისათჳს და მოთმინებისათჳს“¹ – ასკეტური შინაარსისაა. სხვადასხვა ეპოქაში ასკეტური ცხოვრების სხვადასხვაგვარი გამოვლინება არსებობდა. პირველივე საუკუნიდან ადამიანთა ცალკეული ჯგუფები ერთიანდებიან სულიერი მოღვაწეობის მიზნით. III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ასკეტიზმი ანაქორიზმის სახეს ღებულობს - მოღვაწენი განდევნილი ცხოვრების წესით იწყებენ ცხოვრებას. სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდებიან ასკეტური ცხოვრების ამ წესის სახელოვანი წარმომადგენლები: წმ. პალამონ თებაიდელი, წმ. პავლე თებაიდელი, წმ. ანტონი დიდი, წმ. მაკარი დიდი ეგვიპტელი, წმ. პახუმი დიდი, წმ. კასიანე რომაელი, წმ. ათანასე ალექსანდრიელი, წმ. ბასილი დიდი და კიდევ არაერთი სხვა.

წმ. იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულების - „სინანულისათჳს და ქალწულებისათჳს და მოთმინებისათჳს“ - ქართული თარგმანის ტექსტი დაცულია შემდეგ ნუსხებში: Sin 25(X ს.), 1237v-194v; Sin 78(XI ს.), 204v-233r; Ath 25(X ს.), 147r-174r. ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოყენებული გვაქვს სამივე ხელნაწერი. მთარგმნელის ვინაობა უცნობია. ძველი ქართული თარგმანი შევეუდარეთ ბერძნული ორიგინალის ტექსტს, რისთვისაც გამოვიყენეთ ჟაკ პოლ მინის „პატროლოგია გრეკაში“² დაცული ტექსტი.

Sin 25, ჟ. გარიტის აღწერილობით, X საუკუნის ხელნაწერია, წარმოადგენს ასკეტურ-ჰომილეტიკური ჟანრის თხზულებათა კრებულს³. ხელნაწერი ეტრატია, თავ-ბოლო ნაკლული. ნაწერია ნუსხურით. შეიცავს 213 ფურცელს, 137v-194v-ზე მოთავსებულია ტექსტი: „თქუმული წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ, ებიზკოპოზისაჲ, სინანულისათჳს და ქალწულებისათჳს და მოთმინებისათჳს“. თხზულების აღწერილობის ბოლოს ჟ. გარიტის მიერ დასახელებულია ბერძნული ორიგინალი: PG 88. col. 1937 – 1977⁴. კრიტიკულ აპარატში ამ ნუსხას აღვნიშნავთ A ლიტერით.

Sin 78, ივ. ჯავახიშვილის აღწერილობის მიხედვით, შედგება ორი ნაწილისაგან. ხელნაწერი ქაღალდია, დამწერლობა - ნუსხური. შეიცავს 287 ფურცელს. 204v-233r-ზე დასტურდება წმ. იოანე ოქროპირის ჩვენ მიერ გამოცემული ქადაგება⁵ (ლიტერი B).

.....

1 ნაშრომი შესრულდა 2014 წელს თბილისის სასულიერო აკადემიაში ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

2 J.-P. Migne. Patrologia Graeca, Tomus LXXXVIII, Paris, 1864, col. 1937-1977.

3 ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 45.

4 ჟ. გარიტი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, ლუვენი, 1956, გვ. 64-65.

5 ჯავახიშვილი 1947: 125.

Ath 25 წარმოადგენს ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ კრებულს, ეტრატია, დაწერილია ნუსხურით. გადამწერები - გერმანე და მაკარი ქართველი(მონაზონი), 147r-174r -ზე დასტურდება წმ. იოანე ოქროპირის ზემოთ ნახსენები ქადაგება¹ (ლიტერი C).

ქართული თარგმანის ტექსტი, ბერძნული გამოცემის ანალოგიით, დაყოფილი გვაქვს 36 პარაგრაფად. ტექსტს ახლავს კრიტიკული აპარატი, რომელიც 3 განყოფილებისაგან შედგება: I განყოფილებაში პარაგრაფების მიხედვით მითითებულია ქართული ხელნაწერების ვარიანტები. ვარიანტები, როგორც ტექსტში, ისე კრიტიკულ აპარატში, მითითებულია არაბული ციფრებით.

II განყოფილებაში მოვათავსეთ შენიშვნები ქართულ ხელნაწერთან დაკავშირებით, რომლებიც, როგორც ტექსტში, ისე კრიტიკულ აპარატში, აღნიშნული გვაქვს ფიფქით და არაბული ციფრით, ასე: *1...

III განყოფილებაში ასახულია ქართული თარგმანის ბერძნული ორიგინალის ტექსტთან შედარების შედეგები; ნაჩვენებია მეტობა, ნაკლებობა და ყველა სხვა სახის განსხვავება. ბერძნულთან მიმართების შედეგები აღნიშნული გვაქვს რომაული ციფრებით როგორც ტექსტში, ისე კრიტიკულ აპარატში.

ქართული ტექსტი რედაქციულად მიყვება ბერძნულ წყაროს. ტექსტებს შორის დასტურდება გარკვეული ვარიანტული სხვაობები, როგორებიცაა ლექსიკური ერთეულების კლება-მატება, ჩართული ფრაზების გამოტოვება, გრამატიკული ფორმების ცვლა.

ავტორის შესახებ

ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული ქადაგება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამ ქართულ ხელნაწერში დასტურდება: Sin25, Ath25 და Sin78. სამივე წყაროში ქადაგების ერთი და იგივე რედაქციაა წარმოდგენილი: „თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, ებიზკოპოზისაჲ, სინანულისათჳს და ქალწულებისათჳს და მოთმინებისთჳს“. როგორც ვხედავთ, ქართული წყაროების მიხედვით ქადაგების ავტორი წმ. იოანე ოქროპირია, ბერძნული წყარო კი ქადაგების ავტორად წმ. იოანე მმარხველს ასახელებს: „Του εν αγιοις πατρος ημων Ιωαννου αρχιεπισκοπου Κωνσταντινουπολεος του νηστευτου περι μετανοιας, και εγκρατειας, και παρθενιας“².

ბიზანტინოლოგიაში ამ ტექსტთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: არსებობდა ცნობა, რომ იოანე მმარხველს რამდენიმე ჰომილია

.....

1 R. Craffin, *Patrologia Syriaca* (Paris), 26-30.

2 J.-P. Migne. *Patrologia Graeca*, Tomus LXXXVIII, Joannis Jejunatori Archiepiscopi Constantinopolitani de poenitentia, et continentia, et virginitate, Paris, 1864, p. 1937.

ეკუთვნოდა, მაგრამ დღესდღეობით მისი სახელით მხოლოდ ერთი ჰომილიაა მოღწეული – „სინანულის, მოთმინებისა და ქალწულების შესახებ“. ეს ჰომილია ფსევდო-იოანე ოქროპირის ქადაგებათა კრებულში შედიოდა. გაირკვა, რომ ჰომილია წმ. იოანე ოქროპირის ქადაგებების ციტატებისგან არის შედგენილი (PG 88. Col. 1937-1977). ის ცნობილია კოპტური, სირიული, ქართული და სლავური თარგმანებით (სლავ. თარგმანი: Митрополит Макарий, Великие Четыи Минеи, ноябрь, дни 13-15, издательство Синодальной типографии, Санкт-Петербург, 1899, стр. 1335-1356) ბერძნული პატროლოგიის 88-ე თავში დასახელებულია რამდენიმე მკვლევარი, რომლებმაც ეს ჰომილია სხვადასხვა წლებში იოანე ოქროპირის სახელით გამოსცეს: „Opp. S. Joannis Chrysostomi ed. Frontonis Ducsei, I, 809; ed. Savil. VII, p. 641. Omisit Montfaucon. Interpretatio est Bernardi Brixiani”¹.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ბერძნული ტექსტის სათაურში წმინდა მამა კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსად სახელდება (შდრ. ბერძნ.სათ. Αρχιεπισκοπου), ქართული ტექსტის სათაურში კი გვაქვს „ეპიზკოპოზი“. თუ ისტორიული კუთხით განვიხილავთ ამ საკითხს, მესამე კანონი მეორე კრების, რომელიც 381 წელს გაიმართა კონსტანტინეპოლში, აცხადებს: „კონსტანტინოპოლისა ეპისკოპოსსა აქუნდინ წარჩინებულებაჲ პატივისაჲ, სწორი ჰრომისა ეპისკოპოსისაჲ, ვინათგან ახალი ჰრომი არს იგი“². ჯერ კიდევ უმაღლესი იერარქები რომისა და კონსტანტინეპოლის კათედრალებისა ეპისკოპოსად სახელდებიან. ასევე მთარგმნელი არ ახსენებს სიტყვა კონსტანტინეპოლს, რომლის მთავარეპისკოპოსადაცაა დასახელებული ბერძნული ორიგინალის სათაურში ამ ქადაგების ავტორი. (შდრ.: ბერძნ.სათ. Κονστατινουπολεος).

ქართველ მთარგმნელს უცილობლად სხვა სათაურის მქონე წყარო უნდა ჰქონოდა, სხვა შემთხვევაში აღნიშნული განსხვავებები არ დაფიქსირდებოდა.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე არ შეგვიძლია ვამტკიცოთ რომელიმე წყაროს სიზუსტე ან მცდარობა, რადგან აღნიშნული საკითხი უფრო ღრმა კვლევას საჭიროებს. ჩვენს აზრს მხოლოდ ვარაუდის სახით დავაფიქსირებთ. უძველეს სამ ქართულ ხელნაწერში დაცული ცნობა ავტორთან დაკავშირებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იდენტურია. ყ. მინის PG-ში დაცული ტექსტი კი სხვა სათაურის მატარებელია. ბერძნულ PG-ში დაცული ტექსტი არ წარმოდგენს კრიტიკულ ტექსტს, ამდენად, შესაძლებელია არსებობდა ისეთი ბერძნული ვერსია, რომელსაც ქართული თარგმანის შესატყვისი სათაური ჰქონდა და რომელიც წყაროდ გამოიყენა ქართველმა მთარგმნელმა.

.....
1 PG LXXXVIII: 1937.

2 დიდი სჯულისკანონი, II მსოფლიო კრების მესამე კანონი, გამოსაცემად მოამზადეს: ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ, თბილისი, „მეცნიერება“, 1975, გვ. 261.

**A 137v / B 204v / C 148r/ თქემული ნმიდისა¹ იოვანე
ოქროპირისა², ებიზკოპოზისა³, სინანულისათვის და
ქალწულებისათვის და მოთმინებისათვის⁴**

1. ნეტარი მოციქული პავლე, წარმართთა¹ მოციქული¹ და მოძღვარი ეკლესიათა, რომელი წარსრულსა²/A138r/ მას დაწინაუკუნსა³ მას დაივიწყებდა⁴, განმარტებულ იყო, რომელსა ჯრწნილნი ესე კორცნი⁵ შეემოსნეს და უკრწნელსა⁶ მას ძალსა მისწუთებოდა⁷, „რომელმან-იგი⁸ სრბა⁹ აღასრულა და¹⁰ სარწმუნოებად დაიმარხა“ (შდრ. II ტიმ. 4:7), „რომელი-იგი¹¹ მარხვითა¹² განჯმა¹³ და ჭირთა¹⁴ შინა გამოიცადა, რომელი სიყმილითა¹⁵ /C148v/ და წყურილითა სათნო-ექმნა¹⁶ ღმერთსა¹⁷ (შდრ. II კორ. 11:25-27), „რომელი-იგი იწრუსალიმითგან¹⁸ ვიდრე დასავალადმდე¹⁹ ქრისტესა²⁰ მსახურებდა²¹ (რომ. 15:19), რომელსა-იგი ქრისტე აქუნდა²² თანამეტყუელად, ქუეყანისა ანგელოზი და ზეცისა კაცი, ჩინებული მოციქული, „რომლისა თანა სული წმიდად დამკვდრებულ²³ იყო და აღჯდა²⁴ ვიდრე სამად ცადმდე²⁵ და გამოუთქუმელნი იგი²⁶ სიტყუანი ისმინნა, რომელი-იგი ჯორციურთ²⁷ ჯრწნილით²⁸ დაემკვდრა²⁹ სამოთხესა“ (შდრ. II კორ. 12:2-4), რომელი შურისათვის³⁰ განუკითხველ და სიყვარულისათვის³¹ დიდ და ეკლესიათათვის³² მზრუნველ, ქადაგი იგი ღმრთისმსახურებისათვის³³ და უძღურთა³⁴ ჯელისამპყრობელი³⁵, /B205r/ მორწმუნეთა წინამძღვარი³⁶, ჰურიათა /A139r/ მამხილებელი³⁷ და ჩუენ ყოველთა³⁸ მასწავლელი³⁹ და, შემდგომად სიკუდილისა³⁹, მოძღვარი და ქადაგი, რომელმან-იგი გჯჩუენა⁴⁰ ჩუენ, ვითარ-იგი წეს არს აღსლვად ჩუენი⁴¹ ზეცად⁴². უკუჭთუ⁴³ ესე ვითარსა მას კაცსა⁴⁴ ესოდენი⁴⁵ მოეპოა⁴⁶ სარწმუნოებად⁴⁷, რომელმან-იგი თქუა: „არარად თავით ჩემით უწყი“ (შდრ. I კორ. 4:3), ეშინოდა და თქუა: „ნუუკუე სხუათა მიმართ⁴⁷ ექადაგებდე⁴⁸ და მე გამოუცდელ ვიპოო“ (I კორ. 9,27). ხოლო ჩუენ რად-მე ვყოთ, რომელთა ყოვლადვე განმარტებად სათნოებისა არა მოგჯკოვნებიეს⁴⁹?

2. აწ წეს არს ჩუენდა მღჯმარებად¹ და ლოცვად ყოველსა ჟამსა, და /A139v/ თხოვად² ღმრთისაგან, არა თუ ოქროდ³, არცა ვეცხლი, არცადა ყოვლადვე სხუად⁴ სიმდიდრე⁵ ქუეყანისა, არამედ მარტოდ⁶ სასუფეველი⁷ ცათა და ხარებად⁸ უფლისა მიმართ⁹. სხუანი იხარებენ¹⁰ /C149r/ სიმდიდრითა ქუეყანისადათა¹, რომელნიმე ღჯნითა¹¹ და¹¹ რომელნიმე – შუენიერებითა და დიდებითა, ხოლო ქალწული იგი – უფლისა მიმართ, რადთა ქებად აქუნდეს¹² მის მიერ და თქუას¹³: „შენ მიერ არს¹⁴ ქება ჩემი“ (გს. 21:26). არარად უსარცხვნელეს¹⁵ არს¹⁶, არცა¹⁷ უსაწყალობელეს¹⁸ არს, უფროდ¹⁹ სულისა ვნებულისა²⁰. წეს არს ცნობად კეთილისა²¹ სულისათვის²² და თქუმად წმიდისა მიერ²³: „უფალო, ნები/A140r/თა შენითა ეც სიკეთესა ჩემსა ძალი²³“ (გს. 29:8), რადთა სიმეძან მან²⁴ იხილოს შენი იგი²⁵ სიმართლეს²⁶ /B205r/ და გრქუას²⁷: „ყოვლადვე კეთილ ხარ, მოყვარეო²⁸ ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა“ (ქებ. 4:7). არამედ ეკრძაღე და თუ მოიპოო²⁹ სათნოებად, ნუ ამალღები³⁰ სიკეთისათვის³¹ შენისა³², ნუუკუე ამალღებისათვის³³

შენისა³⁴ გარე-მიიქცეს ღმერთი შენგან და გამხილოს შენ³⁵ ამაღლებისათჳს³⁶ შენისა³⁷.

3. ვერ შემძლებელ ხარ დათმენად¹¹, ვითარ-იგი მან¹¹ დაითმინა² შენთჳს³, „თავი თჳსი^{4III} დაიმდაბლა და პატიოსნითა სისხლითა თჳსითა⁵ მოგიყიდა შენ“ (შდრ. ფილიპ. 2:8). რომელმან მოსცილ⁶ საზრდელი ყოველსა ჯორციელსა, იმარხვიდა შენთჳს⁷. რომელმან სიტკბოებად თაფლისად შექმნა, მან ნავლელი სუა⁸ შენთჳს⁹. რომელმან გვრგვინოსან-ყო¹⁰ ცად სიმრავლითა ვარსკულავათაჲთა¹¹, მან გვრგვინი¹² ეკლისად დაიდგა შენთჳს¹³ და „მორჩილ იქმნა ვიდრე სიკუდილადმდე¹⁴“ (ფილიპ. 2:8). აწ ამის ყოვლისათჳს¹⁵ არა წეს არს სიხარული, არამედ ტირილი და გლოვად და რწმუნებად, რომელმან¹⁶-იგი თქუა: „რად სთქუათ გულთა შინა¹⁷ თქუენტა, სარეცელთა თქუენტა ზედა /C149v/ შეინანეთ“ (ფს. 4:5). რომელი-იგი დღისი ვქმენით¹⁸, ღამე წარვწყმიდოთ^{19IV} სულთქუმითა და ცრემლითა^V. „ესრეთ²⁰ შეინანა აქაბ და გარდაიპო სამოსელი, იმარხვიდა და²¹ /A141r/ შეიმოსა ძამად²², სულთ-ითქუმითა²³ და ტიროდა და რად ჰრქუა²⁴ მას უფალმან? არა მოვკადო²⁵ ძვრი²⁶ მაგისი მაგას²⁷ ზედაVI“ (3 მეფ. 21:27-29). /B206r/ ამისთჳსცა²⁸ თქუა მაცხოვარმან: „ნეტარ იყვენენ²⁹, რომელნი ტიროდიან“ (მათ. 5:4), არათუ მკუდართათჳს³⁰, არცაღა³¹ სხჳსა³² რადსათჳსმე^{33VII}, არამედ ცოდვათათჳს³⁴, ვითარცა დავით თქუა: „დავბანო³⁵ მარადღე^{VIII} ცხედარი ჩემი და³⁶ სარეცელი ჩემი³⁷ ცრემლითა ჩემითა დავავლტო³⁸“ (ფს. 6:7), და მერმე: „ნაკადულნი წყალთანი გარდამოდოდეს³⁹ თუალთა ჩემთა, რამეთუ არა დავიცევ რჩულიშენი“ (ფს. 118:136). განიბანენ⁴⁰ ცრემლითა მწინკულევანებაჲ^{41IX} შენი, იცემდ⁴² მკერდსა შენსა და შუბლსა შენსა⁴³ და გულისკმა-ყავ⁴⁴, რად იგი /A141v/ სცოდე მონადირებისათჳს⁴⁵ და ცოდვისა^{46X}. მონადირე შენ თუალითა შენითა⁴⁷, „ვითარცა დავით⁴⁸“ (შდრ. 2 მეფ. 11:2), რამეთუ ბოროტად განახუენ⁴⁹ სარკუმელნი შენნი⁵⁰ და სულისა შენისა⁵¹ მტერ იქმნენეს⁵² თუალნი შენნი. დაჰქმენ⁵³ აწ⁵⁴ სულთქუმითა⁵⁵ თუალნი ეგე⁵⁶ ბოროტად მხედველნი⁵⁷, რამეთუ ჩუეულებამან ცოდვისამან უძვრესა⁵⁸ ცოდვასა^{XI} შთააგდის⁵⁹ ცოდვილი იგი.

4. სამოსელი წმიდაჲ გმოსიეს¹ და ნუსადა არაწმიდასა² ადგილსა³ დასჯდები¹, ნუუკუე შეამწინკულო⁴. უკუეთუ შეურაცხ-ჰყო⁵ პირველი იგი და მეორე⁶ და მესამე⁷ მწინკულევანებაჲ, მიერთგან მწინკულევან⁸ იყოს სამოსელი შენი⁹ და არლარა¹⁰ გიკვრდეს¹¹, დაღათუ¹² ყოვლადვე შემწვრებულ¹³ იყოს^{II}. /A142r/ არარად^{14III} საკმარ არს¹⁵, ვითარ ლოცვად¹⁶. „ნუუკუე წარსცე ქვასა¹⁷ ფერჯი შენი“ (ფს. 90:12), რადთა „დაიბანაკოს ანგელოზმან¹⁸ ღმრთისამან^{IV} და გიკსნეს¹⁹ შენ“ (ფს. 33:8) და შემძლებელ იქმნე თქუმად: „ანგელოზმან ღმრთისამან მიკსნა მე ყოველთაგან²⁰ ბოროტთა²¹“, რადთა ანგელოზმან უფლისამან²² გიწოდოს შენ²³ ვითარცა აბრაჰამსა²⁴, რამეთუ ჰყუარობენ მათ ანგელოზნი, რომელნი²⁵ ჰყუარობენ²⁶ მათსა მას უფალსა. „მიიღეთ გალობად და მიეცით ბობღანი, გალობად^V და კურთხევად^{VI} ქნართა“ (ფს. 80:3) ერთი მიგაქუს დასამი²⁷ მიგკადონ; სამით²⁸ ამით ვდგათ, ვითარცა თქუა მოციქულმან^{VII}, რადთა „ყოვლადვე სრულ /A142v/ იქმნენ²⁹ ჯორცნი ესე ჩუენნი³⁰, სული და სამშვნველი³¹“ (1 თეს. 5:3), რადთა იყოს ბობღან³² ჯორცი ესე ჩუენი და საგალობელ სული ესე და ქნარ

სამშენველი³³, ბობლანსა^{VIII} ტყავი მკუდრისა³⁴ გარდაურთხამს³⁵. მოაკუდინენ³⁶ შენცა ჯორცნი³⁷ ესე შენნი³⁸, რადთა აქებდე³⁹ ღმერთსა ვითარცა ბობლნითა და გალობითა. რამეთუ მან^{IX} შენთვს⁴⁰ მისცნა ჯორცნი თვსნი⁴¹ ვნებად. იხილე, ნუუკუე თქუას: რად-მე სარგებელ არს შენდა სისხლი ჩემი, ვითარ ღირს ხარ შენ მისა⁴², რომელმან-იგი⁴³ დაუთმო /B207r/ ესრეთ⁴⁴ შემძლებელ ყოვად და⁴⁵ საქმედ⁴⁶ მისა მიმართ?

5. /A143r/ იქმენ შენ¹, ახალნერგ, ნაყოფისა² გამომღებელ³, რადთა აქებდე ღმერთსა. რავდენცა შემძლებელ ხარ შენ, ეგოდენცა გამოიღე ნაყოფი. უკუეთუ ვერ შემძლებელ ხარ შენ გამოღებად⁴ სრულად⁵ ასსა მას ნაყოფსა, გამოიღე შენ სამეოცი^{II}, და თუ⁶ ესეცა მიძიმე გიჩს და ძნელ, მესამე⁶ იგი^{III} ოდენ გამოიღე^{IV}, რომელ არს ოცდაათი⁷. /C150v/ რავდენსაცა⁸ შემძლებელ ხარ, ეგოდენცა⁹ გამოიღე, რადთა არა უნაყოფო¹⁰ იპოო და დაგდვან შენ ცეცხლსა, და თუ ოქრომ და ვეცხლი არა გაქუს, საქმენიცა¹¹ წმიდანი¹² გქონან და თუ¹³ ესეცა¹⁴ არა გაქუს, ძელი, თივად და ლერწამი, /A143v/ ცეცხლითა დასაწუველი¹⁵, იხილე¹⁶, ნუ შეიქმ თავსა შენსა ძეგლად¹⁷, რომელი მოიძულა უფალმან. იაკობმანცა^{18V} ქმნა რაქელისთვს¹⁹ ძეგლი²⁰ და არა მოიძულა იგი²¹ უფალმან. „იხილე, ნუუკუე²² წარმოგიდგეს შენ სიტყუად შენი, ვითარცა კერპი, დღესა მას საშინელსა^{23VI} სარჩელისასა²⁴ და შემასმენელ გექმნას²⁵ შენ“ (შდრ. რომ. 14:12). ნუუკუე მაშინ იწყო²⁶ თვნიერ²⁷ მოწამისა²⁸ მხილებად²⁹ და თვნიერ³⁰ ხილვისა აღიარებდე³¹. გულისჯმა-ყავ³², რად-იგი ჰქმენ³³ და რასა-იგი იტყოდე უგუნურებით. ტი/B207v/ როდე ვიდრე ჟამადმდე, რადთა არა გესმეს მუნ და გრქუას, ვითარმედ^{VII}: „აქა მოსრულ ხარ-ა სინანულად^{VIII}, სადა-იგი არა არს ჟამი სინანულისა⁹?“ ვიდრე ჟამი ესე გუაქუს³⁴, ვიქმოდით კეთილსა^{IX}. უკუეთუ ჟამი ესე წავრწყმიდოთ³⁵, სხუასა³⁶ პოვნებად³⁷ ვერ შემძლებელ ვართ. ამისთვსცა³⁸ /A144r/ პავლე ასწავებს და იტყვს³⁹: „ვიდრე ჟამი ესე გუაქუსლა, ვიქმოდით კეთილსა“ (გალ. 6:10).

6. ვტიროდით, ვითარცა ვცოდეთ, გარდამოვადინნეთ¹ ცრემლნი ჩუენნი² ქუეყანად, ვიცემდეთ მკერდსა, რადთა ღრჭენასა მას³ კბილთასა მუნ განვერნეთ. ვტიროდით, „ვითარცა-იგი ტიროდა დავით“ (შდრ. ფს. 6:7), რადთა⁴ სანატრელ ვიქმნეთ⁵. არა ხოლო თუ ტიროდა, არამედ ღამეთაცა ათევდა და ცხედარსა თვსსა⁶ /C151r/ ცრემლითა დაალტობდა. ერთსა ღამესა ცოდა და ყოველთა ღამეთა ტიროდა, ესრეთ⁷ წეს არს აღსაარებად^{8II}, რამეთუ მომცნა მე თუალნი, რადთამცა⁹ ვიხილე ნათელი, ხოლო მე ვიხილე ამათგან ძვრი¹⁰. შევსცეთ თუალთაგან^{III}, რამეთუ ბოროტად აღვიხილენ¹¹ და განვავხვენ¹² სარკუმელნი ჩემნი, /A144v/ ამისთვსცა¹³ ცრემლითა განვიბანენ¹⁴ იგი¹⁵. ესრეთ¹⁶ წეს არს ყოველთათვს¹⁷, ტირილით¹⁸ განბანამ თუალთა მათ, რომელთა იხილეს ბოროტად. იხილე წყლულებად¹⁹ და²⁰ იცან კურნებად. /B208r/ დაჰკრძალენ კარნი²¹ სულისანი²². ნუ ხოლო თუალნი, არამედ სასმენელნიცა²³ და პირიცა²⁴, რამეთუ იგინი არიან სარკუმელნი, ვინაჲ შევლენან^{25IV} გინა ბოროტნი, გინა კეთილნი. ეკრძალე²⁶, ნუუკუე სიკუდილი შევიდეს სარკუმლით შენით, არამედ იყვენ²⁷ შენდა მარადის თუალნი შენნი²⁸ მცნებათა მათ^V და ბრძანებათა

ღმრთისათა აღმასრულებელ²⁹. მერმე³⁰ პირი გალობად და წურთად³¹ ძუელსა და ახალსა შჯულსა³². წეს არს სარკუმელთა³³ მათ განღებად³⁴ ღმრთისა მიმართ და³⁵ დაწვად³⁶ ცოდვათათჳს³⁷. მერმე³⁸ თქუ შენცა წმიდისა მის /A145r/ სულისა თანა, ვითარცა თქუ: „ვითარ³⁹ აღვკდე⁴⁰ დანაკისკუდსა⁴¹, დავიპყრა⁴² სიმაღლე⁴³ მისი და სიმართლე⁴⁴ იგი მისი და⁴⁵ შევიყუარო⁴⁶, რომელი-იგი სპეტაკი გული-უც⁴⁷, მიერ აღვკდე⁴⁸ ცად^{VI} და არღარას⁴⁹ ქუეყანისასა ვიქმოდი“ (ქებ. 7:8-9). იხილე, რამეთუ ეკლოვან⁵⁰ არს დანაკისკუდიცა და მამხილებელ⁵¹ ცოდვათა⁵², რამეთუ თქუმულ არს^{VII} სიტყუანი ბრძენთანი: „ვითარცა დეზნი არიან⁵³ /C151v/ და ვითარცა⁵⁴ სამშჳლანი⁵⁵ განკურვებულნი⁵⁶^{VIII}, რადათა ამით დავიწერტებოდით და მოდრკებოდით გულნი ჩუენნი და ყოველთა ცოდვათა განემორნენ⁵⁷“ (ეკლ. 12:11). არამედ^{IX} დაიპყარ⁵⁸ სიმაღლედ⁵⁹ იგი⁶⁰ მისი⁶¹, რადათა დაუცემელად სდგე მარადის /B208v/ და თავს-იდებდე მომავალთა მათ ქართა, რომელნი-იგი⁶² მომავალ არიან⁶³ ჟამითი-ჟამად, განსაცდელნი იგი /A145v/ ეშმაკთანი⁶⁴.

7. შეემთხუოდე შენ მარადის წიგნთა მათ საღმრთოთა, ვითარცა ვინ სჯს¹ ღვწომ² და დასცხრის წყურთილისაგან და გარდაიქცის¹ სიხარულად, ეგრეცა³, რომელმან სუას სულიერი იგი⁴ ღვწომ⁵, სიხარულად გარდაიქცეს სული მისი. მოიკსენე მარადის ღმერთი⁶ და თქუ წმიდისა მის^{VII} თანა: „წინაღსწარ ვხედევდ⁸ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის⁹, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რადათა არა შევიძრა“ (ფს. 15:8). დაწერენ სიტყუანი ესე ჳელითა შენითა და იყუნენ¹⁰ შეურყეველ¹¹ წინაშე თუალთა შენთა. უკუეთუ პატივ-სცე ღმერთსა¹², დადგეს მარჯუენით შენსა, უკუეთუ არა¹³ პატივ-სცე მას¹⁴, „ეშმაკი¹⁵ დადგეს მარჯუენით შენსა“ (შდრ. 108:6), რამეთუ ესრეთ¹⁶ უპატიო-ყო იუდა უფალი^{III} და აღესრულა^{IV} მის ზედა წერილი იგი, ვითარმედ¹⁷: „ეშმაკი დადეგინ¹⁸ მარჯუენით მისსა¹⁹“ (ფს. 108:6). /A146r/ ყოველსა ჟამსა ადიდებდ²⁰ ღმერთსა²¹ და იტყოდე: „აგამაღლო შენ²², ღმერთო, მეუფეო ჩემო“ (ფს. 144:1). საქმითა და²³ ნუ სიტყვთა²⁴ აღასრულებ²⁵^{VI}, რამეთუ ესრეთ²⁶ აკურთხევდა დავითცა²⁷ უფალსა უკუნისამდე^{VII}. არა თუ ერთ თუე, არცადათუ²⁸ ჟამ ერთ, არცადა წელიწად ერთ, /B209r/ არამედ ყოველსა ჟამსა^{VIII}, რამეთუ უწყოდა, ოდეს აღასრულოს კაცმან, მაშინდა²⁹ იწყოს³⁰ და თუ³¹ სთქუა, ვითარ-მე³² შეუძლოს გულმან ამადლებად მარადის ღმრთისა, ვითარცა-იგი აქუნდა პავლეს და³³ მისწერს: „/C152r/ არარად თავით ჩემით უწყი“ (შდრ. 1 კორ. 4:4), და³⁴ ესრეთ³⁵ იყო დავითცა და იტყოდა³⁶: „საიდუმლოთა ჩემთაგან განმწმიდე³⁷ მე“ (ფს. 18:13). რომელცა³⁸ გვბრძანა³⁹ ჩუენ მაცხოვარმან⁴⁰ და თქუა: „ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მათ. 5:8). ესრეთ⁴¹, რომელი არა ცოდვიდეს, იგი დღითიდღედ⁴² აღამაღლებს ღმერთსა, არა ხოლო⁴³ თუ⁴⁴ სიტყვთა⁴⁵, არამედ საქმითაცა ცხადად⁴⁶ უჩუენებს. რომელი არა სულმოკლე იქმნეს, დაღათუ მოიწიოს მის ზედა საღმრთობად, გინათუ სხუად რაიმე, გინათუ სიკუდილი, არამედ თქუ⁴⁷ პავლეს თანა: „ვინ განმაყენნეს⁴⁸ ჩუენ⁴⁹ სიყუარულსა მას ქრისტესსა⁵⁰?“ (რომ. 8:35) და შემდგომი ამისი⁵¹. არათუ სახლსა შინა შეგინებულსა⁵² იყოფის⁵³ ქრისტე⁵⁴^{IX}, არამედ ცათა შინა^X, რადათა დასამკვდრებელად⁵⁵^{XI} განუმზადო სული შენი.

8. მოიკსენე შენ¹ ძრწოლა² იგი და საშინელებად³ იგი⁴ მის⁵ დღისა⁶, ოდეს-იგი

ყოველნი წარდგომად ვართ^I წინაშე მისსა^{71I} და⁸ /B209r/ სიტუასა⁹ მიცემდით¹⁰ თითოეულთა საქმეთა ჩუენათათს¹¹. ოდეს-იგი თუალთა წინაშე ყოველთა წარმოგვდგეს¹² ცოდვა და¹³ ყოველთა^{III} გამოცხადოს და რომელთა-იგი არა იციან¹⁴ ღმერთი^{15IV}, მაშინ უჩუენებდენ^V სადა-იგი იყოს მდინარე¹⁶ ცეცხლისად და მატლი იგი¹⁷ ფერად-ფერადი^{VI}. ოდეს-იგი ყოველნი¹⁸ შიშუელნი¹⁹ და ქედდადრევილნი ვდგეთ^{VII}, სადა-იგი წიგნი გულთა ჩუენთანი განეხუმოდიან²⁰ და შორის მრავალთა აღმოიკითხოვიან²¹ ცხადთა და დაფარულთა, ღამისათა და²² დღისათა, და ყოველთა ჟამთასა^{23VIII}, უგუნურებათა და დავიწყებათა²⁴, რომელი-იგი ასოთა ჩუენთა ქმნეს. /C152v/ მაშინ გამოცხადება²⁵ იგი გულისკმაცვით^{26IX}, რამეთუ დაფარულნი იგი აწინდელნი გამოცხადნენ. მაშინ²⁷ გულისკმაცვით, რამეთუ^X ზედა-გუაც²⁸ წარსლვა²⁹ წინაშე³⁰ დიდისა^{XI} მის მსაჯულისა³¹, სადა-იგი³² არა³³ ხოლო თუ საქმეთათს³⁴, არამედ სიტყუათათსცა³⁵ და გულისთქუმათათს განგვკითხვიდეს³⁶, სადა-იგი ჰგონებდეს ვინმე³⁷ ყოფად /A147v/ მცირედ ცთომათა თვსთა^{38XII}, მოწევენად არს საშინელი³⁹ ესე სასჯელი⁴⁰.

9. მარადის მოიკსენე^I და ნუ დაივიწყებ², რომელი-იგი /B210r/ არასადა დაშრეტად³ არს საჯუმილი⁴. მარადის ხედევდ⁵ წინაშე თუალთა შენთა მომავალსა მას განსჯად⁶ ცხოველთა და მკუდართა⁷. გულისკმა-ყვენ⁸ ათასეულნი იგი და ბევრეულნი ანგელოზნი, წინაშე მსაჯულისა მის მდგომარენი⁹. მაშინ გესმოდის¹⁰ ყურთა თქუენთა ღადადება იგი საყვრისა¹¹ მის¹² და საშინელი იგი ჳმად მსაჯულისა. წინაშე¹³ ხედევდინ თუალი შენი, ოდეს-იგი რომელთამე მისცემდეს გარდასკნელსა მას ბნელისასა და რომელთამე კარი დაეჭვოდის¹⁴ სასუფეველისა^I. მრავლისა მის ქალწულებისა მათისა¹⁵ შემდგომად და შრომისა¹⁶ /A148r/ ხედვიდენ რომელთამე, ვითარცა ღუარძლთა შეჰკრვიდენ და საჯუმილსა¹⁷ დასდებდენ და რომელთამე ჳელით და ფერკით შეჰკრვიდენ და გარდასკნელად^{18II} მიიყვანებდენ¹⁹ და²⁰ რომელთამე მისცემდენ^{21III} /C153r/ მატლსა მას დაუცხრომელსა^{IV} და რომელთამე ღრქენასა კბილთასა²² მისცემდენ²³. აწ გულისკმა-ყავ^V, რომელნიმე²⁴ უჟამოდ სიცილისათს²⁵ დაისჯებოდინ²⁶ და რომელთა²⁷ მოყუასსა²⁸ ავნეს, გინათუ ძმად აცთუნეს, რომელნიმე მიუწოდმელთა ცოდვათათს²⁹ დაისჯებოდინ და რომელნიმე სიტყუსათს³⁰ უდებისა³¹ სატანჯველსა³² შემავალ არიან და რომელნიმე^{VI} ცნობისათს³³ დაისჯებოდინ /B210v/ და რომელთამე გმობისათს³⁴ სასუფეველი ცათად დაეჳმას და რომელთამე ძვრისმოჳსენეობისათს³⁵ /A148v/ დაუცხრომელად ევნებოდის. რომელნიმე სირცხვლსა³⁶ შინა საუკუნესა დგენ³⁷ და რომელნიმე ცნობასა^{VII} ნაკლულევან³⁸ ყოფად არიან და ესმოდინ^{39VIII} მათ, ვითარმედ: „არა გიცით⁴⁰ თქუენ, ვინ ხართ^{IX}“ (მათ. 25:12), ამისთვის⁴¹, რამეთუ იქმოდეს, რომელი-იგი⁴² ქრისტემან არა უბრძანა ყოფად. უწყოდეთ^X, რამეთუ ესე ესრეთ⁴³ ყოფად არს, ვითარ-მე⁴⁴ ვიყვნეთ ჩუენ, ანუ⁴⁵ ვითარ ჰგონებთ, რამეთუ⁴⁶ ცრემლთა⁴⁷ გულსმოდგინებისაგან ჩუენისა^{48XI}, ვითარცა მდინარეთა, გარდამოვადინებდეთ^{49XII} და ვთქუათ: „ვინ მოსცეს⁵⁰ თავსა ჩემსა წყალი და თუალთა ჩემთა წყაროდ ცრემლთად? და ვტიროდემცა ცოდვათა ჩემთათს⁵¹ დღე⁵² და ღამე“ (იერ. 9:1), რათა მომავალთა⁵³ მათ⁵⁴ სატანჯველთა⁵⁵ განვერნეთ.

„მოვედით⁵⁶ და⁵⁷ /A149r/ ვისწრაფოთ წინაშე პირსა მისსა^{XIII} აღსაარებითა და სინანულითა მით ამის სოფლისადათ“ (შდრ. ფს. 104:1-2) და⁵⁸ მოტევებად ცოდვათა⁵⁹ უფლისაგან ვპოოთ^{60XIV}, რამეთუ თქმულ არს: /C153v/ „ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს⁶¹ შენ“ (ფს. 6:6).

10. ყოველივე ორ-ორი¹ მოგუცა ჩუენ ღმერთმან²: ორნი თუალნი და³ ორნი ყურნი, ორნი ჳელნი და⁴ ორნი ფერჳნი და თუ ამათგანსა ერთსა ევნის⁵, მეორითა⁶ მით საჳმარსა მას ნუგეშინისცემულ ვიქმნით⁷; /B211r/ ხოლო სული ერთი მოცემულ არს ჩუენდა, უკუეთუ ესე წარვწყმიდოთ, ვისთანა-მე ვცხონდებოდით? ამისსა ხოლო გონებასა⁸ ვჳყობდეთ და ნუმცა რად უფროს⁹ ცხორებისა¹⁰ მისისა შეგჳრაცხიეს¹¹ ჩუენ, რამეთუ იგიცა განკითხვად¹² არს¹ და /A149v/ სიტყუად მიჳდად არს და ჩუენ თანა წარდგომად¹³ არს და ლიჳსა მას ღმრთისასა¹¹. უკუეთუ სთქუა მაშინ: „საფასემან შემიტყუა¹⁴ მე“, მოგიგოს შენ მსაჯულმან მან და გრჳუას¹¹¹: „არა გესმა-ა, ვითარმედ: რად-მე სარგებელ არს კაცისა^{IV}, უკუეთუ ვინმე ყოველი სოფელი¹⁵ შეიძინოს და სული¹⁶ თჳსი¹⁷ ზღვევად¹⁸ მისცეს¹⁹“ (მათ. 16:26). *უკუეთუ სთქუა, ვითარმედ²⁰: „ემშაკმან მაცთუნა მეო^{21V}“ (შდრ. დაბ. 3:13), რამეთუ არცა ევას სარგებელ ეყო ეგე სიტყუად, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „გუელმან²² მაცთუნა მე“ (დაბ. 3:13). ესე ყოველიმცა აწ გუაჳუს²³ გონებასა ჩუენსა, მოვედით და აღვიმართნეთ თავნი ჩუენნი²⁴ ვიდრე დაბნელებადმდე და მოსლვადმდე²⁵ მის დღისა^{VI}, დიდისა²⁶ და ცხადისა²⁷, რომლისათჳსცა²⁸ თქუა წინაწარმეტყუელმან: „აჳა ესერა, დღე²⁹ იგი^{VII} მოვალს^{VIII} და ვინ დაუთმოს მოსლვასა³⁰ მას მისსა“ (მალაქ. 3:2). საშინელ არს დღე³¹ იგი, დღე³² იგი ნისლისაჲ და /A150v/ /C154r/ ბნელისაჲ, არამედ სთქუა შენ: ვითარ-მე არს განრინებაჲ წინაღმართქუმულთა³³ ამათ³⁴ ბოროტთაჲ? აწ მე გეტყჳ³⁵ შენ: არათუ³⁶ ჳორცნი შენნი წმიდად დაიცვნე, არამედ ოდეს ბოროტად გევნოს, მაშინ სარგებელ გეყოს და ოდეს შეგასმინონ³⁷, განიზრახო¹. უკუეთუ ვინმე გაგინებდეს, შენ აკურთხევედი³⁸ და³⁹ ოდეს იმარხვიდე, ნუ აჳმადლდები⁴⁰. არათუ განყენებაჲ ჳამადთაჲ⁴¹, არამედ ცოდვათა შენდობასა^{42IX} იქმს მარხვად. წეს არს წიგნთა ახილვად^X: „აწ იხილე, ვითარ-იგი პირველად ხედვიდა წინაწარმეტყუელნი იგი⁴³ კუერთხსა⁴⁴ მას⁴⁵ ნიგუზისასა და მერმე – სიავსა მას⁴⁶ აღდუღებულსა და უჩუენებს, რამეთუ რომელთა-იგი⁴⁷ არა თავს-იდვეს კუერთხისაჲ^{XI} მის, იგინი ცეცხლსა /A150r/ შეცჳვეს⁴⁸“ (შდრ. იერ. 1:11-13). „ეგრეცა მოსე უჩუენებდა მაშინ სუეტსა მას ცეცხლისასა^{XII}; რომელთა-იგი⁴⁹ ისმინეს შჳჳულისაჲ⁵⁰, მათ იხილეს ნათელი და რომელთა-იგი⁵¹ არა ისმინეს⁵², იგინი ცეცხლსა დაშთეს⁵³“ (შდრ. გამ. 13:21).

11. აღმოიკითხევედით მოძღურებასა მაცხოვრისასა და ისწავებდით, რამეთუ ოდეს წარხვდეთ¹ თქუენ ამიერ² სოფლით, ვერვინ შემძლებელ არს შეწევნად თქუენდა. არცა ძმამან ძმად იჳსნეს /B211v/ დაუცხრომელთა მათგან³ სატანჯველთა, არცა მეგობარმან მეგობარი, არცაღა⁴ ძმამა-დედამან⁵ შვილნი⁶ თჳსნი⁷, არცაღა შვილმან⁸ ძამა⁹-დედაჲ თჳსი¹⁰ ¹ და რად-მე ვთქუა¹¹ სხუათა¹² კაცთათჳს¹³ /C154v/ ვერცაღა მათ და¹⁴ „თუ მოვიდენ ნოვე და იობ და დანიელ¹⁴“ (შდრ. ებეკ. 14:14), არამედ¹⁵ ვთქუა¹⁶: ვინაჲ არს ჩუენებაჲ¹⁷ ესე /A151r/ ამათი?

„აწ იხილე, რომელსა¹⁸ არა ემოსა სამოსელი იგი¹⁹ საქორწინე²⁰, ვითარ-იგი²¹ გამოჯადეს²² მიერ ქორწინ/ A151v/ლით²³ და არავინ იპოა²⁴ მეოხი მისთვს²⁵“ (შდრ. მათ. 22:12-13). „აწ იხილე, რომელსა-იგი არწმუნა შანთი²⁶ და მან²⁷ არა განვაჭრა²⁸, ვითარ-იგი ბნელსა მას მიეცა და არავინ²⁹ მისთვს³⁰ ევედრებოდა“ (შდრ. მათ. 25:24-30). „აწ იხილენ ხუთნი³¹ იგი ქალწულნი, რომელთა-იგი კარი დაეკმა და არა ეოხდეს³² მათთვს³³ თვსნი³⁴ იგი დანი^{III}, რომელთაცა-იგი უწოდა ცოფ ქრისტემან³⁵“ (შდრ. მათ. 25:11-12). დათრგუნვისა მის შემდგომად საკუმბილისა³⁶ გულისთქუმისა^{37IV}, დაშრეტისა³⁸ მის შემდგომად აგზებულისა³⁹ მის გულისთქუმისა⁴⁰, /A151v/ მარხვთა და მღვდარებითა და ქუეყანასა წოლითა⁴¹, მაშინცა⁴² ცოფ ეწოდა მათ სახელი და არა მართალ, რამეთუ დიდი იგი^V ქალწულებად დაიმარხეს და⁴³ კაცთმოყუარებად მცირედცა⁴⁴ არა დაიცვეს. „აწ იხილე^{VI} მსაჯული იგი, /B212r/ ვითარ-იგი ცხოვართა⁴⁵ მათ მარჯუენით დაიდგინებს და უნაყოფოთა მათ თიკანთა - მარცხენით. დღესა მას სასჯელისასა^{46VII} მარჯუენითთა მათ ჰრქუას⁴⁷: მოვედით^{48VIII} და დაიმკვდრეთ^{49IX} თქუნ⁵⁰ სასუფეველი ცათა⁵¹, ხოლო მარცხენითთა მათ მისცემდეს ბნელსა მას გარესკნელსა⁵²“ (მათ. 25:33-34) და ვერვინ შემძლებელ იყოს შეწევნად /C155r/ მათა^{53X}. ჭემმარიტ არს, რომელმან-იგი თქუა: აჰა ესერა, კაცი და საქმენი მისნი. „გესმა⁵⁴ სამე მდიდრისა მის, რომელმან-იგი /A152r/ არა შეიწყალა ლაზარე⁵⁵ გლაზაკი^{XI}, ვითარ-იგი ადგილსა მას სატანჯველისასა დაიწუვოდა⁵⁶ და გული უთქუმიდა⁵⁷ ნაწუეთსა წყლისასა სუმად. გულისკმა-ყავ, რამეთუ⁵⁸ ვერცა⁵⁹ თავადი⁶⁰ აბრაჰამ მცხნელ ექმნა სატანჯველთა მათგან, რომელი-იგი ევედრებოდა სოდომელთათვს^{61XIII}“ (შდრ. ლუკ. 16:19-31). აწ ამიერთგან თავთა ჩუენთა⁶² შევეწინეთ და მივსცეთ დიდებად ღმერთსა ვიდრე დაბნელებადმდე⁶³. უმჯობეს⁶⁴ არს, რადთა აჰა განვაკმით მარხვითა ენად ჩუენი, ვიდრეა⁶⁵ არა⁶⁶ დამარხვად მცნებისა⁶⁷ მის^{68XIII} და გულისთქუმად ნაწუეთსა წყლისასა და არა მოილოს⁶⁹ მუნ, არამედ დაუცხრომელად იტანჯებოდის. მცირედითა⁷⁰ ვნებითა ამის სოფლისადათა დიდსა⁷¹ სატანჯველსა⁷² განვერნეთ. /A152v/ გულისკმა-ყვით⁷³, რამეთუ სამისაცა⁷⁴ დღისა მჭურვალეობასა⁷⁵ /B212v/ ვერ თავს-ვიდებთ⁷⁶ და მსაჯულთა⁷⁷ მათ⁷⁸ სატანჯველთასა⁷⁹ ვხედვიდით⁸⁰ და დავდნებოდით და სატანჯველი ესე არნ ღათუ ერგასის წელ. რავდენმე იყოს ღმრთისა^{XIV} იგი სატანჯველი, არა ხოლო⁸¹ თუ ერგასის წელ, არამედ მიუწდომელ და საუკუნოდ⁸² განგრძობილ⁸³ სატანჯველი იგი⁸⁴. „ყოველთა ჟამთა აწ შევიდეთ იწროსა მას ბჭესა, რადთა ვრცელთა მათ გზათა ვიდოდით“ (მათ. 7:13).

